

არნ. ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება
Besarion Jorbenadze Society

საენათმეცნიერო
ძ ი ე ბ ა ნ ი

XXXV

Linguistic
P a p e r s

თბილისი 2013 Tbilisi

UDC(უკ)81(051.2)

ს – 157

„საენათმეცნიერო ძიებანი“

XXXV წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. იგი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის და, საერთოდ, ენის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

„Linguistic Papers“ volume 32 contains thematically diverse works. It is meant for linguists and in general, all persons interested in language issues.

სარედაქციო კოლეგია: EDITORIAL BOARD:

მ. ბერიძე, კ. გაბუნია, **გ. გოგოლაშვილი** (მთავარი რედაქტორი), **ლ. გოქსაძე** (ინგლისური ნაწილის რედაქტორი), ნ. დარასელია, **ც. კვანტალიანი** (სწავლული მდივანი), მ. კიკონიშვილი, რ. ლანდია, **ნ. ლოლაძე** (მთ. რედაქტორის მოადგილე), თ. ლომთაძე, ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე

M. Beridze, K. Gabunia, **G. Gogolashvili** (editor-in-chief), **L. Goksadze** (editor of the English part), N. Daraselia, **Ts. Kvantaliani** (scientific secretary), M. Kikonishvili, R. Landia, **N. Loladze** (deputy editor-in-chief), T. Lomtadze, Chumburidze, N. Jorbenadze

ISSN 1987-6653

ბასარიონ ჯორბენაძე – 70

ბასარიონ ჯორბენაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები

- 1942 წლის 31 აგვისტოს დაიბადა ქ. თბილისში.
 1949 წ. შევიდა თბილისის I საშუალო სკოლაში.
 1959 წ. ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.
 1962 წ. სტუდენტთა გაცვლის წესით გაიგზავნა რიგის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
 1964 წ. წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
 1964-1968 წ. იყო თსუ ახალი ქართული ენის კათედრის ასპირანტი.
 1968 წ. კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
 1969-1973 წ. იყო თსუ ტოპონიმიკის ლაბორატორიის გამგე.
 1970 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.
 1973-1976 წ. არის თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.
 1973-1981 წ. იყო თსუ ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტი.
 1975 წ. გამოსცა პირველი მონოგრაფია — „ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში“.
 1978 წლიდან თსუ-ში მისი ინიციატივით შემოღებულ იქნა სპეცკურსები „ქართული ზმნა“ და „ქართული ენა და ეროვნული კულტურა“ (თავადვე უძღვებოდა).
 1979 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.
 1981-1993 წ. იყო თსუ ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორი.
 1983 წ. იყო საქ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის

- უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.
- 1982-1985 წ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების გამგეა.
- 1985-1987 წ. თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი.
- 1987 წლის ნოემბრიდან იყო არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი.
- 1988 წ. არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.
- 1988-1999 წლებში ხელმძღვანელობდა მისივე ინიციატივით შექმნილ „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ სამთავრობო კომისიას.
- 1993 წ. 4 მაისს ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ერთხმად წარადგინა მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ვაკანტურ ადგილზე.
- 1993 წ. მაისში იხილა თავისი მეთე წიგნის — „ონომასტიკური გულანი“ — სასიგნალო ცალი.
- 1993 წ. 10 მაისს გარდაიცვალა...
- 1996 წ. მიენიჭა აკაკი შანიძის სახელობის პრემია მონოგრაფიისათვის „ქართული დიალექტოლოგია“.

სხვადასხვა დროს იყო

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; ენათმეცნიერების ინსტიტუტთან არსებული სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; თსუ სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს სწავლული მდივანი; მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული იბერიულ-კავკასიურ ენათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; ქართული ენის მეცნიერული შესწავლის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; თსუ-ს ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კომისიის თავმჯდომარე, მუდმივმოქმედი სემინარის „საე-

ნათმეცნიერო საუბრების“ გამგეობის თავმჯდომარე; „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ მთავარი რედაქტორი, ჟურნალ „მაცნეს“ (ენისა და ლიტერატურის სერია) მთავარი რედაქტორის მოადგილე.

ბესარიონ ჯორბენაძის ხელმძღვანელობით მომზადდა 20-ზე მეტი ასპირანტი და მაძიებელი, მათ შორის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა 18-მა. იყო სადოქტორო დისერტაციების კონსულტანტი.

რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს ლექსები, მოთხრობები...

მონოგრაფიები:

1. ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თსუ გამომცემლობა, თბ., 1975.
2. ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თსუ გამომცემლობა, თბ., 1980.
3. ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თსუ გამომც., თბ., 1983.
4. ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თსუ გამომც., თბ., 1985.
5. ქართული ზმნა, თსუ გამომც., თბ., 1986 (რუსულ ენაზე).
6. ბალავარი მწერლობისა, გამომც., „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1987.
7. ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, გამომც., „მეცნიერება“, თბ., 1987 (თანაავტორები: მ. კობაიძე, მ. ბერიძე).
8. ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, გამომც., „მეცნიერება“, თბ., 1989.
9. ქართველური ენები და დიალექტები, გამომც., „მეცნიერება“, თბ., 1991 (ინგლისურ ენაზე).
10. ონომასტიკური გულანი, გამომც., „მეცნიერება“, თბ., 1998.
11. ქართული ენის მორფოლოგია, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1995.

12. ქართველური ენების დიალექტები, თსუ გამომც., თბ., 1995.
13. ენა და კულტურა, ბ. ჯორბენაძის საზ., თბ., 1997.
14. ქართული ენის დიალექტოლოგია, ტ. II, ბ. ჯორბენაძის საზ., თბ., 1999.
15. პოეზიის ენა, ბ. ჯორბენაძის საზ., თბ., 1999.

სტატიები:

16. ლიტერატურული ნორმების ისტორიისა და ვნებითი გვარის ზოგი დიალექტური ფორმის საკითხისათვის: „ქართ. ენა და ლიტ. სკოლაში“, თბ., 1968, №1.
17. ტბ||ტაბ ფუძე ქართულ ტოპონიმებში: სსსრ აკად. მოამბე, თბ., 1975, 79, №2.
18. საკუთარი სახელი ენის საერთო ლექსიკაში: თსუ შრომები, თბ., 1975, №164.
19. დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებები ქართულ ტოპონიმიაში: „ტოპონიმია — I“, თბ., 1976.
20. ტოპონიმკური მუშაობა თბილისის უნივერსიტეტში: „კავკასიის ონომასტიკა“, მაჰაჩყალა, 1976.
21. ქართული სალიტერატურო ენის ისტორია და დიალექტოლოგია (პროგრამა-პროსპექტი): თსუ გამომც., თბ., 1976.
22. ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური სტრუქტურა: თსუ შრომები, თბ., 1977, №187.
23. ენობრივ მოვლენათა განხილვის ბინარული პრინციპი: სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, თბ., 1977, 87, №2.
24. ფორმანტთა იდენტიფიკაციის საკითხი ქართულში: სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, თბ., 1977, 85, №3.
25. მუდმივი და ცვლადი ენაში, ზოგ: და იბ.-კავ. ენათმეც. საკითხები, თბ., 1978.
26. ფორმანტთა შედგენილობისათვის ქართულში: სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, თბ., 1978, 90, №2.
27. ენობრივი ფორმის შესწავლის საკითხები ქართულში: სსსრ

- მეცნ. აკად. მოამბე, თბ., 1978, 91, №2.
28. ზმნურ ფუძეთა აგების პრინციპები ქართულში: იკე-ს წელიწადი, V, თბ., 1978 (რუსულ ენაზე).
29. ენის ფორმობრივი და ფუნქციური კატეგორიები: მაცნე, №2, თბ., 1978.
30. ენათმეცნიერების საგანი: ონტოლოგია და მეთოდოლოგია: გეორგია, 1978 (გერმანულ ენაზე).
31. ფორმანტთა სემანტიკური ინფორმაციულობის საკითხისათვის ქართულში: ნარკვ. იბერ. კავკ. ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980.
32. ზმნურ ფუძეთა სემანტიკური დიფერენციაციის საკითხისათვის ზმნისწინთა ფონეტიკურ ვარიანტებთან დაკავშირებით: იკე-ს წელიწადი, VII, 1980 (რუსულ ენაზე).
33. ტოპონიმკური მნიშვნელობა და ტოპონიმი: „კავკასიის ონომასტიკა“, ორჯონიკიძე, 1980 (რუსულ ენაზე).
34. ყაზბეგის ენობრივი სამყარო: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №2, თბ., 1981.
35. -ნ და -რ ელემენტებიანი ფორმანტების ურთიერთმიმართებისათვის ქართულში: სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, 102 №3, 1981.
36. ფონეტიკური და სემანტიკური ფაქტორების ურთიერთმიმართებისათვის ქართულში: სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, 103 №1, 1981.
37. ინვერსიულ ზმნათა ჩამოყალიბების პრინციპები ქართულში: იკე-ს წელიწადი, VIII, თბ., 1981 (რუსულ ენაზე).
38. აქტივისა და პასივის ოპოზიციისათვის ქართულში, გეორგია, 1981 (გერმანულ ენაზე).
39. ა- პრეფიქსის ფუნქციისათვის ქართული ენის ზმნებში: იკე-ს წელიწადი, IX, 1982 (რუსულ ენაზე).
40. რა ენა წახდეს... ქართ. ენა და ლიტ., №2, თბ., 1982 (თანაავტორები: ი. გიგინეიშვილი, ო. კაპანაძე, ე. ქურციკიძე, თ. კვაჭანტირაძე).

41. კონსტანტინე გამსახურდიას ქართული: ქართ. ენა და ლიტ. სკოლაში, №3, თბ., 1982.
42. კოლიგაციის პრინციპი ქართულში: სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, 105 №1, თბ., 1982.
43. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ (რეცენზია): სკოლა და ცხოვრება, №3, თბ., 1982.
44. მოქმედებითისა და ვნებითის დაპირისპირების პრინციპისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 1983.
45. „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები — V“ (რეცენზია): იკე-ს წელიწადური X, თბ., 1983 (რუსულ ენაზე).
46. მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზის ზოგიერთი საკითხისათვის: ქართ. სიტყვ. კულტ. საკითხ. V, თბ., 1983.
47. უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობანი ქართულში: ქართ. სიტყვ. კულტ. საკითხ. VI, თბ., 1984.
48. იოსებ გრიშაშვილი და თბილისური ქართული: ქართ. ენა და ლიტ. სკოლაში, №4, თბ., 1983.
49. მუხლადი სიტყვა ლეონიძისა: ქართ. ენა და ლიტ. სკოლაში, №4, თბ., 1984.
50. ვნებითი გვარის ფორმათა სემანტიკური დახასიათებისათვის ქართულში: იკე-ს წელიწადური, XI, თბ., 1984 (რუსულ ენაზე).
51. ნამყო დროის საობიექტო მიმღეობის მაწარმოებელი -ილ და -ულ სუფიქსების დისტრიბუციისათვის ქართულში: იკე-ს წელიწადური, XII, 1985 (რუსულ ენაზე).
52. მიმღეობათა გასუბსტანტივება ქართულში: იკე-ს წელიწადური, XIII, 1986 (რუსულ ენაზე).
53. სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთმიმართებისათვის ენაში: ენ. აგებ. და ცვლილ., იენა, 1986 (გერმანულ ენაზე).
54. ტოპონიმთა კლასიფიკაციისათვის: იკე, XXV, თბ., 1986.
55. უღვლილება: ქართ. საბჭ. ენციკლოპედია, 10, 1986.
56. ქართველური ენები: ქართ. საბჭ. ენციკლოპედია, 10, 1986

- (თანაავტორი: ვ. შენგელია).
57. ქცევა: ქართ. საბჭ. ენციკლოპედია, 10, 1986.
58. ხარისხი: ქართ. საბჭ. ენციკლოპედია, II, 1987.
59. მოქმედების დაწყებითობის ფუნქციის გამოხატვა ძველ ქართულში: აკაკი შანიძე — 100 (თსუ), 1987.
60. დიალექტოლოგიისა და ლინგვისტური გეოგრაფიის ურთიერთმიმართებისათვის: იკე, XXVI, თბ., 1987.
61. ზოგი სტატიკური ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის ქართულში: იკე-ს წელიწადური, XIV, თბ., 1987 (რუსულ ენაზე).
62. ერთგვაროვანი პროცესები ქართული ენის თანამედროვე დიალექტებში: გეორგიკა, X, (გერმანულ ენაზე).
63. ქართული ენის დიდი მოამაგე, ილია ჭავჭავაძე — 150, 1987.
64. ფორმაწარმოებაზე მნიშვნელობის ზეგავლენის ერთი შემთხვევისათვის ქართულში: ქართ. სიტყვ. კულტ. საკითხ., VIII, თბ., 1988.
65. ხმოვანი პრეფიქსები ქართულში: გეორგიკა — 12, 1989 (გერმანულ ენაზე).
66. ქართული ენის დიალექტური დაყოფის საკითხისათვის ლინგვისტური გეოგრაფიის მონაცემების მიხედვით: იკე-ს წელიწადური, XV, თბ., 1988.
67. საკუთარ სახელთა წარმოებისა და ფუნქციონირების პრინციპები ქართულში: იკე-ს წელიწადური, XVI, თბ., 1989.
68. ზმნის გრამატიკული კატეგორიების კლასიფიკაციის პრინციპები ქართულში: იკე-ს წელიწადური, XVII, თბ., 1990.
69. ზმნის ხმოვანი პრეფიქსები ქართველურ ენებში: იკე-ს წელიწადური, XVIII-XIX, თბ., 1992.
70. თემის ნიშანთა განაწილებისათვის ქართულში: იკე, XXVII, თბ., 1988.
71. ინხოატივი ქართულში: იკე, XXVIII, თბ., 1989.
72. მცენარეთა სახელდების პრინციპისათვის ქართული ენის დი-

- ალექტებში: იკე, XXIX, თბ., 1990.
73. სამეცნიერო მუშაობა ენათმეცნიერების ინსტიტუტში: იკე, XXX, თბ., 1991.
 74. ხმოვანთა პოზიციური ვარიანტების კორელაცია ქართული ენის დიალექტებში: იკე, XXXI, თბ., 1992.
 75. ზმნის გვარის ფორმათა კლასიფიკაცია ქართველურ ენებში: 1991 (ინგლისურ ენაზე).
 76. ენა, საზოგადოება, ერი: ლიტერატურა და ხელოვნება, №1, 1991.
 77. აკაკი წერეთელი — დედაენის მოამაგე: „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია, №1, თბ., 1991.
 78. ბურჯი ეროვნებისა: „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია №2, თბ., 1992.
 79. პოეზიის ენა: „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია №4, თბ., 1992.
 80. ქართველურ ენათა დიალექტების არეალოგიური შესწავლისათვის: პირვ. საერთ. ქართველოლ. სიმპოზიუმის მასალები, 1988.
 81. დიალექტების ურთიერთგამიჯვნის საკითხისათვის: დიალექტოლ. კრებ. — 1988, თბ., 1989.
 82. ენის ისტორიული და დიალექტოლოგიური ნაირსახეობანი: დიალექტოლ. კრებ. — 1987, თბ., 1988.
 83. ზმნის მორფონოლოგიის ძირითადი პრობლემები ქართულში. — იკე, XXVIII, თბ., 2010.

მოხსენებათა მასალები და თეზისები:

84. სახელდებითი წინადადების საკითხისათვის ქართულში: თსუ სტუდ. XXIII კონფ., თბ., 1961.
85. ერთგვაროვანი ფონეტიკური მოვლენები ქართული ენის დასავლურ კილოებში; ზანურსა და სვანურში: თსუ სტუდენ. XXIV კონფ., 1962.
86. სიტყვა: თსუ ასპირ. XI კონფ., 1965.
87. გვარის ფორმათა წარმოების საკითხისათვის ქართულში: კონფ. მასალები, რიგა, 1969 (რუსულ ენაზე).
88. დინამიკური და სტატიკური ზმნები და გვარის წარმოშობის საკითხი ქართულში: სოხუმის პედ. ინსტ., XXVII კონფერენცია, 1969.
89. ზმნის გვარის სინტაქსური ბუნებისათვის: თსუ ასპირ, XV კონფერენცია, 1969.
90. საშუალო გვარის ზმნათა სინტაქსური ბუნება: კონფ. მასალები, რიგა, 1970 (რუსულ ენაზე).
91. სახელზმნათა წარმოების საკითხისათვის: ქართ. ენის კათედრათა VIII რესპ. კონფერენცია, 1970.
92. ვნებითი გვარის ზმნათა უღვლილების ზოგი საკითხი: თსუ ფილ. ფაკ. XIV კონფერენცია, 1970.
93. მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში: თსუ ასპირ. XVI კონფერენცია, 1970.
94. ბრუნვისა და გვარის ზოგიერთი ფორმის ფუნქციური სიახლოვის საკითხისათვის ქართულ ენაში: კონფ. მასალ. რიგა, 1971 (რუსულ ენაზე).
95. საერთო ეროვნული სალიტერატურო ენისა და დიალექტების ურთიერთმიმართების საკითხისათვის: კონფ. მასალები, 1971.
96. მხატვრული ტექსტის ენობრივი შესწავლის ზოგიერთი საკითხი: თსუ ფილ. ფაკ. XVII სესია, 1974.
97. ზმნისწინათა ფონეტიკური ვარიანტები და მათთან დაკავშირ-

რებული ფუნქციური გადახრები: იკე შესწ. რეგიონ. სესია; ჩერკესკი, 1979 (რუსულ ენაზე).

98. მასდარებისა და მიმღობების სახელადი და ზმნური თვისებების დიფერენცირების ზოგი სინტაქსური საშუალების შესახებ ქართულ ენაში: იკე შესწ. IX რეგიონ. სესია; მაჰაჩყალა, 1981 (რუსულ ენაზე).

99. ქართული ენათმეცნიერება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთაზე: ქართ. ენის კათედრა, IX რესპუბ. კონფერენცია, 1981.

100. სტატიკური ზმნების აწმყო ქართული ენის დიალექტებში: ენათმეცნ. ინსტ. 37-ე სესია, 1981.

101. დიალექტიზმების რაობისა და კლასიფიკაციის საკითხისათვის: III რესპუბ. დიალექ. სესია, 1981.

102. ერთგვაროვანი პროცესები ქართული ენის თანამედროვე დიალექტებში: თათბ. დიალ. და ენ. ისტ. საკითხებზე; მოსკოვი-ვოლგოგრადი, 1982 (რუსულ ენაზე).

103. უღვლილების ფორმათა დაჯგუფების პრინციპისათვის ქართულში: ენათმ. ინსტ. 38-ე სესია, 1982.

104. სახელდების პრინციპისათვის ქართული ენის დიალექტურ ლექსიკაში: IV რესპუბ. დიალექ. სესია, 1982.

105. დიალექტური ტექსტის განსაზღვრისათვის: ენათმ. ინსტ. 39-ე სესია, 1983.

106. ვნებითი გვარის ფორმათა სემანტიკისათვის: ენათმ. ინსტ. მე-40 სესია, 1983.

107. სოციალური და პროფესიული დიალექტების რაობისათვის: V რესპუბ. დიალექ. სესია, 1983.

108. ნომინაციის პრინციპისათვის დიალექტურ ლექსიკაში: იკე შესწ. X რეგიონ. სესია, 1983 (რუსულ ენაზე).

109. სუბსტრატის საკითხისათვის ქართული ენის დიალექტებში: VI რესპუბ. დიალექ. სესია, 1984.

110. „საენათმეცნიერო საუბრების“ ათი წელი: საჯარო სხდომის მასალა, 1984.

111. ქართული ენის დიალექტთა კლასიფიკაციისათვის ლინგვისტური გეოგრაფიის მონაცემთა მიხედვით: თათბ. დიალ. და ენ. ისტ. საკითხებზე; მოსკოვი-უჟგოროდი, 1984 (რუსულ ენაზე).

112. ქართული ზმნის უღვლილების პრინციპები: ენათმ. ინსტ. 41-ე სესია, 1984.

113. ფორმათწარმოებაზე მნიშვნელობის ზეგავლენის ერთი შემთხვევისათვის ქართულში: ენათმ. ინსტ. 42-ე სესია, 1984.

114. არის თუ არა დიალექტი დამოუკიდებელი ენობრივი სისტემა?: VII რესპუბ. დიალექ. სესია, 1985.

115. დაწყებითობის ფუნქციის გამოხატვა ძველ ქართულში: ენათმ. ინსტ. 43-ე სესია, 1985.

116. ზმნის კატეგორიების კლასიფიკაციისათვის ქართულში: ენათმ. ინსტ. 44-ე სესია, 1986.

117. დიალექტების ურთიერშერევის საკითხისათვის: VIII რესპ. დიალექტოლ. სესია, 1986.

118. ქართველურ ენათა ზმნის მორფონოლოგიის ზოგი ასპექტი: იკე შესწ. XI რეგიონ. სესია; ნალჩიკი, 1986 (რუსულ ენაზე).

119. ინოვაციები ქართულში: ენათმეცნ.-I (თსუ სესია), 1986.

120. ქართული ენის დიალექტების არეალოგიური შესწავლისათვის: საერთ. სიმპ. მასალები, 1987.

121. დიალექტოლოგია და ზოგადი ენათმეცნიერება: IX რესპუბ. დიალექტ. სესია, 1987.

122. მრავლობითი რიცხვის ფორმანტთა რეინტერპრეტაციისათვის ქართული ენის დიალექტებში: ენათმ. ინსტ. 45-ე სესია, 1987.

123. ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტაპები: ამიერკავ. უნივერს. სესია, ბაქო, 1987.

124. შტო-გვარის სახელთა წარმოებისათვის ქართული ენის დიალექტებში: X რესპუბ. დიალექტ. სესია, თელავი, 1988.

125. ზმნური და მიმღობური ფუძეების ურთიერთმიმართები-

- სათვის ქართულში: XII რეგიონ. სესია, ჩერკესკი-ყარაჩაევსკი, 1988.
126. ზმნური სიტყვათწარმოება ქართულში: XII რეგიონ. სესია, მაიკოპი, 1990.
127. თემის ნიშანთა განაწილებისათვის ქართული ენის დიალექტებში: XII რესპუბ. დიალექტ. სესია, 1991.
128. შტო-გვარის სახელთა წარმოების პრინციპები ქართველურ ენებში: ენათმ. ინსტ. 49-ე სამეცნ. სესია, 1991.
129. ბურჯი ეროვნებისა, სამეცნ. სესია: „იაკობ გოგებაშვილი — 150“, 1991.
130. პოეზიის ენა: სამეცნ. სესია: „გალაკტიონი — 100“. თელავი, 1992.
131. ხმოვანთა კონტაქტური ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დიალექტებში: XI რესპუბ. დიალექტ. სესია, ცხინვალი, 1989.
132. აკაკი წერეთელი — დედაენის მოამაგე: სამეცნ. სესია: „აკაკი წერეთელი — 150“, თბ., 1991.
133. ხმოვანთა პოზიციური ვარიანტების კორელაცია ქართული ენის დიალექტებში: ენათმ. ინსტ. 48-ე სამეცნ. სესია, თბ., 1990.
134. ზმნის გრამატიკული კატეგორიების კლასიფიკაციის პრინციპები ქართულში: ენათმ. — II, თსუ სამეცნ. სესია, თბ., 1988.
135. ქართული ზმნის გრამატიკული კატეგორიები: იბ.-კავკას. ენები ზოგ. და ტიპოლ. თვალსაზრისი, თბ., 1989.
136. ძირითადი ენობრივი ტენდენციები ქართულში: კავკასიოლ. I საერთაშ. სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1991.
137. ბრუნების სისტემის კლასიფიკაციისათვის ქართულში: ენათმ. ინსტ. 50-ე სესია, თბ., 1992.
138. სახელთა ბრუნების ზოგი თავისებურება ქართველურ ენათა დიალექტებში: XIII რესპუბ. დიალექტ. სესია, ქუთაისი, 1992.

139. დიალექტური ტექსტის განსაზღვრისათვის: იკე, 32, 1993.
140. ნაზმნარი მოდალური ელემენტები ქართულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, 10, 1993.
141. ა. წერეთელი — დედაენის მოამაგე: ა. წერეთელი (საიუბილეო კრებული 150), თბ., 1993.
142. გ. ტაბიძის პოეზიის ენა: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, 1992.
143. რთული ზმნისწინის სიტყვაწაროებითი დანიშნულებისათვის ქართულში: იკე, 33, 1995.
144. ი. ჭავჭავაძე ქართული ენის შესახებ: ილიას კრებული, თბ., 1998.

გიორგი ბოგოლასვილი

ბესარიონ ჯორბენაძე და ქართული დიალექტოლოგიის
საკითხები*

* * *

ათიოდე წლის წინათ ენათმეცნიერი გიორგი ცოცანიძე ბესარიონ ჯორბენაძის შესახებ წერდა: „დიალექტოლოგია ქართველოლოგიის ის სფეროთაგანია, რომელშიც თავისი ნიჭისა და უდიდესი შრომის კვალი დატოვა ბესიკ ჯორბენაძემ. დღეს არ იქნება ქართველური ენების სტრუქტურის საკითხებზე, განსაკუთრებით კი დიალექტოლოგიის უბანზე მომუშავე მეცნიერი, რომელსაც მაგიდაზე არ ედება მისი სამი სოლიდური, მოცულობითიც და მეცნიერული ღირებულებითაც, მონოგრაფია: „ქართული დიალექტოლოგია“ — I და II ტომები და „ქართველურ ენათა დიალექტები“. ამათგან განსაკუთრებული მნიშვნელობისა „ქართული დიალექტოლოგიის“ პირველი ტომია, რომლისთვისაც უფრო შესაფერისი იქნებოდა, თუ „ქართული დიალექტოლოგიის საფუძვლები“ ერქმეოდა. ეს ორ ნაწილიანი ნაშრომი მართლაც მყარ ნიადაგს ქმნის ჩვენში დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების თვისობრივად ახალ საფეხურზე ასაყვანად“ (გ. ცოცანიძე, 2003, გვ. 129).

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული დიალექტოლოგიის სფეროში ბ. ჯორბენაძის ამ მონოგრაფიის როლი ისეთივეა, რა როლიც იტვირთა ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის კვლევაში აკაკი შანიძის ფუნდამენტურმა მონოგრაფიამ — „ქართული გრამატიკის საფუძვლებმა“ (ნაკვეთებად გამოიცა 1942-1943 წლებში; I გამოცემა გამოვიდა 1953 წელს).

* * *

ქართულ დიალექტოლოგიურ კვლევა-ძიებას სათავე XX საუკუნის დასაწყისში დაედო. 1915 წელს გამოქვეყნდა ა. შანიძის ნაშრომი „ქართული კილოები მთაში“ (ა. შანიძე, 1981). ეს ნაშრომი იყო მაგალითი იმისა (შეიძლება ითქვას, გზამკვლევი), თუ როგორ უნდა წარმართულიყო დიალექტოლოგიური კვლევა-ძიება. მკვლევარმა სოფელ-სოფელ, ლამის ფენდაფენ, შემოიარა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, ჩაიწერა დიალექტოლოგიური მასალა (ტექსტები, ლექსიკა), ფოლკლორული მასალა და ამ მასალების ანალიზის საფუძველზე შეიქმნა ზემოხსენებული გამოკვლევა; დიალექტოლოგიური კვლევის შედეგები არის წარმოდგენილი ასევე მონოგრაფიაში „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნაში“ (ა. შანიძე, 1919).

ქართული უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ (1918 წ.) ა. შანიძის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით დიალექტოლოგიურ კვლევა-ძიებას ფართო ხასიათი მიეცა. შეიქმნა ფუნდამენტური გამოკვლევები. აქ არნ. ჩიქობავასა და ვ. თოფურიას 20-იანი წლების შრომების დასახელებაც იკმარება.

კვლევა-ძიებამ თითქმის სრულად მოიცვა მთელი ქართული ენობრივი სივრცე. დამუშავდა არაერთი თეორიული საკითხი. თითქმის ყველა დიალექტი გახდა კვლევა-ძიების საგანი. მონოგრაფიულად იქნა შესწავლილი თითოეული მათგანი, გამოქვეყნდა ტექსტები და სალექსიკონო მასალა.

XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს, როცა ბ. ჯორბენაძე გამოდის სამოღვაწეო ასპარაზე, ეს, ასე ვთქვათ, პირველი ეტაპი ქართული დიალექტოლოგიური კვლევა-ძიებისა თითქმის დასრულებულია; სხვაგვარად რომ ვთქვათ, დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების თვალსაზრისით ძალიან სერიოზული შედეგები გვაქვს ცალკეული ქართული დიალექტის შესწავლის თვალსაზრისით და მომზადდა ნიადაგი ახალი ეტაპისათვის. დღის წესრიგში დგება კვლევა-ძიების შედეგების განზოგადება. ცხადია, არ იგულისხმება, რომ ცალკეული დიალექტური ფაქტებისა და მოვლენების შესწავლა, ტექსტებისა და სალექსი-

* წაკითხულია მოხსენებად XXXII რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიაზე ქ. ქუთაისში 2012 წლის 16 ნოემბერს.

კონო მასალის შეკრება დასრულდა, რომ აღარაა საჭირო. ეს ის საქმეა, რომელიც არასდროს დასრულდება და ყოველთვის იქნება საჭირო... გავხაზავთ იმ ფაქტს, რომ ამ პერიოდისათვის თითქმის სრულად აღიწერა ქართული დიალექტური სივრცე და დადგა დრო, მოპოვებული მასალის საფუძველზე განმაზოგადებელი ნაშრომების შექმნისა...

შევნიშნავთ: განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომი თითო-ორთა ქართულ დიალექტოლოგიაში მანამდეც არსებობდა. მხედველობაში მაქვს თუნდაც ი. ყიფშიძისა (ი. ყიფშიძე, 1994) და შ. ძიძიგურის (შ. ძიძიგური, 1936) კლასიკური გამოკვლევები, მაგრამ ამას სისტემური ხასიათი არ მისცემია.

ბ. ჯორბენაძის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ სწორად მის სახელთან არის დაკავშირებული დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების ახალი ეტაპის დაწყება ქართულ დიალექტოლოგიაში.

როცა ბ. ჯორბენაძის მეცნიერული მოღვაწეობის შეფასებას ახდენდა, აკად. ქ. ლომთათიძე წერდა: „განსაკუთრებით ფასეულია ის, რომ ყველა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით მკვლევრის მიერ დამუშავებულია ზოგადთეორიული და მეთოდოლოგიური ხასიათის პრობლემები“ (ქ. ლომთათიძე, 2003, გვ. 96). დიახ, ეს ზოგადი პრინციპია ბ. ჯორბენაძისა: იგი ნებისმიერ მონოგრაფიულ კვლევას ზოგადთეორიულ ნაწილს წარუმიძღვარებს; პრობლემის ზოგად ასპექტებს წარმოაჩენს და შემდეგ განიხილავს კონკრეტულ პრობლემას. ასე იყო ეს მის პირველ მონოგრაფიაში „ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში“ (1975) და მომდევნო წიგნშიც „ქართული ზმნის ფორმოზომები და ფუნქციური ანალიზის პრინციპები“ (1981) და ორივე ამ მონოგრაფიის ზოგადი ნაწილი სპეციალისტთა მიერ მიჩნეულია მნიშვნელოვან ზოგადთეორიულ ნაშრომად. ზ. კიკვიძის აზრით, ფაქტია, „თუ რამდენ ფასეულ ინფორმაციას, თვალსაზრისსა თუ დებულებას აწვდის ბესარიონ ჯორბენაძის ნაშრომები თეორიული ენათმეცნიერებით დაინტერესებულ მკითხველს. ჩვენი აზრით, მათ შორის მრავლადაა ისეთებიც, რომელთა საშუალებითაც ავტორმა თავის დროს გაუსწრო. რაც მთა-

ვარია, მისი თეორიული დასკვნა თეორიული თუ პრაქტიკული მასალის გამოწვლილივითი ანალიზის შედეგადაა მიღებული. ამიტომაცაა ისინი ადეკვატური, ფასეული, ეფექტური და იმავდროულად გრძელვადიანი პერსპექტივის მქონე“ (ზ. კიკვიძე, 2003, გვ. 118).

დიალექტოლოგიაზე როცა ვსაუბრობთ, აქ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ბ. ჯორბენაძის „ქართული დიალექტოლოგის“ I ტომის (ბ. ჯორბენაძე, 1989) I ნაწილი „დიალექტოლოგიის ზოგადი პრობლემები“ (გვ. 7-216). ეს მონაკვეთი 10 თავისაგან შედგება. ვინც ამ მონაკვეთის თუნდაც მხოლოდ დასათურებას გადაავლებს თვალს, დამერწმუნება, რომ ქართულ ენათმეცნიერებაში ამ ნაშრომს ბადალი არა ჰყავს. როგორც ვიცით, ქართული დიალექტოლოგია, როგორც საუნივერსიტეტო დისციპლინა, საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე იკითხება. „ქართული დიალექტოლოგიის“ I ტომი არის ფაქტობრივ ერთადერთი სახელმძღვანელო ამ დისციპლინისა; ეს არის ქართულ საენათმეცნიერო სივრცეში ერთადერთი ნაშრომი დიალექტოლოგიის დარგში, რომელიც დაწერილია თანამედროვე ლინგვისტიკის დონის გათვალისწინებით, მაღალმეცნიერულ დონეზე უაღრესად მისაწვდომი ენობრივი ფორმით; იგი მსჯელობის სინათლითა და ლოგიკით შეუცვლელია. არ იყო შემთხვევით ისიც, რომ თავის დროზე წიგნი საენათმეცნიერო ლიტერატურისათვის უჩვეულო ტირაჟით (6000 ცალი) დაიბეჭდა და მალევე იქცა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად.

„ქართული დიალექტოლოგიის“ პირველი ტომი (ზოგადი ნაწილი) არ არის კომპილაციური ნაშრომი. მართალია, იგი თავს უყრის და აჯამებს არსებულს, ტრადიციულს, მაგრამ გვაწვდის ორიგინალურ შეფასებასა და გააზრებას დასმული საკითხებისას. ორიგინალურია ავტორის მიდგომა თუნდაც ისეთი საკითხებისადმი, როგორცაა — დიალექტის რაობა, ქართული სალიტერატურო ენა, სალიტერატურო ენა და დიალექტები და სხვ. ავტორის დამოუკიდებელი კვლევის შედეგებია წარმოდგენილი ისეთ პარაგრაფებში, როგორცაა — დიალექტური ნორმა, დიალექტების ურთიერთგამიჯვნის ტენდენცია და სხვა. თუნდაც ეს უკანასკნელი პარაგრაფი (ამის მიგნება) ძალიან

ბევრ საკითხს ჰვენს ნათელს, ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს მოხსნის... თითოეულ თავზე, ცალკეულ პარაგრაფებზე შეიძლება საუბარი, თუმცა ეს ამ წერილის მიზანი ვერ იქნება...

არანაკლებ მნიშვნელოვანია „ქართული დიალექტოლოგიის“ I ტომის მეორე ნაწილი — „ქართული ენის დიალექტების სისტემური აღწერა“ (გვ. 216-588). ამ წიგნის გამოცემამდე ჩვენ გვქონდა ცალკეულ დიალექტთა შესახებ მონოგრაფიული გამოკვლევები, სტატიები ამა თუ იმ საკითხზე. როგორც ვთქვით, ცალკე კვლევის თემა იყო თითქმის ყველა დიალექტი, მაგრამ სრულყოფილი სურათის წარმოდგენა ქართულ დიალექტურ სივრცეზე მხოლოდ ამ წიგნის მეშვეობით შეიძლება შევიქმნათ. ყველა ქართული დიალექტი (ბ. ჯორბენაძის აზრით, ასეთი თექვსმეტია) ერთი და იმავე სქემით არის აღწერილი და წარმოდგენილი. სქემა ასეთია: ა) დიალექტის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა, ბ) ფონეტიკა, ბ) მორფოლოგია, დ) სინტაქსური თავისებურებანი, ე) ლექსიკური თავისებურებანი. ეს არის სისტემატიზებული მასალა დიალექტების თავისებურებათა შესახებ. თითოეული დიალექტი საშუალოდ 15-20 გვერდს მოიცავს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის მხოლოდ სპეციალური ლიტერატურის საფუძველზე შედგენილი აღწერა. ამ სქემის თითოეულ პუნქტზე ყველა დიალექტის შემთხვევაში პასუხი არც ყოფილა გაცემული. ამიტომაც ავტორს მოუხდა კონკრეტული ტექსტური მასალის ანალიზის საფუძველზე ეპასუხა საჭირო კითხვებისათვის, ერთიანი პრინციპი რომ არ დარღვეულიყო. ამიტომ ამ აღწერებში ბ. ჯორბენაძის კვლევის შედეგებიც მრავლადაა. ასეა მაგალითად, ფერეიდნულისა და იმერხეულის შესახებ. ამ დიალექტების შესახებ ამ სახის აღწერა, სრულყოფილი დახასიათება ამ დიალექტებისა მანამდე არც გვქონია. ასე რომ, ავტორისეულ დაკვირვებებსა და მიგნებებს ამ მონაკვეთშიც მრავლად შევხვდებით.

სწორედ ამ წიგნის — „ქართული დიალექტოლოგიის“ პირველი ტომის შესახებ ითქვა, ქართული დიალექტოლოგიის საფუძვლებიაო.

„ქართული დიალექტოლოგიის“ მეორე ტომი გამოცა 1998 წელს (ბ. ჯორბენაძე, 1998). ეს არის სრულიად ახალი სიტყვა ქარ-

თულ ენათმეცნიერებაში. როგორც ითქა, ჩვენ მანამდე გვქონდა რამდენიმე ნაშრომი, რომლებშიც ფონეტიკურ პროცესებს განიხილავდნენ, როგორც ერთიან პროცესს ქართულ დიალექტოლოგიურ სივრცეში. მაგრამ ეს იყო გამოკვლევები მხოლოდ ცალკეული ენობრივი მოვლენების (ვთქვათ, ასიმილაცია-დისიმილაციის, ხმოვანკომპლექსთა ცვლილებებისა და სხვა) შესახებ. როცა ვამბობთ, ბ. ჯორბენაძის ამ მონოგრაფიამ სათავე დაუდო ახალ ეტაპს ქართულ დიალექტოლოგიაში, ვგულისხმობთ იმას, რომ სისტემურად აღიწერა ქართული დიალექტოლოგიური სივრცე ფონეტიკური თვალსაზრისით; დიალექტური ფაქტები და მოვლენები შეჭერდა და განზოგადდა. აქ მხოლოდ II ტომის თავების სათაურებს ჩამოვთვლი:

I. ქართული ენის დიალექტების ბგერითი შედგენილობა (გვ. 5-96);

II. ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებები ქართული ენის დიალექტებში (გვ. 97-293);

III. თანხმოვანთა ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დიალექტებში (გვ. 294-543);

IV. მორფემათა ფონეტიკური ნაირსახეობანი ქართული ენის დიალექტებში (გვ. 544-661).

შევნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ასეთი ფუნდამენტური, მასშტაბური და მაღალმეცნიერული ნაშრომი ქართული დიალექტოლოგიის ფონეტიკაში ჯერ არ შექმნილა... დრო ამ ნაშრომის მნიშვნელობას კიდევ უფრო სრულყოფილად წარმოაჩენს.

აქვე ვიტყვით იმასაც, რომ ბ. ჯორბენაძის არქივში არის საკმაოდ ვრცელი მასალა „ქართული დიალექტოლოგიის“ მესამე ტომისათვის — ძალიან საინტერესო გამოკვლევები ქართული დიალექტების მორფოლოგიის საკითხების შესახებ (ერთ ნაწილს წინამდებარე კრებულშიც ვბეჭდავთ; იხ. გვ.). როცა ეს მასალა დალაგდება და გამოქვეყნდება, მაშინ ვიტყვით, რომ ამ სახის მონოგრაფიაც პირველი იქნება ქართულ დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში. ფაქტობრივ ამ გამოცემით დასრულდება ვრცელი დიალექტოლოგიური კორ-

პუსი — „ქართული დიალექტოლოგიის“ სამტომეული.

თუმცა როცა დიალექტოლოგიურ კორპუსზე ვსაუბრობთ, კიდევ ერთი მონოგრაფია უნდა აღვნიშნოთ ბ. ჯორბენაძისა — „ქართველური ენების დიალექტები“ (ბ. ჯორბენაძე, 1995).

ჩვენ ზემოთ ორი კლასიკური ნაშრომი ვახსენეთ — ი. ყიფშიძის წერილი, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესს რომ შეისწავლის ქართულსა და მეგრულში; და შ. ძიძიგურის გამოკვლევა ხმოვანთ კომპლექსებში მიმდინარე ფონეტიკურ პროცესებს რომ შეისწავლის ქართულ დიალექტებსა და ზანურში; ვ. თოფურიას რამდენიმე კლასიკური გამოკვლევაც („ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“ თუ წერილების სერია „ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან“) გვაქვს... ქართველურ ენათა დიალექტებში არსებული მსგავსი თუ ერთგვარი მოვლენები მონოგრაფიულად ჯერ არ შესწავლილა. ბ. ჯორბენაძის ეს მონოგრაფია არის პირველი მცდელობა ამგვარი მონოგრაფიის შექმნისა.

ამ მონოგრაფიის მოკლე ინგლისური ვარიანტი „*The Kartvelian Languages and Dialects*“ 1991 წელს გამოიცა. ქართული გამოცემა გაცილებით ვრცელია, წიგნი ორიგინალურია სტრუქტურითაც და საკითხების დასმისა და გადაწყვეტის პრინციპითაც. პირველ ნაწილში (§ 1-7, გვ. 7-20) ისეთი ზოგადი საკითხებია განხილული, როგორცაა ენობრივი სიტუაცია საქართველოში ისტორიულად და ამჟამად; ქართველური ენების გავრცელება, მათი დიალექტების ზოგადი დახასიათება, ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები, ერთგვაროვანი მოვლენები ქართველურ ენებში და სხვ. აქ დასმული საკითხები აქტუალობა და მნიშვნელობა, ვფიქრობთ, მკითხველისათვის ნათელია. იგი ავტორისათვის ჩვეული ზოგადი ხედვისა და კონკრეტული მასალის ანალიზის შეჯერების კარგი მაგალითია.

მომდევნო მონაკვეთებში განხილულია ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენები (გვ. 71-315). ყველა შემთხვევაში საუბარია, რა არის საერთო და რა — განსხვავებული ქართველურ ენებში. ცალკე განხილვება ლექსიკური საკითხები. ბოლო მონაკვეთის დასახელება ასეთია: „ძირითადი ფონეტიკური და გრამატიკული ტენ-

დენციები ქართველურ ენებში“ (გვ. 315-434). ეს არის ფაქტობრივ დამოუკიდებელი მონოგრაფიული ხასიათის მქონე მონაკვეთი ამ წიგნისა — ზოგადი თვალსაზრისითა და კონკრეტული საკითხების სისტემური მიმოხილვით.

ვფიქრობთ, განსაკუთრებულია ამ მონოგრაფიის მნიშვნელობა ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკისა და გრამატიკის შესწავლისათუ სწავლების თვალსაზრისით. ეს წიგნი ბ. ჯორბენაძის ფუნდამენტურ „დიალექტოლოგიურ კორპუსში“ მნიშვნელოვან ადგილს იჭერს...

მნიშვნელოვანია ბ. ჯორბენაძის წვლილი ქართველური ენობრივი სივრცის არეალოგიური შესწავლის საქმეში. მართალია ბ. ჯორბენაძემ ამ თემის სრულყოფილი და მასშტაბური დამუშავება (ისე, როგორც სჩვეოდა მას) ვერ მოასწრო. მხოლოდ რამდენიმე მოხსენება წაიკითხა და ორიოდე ნაშრომი გამოაქვეყნა („ქართველურ ენათა დიალექტების არეალოგიური შესწავლისათვის“; ბ. ჯორბენაძე, 1988; „არეალური ენათმეცნიერება — არეალოგია“; ბ. ჯორბენაძე, 1989).

დიდი იყო ბ. ჯორბენაძის ინტერესი ქართული ლინგვისტური და მუსიკალური დიალექტების ურთიერთმიმართებისადმი. მონოგრაფიაში „ქართველურ ენათა დიალექტები“ დანართად „მუსიკალური დიალექტები“ დაიბეჭდა (გვ. 334-344). ეს, ასე ვთქვათ, წინასწარი მოხსენება იყო. ამ მიმართულებით ბ. ჯორბენაძეს საინტერესო გეგმები ჰქონდა. ენათმეცნიერების ინსტიტუტში აპირებდა შეექმნა მუსიკალური დიალექტების ლაბორატორია. თანამშრომლად მოიწვია მუსიკალური ფოლკლორის ცნობილი სპეციალისტი ედიშერ გარაყანიძე... როგორც ჩანს, ამ გეგმას განხორციელება არ ეწერა. მოულოდნელად გარდაიცვალა ბ. ჯორბენაძე (1993 წ.). ტრაგიკული აღმოჩნდა ბედი ე. გარაყანიძისაც... და ამ საქმის გაგრძელება მომავალი თაობების საქმეა... არადა, პირველივე კვლევებიდან ჩანს, პრობლემა უდავოდ საინტერესოა...

თემა — ბ. ჯორბენაძე და ქართული დიალექტოლოგია — ვრცელი თემაა. აქ მხოლოდ ამით შემოვიფარგლებით. დაბოლოს ვიტყვი: ბ. ჯორბენაძის შრომებმა სათავე დაუდეს ახალ ეტაპს ქართული დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების სფეროში.

კიკვიძე, 2003 — ზ. კიკვიძე, ბ. ჯორბენაძე — ზოგადი ენათმეცნიერების საკვანძო საკითხების შესახებ: ბ. ჯორბენაძე — პიროვნება, მეცნიერი, მოღვაწე, 2003.

ლომთათიძე, 2003 — ქ. ლომთათიძე, პროფ. ბ. ჯორბენაძის სამეცნიერო მოღვაწეობა: ბ. ჯორბენაძე — პიროვნება, მეცნიერი, მოღვაწე, 2003.

ყიფშიძე, 1994 — ი. ყიფშიძე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში: რჩეული თხზულებანი, 1994.

შანიძე, 1981 — ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში: ა. შანიძე, ტ. II, 1981.

შანიძე, 1919 — ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა, 1919.

ცოცანიძე, 2003 — გ. ცოცანიძე, ბესარიონ ჯორბენაძე — ქართული დიალექტოლოგიის მკვლევარი: ბ. ჯორბენაძე — პიროვნება, მეცნიერი, მოღვაწე, 2003.

ძიძიგური, 1946 — შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესათ საფუძვლები ქართულ კილოებსა და ზანურში: იკე I, 1946.

ჯორბენაძე, 1989 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, 1989.

ჯორბენაძე, 1998 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. II, 1998

ჯორბენაძე, 1995 — ბ. ჯორბენაძე, ქართველური ენების დიალექტები, 1995.

ჯორბენაძე, 1988 — ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტების არეალოგიური შესწავლისათვის: I საერთ. ქართველოლოგ. სიმპოზიუმის მასალები, 1988.

ჯორბენაძე, 1995 — ბ. ჯორბენაძე, მუსიკალური დიტალექტები: ქართველური ენების დიალექტები, 1995.

Besarion Jorbenadze and the Issues of Georgian Dialectology

Summary

Georgian dialectology was one of the essential fields of research by Besarion Jorbenadze. The paper argues that B.Jorbenadze's fundamental works: 'Georgian Dialectology' (in 2 volumes), 'Dialects of the Kartvelian Languages' as well as numerous articles on the subject summarize the achievements of the 20th century dialectological studies started by Akaki Shanidze.

ბასარიონ ჯორბანაძე

მრავლობითი რიცხვის ზმნაში გამოხატვის ტენდენციები და საშუალებანი ქართული ენის დიალექტებში

§1. **ზოგადი.** ქართულში აღინიშნება მრავლობითი რიცხვი სუბიექტისა, უშუალო (ანუ: პირდაპირი) ობიექტისა და ირიბი ობიექტისა. მრავლობითობის გამოხატვა ხდება:

ა) გვ-პრეფიქსით I ობიექტურ პირში: გვ-ხატავს ჩვენ (აღინიშნება უშუალო ობიექტის მრავლობითობა) გვ-იხატავს ჩვენ (აღინიშნება ირიბი ობიექტის მრავლობითობა).

ბ) -თ სუფიქსით I და II სუბიექტური პირის მრავლობითობა (ვწერ-თ, სწერ-თ...), II უშუალო და ირიბი ობიექტურის პირების მრავლობითობა (გხატავ-თ თქვენ — უშუალო ობიექტია, გიხატავ-თ თქვენ — ირიბი ობიექტია), III გრამატიკული ირიბი ობიექტის (სემანტიკური სუბიექტის) მრავლობითობა ინვერსიულ ზმნებში (მათ უყვარ-თ, დაუწერია-თ, დაეწერა-თ...).

შენიშვნა: დამოწმებულია დამთხვევებიც:

გ-ხატავ-თ $\left\{ \begin{array}{l} \text{მე თქვენ} \\ \text{ჩვენ შენ} \\ \text{ჩვენ თქვენ} \end{array} \right.$

პირველ შემთხვევაში -თ უშუალო ობიექტის მრავლობითობას გამოხატავს, მეორე შემთხვევაში — სუბიექტისა, მესამე შემთხვევაში ივარაუდება, რომ ისევ სუბიექტისა, რადგან I და II პირში სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნების შეხვედრისას რჩება ობიექტის ნიშანი, იკარგვის სუბიექტის (გ-ხატავ მე შენ: სუბიექტი მე ვარ, მაგრამ ზმნაში ობიექტის გ-ნიშანია წარმოდგენილი). III პირთან შეხვედრისას სხვა ვითარებაა.

დამთხვევა გვაქვს მაშინაც, როცა ირიბ-ობიექტური პირის მრავლობითობა აღინიშნება.

გ) -ნ, -ან, -ენ და -ეს მორფემებით III სუბიექტური პირის მრავლობითობა (წერო-ნ, წერ-ენ, იწერები-ან, დაწერ-ეს...).

შენიშვნა: II ობიექტური პირის მრავლობითობის ნიშანთან შეხვედრისას რჩება სუბიექტის მრავლობითობის აღნიშნული მორფემა: გხატავ-ენ ისინი შენ და ისინი თქვენ, მაგრამ: გხატავ-თ ის თქვენ — როცა მორფემები არ თანხვედებიან, გამოიხატება ობიექტის მრავლობითობა. ეს ეხება როგორც უშუალო, ასევე ირიბ ობიექტურ პირს. სხვა ვითარებაა, როცა მხოლოდითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშანი და II ობიექტური პირის მრავლობითობის ნიშანი ხვდებიან ერთმანეთს: ან რჩება ორივე, ან იკარგვის III სუბიექტური პირის ნიშანი:

გ-ხატავ-სთ ის თქვენ — გ-ხატავ-თ ის თქვენ

და-გ-ხატ-ა-თ მან თქვენ

აქაც სულ ერთია II ობიექტური პირი უშუალო იქნება თუ ირიბი.

§2. მრავლობითობის გამოხატვა ძველსა და ახალ ქართულში.

მრავლობითი რიცხვის ზმნაში აღნიშვნის თვალსაზრისით ძველსა და ახალ ქართულში თვალსაჩინო სხვაობაა.

ძველ ქართულში მრავლობითი რიცხვის გამოხატვას არსებითად მორფოლოგიური ფაქტორი ედო საფუძვლად: გამოიხატებოდა სახელობითსა და მოთხრობითში დასმული სახელის მრავლობითობა და არ გამოიხატებოდა მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა (ამ მხრივ მიცემითი უტოლდებოდა ყველა სხვა ბრუნვას).

მოთხრობითში დასმული სახელი ყოველთვის სუბიექტი იყო (კაცებ-მა გააკეთ-ეს, ააშენ-ეს...).

სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი იყო:

ა) ან სუბიექტი (კაცებ-ბი აკეთებ-ენ, აშენებ-ენ...),

ბ) ან უშუალო (პირდაპირი) ობიექტი (მე დავმალ-ენ კაც-ნ-ი; მან დამალ-ნ-ა კაც-ნ-ი...).

რაც შეეხება მიცემითში დასმულ სახელს, მისი მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვი ზმნაში განურჩეველი იყო:

ა) ის გ-მალავ-ს შენ, თქვენ: შენ, თქვენ მიცემითი ბრუნვის ფუნქციით არიან წარმოდგენილი ამ შემთხვევაში. ის მალავ-ს კაც-ს / კაც-ებ-ს. ზმნაში არ აისახება უშუალო ობიექტის მრავლობითობა (ასე იყო I სერიის ყველა ფორმასთან, რომლებთანაც უშუალო ობიექტი მიცემითი ბრუნვის ფორმით იყო წარმოდგენილი).

ბ) ირიბი ობიექტი ყოველთვის მიცემითში დგას, ამიტომაც მისი მრავლობითობა საერთოდ აღუნიშვნელი რჩებოდა: მას / მათ ა-ქუ-ს... მას / მათ გან-უ-ტფ-ა ის...

გ) აღუნიშვნელი რჩებოდა იმ ირიბი ობიექტის მრავლობითობაც, რომელიც სემანტიკურად სუბიექტის როლში გამოდიოდა: კაც-ს / კაც-ებ-ს გა-უ-კეთ-ებ-ი-ე-ს...

იმ შემთხვევაში, როცა სახელი მორფოლოგიურად ვერ განარჩევდა მოთხრობითსა და მიცემითის ფორმებს (ე.ი. როცა ეს ორი ფორმა ემთხვეოდა ერთმანეთს), ანგარიში ეწეოდა ფუნქციურ მხარეს:

მოთხრობითი: მათ გააკეთ-ეს,

მაგრამ მიცემითი: მათ გაუკეთებ-ეს

პირველ შემთხვევაში „მათ“ მოთხრობითის ფუნქციას გამოხატავს და მისი მრავლობითობა ზმნაში შესაბამისი ფორმანტითაა აღნიშნული (-ეს).

მეორე შემთხვევაში „მათ“ მიცემითი ბრუნვის ფუნქციით გამოიყენება და მისი მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება (შდრ. ახალ ქართულში: მათ გააკეთ-ეს და მათ გაუკეთებ-ია-თ) მრავლობითობა ორივე შემთხვევაში აღინიშნება, მაგრამ სხვადასხვაგვარად, სხვადასხვა ფორმანტით, იმის მიხედვით, თუ რომელი ბრუნვის ფუნქციით არის გამოყენებული „მათ“ ფორმა/.

ანალოგიური ვითარებაა I და II პირის მრავლობითობის გამოხატვისას („ჩვენ“ და „თქვენ“ არ განარჩევს მორფოლოგიურად სახელობითის, მოთხრობითისა და მიცემითის ფორმებს).

ახალ ქართულში ვითარება არსებითად შეიცვალა.

მართალია, სუბიექტის მრავლობითობის გამოხატვის პრინციპი ძველი დარჩა (სხვაობა მორფემებშია დამოწმებული), მაგრამ უშუალო და ირიბი ობიექტების მრავლობითობის გამოხატვის პრინციპმა არსებითი ხასიათის ცვლილება განიცადა: აღინიშნება როგორც უშუალო, ასევე ირიბი (ანუ: როგორც სახელობითში, ასევე მიცემითში დასმული) ობიექტების მრავლობითობა, ოღონდ, როგორც წესი, I და II პირში:

გამოიხატება უშუალო O-ის მრავლ: ირიბი O-ის მრავლ:

აწმყო: ის ჩვენ	გვ-ხატ-ავ-ს	გვ-ი-ხატ-ავ-ს
„ “ თქვენ	გ-ხატ-ავ-თ	გ-ი-ხატ-ავ-თ
შდრ: „ “ მათ	ხატ-ავ-ს	უ-ხატ-ავ-ს
მე თქვენ	გ-ი-ხატ-ავ-თ	გ-ი-ხატ-ავ-თ
შენ ჩვენ	გვ-ხატ-ავ	გვ-ი-ხატ-ავ...
ნ.ძირ.: მან ჩვენ	და-გვ-ხატ-ა	და-გვ-ი-ხატ-ა
„ “ თქვენ	და-გ-ხატ-ა-თ	და-გ-ი-ხატ-ა-თ
შდრ: „ “ ისინი	და-ხატ-ა მან მათ და-უ-ხატ-ა)	
	(ძვ.: და-ხატ-ნ-ა)	

შენიშვნა 1: III სუბიექტური და II ობიექტური პირების მრავლობითობის გამოხატველ მორფემათა შეხვედრისას იკარგება როგორც უშუალო, ასევე ირიბი ობიექტური პირის მრავლობითობის მორფემა **-თ**, რის გამოც ხდება დამთხვევა ობიექტური პირის მხოლოდობის ფორმასთან:

აწმყო: ისინი შენ	გ-ხატ-ავ-ენ	გ-ი-ხატ-ავ-ენ
თქვენ	გ-ხატ-ავ-ენ	გ-ი-ხატ-ავ-ენ
ნ.ძირ.: მათ შენ	და-გ-ხატ-ეს	და-გ-ი-ხატ-ეს
თქვენ	და-გ-ხატ-ეს	და-გ-ი-ხატ-ეს

დიალექტებში (დამოწმებულია ა.ყაზბეგთან) შეიძლება ორივე პირის მრავლობითობის აღმნიშვნელი მორფემები იყოს წარმოდგენილი: ისინი თქვენ გ-ხატ-ავ-ენ-თ, მათ თქვენ და-გ-ხატ-ეს-თ...

შენიშვნა 2: შეიძლება აღინიშნოს III ირიბი ობიექტური პირის

მრავლობითობა და ისიც მაშინ, თუ ზმნა ინვერსიული (ანუ: როცა ირიბი ობიექტი გაგებულია სუბიექტად):

მათ { უყვარ-თ
 აქვ-თ
 გ-ა-უ-კეთ-ებ-ი-ა-თ
 და-ე-ხატ-ა-თ
 ე-ძინ-ა-თ

შენიშვნა 3: ზოგიერთ დიალექტში აღინიშნება არაინვერსიული ზმნის ირიბი ობიექტის მრავლობითობაც:

შიგნიკახური: ვერაფერი უთხარი-კე (მე მათ). ბიჭი ეტყვი-თ თავი ძმეფს. ქალი ეკითხება-თ დევეფს (არტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956, 128).

დიალექტებში შეიძლება გამოიხატოს III პირის პირდაპირი ობიექტის მრავლობითობაც: ბიჭმა ნათესავები წაიყვანა-ყე იმ ბოძთან. გარეკე-ყე სუყველაყა (მარტიროსი, იმნაიშვილი, 1956, 128).

ზემოხსენებული მრავლობითობის გამოხატვის პრინციპებს ითვალისწინებდა.

ცვლილება შეეხო მრავლობითობის გამოხატვის საშუალებებსაც — მორფემებს:

ა) ძველ ქართულში სუბიექტის მრავლობითობა აღინიშნებოდა **-ედ** სუფიქსით იმ პარადიგმებში, რომლებშიც მხოლოდით რიცხვში **-ნ** მორფემა გვქონდა:

აწმყოს ხოლმეობითი: წერ-ნ წერ-ედ
 I ბრძანებითი: წერ-დ-ი-ნ წერ-დ-ედ
 II ბრძანებითი: წერ-ე-ნ წერ-ედ. . .

ეს პარადიგმები ახალ ქართულს აღარ შემორჩა. ბუნებრივია, აღარც **-ედ** გვაქვს სუბიექტური პირის მრავლობითობის გამოსახატავად.

ბ) ნამყო უსრულში მრავლობითი რიცხვის ნიშნად გვქონდა -ეს,

ამჟამად გვაქვს **-ენ, -ნენ**; იყო: წერ-დ-ეს, ახლა არის: წერ-დ-ნენ (დიალექტების ერთ ნაწილში: წერ-დ-ენ). ასევე ვნებთში: ი-წერ-ებ-ოდ-ეს — იწერებოდნენ.

გ) ძველ ქართულში ნამყო ძირითადი პარადიგმაში მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათა III პირის მრავლობითის ფორმები პირის ნიშნებით ერთმანეთისაგან არ განირჩეოდნენ:

მათ ის გან-ა-ტფ-ეს — ისინი გან-ტფ-ეს.

ახალმა ქართულმა გვარების მიხედვით გაარჩია:

მათ ის გა-ა-თბ-ეს, მაგრამ: ისინი გა-თბ-ნენ (გა-თბ-ენ).

დ) ძველ ქართულში სახელობითბრუნავინი (ანუ: უშუალო) ობიექტის მრავლობითი რიცხვის აღინიშნებოდა **-ენ — -ნ** მორფემით:

ნ.ძირ:	მე ივინი	მო-ვ-კლ-ენ	
	შენ „ „	მო-ჰ-კლ-ენ	
	მან „ „	მო-კლ-ნ-ა	
	შენ ჩუენ	მო-მ-კლ-ენ	მო-გუ-კლ-ენ
	მე თქუენ	მო-გ-კლ-ენ	
	მან ჩუენ	მო-მ-კლ-ნ-ა	მო-გუ-კლ-ნ-ა
	მან თქუენ	მო-გ-კლ-ნ-ა	
II ხოლ.:	მე ივინი	მო-ვ-კლ-ნ-ი	
	- - -		
	მან ივინი	მო-კლ-ნ-ი-ს	
	- - -		
II კავშ.:	მე ივინი	მო-კლ-ნ-ე	
	- - -		
	მან ივინი	მო-კლ-ნ-ე-ს. . .	

ახალ ქართულში აღინიშნება მხოლოდ II პირის უშუალო ობიექტის მრავლობითობა (დიალექტებში II პირისაც), ოღონდ **-თ** სუფიქსით, თანაც, ძველი ქართულისაგან განსხვავებით, აღინიშნება როგორც მიცემითში (ე.ი. I სერიის ფორმებთან), ასევე სახელობითში დასმული უშუალო ობიექტის მრავლობითობა:

აწმყო: ის თქვენ გ-კლ-ავ-თ
ნ.ძირ.: მან თქვენ მო-გ-კლ-ა-თ

შენიშვნა: I უშუალო ობიექტური პირის მრავლობითობის აღნიშვნა აკისრია **გვ**- პრეფიქსს (გვ-კლ-ავ-ს, მო-გვ-კლ-ა).

ე) ძველ ქართულში უღვლილების III სერიაში აღინიშნებოდა გრამატიკული სუბიექტური (სახელობითში დასმული) პირის) სემანტიკური ობიექტის მრავლობითობა:

მე ივინი	მო-მ-ი-კლ-ვ-ან,	და-მ-ი-წერ-ი-ან
შენ „ „	მო-გ-ი-კლ-ვ-ან,	და-გ-ი-წერ-ი-ან
მას „ „	მო-ჟ-კლ-ვ-ან,	და-ჟ-წერ-ი-ან. . .

არ აღინიშნებოდა მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა. ამიტომაც ერთმანეთს ემთხვეოდა: შენ თქვენ ივინი მო-გ-ი-კლ-ვ-ან... ასევე იყო III პირში. სხვაობას იძლეოდა მ- და გუ- პრეფიქსიანი I პირი: მო-მ-ი-კლ-ვ-ან მო-გვ-ი-კლ-ვ-ან (იწერებოდა: მო-გ-კლ-ვ-ან).

ახალ ქართულში სრულიად საპირისპირო ვითარებაა: მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა აღინიშნება, სახელობითში დასმულისა — არა:

მას ის ისინი მო-ჟ-კლ-ავ-ს
მათ ის ისინი მო-ჟ-კლ-ავ-თ. . .

§3. სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის გამონატვა ქართული ენის დიალექტებში:

ა) როგორც უკვე აღინიშნა, ძველ ქართულში ნამყო უსრულსა და ნამყო ძირითადში III სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ნიშნად გვქონდა **-ეს** სუფიქსი. დიალექტების ერთმა ნაწილმა შეინარჩუნა ეს ვითარება.

ხევსურული: ნამყო უსრული — ისევე ეტყოდეს (ქ.დ. გვ. 9). იმათ გაუხარდებოდა (და არა: გაიხარდებოდათ — არ გამოიხატება ირიბი ობიექტის მრავლობითობა). გააკეთებდეს (ისინი) საარაყეს (ქ.დ. გვ. 10). ლიშან-სამთხოვროს ქალის სახლში გასწირვედეს, თაოდ კი უკერავ წამავიდოდეს (ქ.დ. გვ. 10). ქალის ჯალაფნ აღარას მისცემდეს ვაყს დანახარჯს (ქ.დ. გვ. 10). ორნ კაცნ კიდევ წარმოვი-

დოდეს, წაიღებდეს ლუდს. აქათი დასხდებოდეს-დ' დაახვედრებდეს ერთ ლუდიან ქვაბს, ერთ არყიან ჭურჭელს (ქ.დ. გვ. 11). ნამყო ძირითადში მოქმედებითი გვარის ზმნები სალიტერატურო ენაშიც -ეს სუფიქსით გამოხატავენ მრავლობითობას (გაკეთეს, მისცეს, წაიღეს...), ძველი ქართულისგან განსხვავდება ვნებითი გვარის ფორმათა მრავლობითი. ხევსურულს ძველი ქართულის ვითარება აქვს დაცული ამ შემთხვევაშიც: ბაცეს სუმბატას მიუდგეს: „სუმბატავ, შინა ხარიო?“ წამადგეს ცხრანი ძიბლანი ძმანო; ფხიტუი მოვიდეს წერონი მამვრალნი, შორის გზისანი; თან მახყვეს ქალუნდაურსა მამუკას შუქნი მზისანი; დასხდეს, დარიგდეს ხევსურნი, ზურაბ მეთვინედ დგებაო (ჭინჭარაული, 1960, 101).

თუშური: ნამყო უსრული — ბალღის გაჩენის დრო რო მოიდოდ, იამას ეძახოდეს სატკივარს. შობიარეს წი ვანდეს შორს სოფლის ნაპირს, დახურავდეს ღურა ტყავსა-დ' ციქქ გაყჩენდ ბალღს (ქ.დ., 105.) შეხკრევდეს ორ ფიცარს, ღუყწნეგდეს ძირს წნელით, ჩაყგებდეს შიგ ჩალას, მატყლისას დასწნეგდეს ხეჩანს, მიხგ-მოხვეგდეს ბალღსა-დ' ჩაყწვენდეს ჩალაშიგ (ქ.დ., 105). იამ ოჯახშიც ცხორობდეს დედ-მამაილ-დ' ორ და-ძმები. ციყსენ კარგადაც ზრდებოდეს (ქ.დ., 121). ვნებითი გვარის ფორმათა ნამყო ძირითადი: . . . ორ და-ძმებ ობოლ (ობლებ) დარშინეს... ჟამკვლევი დროს და-ძმებ ერთმანეთს დაშორდნეს. იეს ორ და-ძმებ გადიქქცნეს ოლოლებად (ქ.დ., 121).

მოხეური: ნამყო უსრული — როცა ვნავდეს (ისინი), დედაკაცებს ეჭირა დიდი თოვები და ქარჩები და ბოლტს კუწდეს, ქვალორღს ყრიდეს გოდორჩი და ყანის გარეთ გაჰქონდისკე (ქ.დ., 28). ამ ულამსა კაი სადილს გაუმართავდეს: დაკლავდეს (ისინი) საკლავს, გამაუშობდეს ჩუენებურს შინაურს არაყს, ზოგს ნაკუშლიანი გამაუვიდოდისკე ცი არაყი, გააკეთებდეს ქადებსა, კარგს გამამცხვარს ხორბლის პურს — ბარძიმსა — და მაილხენდეს (ქ.დ., 29). თიბის თავს გააკეთებდეს (ისინი/ ორს-სამს კარგს ყოჩს დაჰკლავდეს, ხატს შასთხოვდეს: კარგა გოთიბინეო. სანთლებს დაანთებდეს: მშუილობით გომყოფეო, ლამაზათო — იტყოდეს (ქ.დ., 29). როცა მოკუდებოდა ვინმე, სამს დღესა ვერც თოფს ისროდეს, ვერც იმღერებდეს.

. . მესამეს დღეს გაატეხინებდ-ეს თოფის ჯმასა (ქ.დ., 39). მანდით აქსიონის ციხესაც ხედავდ-ეს და სნოსასაც. იქ რომ ცეცხლი ანთებულ იყო, იტყოდიანკე, რომ მტერი დოგეცაო. ფიჩხის ცეცხლი აანთიან, იმით იტყოდ-ეს. მაშინის იქ წავიდოდ-ეს, საცაა ცეცხლის სინათლეს დაინახავდ-ეს (ქ.დ., 41). ვნებითი გვარის ფორმათა ნამყო ძირითადი: ამ ბალახის ჩამათელვაზე მიხყვ-ეს (ისინი), მიზდიეს, მივიდეს და ცოდვილი ქოხჩი დაუხვდა ხალხი (ქ.დ., 41). კარგა მეექვს-ნ-ეს (ისინი), მოკეთურას (ქ.დ., 42). დეე მარ-ეს (ისინი) და გამაისტუმრეს (ქ.დ., 43).

ფშაურში მერყეობაა: -ეს და -ენ სუფიქსები ერთი და იმავე პირის მეტყველებაში ენაცვლება ერთმანეთს: ქისტები ყოფილიყვნენ, ცხენის ჯორცს შჭამდნენ, მეც აიმას მაჭმევდ-ეს (ქ.დ., 132). ვნებითის ფორმები: ესე შაირიგდ-გაირიგდეს (ისინი. ქ.დ., 137). ისენიც დამე ჯოცნეს (ქ.დ., 138) შდრ.: მექორწილენ დაშინდ-ენ (ქ.დ., 142).

ბ) იქ, სადაც ზემოხსენებულ დიალექტებში ძველ ქართულისებურად -ეს პირის ნიშანი გვაქვს, ქართლურსა და კახურში დამოწმებულია -ნენ დაბოლოება (ამ დიალექტებიდან კი შემოვიდა სალიტერატურო ქართულშიც).

ნამყო უსრული —

ქართლური: მოლოზნები ყოფილან აქა და ფუტკარი ჰყოლიათ დიდძალი. ისინი ფუტკარს იხახამდ-ნენ (ქ.დ., 132). იყვნენ ერთნი ცოლ-ქმარნი. კერძ ვერ აკეთამდ-ნენ (ქ.დ., 315). ხალხი შეეფარებოდ-ნენ გალავანში (ქ.დ., 280). სანამ ბავშვები მოვიდოდ-ნენ, ფარდაგი დაფინა (ქ.დ., 313). ვნებითი გვარის ფორმათა ნამყო ძირითადი: საცა კი დიდი ექიმები იყვ-ნენ, შააჯერა (ქ.დ., 278). როცა ეს ბიჭები დიდები დეეზარდ-ნენ, გაიგეს, რომ მათ მამას ეძახიან გაუცინარ ხემწიფეს (ქ.დ., 301).

კახური: ნამყო უსრული — მორთამდ-ნენ პატარძალსა... ქორწილს რო გააკეთებდ-ნენ ძველ დროსა, მივიდოდ-ნენ მყარებითა... მერე პატარძალსა და ნეფეს შაიყვანდ-ნენ ეკლესიაში და დაიწერდ-ნენ ჯვარსა. ჯვარიწერის დროს დაადგამდ-ნენ გვირგვინებ. . . პატარძალსა და მეფეს დაატვირთებდნენ ჭურჭელ კარებში. მერე ტკბილელ მი-

ართმევდ-ნენ... (ქ.დ., 190). ვნებითის ფორმათა ნამყო ძირითადი: შეეკითხ-ნენ ბავშვებს (ქ.დ., 184). ბავშვები კი ტყეში დარჩ-ნენ (ქ.დ., 184).

ყველა სხვა დიალექტში ზემოხსენებულ პარადიგმებში -ენ სუფიქსია დამოწმებული (ფშაურში, როგორც ითქვა, გვაქვს -ეს სუფიქსიც, მთიულურსა და გუდამაყრულში დამოწმებულია -ნენ სუფიქსიც).

მთიულური: წამოიდ-ნენ გზაშია (ქ.დ., 65). შდრ.: დასხ-ნენ ერთგანა ფალავნებმა და სადილი ჰამეს... ადგ-ენ და უნდა დაიჭიდ-ენ. . . ახლა გასძობილდ-ენ, იძმო და წავიდ-ენ იმ ალაგში (ქ.დ., 69).

გუდამაყრული: თხას მიიყვანდ-ენ, რომ სულიო ეშმათ არ დარჩესო ვითომა, თხას დაუკლავდ-ენ. წყალი ვისაც დაარჩობდა, იმასაც იმას უკლავდ-ენ... (ქ.დ. გვ 88).

იმერხული: შეფხუკდ-ენ ცხენები (ქ.დ., 383). შდრ: სეისებმა ადგ-ნენ (ქ.დ., 385).

გ) ძველ ქართულში აღინიშნებოდა სახელობითში დასმული სახელის (გრამატიკული ქვემდებარის) მრავლობითობა III სერიაში. ეს ვითარება შემონახული აქვთ აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებს.

ხევსურული: დაუკეთები-ან მშვილდ-ისარნი-დ' დამჯდარას (ქ.დ., 17).

დ) III სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანთა უნიფიკაცია ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ტენდენციაა, განსაკუთრებით ნიშანდობლივი დასავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის.

ამ მხრივ ღირსაცნობია ზემოიმერულის ჩვენება, სადაც III სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ნიშნად ყველა შემთხვევაში -ენ სუფიქსი გვაქვს:

აწმყო:	წერ-ენ	მღერი-ენ	იმალები-ენ	დგარ-ენ
ნ.უსრ:	წერდ-ენ	მღეროდ-ენ	იმალებოდ-ენ	—
ნ.ძირ:	დაწერ-ენ	იმღერ-ენ	დეიმალენ	იდგ-ენ

ანალოგიური ტენდენცია თავს იჩენს ქვემოთმეტყველებულში, გურულში, ლეჩხუმურსა და აჭარულში. თუმცა შესამჩნევია გარკვეული მერყეობაც, კერძოდ, გარდამავალ ზმნათა ნამყო ძირითადში შეგვხვდება -ეს სუფიქსიც (თოფურია, 1954, 452).

ე) რიცხვში შეთანხმებისას მორფოლოგიურ ფორმას ეწევა ანგარიში: სახელი მრავალს რომ გულისხმობდეს, თუ ფორმით მხოლობითია, ზმნა მხოლობითში იქნება წარმოდგენილი: ხალხი დგას, გუნდი მიფრინავს, ფარა ძოვს. . .

ზოგჯერ თავს იჩენს ფუნქციური შეთანხმების ტენდენციაც. სპორადულად ამის მაგალითები თვით ძველ ქართულშია დამოწმებული, მაგრამ განსაკუთრებით მომძლავრებულია ეს ტენდენცია ქართული ენის დიალექტებში.

„ხალხი ტიროდნენ, ჟივოდნენ“ — ამ ტიპის ნიმუშებს თითქმის ყველა დიალექტში დავამოწმებთ მეტ-ნაკლებად. შეთანხმება ფუნქციურია: „ხალხი“ მრავალ ადამიანს გულისხმობს, ზმნაც ამ სემანტიკას უწევს ანგარიშს. იმავდროულად არაა გამორიცხული, რომ აქ პარადიგმის „გასწორებასთან“ გვქონდეს საქმე. ავიღოთ სახელი „ყველა“: კრებითა, ფორმით მხოლობითი, ფუნქციით — მრავლობითი. ენა ფორმას უწევს ანგარიშს, ამიტომაც არის, რომ ზმნა მასთან მხოლობითი რიცხვის ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი:

ყველა წავიდა, ყველამ გააკეთა, ყველას ეშინია... მაგრამ ვნახოთ, რა ვითარებაა მაშინ, როცა I და II პირის ფორმები გვაქვს. ერთადერთი დასაშვები ვარიანტია:

(ჩვენ) ყველა წავედით
(თქვენ) ყველა წახვედით

მესამე პირიც ამ პრინციპს მიჰყვება:

(ისინი) ყველა წავიდნენ. . .

ვ) -ყე, -ყემ/-კე, -კენ მორფემა, როგორც წესი, ირიბი ობიექტის მრავლობითობას გამოხატავს (იხ. ქვემოთ), მაგრამ ქვემოთმეტყველებულში იფართოვებს ქმედების არეს და იძენს უნარს აღნიშნოს სუბიექტის, ასევე უშუალო ობიექტის, მრავლობითობა:

სახელობითი: ისინი ჩან-კენ (ჩან-ან)

„ „ იკეთებ-ს-კენ (იკეთებ-ენ)...

მოთხრობითი: მათ დეიძახ-ეწ-ყენ (დაიძახ-ეს)

„ „ მეილხინ-ენ-წყენ (მოილხინ-ეს)...

„ „ იჩხუბო-ს-კენ (იჩხუბო-ნ)...

ყველა შემთხვევაში სუბიექტის მრავლობითობაა გამოხატული, -კენ -ყენ ცვლის -ან, -ენ, -ეს მორფემებს, ანდა ზედ დაერთვის ამ ფორმანტებს.

შენიშვნა: -კენ -ყენ მორფემის დართვისას დამოწმებულია ფონეტიკური ცვლილებები:

ა) პირისნიშნისეულ -ს ელემენტთან შეხვედრისას -სყ კომპლექსი გადაიქცევა -წყ კომპლექსად: გააკეთო-ს-ყენ — გააკეთო-წყენ (ძიძიგური, 1970, 158);

ბ) იმავე პოზიციაში -სყ კომპლექსმა შეიძლება მოგვეცეს -სკ: გააკეთო-ს-კენ... შესაძლოა -ს დაიკარგოს: ჩან-ს-კენ — ჩან-კენ...

შენიშვნა 2: იმ პარადიგმებში, რომლებშიც მხოლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის მორფემა თანხმოვანია (-ს: აწმყო, კავშირებითი, მყოფადი), -ყენ მიერთვის მხოლობითის ფორმას: ის იკეთებ-ს — ისინი იკეთებ-ს-კენ (-იკეთებ-ე); თუ პირის ნიშანი ხმოვანია (-ა, -ო), მაშინ -ყენ მიერთვის მრავლობითის მორფემას: მან დეიძახ-ა — მათ დეიძახ-ეწ-ყენ. არსებითად აქ ჩვენ ორმაგი მრავლობითი გვაქვს: -ეს — -ყენ. ანალოგიური ვითარებაა მაშინ, როცა მრავლობითობის -ენ მორფემა დამოწმებული: მეილხინ-ენ-წყენ, ოღონდ აქ მატებით კონტამინაციაა მომხდარი: მეილხინ-ენ — მეილხინ-ენ-ყენ / მეილხინ-ეს-ყენ / მეილხინ-ენ-წყენ.

რაც შეეხება სემანტიკურ სუბიექტს ინვერსიულ ზმნებთან, გრამატიკულად იგი ირიბი ობიექტია და მისი მრავლობითობაც შესაბამისად აღინიშნება (იხ. ქვემოთ).

§4. უშუალო (პირდაპირი) / ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის გამოხატვა ქართული ენის დიალექტებში

ა) დამოწმებულია ძველი ქართულისებური ვითარება: სახელობითში დასმული უშუალო ობიექტის მრავლობითობა გამოიხატება -ენ

— -ნ მორფემით (ე.ი. გამოიხატება II სერიის ფორმებთან დასმული უშუალო ობიექტის მრავლობითობა, რადგან სახელობითი ბრუნვით იგი მხოლოდ აქაა წარმოდგენილი).

ხევისურული: დაგუბებულსა ლაშქარსა შენ გაასწავლ-ენ გზა-ნ-ი-ო. შენ დააბრუნ-ენ ჳევსურნი, დართულ-ნ-ი, ფარ-აბჭრიან-ნ-ი. შენ დაგვი ჳოც-ენ ლალატით ნარჩევ ჳევსურთა ყმა-ნ-ი-ა, რად არ გაუშვ-ენ ველადა ჳევსურ-ნ-ი-დ' შენ-ნ-ი ყმა-ნ-ი-ა? რბოლით დაკრიფ-ნ-ა ჳურაბმა გძელ-ნ-ი არაგვის გზა-ნ-ი-ო. თან მახყვეს ქალანდაურსა მამუკას შუქ-ნი მზისანი, ბეგენგორ ჩამოეწივა, ჳარ-ნ ჩაჭრ-ნ-ა ჳურაბისა-ნ-ი, ამან-დით ამაბრუნვილმა სამან-ნ ჩახყუდ-ნ-ა ქვისა-ნ-ი, რომენიც გარდააქ-ცევდა, ცოდვა-ნ მახკიდ-ნ-ა მგლისა-ნ-ი... (ჳინჭარაული, 1961, 101-102).

თუშური: გზის ძირ ჩავყარ-ენ ბალტე-ნ-ი. შიგ მიწაშია ჩავაწყენ შვიდით ნაწნავ-ნ-ი თმა-ნ-ი-ა. ცხვრ-ებ დავამწყვდი-ენ, ძროხ-ებ შე-ვრეკ-ენ-ი (უთურგაიძე, 1961, 65).

ფშაური: ავაწიოკენ ცხვარ-მწყემსნი, ძილი არ მაჳკიდებია. დავა-ცოტავ-ენ ცხვარა-ნ-ი, თრიალეთს მივალ ფულზედა. მეფის ერეკლეს დროშია შორს გავრეკ-ნ-ოდი ძროხანი, წავწოდი, წავიძინოდი, წავი-ხურ-ნ-ოდი ჩოხა-ნ-ი. ბოსლის კარზე გამოექე, ქვა-ნ-ი დამც-ნ-ეს თავ-შიო (ცოცანიძე, 1978, 122).

ბ) ქვემოიმერულში, გურულში, აჭარულში, ლეჩხუმურში უშუა-ლო ობიექტის მრავლობითობა შეიძლება აღინიშნოს -ენ მორფემით, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა ობიექტი მიცემითი ბრუნვის ფორმი-თაა წარმოდგენილი (ე.ი. პირველი სერიის ფორმებთან). მაშასადამე, აქ ჳემოხსენებულის საპირისპირო ვითარებაა და მისგან განსხვავებით ახალია.

ეს ეხება მესამე პირს.

პირველი და მეორე უშუალო ობიექტური პირის მრავლობითობა კი -ენ -ნ მორფემით აღინიშნება როგორც პირველი, ასევე მეორე სე-რიის ფორმებთან:

ქვემოიმერულში: რა ჳანდაბა გადარეგ-ენ მაგენს. სიცხე შეაწუ-ხებ-ენ (მაგენს); მაგრამ: რა ჳანდაბამ გადარი-ა მაგენი. მრავლობითის

ამგვარი აღნიშვნა იწვევს დამთხვევას:

გადარეგ-ენ ——— ისინი მას
ის მათ — გადარეგ-თ.

I და II უშუალო ობიექტური პირის მრავლობითობა:

ბიქტორმა ასე მალე გამოგიშვენ (თქვენ)? შოფერმა რო გაგი-ტაც-ენ შენ და აგრაფინე, ერთი ის მოყვე, რაფრათ დაქტოგ-ენ ბე-ლამ აქანე მარტო: აღნიშნულია სახელობითის ფუნქციით გამოყენე-ბული უშუალო ობიექტის მრავლობითობა. იმისანაა ე ქალი, სიცვი-ლით მოქკლავ-ენ: აღნიშნულია მიცემითის ფუნქციით გამოყენებული უშუალო ობიექტის მრავლობითობა.

გ) ქვემოიმერულში უშუალო ობიექტის მრავლობითობა შეიძლე-ბა გამოიხატოს -ყენ -კენ მორფემითაც: გამოვდენე-ყე ცხვრები. გადა-რეგ-ს-ყენ იგი მაგენს. სიცხე შეაწუხებ-ს-ყენ... (კ.კუბლაშვილი...) ასევე კახურში (გვ. 128).

დ) უშუალო ობიექტის მრავლობითობა გამოიხატება -ი მორფე-მით. ამ შემთხვევაში სალიტერატურო ქართულის ანალოგიური მდგომარეობაა, ოღონდ დიალექტებში აღინიშნება III უშუალო ობიექ-ტური პირის მრავლობითობაც.

ლიტერატურა

თოფურია, 1954 — ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, იკე, VI, 1954.

მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956 — ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, 1956.

ცოცანიძე, 1978 — გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, 1978.

უთურგაიძე, 1961 — თ. უთურგაიძე, თუშური კილო, 1961.

ძიძიგური, 1970 — შ. ძიძიგური, ქართული დიალექტური ძიგბანი, 1970.

ჳინჭარაული, 1960 — ა. ჳინჭარაული, ხევისურულის თავისებუ-რებანი, 1960.

ქ.დ. 1961 — ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია.

BESARION JORBENADZE

ზაია ალვაძე

The Tendencies and Means of Expression of Plural Number in Verbs in the Dialects of the Georgian Language

Summary

The expression of the plural number in verbs is diverse in Georgian dialects: on the one hand, the situation resembles that of Old Georgian (in the dialects of highlands in Eastern Georgia), on the other hand, there is an obvious tendency of simplification and unification (in the lowland dialects of Eastern Georgia and in Western Georgian dialects). Certain innovations are also observed.

უარყოფის სისტემა ინგლისურ ენაში

* * *

უარყოფის გამოხატვის საშუალებები ენაში მრავალფეროვანია. უარყოფა შეიძლება გამოხატული იყოს ენის სისტემური ელემენტების დონეზე (უარყოფითი სემანტიკის სიტყვები, აფიქსაციით წარმოებული უარყოფითი და შედგენილი უარყოფითი ლექსიკური ერთეულები), სინტაქსის დონეზე (ნოტ/ზმნური უარყოფა) და დისკურსში [Givon 2001: 370-378; Tottie 1991: 22]. დისკურსის დონეზე ნეგაციასთან ხშირად ასოცირებულია დადებითი სემანტიკის ლექსიკური ერთეულები [Horn 1969: 98-107; Levinson, 2008], ლექსიკური ერთეულები, რომლებიც უშუალოდ გამოიყენება უარყოფის მოქმედების ველში [Leech 1994: 103] და სხვ. გარდა ამისა, წინადადებაში შეიძლება არ იყოს უარყოფითი ლექსიკური ერთეული და დისკურსი გამოხატავდეს ნეგაციას როგორც სამეტყველო აქტი - იმპლიკატორული უარყოფა.

სტატია შეეხება უარყოფისა და მისი გამოხატვის საშუალებების სისტემატიზაციის მცდელობას ინგლისურში. ნეგაცია განხილულია ანტროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის კუთხით და უკავშირდება დისკურსსა და ტექსტს. რაც გულისხმობს, რომ უარყოფა ხდება არა აბსტრაქტულ სივრცეში, არამედ კომუნიკაციურ სივრცეში, ე.ი. აღრესატსა და აღრესანტს შორის. ასეთი მიდგომის საფუძველზე დისკურსი განხილულია როგორც სამეტყველო აქტი, რომელშიც ჩადებულია აღრესატის ინტენცია, აქტის კომუნიკაციური სტრატეგიები და ტაქტიკა. მაგრამ, ამასთან ერთად, გათვალისწინებულია სისტემურ-სემიოტიკური პარადიგმის ფარგლებში უარყოფის გამოხატვის საშუალებებიც. ნეგაცია წარმოდგენილია გრადაციული სისტემის — ვექტორული სიდიდის — სახით დაწყებული დადებითი სემანტიკის მქონე ლექსიკური ერთეულებით და დამთავრებული სინ-

ტაქსის დონეზე უარყოფის ძირითადი მაწარმოებელით. დისკურსში გამოხატული ნეგაცია მოიცავს როგორც ცალკეულ ლექსიკურ, ასევე სინტაქსურ უარყოფას.

კვლევისას გამოყენებულია **შერჩევის მეთოდი**, რომლის საფუძველზეც საანალიზო ტექსტებიდან ხდება ნეგატიური ფრაზების გამოყოფა, **აღწერითი მეთოდი**, რომლის საფუძველზეც ხდება საანალიზო ტექსტების მიხედვით უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებების დადგენა და დახასიათება. პირველ ეტაპზე, სისტემურ დონეზე გამოიყო შესაბამისი ლექსიკური და სინტაქსური საშუალებები. მეორე ეტაპზე გაკეთდა უარყოფითი ელემენტების შემცველი ტექსტის პრაგმატული ანალიზი, კერძოდ, გაკეთდა ტექსტის ანალიზი ილოკუციური ფუნქციის მიხედვით, განისაზღვრა უარყოფის ექსპლიციტური და იმპლიციტური გამოხატვის საშუალებებს შორის განსხვავება.

უარყოფა დისკურსის დონეზე

ლინგვისტიკის თანამედროვე ეტაპზე, როდესაც დომინირებს ანტროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმა და ენის უმაღლეს რანგობრივ ერთეულად მიიჩნევა ტექსტი, უარყოფის კლასიფიკაციას ვუკავშირებთ არა მარტო სინტაქსს და წინადადებას, როგორც ტრადიციულად გაგებული სინტაქსის ძირითად ერთეულს, არამედ დისკურსსაც, როგორც ენობრივი სისტემის კომუნიკაციური აქტუალიზაციის უშუალო შედეგს და დისკურსით წარმოდგენილი უმაღლესი დონის ენობრივ ერთეულს — ტექსტს. დისკურსში ნეგაცია შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს უარყოფითი მარკერების გარეშე.

დისკურსის დონეზე უარყოფა შეიძლება გამოხატული იყოს იმპლიციტურად და ექსპლიციტურად, რაც გულისხმობს, რომ ნეგაციის გამოხატვა შესაძლებელია სისტემური უარყოფითი ლექსიკური ერთეულების გამოყენების გარეშეც.

1. იმპლიკატორული უარყოფა შეიძლება გამოხატული იყოს **დადებითი ფრაზითაც** და მხოლოდ კონტექსტის საშუალებით შეიძლება იყოს შესაძლებელი იმის განსაზღვრა, თუ რა არის ნაგულის-

ხმები, რა პრაგმატული ფუნქცია გააჩნია გამონათქვამს. მაგალითად:

“I’m going down and get that kitty,” the American wife said.

“I’ll do it,” her husband offered from the bed.

“No, I’ll get it. The poor kitty is out trying to keep dry under the table.”

[Hemingway 1963: 251]

“I’ll do it” (მე ამოვიყვან) პრაგმატულად გულისხმობს ქმრის უარს, ცოლი ჩავიდეს კატის ამოსაყვანად.

ანალოგიური მნიშვნელობა აქვს ფრაზას *“You can tell”*, რომელიც ფაქტობრივად გულისხმობს: „მაგას ნუ იტყვი“.

“He had a wife once too.”

“A wife would be no good to him now”.

“You can tell. He might be better with a wife” [Hemingway 2003:289].

იმპლიციტური უარყოფა ასევე შეიძლება გამოხატული იყოს ზოგიერთ ზმნასთან /fail, lack/ და ზმნიზედასთან /hard, few, little, etc./. ასეთ გამონათქვამებში არ ფიგურირებს უარყოფითი ნაწილაკი ან უარყოფითი სიტყვები:

I fail words to express my feelings (საუბ.).

He failed to comprehend the seriousness of the problem (საუბ.).

Time is lacking for a full explanation (საუბ.).

ამრიგად, ტექსტში ნეგაცია შეიძლება გვექონდეს უარყოფითი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულების გარეშეც და კონტექსტის საშუალებით განისაზღვროს თუ რა ინტენცია გააჩნია ადრესანტს, რა ილოკუციური ფუნქციის მატარებელია გამონათქვამი.

2. იმპლიციტური მტკიცების განხილვა უნდა დავიწყოთ იმ შემთხვევით, როდესაც გამონათქვამში ფიგურირებს უარყოფითი ლექსიკური ერთეული და პრაგმატულად არ ხდება ნეგაცია, პასუხი გულისხმობს ადრესატის მიერ გამოთქმული მოსაზრების დადასტურებას:

“Can I offer you a beer on the Terrace and then we’ll take the stuff home.”

“Why not?” the old man said. *“Between fishermen”* [Hemingway 1962: 24]

“Why not?” („რატომაც არა?“) გულისხმობს, რომ მოხუცი ეთან-

ხმება ბიჭის შეთავაზებას.

Sybil was silent.

"I like to chew candles," she said finally.

"Who doesn't?" said the young man, getting his feet wet. [Salinger 1982: 36]

„Who doesn't?“

„Who doesn't?“ პასუხი გულისხმობს დასტურს ადრესატის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე:

"He hasn't much faith."

"No," the old man said. "But we have" [Hemingway 1962: 24]

"No" გამოხატავს თანხმობას უარყოფითი ფორმით დასმულ კითხვაზე. ამ შემთხვევაშიც გვაქვს შეუსაბამობა ფორმასა და ილოკუციურ ფუნქციას/შინაარს შორის.

3. ექსპლიციტური უარყოფის შემთხვევაში უარყოფით გამონათქვამებს პრაგმატულად შეიძლება სხვადასხვა ილოკუციური ფუნქცია ჰქონდეს, კერძოდ, უარყოფითი კონოტაციით იძლეოდეს **ინფორმაციას** რაიმეს შესახებ, აკეთებდეს ფაქტის **კონსტანტირებას, დეკლარაციას**. ამ ფუნქციით შეიძლება გამოვიდეს მეტყველების სხვადასხვა ნაწილი. სინტაქსურ უარყოფას აწარმოებს უარყოფითი ნაწილაკი 'not', რომელიც, ძირითადად, დგას ზმნასთან — 'n't', მაგრამ შეიძლება კერძო უარყოფის ფორმითაც იყოს [Eastwood 2002: 17-18; Leech 1994: 226-227]. გარდა ამისა, უარყოფას აწარმოებს უარყოფითი მსაზღვრელები: no, nobody, no one, nothing, etc.:

Alice had **no** idea what to do, and in despair she put her hand in her pocket... [Carroll 1993: 35]

'I wish I had our Dinah here, I know I do!' said Alice aloud, addressing **nobody** in particular. [Carroll 1993: 38]

Alice thought she might as well wait, as she had **nothing** else to do... [Carroll 1993: 50-51]

Not long before, when she had been laid up for a day, he had read her out a ghost story and

made toast for her at the fire. [Joyce 1982: 63]

გარდა ამისა, უარყოფას აწარმოებს n-სიტყვები: never, neither, nowhere, neither...nor, etc.:

Perhaps, she would **never** see again those familiar objects from which

she would **never** dreamed of being divided. [Joyce 1982: 63]

She tried in Downes's bag and then in the pocket of her waterproof and then on the hallstand but **nowhere** could she find it. [Joyce 1982: 118]

She would give him **neither** money **nor** food nor house-room. [Joyce 1982: 84]

ნეგაცია გვხვდება ასევე იმ სიტყვებთან, რომლებიც არ არიან უარყოფითი მნიშვნელობის, მაგრამ უარყოფითია ფორმით: **hardly**, **scarcely**, **barely** (= 'almost ... not'), **few**, **little** (= 'not many', 'not much'), **rarely**, **seldom** (= 'not often'), etc. [Leech 1994: 227]. ისინი დისკურსში, ხშირად, ნეგაციას გამოხატავენ:

He **scarcely** knew what he was eating feeling her beside him alone, at night, in the sleeping house [Joyce 1982: 89].

ზოგადად, ამ ფუნქციით შეიძლება გამოვიდეს ნებისმიერი უარყოფითი სემანტიკის მქონე ლექსიკური ერთეული.

უარი რაიმეს არსებობის, რაიმეში მონაწილეობის თაობაზე, შეთავაზებაზე, გამოთქმულ მოსაზრებაზე და ა.შ. შეიძლება გამოხატული იყოს, ასევე, ნაწილაკით 'not' ზმნური უარყოფის შემთხვევაში.

„Very true," said the Duchess: "flamingoes and mustard both bite. And the moral of that is — Birds of a feather flock together."

*'Only mustard **isn't** a bird,' Alice remarked.* [Carroll 1993: 90].

ელისი აზუსტებს დედოფლის მიერ გამოთქმულ მცდარ მოსაზრებას: **'mustard **isn't** a bird'** (მდოგვი არ არის ფრინველი).

"This lady is going to have a baby, Nick", he said.

"I know," said Nick.

*"You **don't** know," said his father. "Listen to me.* [Hemingway 1972: 247].

მამა ცდილობს შვილს შეაცვლევინოს შეხედულება კონკრეტულ ფაქტთან მიმართებით.

გარდა ზმნური უარყოფისა, უარყოფითი პასუხი შეიძლება გამოხატული იყოს არა ზმნური უარყოფითაც ნაწილაკით 'not', 'no' და სხვა ლექსიკური ერთეულებითაც:

"I know. I wouldn't want to be that old. An old man is a nasty thing."

*"**Not** always. This old man is clean. He drinks **without** spilling. Even now, drunk. Look at him."*

*"I **don't** want to look at him. I wish he would go home. He has **no** regard for those who must work." /Hemingway The Clean, Well-lighted Place/.*

"Hey! What's the idea?"

"**Nothing. No** idea. You really can dance," I said. [Salinger 1986: 72].

უარყოფითი ფორმით **ინფორმაციის მოძიების** მიზნით შეიძლება დასმული იყოს შეკითხვა:

"**Don't** you used that jar of Bronze I put in your bag?" [Salinger 1982: 32].

შეკითხვა შეიძლება დასმული იყოს სხვისი მოსაზრების გაზიარების მიზნით:

Don't you think it would be a good idea if I let my hair grow out?" she asked looking at her profile again. [Hemingway 1963: 253].

უარყოფითი ფორმით დასმული კითხვის პრესუპოზიცია, ძირითადად, არის მოლოდინი დადებითი პასუხის მიღებისა.

უარყოფითი ფორმა შეიძლება გამოყენებული იყოს **სურვილის** გამოხატვისათვის:

'I wish you wouldn't squeeze so.' said the Dormouse, who was sitting next to her. 'I can hardly breathe.' [Carroll 1993: 111].

Let's **not** quarrel any more [Hemingway 1963: 217].

I wish we'd **never** come, the woman said. [Hemingway 1963: 219].

And she thought of herself, 'I wish the creatures wouldn't be so easily offended!' [Carroll 1993:55].

უარყოფითი ლექსიკური ერთეულით დისკურსი შეიძლება გამოხატავდეს **სინანულს**:

'What a pity it wouldn't stay!' sighed the Lory. [Carroll 1993: 38]

I wish we'd **never** come, the woman said. [Hemingway 1963: 219]

უარყოფითი დისკურსი ხშირად იძლევა **შედარება / დაპირისპირებას**:

Then she would be married – she Eveline. People would treat her with respect then. She would **not** be treated as her mother had been. [Joyce 1982: 64].

Then in town, they will fix up your leg and then we will have some good destruction. **Not** that dreadful talking like. [Hemingway 1963: 228].

... it was **neither** more **nor** less than a pig, and she felt that it would be quite absurd for her to carry it further. [Carroll 1993: 66].

Her father was **not so** bad then. [Joyce 1982: 63].

დაპირისპირებასა და მარკირებასთან ერთად უარყოფა დისკურს-

ში შეიძლება გამოხატავდეს **ადიტიურ ფუნქციასაც**:

Dr. Weitbrecht-Rotholz belongs to that school of historians which believe that human nature is not only about as bad as it can be, but a great deal worse. [Maugham 2009: 8].

უარყოფითი დისკურსით შეიძლება გამოხატული იყოს **დაეჭვების / ვარაუდის** ილოკუციური ფუნქცია:

"**If I'm not mistaken**, I believe you also had some difficulty at the Whoton School and at Elkton Hills." He didn't say it just sarcastic, but sort of nasty, too. [Salinger 1982: 13]

... but I must be kind to them,' thought Alice, 'or perhaps they won't walk the way I want to go! [Carroll 1993: 24]

'But if I'm not the same, the next question is, Who in the world am I?' [Carroll 1993: 26]

I'm **not quite** sure of the details, but it was something very sad, I know [Jerome 1964: 95].

საყვედური შესაძლებელია გამოხატული იყოს კითხვითი უარყოფითი წინადადებით:

She had always had an edge on her, especially whenever there were people listening.

"Miss Hill, **don't** you see these ladies are waiting?" [Joyce 1982: 64]

"It isn't funny, Muriel. It isn't funny at all. It's horrible. It's sad actually. When I think how..." [Salinger 1982: 29]

უარყოფითი ფორმით შეიძლება გამოხატული იყოს **გაფრთხილება / მითითება / ბრძანება / ინსტრუქტაჟი** რაიმე ქმედების შესრულების თაობაზე:

My goodness, he needs the sun. **Can't** you make him? [Salinger 1982: 32]

"**Don't** let go," Sybil ordered. "You hold me now." [Salinger 1982: 36]

'Ah, my dear! Let this be a lesson to you **never** to lose your temper!' [Carroll 1993: 38]

უარყოფითი ფორმით შეიძლება გამოხატული იყოს **გამხნივება, შეგულიანება, მხარდაჭერა**:

"**Not** much fear of that while this stew's on," he grunted [Jerome 1964: 173].

გარდა ზემოთ თქმულისა, უარყოფითად მარკირებულ დისკურსს შეიძლება ჰქონდეს თავაზიანობის გამოხატვის ილოკუციური ფუნქცია:

“Don’t you mind speaking, if you really want anything, you know.” [Jerome 1964: 156]

‘Well, I should like to be a *little* larger, sir, if you wouldn’t mind,’ said Alice. [Carroll 1993: 55]

შესაბამისად, ჩვენ განვიხილეთ სხვადასხვა უარყოფითი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულების გამოყენებით დისკურსის ილოკუციური ფუნქციები. სამეტყველო ფორმები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ აღნიშნული ილოკუციური აქტების ფორმირებაში მოცემულია ქვემოთ.

შედეგები

ილოკუციური ფუნქციების გაგება ემყარება პრესუპოზიციას, რომ აღრესატსა და აღრესანტს აქვთ ფონური ცოდნა ან კონტექსტუალური ინფორმაცია, რომელიც ხელს უწყობს მესიჯის სწორ დესკრიფციას. ეს შეეხება როგორც ფრაზულ გამონათქვამებს, ასევე მიკრო თუ მაკროკონტექსტის ინფორმაციასაც.

ლექსიკურ და სინტაქსურ უარყოფას ტექსტის დონეზე პრაგმატულად შეიძლება ჰქონდეს შემდეგი ილოკუციური ფუნქციები: ინფორმირება / განაცხადი, დაპირისპირება / კონტრადიქცია / შედარება, უარი, შეკითხვა / გამოკითხვა / მოთხოვნა, სინანული, საყვედური, გამხნევება / შეგულიანება / მხარდაჭერა, ინსტრუქტაჟი, ეჭვი / ვარაუდი, ბრძანება, აკრძალვა, გაფრთხილება, სურვილი, დაპირება.

მასალიდან მოძიებული ფრაზები ილოკუციური ფუნქციების გათვალისწინებით შეიძლება დაჯგუფდეს სამეტყველო აქტების მიხედვით შემდეგნაირად (საფუძვლად გამოყენებულია სერლის კლასიფიკაცია) [შეარლე, 1999]:

ასერტივები	ექსპრესივები	დირექტივები	კომისივები
ფაქტის კონსტატაცია	სინანული	შეკითხვა	უარი
შედარება	საყვედური	ბრძანება	დაპირება
კონტრადიქცია	მოწონება	მოთხოვნა	

დაპირისპირება	მხარდაჭერა	გაფრთხილება	
	ეჭვი	ინსტრუქტაჟი	
	სურვილი	აკრძალვა	
	თავაზიანობა		

შეიძლება ითქვას, რომ დირექტივებში, კომისივებსა და ექსპრესივებში შემავალი ილოკუციური ფუნქციის სამეტყველო აქტები გამოხატავენ მოდალურ მნიშვნელობებს. ასერტივებში შემავალი სამეტყველო აქტების ილოკუციური ფუნქცია კი, ძირითადად, გულისხმობს ლოგიკურ უარყოფას.

ჩვენ მიერ განხილულ მაგალითებში ნეგაციის ფორმირებაში მონაწილეობენ ისეთი ლექსიკური ერთეულებიც, რომლებსაც არ გააჩნიათ სემანტიკურად უარყოფითი მნიშვნელობა. ასეთებია, ძირითადად, ზმნიშედები: **hardly, ever, barely, scarcely, at all, a bit, etc.**

დასკვნა

უარყოფის გამოხატვის საშუალებები შეიძლება დავყოთ სამ დონედ: უარყოფა ენის სიტემურ დონეზე, რომელიც გამოიხატება ლექსიკური საშუალებებით (ცირკუმფიქსებით წარმოებული მეტყველების ნაწილები, სემანტიკურად უარყოფითი მნიშვნელობის ზმნიშები, ნაცვალსახელები, ზმნიშედები, უარყოფითი ნაწილაკები, უარყოფით პოლარული ელემენტები), სინტაქსის დონეზე (თხრობითი, კითხვითი და ბრძანებითი (იმპერატიული) წინადადებები) და ტექსტის დონეზე (ექსპლიციტური და იმპლიციტური უარყოფა).

ენის სისტემური ელემენტები შეიძლება განვალაგოთ მზარდი უარყოფითობის მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობით:

- დადებითი სემანტიკის ლექსიკური ერთეულები;
- უარყოფასთან ასოცირებული დადებითი სემანტიკის ლექსიკური ერთეულები ტექსტში უარყოფის მაქსიმიზაციის ფუნქციით — ზმნიშედები: **at all, a bit, yet, ever, etc.**

- კეროლი, 1993** — Carroll, Lewis, Alice in the Wonderland, Wordsworth Editions Limited, UK, 1993;
- ისტეუდი, 2002** — Eastwood, John, Oxford Guide to English Grammar, Oxford University Press 2002;
- გიგონი, 2001** — Givon, Talmy, Syntax, Volume 1, John Benjamins Publishing Company, Amsterdam, The Netherlands, 2001;
- ჰემინგუეი, 1963** — Hemingway, Ernest, Modern American Short Stories, Foreign Languages Publishing House, Moscow, 1963;
- ჰემინგუეი** — Hemingway, Ernest, The Old Man and the Sea, Foreign Languages Publishing House, Moscow, 4.
- ჰორნი, 1969** — Horn L. R., A Presuppositional Analysis of “only” and “even”. Chicago Linguistic Society.5. Chicago. Linguistic Society, 1969;
- ჯოისი, 1964** — James Joyce, Dubliners; Eveline, Progress Publishers, Moscow, 1964;
- ჯერომა, 1964** — Jerome K. Jerome, Three Men in a Boat, Progress Publishers, Moscow, 1964;
- ლიჩი, სვარტვიკი, 1994** — Leech, Geoffrey, Svartvik, Jan, A communicative grammar of English; Addison Wesley Longman, 1994;
- ლევინსონი, 2008** — Levinson D., Licensing of negative polarity particles yet, anymore, either and neither combining downward monotonicity and assertivity, Dissertation, 2008;
- მაგამი, 2009** — Maugham W. Somerset, The Moon and Sixpence, Serenity Publishers, USA, 2009;
- სერლი, 1999** — Searle, John, Speech Acts: An Essay in the Philosophy of Language, Cambridge University Press, 1999;
- სელინჯერი, 1982** — Salinger, Jerome, Nine Stories, A Perfect Day for Bananafish, Progress Publishers, Moscow, 1982;
- სელინჯერი, 1986** — Selinger, Jerome, The Catcher in the Rye, Bantam Books, USA, 1986;
- ტოტი, 1998** — Tottie Gunell, Negation in the history of English/ed. by Ingrid Tieken-Boon van Ostade, Gunnel Tottie, Wim van der Wurff - Berlin; New York : Mouton de Gruyter, 1998.

The System of Negation in English

Summary

The paper is an attempt of systematization of negation and the means of its expression in English. Negation is viewed from the viewpoint of anthropocentric-communicative paradigm and is linked to discourse and text. This means that negation takes place in a communicative space i.e. among the addressor and the addressee. Based on the given attitude, discourse is viewed as a speech act which embraces the intention of the addressor, as well as the communicative strategies and tactics of the speech act. Alongside with the above-mentioned, the author focuses on the means of expression of negation within the systemic-semiotic paradigm. It is argued that negation may be expressed by a speech act not containing the lexical units of negative meaning and, vice versa, a speech act containing a negative lexical unit may not express negation. In English negation yields a gradation system – a vectoral value – with growing negativity, beginning with lexical units of positive semantics and ended by the key units expressing negation on the syntactic level.

ციური ახვლედიანი, გიორგი უზარაძე

ევფემიზმები სოციალურ სფეროში

(ფრანგული და ინგლისური ენების მასალაზე)

ახალი სიტყვებისა და სიტყვაშეერთებების გაჩენა, რომლებშიც ასახვას პოვებს თანამედროვე მოვლენები, იწვევს შიდაენობრივ პროცესებს სიტყვაწარმოქმნის, სიტყვახმარებისა და სიტყვაგვლილების სფეროებში. შიდა პროცესების განვითარება ხასიათდება განსაზღვრული წინააღმდეგობრიობით. ენის მომხმარებლები, ერთი მხრივ, სწორხაზოვნად და ღიად გამოხატავენ აზრს, მეორე მხრივ კი, ინარჩუნებენ მიდრეკილებას ევფემიისაკენ. **ევფემიზმები** (ბერძნ. *éu* „კარგად“, *phémi* „გამბობ“) განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული სამეტყველო ქმედების საზოგადოებრივად მნიშვნელოვან სფეროებში, როგორცაა მაგალითად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ევფემიზმები, უმეტესად, არა მხოლოდ სტილისტურ სინონიმებს წარმოადგენენ, არამედ განსაზღვრული მოვლენის განხილვის ახალ რაკურსსაც და მის მორალურ-ეთიკურ შეფასებასაც შეიცავენ. რიგ მიზეზთა გამო ხშირად ადამიანები შეგნებულად გვერდს უხვევენ გარკვეული ობიექტური მონაცემების აღმნიშვნელი სიტყვებისა და გამოთქმების ხმარებას. მათ ან სრულიად არ ასახელებენ, ანდა ამბობენ არაპირდაპირ, შემოვლით, აღწერით, შთაბეჭდილების შენელებით, რათა მისაღები გახადონ ადრესატისათვის. მრავალი თანამედროვე ევფემიზმი წარმოიშვა ახალი სოციალურ-პოლიტიკური დოქტრინების და, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური კორექტულობის დოქტრინების გაჩენისა და საზოგადოებრივ ცნობიერებაში მათი დაფიქსირების შედეგად. პოლიტიკური კორექტულობის წინამორბედად მიიჩნევა ე. წ. „გაშემუბნული ენა“, რომელიც გამოჩნდა XIX საუკუნის დასასრულიდან და გულისხმობდა გაქვავებული, კლიშირებული, კო-

დიფიცირებული, განსაკუთრებული მანერით წერასა და მეტყველებას ადმინისტრაციული და პოლიტიკური აპარატის ყველა დონეზე, ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებშიც. ფრანგულ ენაში, გამოთქმა **«langue de bois»** აღმოსავლეთ ევროპიდან, კერძოდ, პოლონეთიდან შევიდა XX საუკუნის 70-იან წლებში. პოლიტიკორექტულობის გამოყენებაში, პრაქტიკულად, იგულისხმება მიზანი, რომ თავი აგარიდოთ ყოველივე იმას, რამაც შეიძლება შეურაცხყოფა მიაყენოს ამა თუ იმ კატეგორიის პირებს რასის, სქესის, სარწმუნოების, სექსუალური ორიენტაციის, ასაკისა და ა. შ. ნიშნის მიხედვით. ინდო-ევროპულ ენებში (მათ შორის ინგლისურ ენაშიც) ევფემიზმთა ეტიმოლოგია საკმაოდ რთული და მრავლისმომცველი პროცესია ტაბუირების პრინციპიდან გამომდინარე. ევფემიზმი, როგორც წესი, ორიგინალ სიტყვას ენაცვლებოდა და შემდგომში მისი (ორიგინალი სიტყვის) ენის ლექსიკურ ფონდში მოძიება შეუძლებელი ხდებოდა.

ტრადიციულ სფეროს, რომელშიც აქტიურად გამოიყენება ევფემისტური საშუალებები, წარმოადგენს დიპლომატია. სავსებით ნათელია, რომ ის კომუნიკაციური ამოცანები, რომლებთან შეხებაც უწყვეტ დიპლომატებსა და პოლიტიკოსებს, შეუძლებელია გადაწყდეს მხოლოდ პირდაპირი ნომინაციებით, წყენინების, ქარაგმების, შეუთანხმებლობის, კამუფლაჟის გამოყენების გარეშე, ანუ ყოველივე იმის გარეშე, რის გამოხატვაც ევფემიზმების დანიშნულებას წარმოადგენს. მთავარი მიზანი, რაც შეინიშნება სოციალურ ურთიერთობებში ევფემიზმების გამოყენებისას, არის კომუნიკაციური კონფლიქტების, ანუ კომუნკაციური დისკომფორტის აცილებისაკენ მისწრაფება. ევფემიზმების გამოყენების ძირითადი მიზეზებია:

1. საქმის არსის მიჩქმალვა, „კამუფლაჟი“. ამ მიზნით გამოყენებული ევფემისტური საშუალებები მრავალფეროვანია. კერძოდ, ევფემიზმები გამოიყენება ანტიპუმანური ან უმსგავსი ფაქტებისა და ქმედებების გამჟღავნების დაფარვის მიზნით, მაგალითად:

une opération militaire – la pacification „საომარი ოპერაცია — და-მშვიდება“;

un bombardement – la frappe chirurgicale, la frappe ciblée „და-

ბომბვა — ქირურგიული ანაბეჭდი“.

nuclear deterrent - nuclear weapons – ბირთვული იარაღი

lay-off – fire – ცეცხლი

r-word - economic recession – „ეკონომიკური რეცესია“ — „ეკონომიკური ვარდნა“

2. ზოგიერთი არაპრესტიჟული პროფესიის მიმზიდველობის გაზრდა ან ნეგატიური შთაბეჭდილების დაფარვა, მაგალითად:

un balayeur – un technicien de surface „მეეზოვე — ზედაპირის სპეციალისტი“;

une femme de ménage – un(e) technicien(ne) des sols, une employée de maison, agent de la maison, agent de propreté „მინამოსამსახურე — სახლის მუშაკი“;

la secrétaire - l'assistante de direction, la collaboratrice personnelle „მდივანი — დირექციის ასისტენტი, პირადი თანამშრომელი“.

sanitation engineer - garbage collector – „მეეზოვე — ნარჩენების შემგროვებელი“

3. უარყოფით ემოციებთან (სიკვდილი, ავადმყოფობა) დაკავშირებულ სიტუაციათა შერბილება:

la mort – la disparition, le départ, le dernier sommeil, la nuit du tombeau, le repos éternel, le grand voyage „სიკვდილი - გაქრობა, გამგზავრება, უკანასკნელი ძილი, საფლავის ღამე, მარადიული დასვენება, დიდი მოგზაურობა“;

passed away or passed, departed, gone over to the other side, gone to your reward – death – „სიკვდილი“ — „გარდაცვალება“

aveugle – non-voyant „ბრმა — არამხედველი, უჩინო“;

under the weather - sick, ill – „ავადმყოფი“

sourd – mal-entendant „ყრუ — ცუდად მსმენი“;

handicapé – personne à mobilité réduite „ინვალიდი, ხეიბარი — პიროვნება შეზღუდული მოძრაობით“.

differently abled - disabled or handicapped - „ინვალიდი“ — „უნარშეზღუდული“

the big C for cancer (in addition, some people whisper the word

when they say it in public, and doctors euphemistically use technical terminology when discussing cancer in front of patients, e.g., "c.a." or "neoplasia"/"neoplastic process", "carcinoma" for "tumor") – „სიმსივნე“ (ექიმები ხშირად პაციენტებთან საუბრისას ეუფემერულად იყენებენ ტექნიკურ ტერმინოლოგიას);

4. სხვადასხვა ეროვნულ ჯგუფებს შორის დაძაბულობის მოხსნისაკენ მისწრაფება, რაც აუცილებელია საჯარო სამსახურში მყოფთათვის (ჟურნალისტებისათვის, კომენტატორებისათვის, დეპუტატებისათვის, პოლიტიკურ მოღვაწეთათვის და სხვ.), რათა თავიანთი უნიათო გამონათქვამებით არ გაამწვავონ განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფთა შორის უთანხმოება, მაგალითად:

personne de couleur – personne à peau noire, dont la couleur de peau est différente de celle du locuteur (souvent noire) „ფერადკანიანები — შავკანიანები“;

la multiracialité, le métissage – la diversité „მულტირასობრიობა — მრავალფეროვნება“;

les amérindiens – les indiens américains „ამერიკონდიელები — ამერიკელი ინდიელები“;

un afro-américain – un Américain d'origine africaine „აფროამერიკელი — აფრიკელი წარმოშობის ამერიკელი“.

5. პიროვნების ღირსების დამამცირებელი ან რაიმე მოვლენის არასასიამოვნო და არასასურველი მდგომარეობის წარმოჩენა უფრო კეთილშობილური სახით, მაგალითად:

un handicapé économique – un pauvre, une personne démunie, une personne en situation précaire „ეკონომიკურად არასასურველ მდგომარეობაში მყოფი“ — ღარიბი, გაჭირვებული ადამიანი“;

un réfugié – un demandeur d'asile, un requérant d'asile „ლტოლვილი — თავშესაფრის მოხონელი“;

undocumented worker - illegal alien – „არალეგალი“;

obèse – enveloppé, une personne en surcharge pondérale „სქელი — ჭარბწონიანი პიროვნება“;

pleasingly plump – overweight – „სქელი — ჭარბწონიანი პიროვნება“;

un immigré clandestin – un sans-papiers „არალეგალი იმიგრანტი – საბუთების არმქონე“;

la mensonge – la contre-vérité „ტყუილი, სიცრუე — სიმართლის საწინააღმდეგო“.

6. ასაკზე ლაპარაკის არასასურველობა, მაგალითად:

vieux – senior „მოხუცი — სენიორი, ბატონი“;

la vieillesse – le troisième âge „მოხუცებულობა — მესამე ასაკი“ (პენსიონერი პიროვნებები, რომელთაც შეინარჩუნეს კარგი გარეგნული ფორმა);

les grands vieillards – personne du quatrième âge „ღრმად მოხუცები 5 მეოთხე ასაკის პირები“;

les centenaires – hors d'âge „ასწლიანები — ასაკგარეშენი“ (ასწელს მიღწეულები).

7. „პოლიტიკორექტული“ დამოკიდებულება დანაშაულის ჩამდენი პირებისადმი, მაგალითად:

un criminel – une victime de la société „კრიმინალი — საზოგადოების მსხვერპლი“;

un délinquant – un jeune „დამნაშავე, სამართალდამრღვევი — ახალგაზრდა“;

un assassin – un PVV (un preneur volontaire de vies) „მკვლეელი — სიცოცხლის ხელმყოფი“;

un voleur – un FPC (un fornicateur par coercition) „ქურდი — იძულებით მრუში, ხელმრუდი“.

8. სოციალური განწყობა საფრანგეთის ზოგიერთი ტერიტორიული ზონის მიმზიდველობის ასამაღლებლად: მაგალითად, დეპარტამენტ **les Côtes du Nord** –ს უწოდებენ **les Côtes d'Armor**, რადგან ჩრდილოეთი (Nord) არცთუ ისე მიმზიდველი იყო ტურისტებისათვის; **les Basses Alpes** და **les Hautes Alpes** –ებს უწოდეს **les Alpes de Haute Provence** და **les Pyrénées Orientales**, რათა მათ მაცხოვრებლებს თავი არ ეჩქნათ თავიან მეზობლებზე უფრო დაბლა (არა მარტო ტერიტორიულად) და, გარდა ამისა, „აღმოსავლეთი“ და „პროვანსი“ უფრო მიმზიდველია ტურისტებისათვის.

ზოგჯერ პოლიტიკორექტულობისადმი მისწრაფება იწვევს სავსებით გაუმართლებელი ეფემიზმების წარმოქმნას, მაგალითად:

un alcoolique – «personne à sobriété différée» „ალკოჰოლიკი — განსხვავებული სიფხიზლის პირი“;

employé de bureau – salarié du secteur tertiaire „კანცელარიის მოხელე — მესამეული სექტორის მუშაკი“.

პოლიტიკორექტულობა დიდი ხანია გასცილდა პოლიტიკის ფარგლებს და ყოველდღიურობაშიც გვხვდება; მაგალითად, ფრანგულ ენაში, სიტყვა «**espace**» „სივრცე“ იმდენად პოლიტიკორექტული აღმოჩნდა, რომ შექმნა გამონათქვამთა მთელი გამა: **salle de jeux – espace ludique** „სათამაშო ოთახი — სათამაშო სივრცე“; **salle d'études – espace d'enseignement** „საკლასო ოთახი — სასწავლო სივრცე“; **fumoir – espace fumeurs** „თამბაქოს მოსაწევი ოთახი — მწეველთა სივრცე“; **hôpital – espace prophylactique** „საავადმყოფო — პროფილაქტიკური სივრცე“; **salon – espace de relaxation** „სალონი — რელაქსაციის სივრცე“; **église – espace de culte** „ეკლესია — საკულტო სივრცე“; **théâtre – espace de représentation** „თეატრი — „საწარმოდგენო სივრცე“. **correctional facility – prison** – „საპყრობილე“ ; **abattoir – slaughterhouse** – „სასაკლაო“ ; **restroom- bathroom** – „ტუალეტი“; **mental health center – mental illness center** – „ფსიქიატრიული საავადმყოფო“;

ამგვარად, მეტყველების, როგორც კოგნიტიური ხასიათის დინამიკური პროცესის, ეფემიზაციის პრობლემა დიდ ინტერესს იწვევს, ასახავს რა კომუნიკაციურ და კულტურის როგორც სოციალურ-ისტორიული ფენომენის მიზანდასახულობას სხვადასხვა ენათა წიაღში.

ლიტერატურა

[The stuff of thought: language as a ... - Google Books](https://books.google.com/books?id=...). Books.google.com. 2007

გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელია, 2003 — თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია, „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“, თბილისი, 2003.

- ვოლკოვი, 2001** — Volkoff V. Manuel du politiquement correct . Paris, 2001.
- ჰოლდერი, 2003** — R.W. Holder: *How Not to Say What You Mean: A Dictionary of Euphemisms*, Oxford University Press, 2003.
- Petit Larousse illustré. Paris, 1984.

ნათალია ბაღდავაძე

TSIURI AKHVLEDIANI, GIORGI KUPARADZE

Euphemisms in a Social Field

(on material from French and English)

Summary

The notion of speech euphemisation implies a dynamic process of cognitive type, characteristic of any kind of communication. Emergence of new words and word combinations reflecting modern events bring about intralinguistic changes of various type: in the spheres of word-building, word-usage, etc.

Development of inner processes is accompanied by certain contradictions. On the one hand, the language users express their opinions directly and openly, however, on the other hand, they reveal a tendency towards euphemization. Euphemisms are particularly widely spread in such public spheres of language usage as mass media. Euphemisms serve only as stylistic synonyms but quite often present an ethic evaluation of a particular event.

ურბანისტული პეიზაჟის სტილისტური ღირებულება ჯეიმს ჯოისის მოთხრობათა ციკლში – „დუბლინელები“

წინამდებარე სტატია განიხილავს ურბანისტული პეიზაჟის სტილისტურ დატვირთვას ჯეიმს ჯოისის მოთხრობათა ციკლში – „დუბლინელები“.

როგორც ცნობილია, ჯოისის ნაწარმოებებში ხშირია რეფერენცია ექსტრალინგვისტურ მოვლენებზე. შესაბამისად, ჩემი კვლევის კრილში მოექცა ჯოისის თანამედროვე პოლიტიკური, სოციალური და კულტურული მოვლენები, კერძოდ კი, ბრიტანული იმპერიალიზმისა და კათოლიკური ეკლესიის გავლენა და ამით გამოწვეული საზიანო შედეგი ირლანდიასა და ირლანდიელებზე.

კრებული ქრონოლოგიურად ვითარდება და ცხოვრების წრის მსგავსად არქექტიბულ წრედ იკვრება: თხრობა იმედგაცრუებული და მახეში გაბმული ბავშვობით იწყება და სრულიად პარალიზებული სიბერით სრულდება. ჯოისის დუბლინელები საკუთარი ცენტრის გარშემო ერთი მიმართულებით ტრიალებენ, არ ვითარდებიან, თითქოს ცვლილების შიში აქვთ; გამომწვევდებულს, ბნელ ქუჩებსა და ობიან და მტვრიან სახლებში, ერთადერთ ნუგეშად ალკოჰოლი დარჩენიათ.

ირლანდიისა და ირლანდიელების აპათიისა და უმოქმედობის მხილებაში ჯოისის დუბლინი დაეხმარა.

„My intention was to write a chapter of the moral history of my country and I chose Dublin for the scene because that city seemed to me the centre of paralysis“ (მაკკორმაკი, სტედი, 1982:12).

როგორც ცნობილია, თანამედროვე რომანი ხშირად ასახავს ინდივიდსა და მის ურბანისტულ გარემოს — ქალაქს შორის არსებულ რთულ ურთიერთობას. თანამედროვე რომანი თითქოს სოციალური

ჩარჩოა, რომლის მთავარი შემადგენელი ქალაქია.

“A city is “the point of maximum concentration for the power and culture of a community. The city does not simply happen; rather the city is a cumulative product, the creation of many life times of creative efforts” (მაიფორდი, 1995:44 ინტრ.წყარო)

ქალაქი იშვიათად წარმოადგენს სწორხაზოვნად განვითარებულ ისტორიულ სურათს. ის ქაოტურია და მოულოდნელობებით სავსე, თითქოს დროში სწრაფად ცვალებადი ფორმების კოლაჟია, რომელიც იმდენად კაპლექსურია, რომ მოქალაქის სოციალურ გაუცხოებას იწვევს.

თანამედროვე ურბანისტი მწერლები შეეცადნენ ეს გაუცხოება — ადამიანსა და მის თანამედროვე სამყაროს შორის არსებული ქაოტური, რთული ურთიერთობები — აესახათ ურბანისტული პეიზაჟის საშუალებით.

ჯოისის „დუბლინელებში“ ურბანული პეიზაჟი მოქცეულია სოცო-პოლიტიკურ და რელიგიურ ჩარჩოში. მწერლისთვის ქალაქი თავისებური კოდაა, რომლის აღქმა მისი სიმბოლოების ამოხსნის, ექსტრალინგვისტური კონტექსტისა და ჯოისის თავისებური სტილის გათვალისწინებით ხდება.

დუბლინის პეიზაჟში ჭარბობს მუქი ფერები, ყველაზე ღირსშესანიშნავი ეპიზოდები გვიან ღამე — სრულ სიჩუმესა და სიბნელეში ხდება. ქალაქი და მისი მაცხოვრებლები თითქოს ფიზიკურადა და ემოციურად სიცოცხლესა და სიკვდილს შორის არიან მომწყვდეულნი, ცხოვრება გრძელდება, მაგრამ სიკვდილი თან სდევს მათ ყოველ ნაბიჯს და ეს, თავის მხრივ, იწვევს მათ ფსიქოლოგიურ პარალიზებას.

„დუბლინელების“ პეიზაჟის თავისებურება ისაა, რომ ჯოისი აქცენტს აკეთებს ქალაქის სპეციფიკურ გეოგრაფიულ დეტალებზე, რომლებიც ხატოვან რუკადა იკვრება. ის ქალაქის გაცილებით უფრო მჭევრმეტყველ, მრავლისმთქმელ მეგზურად გამოდგება, ვიდრე რეალური ისტორიული აღწერა და, შესაბამისად, უფრო მეტხანს იარსებებს.

პეიზაჟის მახასიათებლები

ჯოისის კრებული თხუთმეტი მოთხრობისაგან შედგება და ურბანული პეიზაჟი მხოლოდ რამდენიმე მოთხრობაშია მოცემულია. მათი დისტრიბუცია განსხვავდება. მაგალითად:

არაბეთი	მოთხრობის დასაწყისსა და დასასრულშია მოცემული, ეპიფანიის ეპიზოდში
რბოლის შემდეგ	მოთხრობის შუა ნაწილი
შენგედრა	მოთხრობის შუა ნაწილი
მიწა	მოთხრობის შუა ნაწილი
ორი ჯენტლმენი	მოთხრობის შუა ნაწილი
ასლები	მოთხრობის შუა ნაწილი
უბედური შემთხვევა	მოთხრობის დასასრულსა და ეპიფანიის ეპიზოდში
მიცვალებულნი	მოთხრობის დასასრულსა და ეპიფანიის ეპიზოდში
ეველინი	მოთხრობის დასაწყისსა და დასასრულს, ეპიფანიის ეპიზოდში

ჯოისის პეიზაჟი მესამე პირშია აღწერილი, ე.წ. ყოვლისმცოდნე მოთხრობელის მიერ. კვლევამ გამოაშკარავა, რომ პეიზაჟებში ურბანული ტერმინოლოგია მწირია, რამდენიმე დეტალი მიგვანიშნებს, რომ თხრობა ქალაქში ხდება. მაგალითად, „ეველინი“ პორტის არსებობა, „რბოლის შემდეგ“ — ქუჩების აღწერა, „მიცვალებულნი“ — სასტუმროსა და პარკის აღწერა და ა.შ.

ჯოისის რეალისტური ურბანისტული აღწერის მთავარი შემადგენელი ხალხმრავალი ქუჩები, იშვიათი არქიტექტურულ დეტალი, გაშლილი სივრცეები, მუქი ფერთა პალიტრა და მძაფრი აკუსტიკურ ეფექტია. ყოველ დეტალს სიმბოლური იმპლიკაცია აქვს. ჯოისი ბევრს უტოვებს მკითხველს გამოსაცნობად, ალუზიური ფრაზებითა და დაუსრულებელი ნათქვამით, რაც არაა გასაკვირი, რადგან ჯოისის კონოტაციების სრულად ჩატევა ერთ სიტყვაში ან ფრაზაში შეუძლებელია.

მაგალითად, არქიტექტურული ძეგლები, რომლებიც, ერთი შეხედვით, სიამაყის გრძნობას უნდა აღძრავდეს, მოულოდენლად წარმოდგება კოლონიალური, დათრგუნული ყოფის სიმბოლოებად ან სულაც იკარგება იმედგამაცრუებელი პეიზაჟის სიმძიმეში.

“The morning was still dark. A dull, yellow light brooded over the houses and the river; and the sky seemed to be descending. It was slushy underfoot; and only streaks and patches of snow lay on the roofs, on the parapets of the quay and on the area railings. The lamps were still burning redly in the murky air and, across the river, the palace of the Four Courts stood out menacingly against the heavy sky.” (მიცვალბულნი“ ჯოისი 1996: 243)

ლექსიკა ჯოისის ურბანულ პეიზაჟში იყოფა შემდეგ სემანტიკურ ველებად:

- სასოწარკვეთილების / სევდის
- სიბნელის
- უმოქმედობის / პარალიზების

სევდისა და სიბნელის გადმოსაცემად ჯოისი იყენებს ფერების გამომხატველ ზედსართაც სახელებს:

- *The night was cold and gloomy* („უბედური შემთხვევა“, 1996:130)
- *Darkness, accompanied by a thick fog, was gaining upon the dusk of February and the lamps in Eustace Street had been lit* („ასლები“, 1996: 98)
- *The career of our play brought us through the dark muddy lanes behind the houses where we ran the gauntlet of the rough tribes from the cottages, to the back doors of the dark dripping gardens where odours arose from the ashpits, to the dark odorous stables where a coachman smoothed and combed the horse or shook music from the buckled harness* („არაბეთი“ 1996:29-30)

- *The morning was still dark. A dull, yellow light brooded over the houses and the river; and the sky seemed to be descending* („მიცვალბულნი“, 1996:243)

ფერთა პალიტრა მხოლოდ მუქ და ცივ ფერებს მოიცავს. ამის მიზეზი ჯოისის სუსტი მხედველობა უნდა ყოფილიყო. მაგრამ, სხვა მსგავსი პრობლემის მქონე მწერლების — ჰომეროსის, დანტეს, მილტონის დარად, სუსტი მხედველობის პრობლემა სრულად კომპენსირებულია დახვეწილი აკუსტიკური სიმახვილით. ამ მხრივ ყველაზე დამამახსოვრებელი „არაბეთსა“ და „ვევლინი“ მოცემული პეიზაჟებია.

‘We walked through the flaring streets, jostled by drunken men and bargaining women, amid the curses of labourers, the shrill litanies of shopboys who stood on guard by the barrels of pigs’ cheeks, the nasal chanting of street-singers, who sang a come-all-you about O’Donovan Rossa, or a ballad about the troubles in our native land. These noises converged in a single sensation of life for me: I imagined that I bore my chalice safely through a throng of foes’ („არაბეთი“, ჯოისი, 1996: პ.31)

პარალიზების / უმოქმედობის ცნება პეიზაჟში გადმოცემულია გმირების უმიზნო სიარულით ქუჩებში. მაგალითად, გმირები მოჯადოებულ წრეზე დადიან, როგორც „ორ ჯენტლმენში“ ან ადგილიდან ვერ იძვრიან, როგორც „ვევლინი“. ეს ყოველივე იწვევს იმედგაცრუებასა და გულგატეხილობას.

ფუნქციები ურბანულ პეიზაჟში განსხვავებულია. აქ შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

- თხრობის ფონის შექმნა („არაბეთი“, „ორი ჯენტლმენი“)
- მოგონებების აღძვრა („მკვდრები“, „უბედური შემთხვევა“)
- კონტრასტის შექმნა პასტორალურსა და ურბანულ გარემოს შორის („ვევლინი“, „შეხვედრა“)
- მთავარი გმირისა და მთლიანად მოთხრობის ხასიათისა / და განწყობის შექმნა („არაბეთი“, „შეხვედრა“, „პატარა ღრუბელი“, „ასლები“, „უბედური შემთხვევა“)

მაგრამ პიეზაჟის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია **ეპიფანიის** განსაზღვრაა. ეს სტილისტური და ლიტერატურული ხერხი „დუბლინელების“ თხუთმეტ მოთხრობას ერთ წრედ კრავს.

ეპიფანია გმირების ცხოვრების ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს და თანხედრობა პიეზაჟის აღქმასთან. ეპიფანია პიეზაჟის მსგავსად — იმედგამაცრუებასთან, სიცარიელესა და სიცივესთან ასოცირდება.

გმირების ეპიფანია — გააზრებაა იმისა, რომ მოლოდინი არასდროს ემთხვევა რეალობას, ყოველთვის ხდება ბნელ და პირქუშ ადგილებში, სადაც პროტაგონისტები რაიმეს შეცვლის ან თავის დაღწევის იმედს სრულიად კარგავენ.

საუკუნეთა განმავლობაში მწერლები და მისტიკოსები აღწერდნენ უეცარ გამოცხადებას, ხილვას, რომელიც ყოფითსა და კარგად ნაცნობ რელიგიურ ცნებებს სცილდება, და ხორცს ისხავს ნადვილ შედეგებში. უორდსვორთი ეპიფანიას აღწერდა, როგორც 'A presence that disturbs me with the joy/Of elevated thoughts; a sense sublime/Of something far more deeply interfused' (უორდსვორთი, ტინტერნის სააბათო, სტროფი 93-6).

მაგრამ ჯოისისთვის ეპიფანია არა მხოლოდ ამაღლებული / ზებუნებრივი გამოცდილების გამომწვევი, არამედ უფრო მიწიერი, ადამიანური ყოფის ნაწილი იყო. ეპიფანია, მისი აზრით არის "a sudden spiritual manifestation, whether in the vulgarity of speech or of gesture or in a memorable phase of the mind itself." It is for the "man of letters" to "record these epiphanies with extreme care, seeing that they themselves are the most delicate and evanescent of moments" (ჯოისი, 1944: 213).

ჯოისისთვის ეპიფანიის დროს ადამიანის ქვეცნობიერი თითქოს ისეთივე ცვლილებას განიცდის, როგორც იმპრესიონისტების გამოფენის მნახველი, როცა მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ თბილი ფერები, ფუნჯით თითქმის შეუხებელი იმპრესიონისტული მოზაიკა მოულოდნელად ერთ სურათად იკვრება და ახალ პერსპექტივას გთავაზობს. ასეთივეა ეპიფანიაც „დუბლინელებში“. ეპიფანია სულის გამოცხადებაა, ის ბნელი სარკეა, რომელიც ყოველ ადამიანურ ზნეობრივ

სიმახინჯესა და სულიერ მანკიერებას ამხელს.

“Dubliners is about how we are everywhere – it’s the experience of modern urban life.”

„დუბლინელებში“ აღწერილი ეპიფანიებიდან ყველაზე შთამბეჭდავია ეპიფანიის ეპიზოდი მოთხრობაში „მიცვალებულნი“.

სიბნელეში ჩაფლულ გრემემის სასტუმროს სცენა მოთხრობის საკვანძო ეპიზოდია. სცენა ნახევრად რეალისტურია და ნახევრად წარმოსახვითი. თოვის სცენა გადაჭაჭვულია სასაფლაოს ხილვასთან, სადაც გმირის — გაბრიელის ცოლის პირველი შეყვარებულია დამარხული.

მკითხველი აკვირდება თოვას გაბრიელის ძილმორეული თვალეზით და აღიქვამს წინააღმდეგობებით სავსე სცენას: თეთრი თოვლი მუქად ეფინება ბნელ ველებს, მოუსვენარი ტალღები მსუბუქ თოვლს ებრძვის. აღწერა დინამიურია ალიტერაციის ხარჯზე: **falling** მეორდება შვიდჯერ, **softly** — ორჯერ, **dark** , **snow** — სამჯერ.

განმეორების საშუალებით ჯოისის მკითხველს თოვის ყურების პროცესში რთავს, უნებურად ხდის იმ სამყაროს ნაწილად, რომელიც კათარზისული თოვლით იფარება.

*“A few light taps upon the pane made him turn to the window. It had begun to **snow** again. He watched sleepily the flakes, silver and dark, **falling** obliquely against the lamplight. The time had come for him to set out on his journey westward. Yes, the newspapers were right: snow was general all over Ireland. It was **falling** on every part of the **dark** central plain, on the treeless hills, **falling** softly upon the Bog of Allen and, farther westward, softly **falling** into the dark mutinous Shannon waves. It was **falling**, too, upon every part of the lonely churchyard on the hill where Michael Furey lay buried. It lay thickly drifted on the crooked crosses and headstones, on the spears of the little gate, on the barren thorns. His soul swooned slowly as he heard the **snow falling faintly** through the universe and **faintly falling**, like the descent of their last end, upon all the living and the dead”* („მიცვალებულნი“, ჯოისის 1996: 255.

იეიტსის აზრით, ცხოვრებას მხოლოდ მაშინ ვიწყებთ, როცა ნამდვილ ტრაგედიას გადავიტანთ: 'We begin to live when we have concei-

ved life as a tragedy' (იეიტსი, ინტრ.წყარო).

გაბრიელის ეპიფანია მისი ტრაგედიაა, რადგან იგი იაზრებს, თუ რამდენად შეზღუდულია მისი ყოფა, შემოფარგლულია მხოლოდ საკუთარი სურვილებით. გაბრიელი, იმედგაცრუებული ეპიფანიის შემდეგ, გაღიზიანებული იმ ყველაფრით, რისი გადატანაც იქ მოუწია, ცდილობს თავი დაიმკვიდროს ცოლთან. მაგრამ გრეტას გონება მხოლოდ პირველი სიყვარულის მოგონებებითაა მოცული. გაბრიელი ამას ვერ ცვლის, ვერაფრით ანუგეშებს ცოლს. მასა და გრეტას შორის ემოციური კავშირი წყდება. უეცრად გაბრიელი მეობას კარგავს, და ეს თითქოს სიკვდილს უთანასწორდება. სიკვდილი სიცოცხლეს ჯაბნის, სივდილი და მოკვდავობა ჯაბნიან ვნებასა და სიცოცხლეს. ეპიფანია სიკვდილისა და ირლანდიური ნაციონალიზმის თემის კულმინაციაა.

პეიზაჟში ეპიფანიის მეორე მაგალითი „არაბეთშია“. მოთხრობის უკანასკნელი სცენა ბაზარში — არაბეთში ხდება. იქ შესვლისას მთავარ გმირს — ბიჭს — სიჩუმით მოცული პირქუში ადგილი ხვდება. მან დაიგვიანა, ბაზრის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი გამოტოვა. ბაზარი იმდენად ცარიელი და ჩუმი, რომ, იმედგაცრუების გარდა, არაფერს იწვევს.

„არაბეთში“ გმირი მოულოდნელად იზრდება, ბავშვობის ილუზიები იმსხვრევა, რომანტიკული გრძნობები ტყუილი, ილუზია, მოგონილი გატაცება აღმოჩნდება.

“I lingered before her stall, though I knew my stay was useless, to make my interest in her wares seem the more real. Then I turned away slowly and walked down the middle of the bazaar. I allowed the two pennies to fall against the sixpence in my pocket. I heard a voice call from one end of the gallery that the light was out. The upper part of the hall was now completely dark.

Gazing up into the darkness I saw myself as a creature driven and derided by vanity; and my eyes burned with anguish and anger.” („არაბეთში“, ჯოისი, 1996: 35-36).

არაბეთი, აღმოსავლური მომაჯადოებელი ადგილის ნაცვლად, გვევლინება მორიგ ჭუჭყიან ცარიელ, ბნელ ბაზრად. ბიჭი ამაღლებუ-

ლი სიყვარულის მაგივრად მხოლოდ იმედგაცრუებას გრძნობს, იაზრებს, რომ ის ამ ბნელი და პარალიზებული ქალაქის მძევალია.

და კვლავ ჩნდება შეკითხვა: არის თუ არა არაბეთი ირლანდიის სიმბოლო?

„უბედურ შემთხვევაში“ ვხვდებით კიდევ ერთ — სოციალურად იზოლირებულ, გულჩათხრობილ გმირს — მისტერ დაფის. მისი ეპიფანია მოთხრობის ბოლოს ხდება, როცა ის იგებს ოდესღაც მიტოვებული მეგობრის სიკვდილის ამბავს.

ეპითეტები ერთ სემანტიკურ ველად იკვრება, რომელსაც წითელ ხაზად კვლავ სევდის, მარტოობის თემა გასდევს.

ცივსა და ცარიელ პეიზაჟში დაფის უწევს საკუთარი არჩევანის გაანალიზება — წარსულში მიღებული გადაწყვეტილებისა და ახალი - დანაშაულის გრძნობის გაანალიზება. დაფის ეპიფანია მისი დანაშაულის გრძნობის გააზრებისას — მის მიერ არჩეული მარტოობა — მისი პირადი ტრაგედიისა და საოცარი სულიერი ტკივილის მიზეზი ხდება.

დაფის უმიზნო ხეტიალი პარკში წრეს კრავს. ის მარტო დადის. თითქოს პირველად უჩნდება ადამიანებთან დაახლოების სურვილი, მაგრამ ამაოდ. ფენიქს პარკში, რომელიც მითითური ფრინველის, მკვდრეთით აღდგომისა და ხელახალი დაბადების სიმბოლოა - დაფი სულიერად იღუპება.

“When he gained the crest of the Magazine Hill he halted and looked along the river towards Dublin, the lights of which burned redly and hospitably in the cold night. He looked down the slope and, at the base, in the shadow of the wall of the Park, he saw some human figures lying. Those venal and furtive loves filled him with despair. He gnawed the rectitude of his life; he felt that he had been outcast from life's feast. One human being had seemed to love him and he had denied her life and happiness: he had sentenced her to ignominy, a death of shame. He knew that the prostrate creatures down by the wall were watching him and wished him gone. No one wanted him; he was outcast from life's feast. He turned his eyes to the grey gleaming river, winding along towards Dublin. Beyond the river he saw a goods train winding out of Kingsbridge Station, like a worm with a fiery head winding through the darkness,

obstinately and laboriously. It passed slowly out of sight; but still he heard in his ears the laborious drone of the engine reiterating the syllables of her name” („უბედური შემთხვევა“, ჯოისი 1996:130).

კიდევ ერთი ეპიფანია „ეველინი“ა. ამ მოთხრობის ლაიტმოტივი არა მხოლოდ იმედგაცრუება, არამედ ბედთან შეგუებაცაა.

ყველაზე შთამბეჭდავი ეველინის პარალიზების მეტაფორაა. თხრობა იწყება და სრულდება ფიზიკური უმოძრაობით. მოთხრობის წრიული სტრუქტურა ეველინის სულიერ მოგზაურობას ასახავს.

'She sat at the window watching the evening invade the avenue. Her head was leaned against the window curtains and in her nostrils was the odour of dusty cretonne. She was tired' (ეველინი, ჯოისი 1996: 37)

თხრობის დასაწყისში ეველინი ფანჯარასთან ზის, ცდილობს თავი აიძულოს მიატოვოს ყველაფერი, დაივიწყოს, დატოვოს ჩვეული გარემო და საქმროს გაჰყვეს ბრაზილიაში. მაგრამ ოჯახის მიმართ პასუხისმგებლობასა და საკუთარ ბედნიერ მომავლს შორის არჩევანის გაკეთება ეველინს არ ძალუძს. თითოეული ახალი გადაწყვეტილება მძიმე ტვირთია. ეველინი ადგილზე იყინება, იაზრებს, რომ ძველი, ღატაკი სახლის მტვერი მას ისრუტავს, მაგრამ მაინც ვერაფერს ცვლის.

ურბანისტული აღწერა მთელ მოთხრობაშია გაშლილი, პეიზაჟი მხოლოდ ფონად გვევლინება, ურბანისტული დეტალები თითქმის შეუმჩნეველია. მიუხედავად ამისა, პეიზაჟი იმდენად მდიდარია სენსორული ეფექტებით — ბგერებითა და ფერებით, რომ შეუმჩნეველი ვერ დარჩება. პეიზაჟის, როგორც ფონისა და ობიექტის/ფიგურის სიბრტყეები, ერთმანეთში ირევა და ერთ ურბანისტულ სივრცედ გვევლინება.

"She stood among the swaying crowd in the station at the North Wall. He held her hand and she knew that he was speaking to her, saying something about the passage over and over again. The station was full of soldiers with brown baggages. Through the wide doors of the sheds she caught a glimpse of the black mass of the boat, lying in beside the quay wall, with illumined portholes. She answered nothing. She felt her cheek pale and cold and, out of a maze of distress, she prayed to God to direct

her, to show her what was her duty. The boat blew a long mournful whistle into the mist. If she went, tomorrow she would be on the sea with Frank, steaming towards Buenos Ayres. Their passage had been booked. Could she still draw back after all he had done for her? Her distress awoke a nausea in her body and she kept moving her lips in silent fervent prayer...." („ეველინი“, ჯოისი 1996: 42).

ეველინის მსოფლხედვა ყველა მისი თანამედროვის მსგავსია. ის პარალიზებულია, ბედს მორჩილად ეგუება, ვერ რისკავს. ეპიფანია მაშინ ეწვევა, როდესაც, მიუხედავად იმისა, რომ ესმის — თავი უნდა დააღწიოს ირლანდიას — იაზრებს, რომ ამას ვერასდროს გააკეთებს.

"He rushed beyond the barrier and called to her to follow. He shouted at to go on but he still called to her. She set her white face to him, passive, like a helpless animal. Her eyes gave him no sign of love or farewell or recognition." („ეველინი“, ჯოისი 1996: 42).

და კვლავ, გმირი თითქოს საკუთარი არჩევანით თავს იმწყვედევს ბედნიერებასა და უმოქმედო ყოფას, სიცოცხლესა და სიკვდილს შორის.

დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ ჯოისის ურბანისტული პეიზაჟის მთავარი ფუნქცია ეპიფანიის გადმოცემაა.

„დუბლინელები“ მთელი ქალაქის აღსარებაა. მასში აღწერილი ურბანისტული პეიზაჟები სცილდება ბანალურ ლიტერატურულ აღწერას, ისინი ეპიფანიასთან არიან ასოცირებული, ჯოისის ეპიფანია კი ჭეშმარიტების გამოცხადებაა, მაგრამ არა მხოლოდ „დუბლინელების“ გმირებისათვის, არამედ თავად მკითხველისთვისაც.

ლიტერატურა

ბიულერი, 1996 — Beaudry, Mary C, “Reinventing Historical Archaeology” in Historical Archaeology and the Study of American Culture, edited by Lu Ann De Cunzo and Bernard L Herman. Winterthur, Delaware, Knoxville: Henry Francis du Pont Winterthur Museum. Distributed by University of Tennessee Press, 1996.

ჯოისი, 1996 — Joyce, J. Dubliners, Penguin Books, 1996.

ჯონსი, 1996 — Joyce, J. Stephen Hero, edited by T. Spencer. New York: New York Directions, 1944.

მაკკორმაკი და სტედი, 1982 — W J McCormack & A Stead (Eds), *James Joyce and Modern Literature*, Routledge & Kegan Paul Ltd., London, 1982

ინტერნეტრესურსები

მამფორდი, 1995 — Mumford, L. as cited by Bowman, A. and Pagan, M. (editors). *Citiescapes & Capital, The Politics of Urban Development*, Baltimore and London: John Hopkins University Press, 1995, <http://individual.utoronto.ca/elenastrong/theory.htm>, 09.12.2012, 18.05 p.m.

უორდსვორთი, 1888 — Wordsworth, W., Tintern Abbey , 1888, <http://www.bartleby.com/145/ww138.html>, 20.10.2012, 20.30. pm

იეთსი — http://www.goodreads.com/author/quotes/29963.W_B_Yeats, 10.10.2012, 4.40 pm

NATALIA BAGDAVADZE

Stylistic Value of Landscape in James Joyce's *Dubliners*

Summary

The purpose of this paper is to investigate the stylistic value of landscape in James Joyce's *Dubliners*.

Drawing upon critical analysis of the literary, historic, religious and cultural dimensions of Joyce's contemporary Ireland, the paper provides a new perspective on the landscape in *Dubliners*.

The landscapes in *Dubliners* are not confined to the simple role of a background. Realistic urban depictions comprise jostling streets, elaborate architectural elements, broad vistas, wide colour palette and acoustic effects. However, these external details have a deeper symbolic meaning. A lot more is left to the imagination of the reader through deliberate gaps and allusive phrases. For instance, the portraits of buildings and monuments, which are

supposed to evoke pride, unexpectedly emerge as “menacing” symbols of colonial oppression; or embody oblique figures of frustration submerged into the heaviness of the landscape.

This paper also argues that the landscape contributes to forming an epiphany, the stylistic device and symbolic literary technique that Joyce exploits to construct the collection. It is also shown how the existential moments, central to the characters' lives, coincide with the perception of the landscapes, the way they are – disappointing (*Araby*), silent (*The Dead*), empty and wintry (*The painful case*). These moments of characters' profound insights - that expectations cannot ever match the reality - come in dark and dreary places, where protagonists lose hope to escape or change anything. The landscape provides definition, leads to and at times is absorbed in multiple epiphanies, exposing Dublin as a city of submissiveness and apathy.

Finally, this research claims that Joyce's landscape turns into a symbolic ground for reality that reveals the eternal existential question - what is the point of striving and living at all.

სიბილა ბაღაძე

პოლიტიკური დისკურსის სტრატეგიები და ლინგვისტური მარკერები

ჩვენი კვლევა ეყრდნობა რიტორიკისა და პრაგმატიკა-ლინგვისტიკის საფუძვლებს და ამიტომ ანალიზისას მოვიშველიებთ როგორც რიტორიკის ელემენტებს, ასევე პრაგმატიკულ-ლინგვისტურ კატეგორიებს. დღეს მოჭარბებულად ისმის კითხვები პოლიტიკური დისკურსის შესახებ, რაც სრულიად ბუნებრივია დღევანდელ პოლიტიკურ მსოფლიოში. გავიხსენოთ, რა არის პოლიტიკური დისკურსი? ამაზე პასუხს იძლევა, უპირველეს ყოვლისა, არისტოტელე, რომელიც მიიჩნევს, რომ არსებობს სამი ძირითადი ტიპის დისკურსი, იქიდან გამომდინარე, რომ არსებობს სამი ტიპის მსმენელი და დისკურსი მიმართული უნდა იყოს ერთერთი ტიპის მსმენელისადმი და მიზნად უნდა ისახავდეს გარკვეული ტიპის სოციალურ შედეგს: პოლიტიკურს, იურიდიულსა და ეპიდემიკურს, ანუ, დემონსტრაციულს. პოლიტიკური დისკურსი ემსახურება პოლიტიკურ მიზანს და მიმართულია იქითკენ, რომ აიყოლიოს და სამოქმედოდ გადაწყვეტილება მიადებინოს მსმენელს, სამართლებრივი დისკურსი მიმართულია მოსამართლის მისამართით და ცდილობს მის დარწმუნებას ან ვინმეს დანაშაულში, ან პირიქით, უდანაშაულობაში, ხოლო ეპიდემიკური დისკურსი ეძღვნება რომელიმე პიროვნების ხობას ან განქიქებას და მიზნად აქვს გარკვეული ღირებულების დემონსტრირება. თითოეულ დისკურსს თავისებური ტექნიკა და გრამატიკული დროების ხმარება შეესაბამება. **A priori** შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივ დისკურსში გამოიყენება წარსული დრო, რადგან ჩადენილ აქტზეა ლაპარაკი, პოლიტიკურ დისკურსში ჭარბობს მომავალი დროის ხმარება, რადგან მომავლის შედეგებზეა ლაპარაკი, ხოლო ეპიდემიკურ დისკურსში ძირითადად აწმყო დრო იხმარება, მაგრამ შეიძლება წარსული და

მომავალიც იყოს გამოყენებული. სამართლებრივი დისკურსი რიტორიკულ სილოგიზმს ეყრდნობა, პოლიტიკური — მავალითებს, ხოლო ეპიდემიკური — პიროვნული მასშტაბის ჩვენებას.

პოლიტიკური დისკურსი განსხვავდება სხვა ტიპის დისკურსებისგან იმით, რომ მისი მიზანია სხვების მომხრობა, დარწმუნება და პროპაგანდისტული ხასიათი აქვს. მისი საბოლოო მიზანია იმ გარემოების შექმნა, როცა შესაძლებელი გახდება გარკვეული იდეოლოგიის (რაც შეიძლება ეხებოდეს მოცემულ მომენტში არსებული რეალობის შენარჩუნებას ან ცვლილებას) გატარება. პოლიტიკური დისკურსის სიძლიერე რიტორიკული ტექნიკის გამოყენებაშია, რაც მეტ დამაჯერებლობასა და ემოციურობას მატებს მას. თუ მედიაში ფართოდ გახმაურებლ ამბებს ეხება პოლიტიკური დისკურსი, ის ესადაგება დამაჯერებელ რეალობას, რომელიც კონსტრუირებულია *in situ*. (დორნა, 2005). არსებულ კვლევათა საფუძველზე შემუშავებულია რამდენიმე კრიტერიუმი, რომლებსაც ეყრდნობა პოლიტიკური დისკურსი. ესენია:

- ზუსტი მიზნები, რომლებითაც პოლიტიკოსი შეძლებს სასურველი მიმართულებით წაიყოლიოს სხვა ადამიანი;
- პერსუასიული მექანიზმები, რომლებიც წინ უძღვის ხელისუფლების იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ მიზნებს,
- სტრატეგიული ნიმუშის ფორმა, რომლის ენობრივი ნაკვალევიც ხელშესახებია ნათქვამით და მისი შედეგებით;
- სიმსრთლისმსგავსი ლოგიკა და არა სიმართლე;
- ემოცია პოლიტიკური დისკურსის განუყოფელი ნაწილი;
- დისკურსული ფორმები, ზედტერმინებული არსებული საზოგადოების ისტორიითა და კულტურით.

გავრცელებული აზრით, პოლიტიკური დისკურსი უპირატესად არის იდეოლოგიათა მატარებელი, რასაც შედეგად მოჰყვება მომხრეთა მანიპულაცია და მოწინააღმდეგეთა უარყოფა. მაშასადამე, პოლიტიკური დისკურსი არის მასობრივი პროპაგანდის ერთ-ერთი ვარიანტი. (მეტ-ნაკლებად აღიარებული).

პოლიტიკური დისკურსი ამ ბოლო დროს უფრო და უფრო ეყ-

რდნობა წონად სიტყვებს, სტილურ ფიგურება და იდეოლოგიას, რაც იმას ნიშნავს, რომ ის იგნორირებს სიღრმისეულ იდეებს და არგუმენტული ლოგიკის რაციონალობას. უფრო ზუსტად, სიტყვათა ემოციური ძალა აკრისტალებს მომენტის ემოციურობას და არყვეს მიღებულ ზოგად ღირებულებებს. გამოდის, რომ სიტყვებშია მთავარი ძალა და არა არგუმენტულ კოპერენტულობაში!

გავრცელებული აზრით, პოლიტიკურ დისკურსში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მრავალრიცხოვანი რიტორიკული ფიგურა და ეს ხდება არა მხოლოდ დისკურსის გასალამაზებლად, არამედ მისი კონსისტენციის გაზრდისთვის და ემოციური მნიშვნელობის მომატებისთვის. პერსუასიული სტილი, რომელიც დომინანტურია პოლიტიკურ დისკურსში, ეყრდნობა მოდელიზებათა ინტენსივობას, რაც მასობრივადაა გამოყენებული პოლიტიკური დისკურსის მიზანსცენაში (კონსტრუირებაში) და რიტორიკულ ფორმულებში, ხოლო მოქმედების გამომხატველი ენობრივი ნიშნები (დეკლარატიული და ფაქტიური ზმნები) თანაზომიერადაა განაწილებული დისკურსში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი პოლიტიკური დისკურსი, რომელიც გარკვეული იდეოლოგიის მატარებელია, ხასიათდება იმ მარკერებით, რომლებიც სათანადო სოციოკულტურული და ისტორიული კონტექსტით არის განპირობებული. ამიტომ, პოლიტიკური დისკურსის მნიშვნელობის გასაგებად აუცილებელია ეპოქათა შესწავლა ყურადღებით, რადგან უნდა გამოიკვეთოს ის ნიშან-თვისებები, რომლებიც დაკავშირებული იქნება სიტუაციათა დიალექტიკასთან და ხალხის სულიერ მდგომარეობასთან.

ზმნა არის პოლიტიკური დისკურსის საფუძველი, ის არის კოპეზიური და ასერტიული, რითაც გამონათქვამს რეალობის მნიშვნელობა ეძლევა. ზმნა ფრაზათა ორგანიზებას ახდენს, როცა ქვემდებარე უპირისპირდება რეფერენტების მიზანსცენას, მას სჭირდება ამოარჩიოს ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც გამოიყენება ენის სოციო-კულტურული კოდიდან გამომდინარე. ბრომბერგისა და დორნას მიერ ჩატარებული ექსპერიმენტით (1985წ.) გამოვლინდა, რომ დისკურსს უფრო მეტი პერსუასიული ძალა აქვს როცა ის შემასმენელთა

კლასს ეყრდნობა, ვიდრე სხვა სიტყვათა კლასს. ეს შემასმენელები არის სტატიური, დეკლარატიული და ფაქტიური იმისდა მიხედვით თუ რა რეგისტრს გამოკვეთს დისკურსი: ყოფნა-ქონას (სტატიური), მოსაუბრის დამოკიდებულებას (დეკლარატიული) თუ ქმედებას (ფაქტიური).

პოლიტიკოსს მართებს სიტუაციათა ცოდნა და რიტორიკული ელემენტების ფლობა (ეთოსი, ლოგოსი, პათოსი), რათა შეძლოს საკუთარი დისკურსის სტრატეგიათა სტრუქტურირება, რომლებიც ძლიერ კონტექსტუალიზებული იქნება.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ ევროპული პოლიტიკური დისკურსის ევოლუციას ზოგადად ანტიკურობიდან დღემდე, ამისათვის საანალიზოდ გამოგვაქვს ციცერონის დისკურსი კატილინას წინააღმდეგ, რომელიც არის პოლიტიკურიც და ებიდიქტიკურიც, დეგოლის მიმართვა ფრანგი ხალხისადმი საფრანგეთის ოკუპაციის დროს და დღევანდელი პოლიტიკური დისკურსები ნიკოლა სარკოზისა, რათა გამოვკვეთოთ, როგორ შეიცვალა ან არ შეიცვალა პოლიტიკური დისკურსის ენობრივი სტრუქტურა, რიტორიკულ ფიგურათა ხმარება, ეთოსის ცნება დროთა განმავლობაში, პათოსის როლი და ლოგოსის ხასიათი. ცნობილია, რომ ნებისმიერ დისკურსს აქვს პერსუასიული ხასიათი, რადგან ის მიმართულია მსმენელის დარწმუნებისკენ. ეს ფაქტორი უმნიშვნელოვანესია პოლიტიკური დისკურსისათვის. ახლა კი, უშუალოდ ციცერონის დისკურსის შესახებ:

ციცერონი გამოდის სენატში და მიმართავს კატილინას, მისი დისკურსი პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დავეთვა : I კითხვები კატილინას, რომელიც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაშია შემჩნეული ამ კითხვებიდან ჩანს კატილინას სამარცხვინო ქმედებები, ანუ კითხვების შინაარსი არწმუნებს სენატორებს კატილინას მოღალატეობაში. ეს ნაწილი მთავრდება ციცერონის რიტორიკული შედახილით — „ო, დროებავ, ო, ზნეობავ (O tempora, o mores)“ რითაც ის ერთგვარად გამოყოფს ერთმანეთისგან ამ ორ ნაწილს. მეორე ნაწილში ის პირდაპირ ეუბნება კატილინას სიკვდილს იმსახურებო.

როგორც ვხედავთ, მოცემულ მონაკვეთში ციცერონი სვამს რი-

ტორიკულ კითხვებს და ამავდროულად ახასიათებს კატილინას, როგორც მტერს, რომელსაც სურს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა. რიტორიკასა და პოლიტიკას შორის არსებულ კავშირზე ჯერ კიდევ არისტოტელე მიუთითებდა. თავის რიტორიკაში ის წერს: “რიტორიკა ერთგვარი განშტოებაა დიალექტიკისა და იმ ზნეობრივი მეცნიერებისა, რომელსაც პოლიტიკა უნდა ვუწოდოთ. რიტორიკა ხშირად ირგებს პოლიტიკის ნიღაბს, ხოლო ვისაც პრეტენზია აქვს რიტორიკის პრაქტიკაში გამოყენებისა, იმავეს აკეთებს, ზოგჯერ უკულტურობის გამო, ზოგჯერ კი შარლატანობით, ან სხვა მიზეზით“ (არისტოტელე, 1967, 77) იგივე არისტოტელე მიიჩნევს, რომ პოლიტიკური დისკურსის თემებია: ომი, მშვიდობა, შემოსავლები, ტერიტორიის დაცვა, იმპორტი, ექსპორტი, კანონმდებლობა და ა.შ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, პოლიტიკური დისკურსი იყენებს რიტორიკულ ხერხებს, კარგად თქმის ხელოვნებას, რაც ორატორის ეთოსს კარგად წარმოაჩენს და ამავე დროს, თუ ორატორი წარმატებულია, ის აუდიტორიას აიყოლიებს და მის დარწმუნებას მოახერხებს. პრაგმატიკა-ლინგვისტიკის გადასახედიდან თუ ვიტყვით, როცა ენონსიატორი არის პოლიტიკოსი, იგი უნდა შეეცადოს, რომ აუდიტორიის თვალში მისი ეთოსი შეიქმნას რწმენის, ავტორიტეტის, ძლიერების და მომხიბვლელობის საფუძველზე, მიიჩნევს პატრიკ შაროდო (შაროდო, 2005) პოლიტიკური დისკურსის თავისებურება ისაა, რომ პოლიტიკოსი ცდილობს დაარწმუნოს მოქალაქე თავისი გეგმისა და ქმედების სიკეთეში და გააკეთებინოს რაღაც იქიდან გამომდინარე, დააჯეროს თავის ნალაპარაკეში, რის შედეგადაც იქმნის ლიდერის იმიჯს, ხიბლავს პუბლიკას და ცდილობს ჩართოს ის თავის პოლიტიკაში. ზემოთქმულის აბსოლუტურად ადეკვატურია გენერალ დე გოლის პოლიტიკური დისკურსები. მაგალითად მოვიყვანოთ მისი სიტყვას, რომლითაც ლონდონიდან ბიბისის რადიოთი მიმართა ფრანგ ხალხს ოკუპირებულ საფრანგეთში. მანამდე კი განვიხილოთ მისი მიმართვა ყველა ფრანგისადმი, რომელიც გამოკრული იყო ლონდონის ყველა სახლის კედელზე. ეს მიმართვაც პოლიტიკური დისკურსია, ოღონდ შედარებით მოკლე. “საფრანგეთმა წააგო ერთი ბრძოლა, მაგრამ სა-

ფრანგეთს არ წაუგია ომი! მთავრობის წევრებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს, პანია მოერიათ, ღირსება დაივიწყეს, ქვეყანა მონობისთვის გასწირეს. მაგრამ, დაკარგული არაფერია! დაკარგული არაფერია, რადგან ეს ომი მსოფლიო ომია. თავისუფალ სამყაროში უდიდესი ძალებია. ერთ დღესაც ეს ძალები გადაუგლიან მტრებს. ამ დღისათვის საფრანგეთი უნდა იდგეს გამარჯვებული. ის დაიბრუნებს თავისუფლებასა და დიდებას. ეს არის **ჩემი მიზანი, ჩემი ერთადერთი მიზანი!** აი, რატომ ვთხოვ ყველა ფრანგს, სადაც არ უნდა იყოს, რომ შემომიერთდეს მე ქმედებაში, თავგანწირულობასა და სასოებაში. ჩვენი სამშობლო სიკვდილს ებრძვის, ვიბრძოლოთ მის გადასარჩენად! გაუმარჯოს საფრანგეთს!

ამ დისკურსში გამოყენებულია საყოველთაოდ გავრცელებული სტრატეგიული ხერხები, რომელთაც იდეოლოგიური კვადრატი შეიძლება ეწოდოს, ესენია: 1) საკუთარი შეხედულების პოზიტიური პუნქტების ხაზგასმა, 2) საპირისპირო მხარის ნეგატიური პუნქტების აქცენტირება, 3) საკუთარი ნეგატიური პუნქტების გაფერმკრთალება და 4) საპირისპირო მხარის პოზიტიური პუნქტების გაფერმკრთალება. ამ პოლიტიკური დისკურსიდან ჭვივის პატრიოტი და მაღალი ზნეობის ფრანგის ეთოსი, ლიდერისა და ძლიერი ადამიანის ეთოსი, რომელსაც შეუძლებელია არ მოჰყვეს შესაბამისი ემოცია, პათოსი პუბლიკიდან. ლინგვისტური თვალსაზრისით, გამოყენებულია რეპრიზები მთავარი აზრის ხაზგასასმელად. გრამატიკული დროებიდან გამოყენებულია აწმყო დრო და ბრძანებითი კილო, რომელსაც მომავლის შეფერილობა აქვს. რაც შეეხება ბიბისისიდან გაქვრებულ დე გოლის მიმართვას, აქაც ისმის რიტორიკული კითხვები **მაგალითად, Mais le dernier mot est-il dit ? L'espérance doit-elle disparaître ? La défaite est-elle définitive ? Non ! (განა ბოლო სიტყვა ნათქვამია? განა იმედი უნდა გაჰქრეს ? მარცხი საბოლოოა ? არა.),** ისევე როგორც ციცერონის ჩვენ მიერ მოყვანილ დისკურსში და აქაც არის რეპრიზები, — **Car la France n'est pas seule ! Elle n'est pas seule ! Elle n'est pas seule ! Elle a un vaste Empire derrière elle** (საფრანგეთი მარტო არა რის, მარტო არა რის, მარტო არა რის, მის უკან

დიდი იმპერია, ბრიტანეთი) **Cette guerre n'est pas limitée au territoire malheureux de notre pays. Cette guerre n'est pas tranchée par la bataille de France. Cette guerre est une guerre mondiale. (ეს ომი მართო ჩვენი უბედური ქვეყნის ტერიტორიით არ შემოიფარგლება, ეს ომი საფრანგეთის ბრძოლით არ არის დამთავრებული, ეს ომი მსოფლიო ომია)** როგორც ვხედავთ, განმეორება ხდება სემანტიკურად ზედტერმინებული სიტყვებისა, ესენია ომი და მთელი წინადადება — **საფრანგეთი მართო არ არის.**



ზედიზედ ნახმარი, Je veux leur dire que ორჯერ, Je veux სამჯერ, Je le ferai სამჯერ. დისკურსი მთავრდება ფრაზით — “გაუმარჯოს საფრანგეთს“. სარკოზის დისკურსში ჩანს, რომ “მე“ არის წინ წამოწეული, რაც დე გოლთან არ არის ასე ხაზგასმული. ეს მეტყველებს ენონსიატორის ეთოსზე, რის მიხედვითაც ეს არის ამბიციური ადამიანის დისკურსი, რომელიც საკუთარი თავის წარმოჩენას ცდილობს საუკეთესო მხრივ. მას სურს თავი მოაწონოს მომხრეებსა და არამომხრეებსაც.

ახლა ვნახოთ უკვე დღევანდლობის პოლიტიკური დისკურსი. ნიკოლა სარკოზი ხვდება თავის მომხრეებს წინასაარჩევნოდ. ეს არის დაპირებების დისკურსი. სარკოზი მიმართავს ყველას, ვინც მხარი დაუჭირა ან არ დაუჭირა. მიმართავს აფრიკელებსა და სხვა იმიგრანტებს. მას სურს იყოს ყველას პრეზიდენტი. როგორც ყველა პოლიტიკური დისკურსი ესეც ხასიათდება მომავალი დროის ხმარების სიჭარბით, ანუ დაპირებებზეა აგებული და ხასიათდება აგრეთვე რეპრიზებით : მაგ. Ma pensée va à არის სამჯერ

თუ სამივე პოლიტიკურ დისკურსს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ სამივე დისკურსი იყენებს დისკურსულ სტრატეგიას ლოგიკურ კვადრატს, სამივე დისკურსის მიზანია პუბლიკის მიმხრობა, რისთვისაც გამოყენებულია როგორც დეკლარაციული, ასევე ფაქტიტიური ზმნები და რეპრიზები, ძირითადი აზრების გამოკვეთის მიზნით. სამივე არის პერსუასიული ხასიათისა და სამივე გამოკვეთილად ავლენს პრაგმატიკულ კატეგორიებს: ეთოსს, პათოსს და ლოგოსს, სამივე დისკურსი გარკვეული იდეოლოგიის მატარებელია და გამიზნულია ამ იდეოლოგიის წარმატებით დანერგვისათვის ხალხში, სათანადო დროის პერიოდის გათვალისწინებით. ამ სამი დისკურსის შედარებისას ჩანს, რომ მიუხედავად ტემპორალური დისტანციებისა, სტრატეგიები და მიზნები ერთი და იგივეა, განსხვავება კი გამომდინარეობს პათოსიდან, ემოციიდან, რომელიც იმ სოციოკულტურული და ისტორიული მომენტიდან გამომდინარეობს : ციკერონის დისკურსი იწვევს აღწევთების ემოციას კატილინას მიმართ, დე გოლის დისკურსი წარმოშობს აღმაფრენასა და მაღალ პატრიოტულ ემოციებს, ხოლო სარკოზის სიტყვა ხალხში გულისმოგების ემოციას ბადებს.

გაანალიზებული ფრანგულენოვანი პოლიტიკური დისკურსების სრული ტექსტი:

1. ციკერონის დისკურსი

Enfin, Catilina ! jusques à quand abuseras-tu de notre patience ? Combien de temps encore cette folie qui est la tienne se jouera-t-elle de nous ? Jusqu'ou ton audace effrénée se déchaînera-t-elle ? Rien, ni la garde nocturne du Palatin, ni les rondes en ville, ni le rassemblement de tous les bons citoyens, ni la crainte du peuple, ni ce lieu très protégé où se réunit le Sénat, ni l'expression ou le visage des personnes ici présentes ne t'ont émues ? Tes projets s'étalent au grand jour, tu ne le sens pas ? Ta conjuration, puisqu'elle est déjà connue de tous ici, est étouffée, tu ne le vois pas ? Ce que tu as fait la dernière et l'avant-dernière nuit, où tu as été, qui tu as convoqués, ce que tu as décidé, crois-tu qu'un seul d'entre nous l'ignore ? O temps ! O mœurs ! Le Sénat a tout compris, le consul le voit : celui-ci pourtant vit. Il vit ? Et mieux encore, il vient même au Sénat, il participe au conseil de la République, il marque et désigne des yeux chacun de nous pour l'assassiner. Quant à nous, hommes courageux, nous croyons faire assez pour l'Etat si nous évitons la folie et les ar-

mes de cet individu. Mort à toi, Catilina ! il y a bien longtemps déjà que l'on aurait dû t'y conduire sur ordre du consul et qu'aurait dû retomber sur ta tête le coup fatal que toi tu machines contre nous tous depuis longtemps...

2. დე გოლის დისკურსი

Les chefs qui, depuis de nombreuses années, sont à la tête des armées françaises, ont formé un gouvernement. Ce gouvernement, alléguant la défaite de nos armées, s'est mis en rapport avec l'ennemi pour cesser le combat. Certes, nous avons été, nous sommes, submergés par la force mécanique, terrestre et aérienne, de l'ennemi. Infiniment plus que leur nombre, ce sont les chars, les avions, la tactique des Allemands qui nous font reculer. Ce sont les chars, les avions, la tactique des Allemands qui ont surpris nos chefs au point de les amener là où ils en sont aujourd'hui. Croyez-moi, moi qui vous parle en connaissance de cause et vous dis que rien n'est perdu pour la France. Les mêmes moyens qui nous ont vaincus peuvent faire venir un jour la victoire. Elle peut faire bloc avec l'Empire britannique qui tient la mer et continue la lutte. Elle peut, comme l'Angleterre, utiliser sans limites l'immense industrie des Etats-Unis. Cette guerre n'est pas limitée au territoire malheureux de notre pays. Cette guerre n'est pas tranchée par la bataille de France. Cette guerre est une guerre mondiale. Toutes les fautes, tous les retards, toutes les souffrances, n'empêchent pas qu'il y a, dans l'univers, tous les moyens nécessaires pour écraser un jour nos ennemis. Foudroyés aujourd'hui par la force mécanique, nous pourrions vaincre dans l'avenir par une force mécanique supérieure. Le destin du monde est là. Moi, Général de Gaulle, actuellement à Londres, j'invite les officiers et les soldats français qui se trouvent en territoire britannique ou qui viendraient à s'y trouver, avec leurs armes ou sans leurs armes, j'invite les ingénieurs et les ouvriers spécialistes des industries d'armement qui se trouvent en territoire britannique ou qui viendraient à s'y trouver, à se mettre en rapport avec moi. Quoi qu'il arrive, la flamme de la résistance française ne doit pas s'éteindre et ne s'éteindra pas.

3. სარკოზის დისკურსი

Mes chers compatriotes,
En m'adressant à vous ce soir, dans ce moment qui est, chacun le comprend, exceptionnel dans la vie d'un homme, **je ressens** une immense émotion. **J'éprouve** depuis mon plus jeune âge la fierté indicible d'appartenir à une grande, vieille et belle nation, la France. **Je l'aime** comme on aime les êtres chers qui nous ont tout donné. Maintenant c'est à mon tour de tout lui donner.

Ce soir ma pensée va aux millions de Français qui aujourd'hui m'ont témoigné leur confiance. **Je veux** leur dire qu'ils m'ont fait le plus grand honneur qui soit à mes yeux en me jugeant digne de présider aux destinées de la France. Ma pensée va à tous ceux qui m'ont accompagné dans cette campagne. **Je veux** leur dire ma gratitude et mon affection.

Ma pensée va à Madame Royal. **Je veux** lui dire que j'ai du respect pour elle et pour ses idées dans lesquelles tant de Français se sont reconnus.

Ma pensée va à tous les Français qui n'ont pas voté pour moi. **Je veux** leur dire que par-delà le combat politique, par-delà les divergences d'opinions, il n'y a pour moi qu'une seule France.

Je veux leur dire que **je serai** le Président de tous les Français, que **je parlerai** pour chacun d'entre eux. **Je veux** leur dire que ce soir, ce n'est pas la victoire d'une France contre une autre. Il n'y a pour moi ce soir qu'une seule victoire, celle de la démocratie, celle des valeurs qui nous unissent, celle de l'idéal qui nous rassemble. Ma priorité sera de tout mettre en œuvre pour que les Français aient toujours envie de se parler, de se comprendre, de travailler ensemble.

Le peuple français s'est exprimé. Il a choisi de rompre avec les idées, les habitudes et les comportements du passé. **Je veux** réhabiliter le travail, l'autorité, la morale, le respect, le mérite. **Je veux** remettre à l'honneur la nation et l'identité nationale. **Je veux rendre** aux Français la fierté d'être Français. **Je veux** en finir avec la repentance qui est une forme de haine de soi, et la concurrence des mémoires qui nourrit la haine des autres.

Le peuple français a choisi le changement. Ce changement **je le mettrai** en œuvre parce que c'est le mandat que **j'ai reçu** du peuple et parce que la France en a besoin. Mais **je le ferai** avec tous les Français. **Je le ferai** dans un esprit d'union et de fraternité. **Je le ferai** sans que personne n'ait le sentiment d'être exclu, d'être laissé pour compte. **Je le ferai** avec la volonté que chacun puisse trouver sa place dans notre République, que chacun s'y sente reconnu et respecté dans sa dignité de citoyen et dans sa dignité d'homme. Tous ceux que la vie a brisés, ceux que la vie a usés doivent savoir qu'ils ne seront pas abandonnés, qu'ils seront aidés, qu'ils seront secourus. Ceux qui ont le sentiment que quoi qu'ils fassent ils ne pourront pas s'en sortir doivent être sûrs qu'ils ne seront pas laissés de côté et qu'ils auront les mêmes chances que les autres.

J'appelle tous les Français par-delà leurs partis, leurs croyances, leurs origines, à s'unir à moi pour que la France se remette en mouvement.

J'appelle chacun à ne pas se laisser enfermer dans l'intolérance et dans le sectarisme, mais à s'ouvrir aux autres, à ceux qui ont des idées différentes, à ceux

qui ont d'autres convictions.

Je veux lancer un appel à nos partenaires européens, auxquels notre destin est lié, pour leur dire que toute ma vie j'ai été européen, que je crois en la construction européenne et que ce soir la France est de retour en Europe. Mais **je les conjure** d'entendre la voix des peuples qui veulent être protégés.

Je les conjure de ne pas rester sourds à la colère des peuples qui perçoivent l'Union Européenne non comme une protection mais comme le cheval de Troie de toutes les menaces que portent en elles les transformations du monde.

Je veux lancer un appel à nos amis Américains pour leur dire qu'ils peuvent compter sur notre amitié qui s'est forgée dans les tragédies de l'Histoire que nous avons affrontées ensemble. **Je veux leur dire** que la France sera toujours à leurs côtés quand ils auront besoin d'elle. Mais **je veux leur dire** aussi que l'amitié c'est accepter que ses amis puissent penser différemment, et qu'une grande nation comme les Etats-Unis a le devoir de ne pas faire obstacle à la lutte contre le réchauffement climatique, mais au contraire d'en prendre la tête parce que ce qui est en jeu c'est le sort de l'humanité tout entière.

Je veux lancer un appel à tous les peuples de la Méditerranée pour leur dire que c'est en Méditerranée que tout se joue, et que nous devons surmonter toutes les haines pour laisser la place à un grand rêve de paix et de civilisation.

Je veux leur dire que le temps est venu de bâtir ensemble une Union Méditerranéenne qui sera un trait d'union entre l'Europe et l'Afrique.

Je veux lancer à tous les Africains un appel fraternel pour leur dire que nous voulons les aider à vaincre la maladie, la famine et la pauvreté et à vivre en paix. **Je veux leur dire** que nous déciderons ensemble d'une politique d'immigration maîtrisée et d'une politique de développement ambitieuse.

Je veux lancer un appel à tous ceux qui dans le monde croient aux valeurs de tolérance, de liberté, de démocratie et d'humanisme, à tous ceux qui sont persécutés par les tyrannies et par les dictatures, à tous les enfants et à toutes les femmes martyrisés dans le monde pour leur dire que la France sera à leurs côtés, qu'ils peuvent compter sur elle.

Mes chers compatriotes, **nous allons écrire ensemble une nouvelle page de notre histoire.** Je suis sûr qu'elle sera grande et belle, et du fond du cœur ce soir je vous dis :

Vive la République !Vive la France !

ლიტერატურა

არისტოტელე, 1967 — Aristote, « Rhétorique, 1 ,2, 1356, « Belles Lettres » Paris, 1967.

ადამი, 2008 — Adam, J. M., La linguistique textuelle, Paris, Armand Colin, 2008.

არმენგო, 2007 — Armengaud, Fr., La pragmatique, PUF, 2007.

შარუდო, 2005 — Charodeau, P. «L'impossible transparence du discours»; in Les médias et l'information, De Boeck-Ina, 2005.

დორნა, ჟორჟე 2007 — Dorna, A., Georget, P. « Quand le contexte surdétermine le discours politique », *Le Journal des psychologues* n° 247. 2007.

გრემასი, 2007 — Greimas, A., Sémantique structurale, PUF, 2007.

ვან დიქი, 2007 — Van Dijk , T., Politique, ideologie, discours, in Semen, 2007.

SYBILLA GELADZE

Strategies and Linguistic Markers of Political Discourse

Summary

The paper investigates the evolution of the phenomenon of political discourse from the standpoints of rhetorics and pragmatics. Different samples of political discourse are analyzed in their cultural and temporal settings: viz. the paper discusses Cicero's speech against Catiline, Charles de Gaulle's address to the French people during the German occupation, and Nicolas Sarkozy's political discourse. The study aims to find out whether there are any structural or rhetorical differences between the texts under discussion, or how logos, ethos or pathos are presented in them. The analysis has proved that the three samples of political discourse are characterized by the use of identical discursual strategies aiming to persuade the audience and gain their support. For this purpose factitive as well as declarative verbs are employed. However, there are differences in the pathos: Cicero's discourse invokes indignation towards Catiline, Charles de Gaulle's speech inspires the audience, appealing to their patriotic feelings. whereas Sarkozy's discourse arouses the feeling of satisfaction in the audience.

სიზილს ბელაჰი

მეტაფორის ინტერპრეტაცია კონტექსტთან

ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე პირველი იყო, რომელმაც მეტაფორა მოიხსენია როგორც მნიშვნელოვანი ენობრივი პროცესი. შემდგომ, ფრანგმა რიტორმა პიერ ფონტანიემ მეტაფორა განსაზღვრა როგორც „მსგავსების ტროპი“. ეტიმოლოგიურად ფორა ნიშნავს მოძრაობას, ადგილის მიხედვით ცვლილებას. მაშასადამე, მეტაფორა მოძრაობაა, მეტაფორა პროცესია. არგუმენტაციის ზოგადი თეორიის მიხედვით, რომელიც ეყრდნობა ფიგურის სუბსტიტუციურ ფუნქციას, „მეტაფორა არის უპირატესად იდეენტობის მაჩვენებელი სუბსტიტუცია, რადგან ის ამტკიცებს, რომ **A** არის **B**“. უფრო ზუსტად, ფრაზის სივრცეში ხდება ერთი სიტყვის სუბსტიტუცია მეორე სიტყვით, რომელიც იმავე პარადიგმატიკულ ლერძზე იმყოფება, ამასთან ეს სიტყვები წარმოადგენენ სხვადასხვა რეალობა, რომელთა შორისაც რაღაც მსგავსება შეინიშნება. ფიგურა ერთ რეალობას მეორე რეალობად წარმოაჩენს და ზეგავლენას ახდენს ენის რეფერენციულ ფუნქციაზე. მეტაფორის მნიშვნელობის გასაგებად კონტექსტი ხშირად აუცილებელი ფაქტორია. მეტაფორა სხვადასხვანაირად შეიძლება განისაზღვროს იმისდა მიხედვით, თუ რა თეორიის თვალსაზრისს გამოატყვის ის. მაგალითად, როგორც კატრინ ფრომილაგი მიიჩნევს, კოგნიტიური სემანტიკის თვალსაზრისით, მეტაფორა ის ფიგურაა, რომელიც შემეცნების პროცესს ემსახურება, რადგან ზოგიერთი აბსტრაქტული თუ სუბიექტური იდეის ფორმულირებისთვის მხოლოდ მეტაფორის გამოყენება შეიძლება. მაგ, თვითმფრინავის ფრთა, სპორტული მოედნის ფრთა მხოლოდ მეტაფორებია, რომელთაც ზუსტი ენობრივი ანალოგები არ აქვთ. მაშასადამე, „მეტაფორის საშუალებით ხდება უცნობი მოვლენების ახსნა და გამოხატვა. მაგალითად, სიმბოლისტური პოეზიის მანიფესტი აღიარებს, რომ მეტაფორა ბუ-

ნების შეუცნობელი და ილუმინირებული მოვლენების გამოხატვას ემსახურება.

მიჩნეულია, რომ მეტაფორა, ყველაზე მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი, პროტიფორმული აზრობრივი ფიგურაა მეტონიმიასთან ერთად. მისი ინტერგრაცია ტროპებთან ფრანგულ სინამდვილეში პიერ ფონტანიეს ეპოქასთან იგივედება. მეტაფორა არის რიტორიკული პროცედურა, რადგან შენარჩუნებული აქვს გარკვეულწილად არგუმენტული ხასიათი და გულისხმობს კომუნიკანტთა შორის კოოპერაციას და ამავე დროს დარწმუნების მიზანიც აქვს. საბოლოოდ, მეტაფორა მონაწილეობს კონცეპტუალიზაციაში, რაც ჩვეულებრივი აღნიშვნით მიუღწეველია, ანუ, მეტაფორა არის გრძობებისა და აზროვნების სინთეზით მიღებული ენობრივი ერთეული.

ჯორჯ ლაკოფმა და მარკ ჯონსონმა თავიანთ ნაშრომში „მეტაფორა ყოველდღიურ ცხოვრებაში“ გვიჩვენებს, რომ მეტაფორა არის ენობრივი დამხმარე საშუალება კონცეპტუალიზაციის პროცესში. მეტაფორა ისეთ რეალობაში გვახედებს, რომლის გამოხატვაც გრამატიკას არ შეუძლია. მაგ, მეტაფორა « **Jean est un lion** » (ჟანი ლომია) ამ ფრაზაში მეტაფორა სტილურ ფიგურად ჩაითვლება, ხოლო პირდაპირი გაგებით ლოგიკურ უზუსტობასთან გვექნება საქმე. მეტაფორულ გამოთქმაში ფრაზის შინაარსი არ უდრის მის შემადგენელ ელემენტთა მნიშვნელობების ჯამს. მეტაფორის ზუსტ აზრს შეიძლება ჩავწვდეთ მხოლოდ ენობრივი და კულტურული კონტექსტის დახმარებით. ხშირად მეტაფორა ეყრდნობა კლიშეებს, შაბლონებს და ალუზიებს, რაც ყველა ეპოქისათვის არის დამახასიათებელი, ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურული კონტექსტის ცოდნას. მეტაფორები გროსსო მოდო დაიყვანება ორ ჯგუფად: პირველი — გამოცხადებული მეტაფორა, ანუ, პირდაპირი, როცა რეალური ელემენტი და მისი გამოხატველი ენობრივი საშუალება, ორივე აშკარა და გრამატიკულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. მაგ.

« **Je me suis baigné dans le poème de la mer.** » ([Arthur Rimbaud](#)) (ვიბანავე ზღვის პოემაში).

« **La littérature : un coup de hache dans la mer gelée qui est en nous.** » ([Franz Kafka](#))

„ლიტერატურა: ნაჯახის ჩარტყმა ჩვენში არსებულ გაყინულ ზღვაში“

« **Les lois sont des toiles d'araignées, à travers lesquelles passent les grosses mouches et restent les petites.** » ([Honoré de Balzac](#)) — „კანონები ობობას ქსელებია, რომლებსაც მსხვილი ბუზები აღწევენ თავს, წვრილები — ვერა“.

« **Veil Océan, ô grand célibataire.** » ([Comte de Lautréamont, Les Chants de Maldoror, Chant I](#)) „ბებერო ოკეანე, დიდო უოჯახო არსება“.

ექსპლიციტურად არსებულ ამგვარ მეტაფორას, სხვანაირად, ექსპლიციტური მეტაფორა, ანუ მეტაფორა **in praesentia** ეწოდება.

მეორე ტიპის მეტაფორას, სხვანაირად არაპირდაპირ მეტაფორას უწოდებენ, ასეთ დროს რეალური ელემენტი არ ფიგურირებს, გამოყენებულია მხოლოდ მისი გამომხატველი ენობრივი საშუალება და მას ეწოდება მეტაფორა ინ აბსენტია. კიდევ სხვანაირად, ასეთ მეტაფორას კონტექსტუალური მეტაფორა ეწოდება. მაგ, ჰიუგოს ლექსის ფრაგმენტში: «**Cette faucille d'or dans le champ des étoiles**», რომელიც ქართულად ასე ჟღერს — „ეს ოქროს ნამგალი ვარსკვლავთა ველზე“, ოქროს ნამგალი არის კონტექსტური მეტაფორა, რომელიც აღნიშნავს მთვარეს, რასაც ჩვენ ვერ მივხვდებოდით, რომ არა „ვარსკვლავების ველი“, ანუ კონტექსტი — კადრი, ანუ ფრეიმი, გვენმარება მეტაფორის იდენტიფიკაციაში.

მრავალი მიდგომა, რომელიც მეტაფორის შესწავლისას ვლინდება, შეიძლება დაყვანილ იქნას სამ ძირითად თეორიამდე: შედარებითობის, სუბსტიტუციისა და ინტერაქციონისტულ თეორიებამდე. მეტაფორა მოქმედებს დისკურსის როგორც პარადიგმატიკაზე, ასევე სინტაგმატიკაზე. პარადიგმატიკა წარმოადგენს სიტყვათა ერთობლიობას, რომლის შიგნითაც არჩევანს აკეთებს მოსაუბრე, ანუ კომუნიკანტი, სინტაგმატიკა კი შეესაბამება სინტაგმას, რომელიც მიიღება სიტყვათა შორის კომბინირების წესების დაცვით, რის შედეგადაც იქმნება სინტაქსური თვალსაზრისით სწორად აგებული ფრაზები. ნებისმიერი ენა ამგვარი სტრუქტურისაა, რისი ფორმალისებაც რომან იაკობსონმა მოახერხა. მანვე მკაფიოდ განსაზღვრა, თუ რა კავშირი

არსებობს ენის სტრუქტურასა და დისკურსულ ფიგურებს, ანუ ტროპებს შორის. სტრუქტურული ლინგვისტიკა განიხილავს „მეტაფორის მოდელს“. სიტყვათა ყველანაირი კომბინაცია შესაძლებელია იმ პირობით, თუ სინტაქსური კოპერენტულობა იქნება დაცული, ამავე დროს, სემანტიკური კოპერენტულობა მეორეხარისხოვანია. მაგ, პოლ ელუარის ცნობილი ლექსის ფრაგმენტი «**La terre est bleue comme une orange**», — „დედამიწა ფორთოხალივით ლურჯია“. ამ შემთხვევაში კომუნიკანტი პარადიგმატიკულ ვერტიკალზე მოულოდნელ არჩევანს აკეთებს, რაც სემანტიკურად დაცილებულია კონტექსტიდან გამომდინარე წინადადების დანარჩენი ნაწილისაგან, რაც სტილისტურ ეფექტს ქმნის, სამაგიეროდ, სინტაგმატიკურ ჰორიზონტალზე კომუნიკანტი-ადრესანტი სწორ არჩევანს აკეთებს და შექმნილი ფრაზა კოპერენტულია. ჰიუგოს მეტაფორაში «**cette faucille d'or**» ოქროს ნამგალი, რომელიც მიგვანიშნებს მთვარეზე, ის მიმართავს მნიშვნელობის გადაადგილებას, სიტყვის – «**croissant**» — მთვარის რკალი, გადაადგილებით, რომელიც შეცვალა „ნამგალმა“ რაც შესაძლებელი გახდა იმ საერთო სემემების საფუძველზე, რომლებიც არსებობს მნათობსა და ხელსაწყო ნამგალს შორის, ორივეს ერთნაირი ნახევრად წრიული ფორმა აქვს. მეტი სიცხადისათვის მოვიყვანთ ჰიუგოს ლექსის ამ ფრაგმენტს:

“ **Immobile, ouvrant l'œil à moitié sous ses voiles,**

Quel dieu, quel moissonneur de l'éternel été,

Avait, en s'en allant, négligemment jeté

Cette faucille d'or dans le champ des étoiles.

([Victor Hugo](#), Booz endormi.)

ქართული ბჭკარედი:

„რომელმა ღმერთმა მოიქნია დაუღვევრად

ეს **ოქროს ნამგალი** ვარსკვლავთა ველზე.“

კომუნიკანტი-ადრესატის ცნობიერებაში არსებობს ორი სიტყვა, რომლებიც „მთვარის რკალს“ აღნიშნავს, ერთი ექსპლიციტურია, მეორე იმპლიციტური. მეტაფორა საშუალებას იძლევა ერთ სიტყვაში გააერთიანოს ორი სიტყვის მნიშვნელობა, რასაც მნიშვნელობის გადაადგილების ფენომენი ქმნის.

ადრესატი-კომუნიკანტი სხვადასხვა ტიპის მიმართებებს იყენებს, „ოქროს“ ნაცვლად მას შეეძლო გამოეყენებინა „ყვითელი“, რომელიც ოქროსფერის სემანტიკურ ველს ეკუთვნის აგრეთვე. მიმართება ოქროსფერსა და ყვითელს შორის სინონიმურია, შეიძლება წარმოვიდგინოთ სხვა ტიპის მიმართებებიც: პიპერონიმული, ანტონიმური და ომონიმური. მაშასადამე, ლინგვისტური თვალსაზრისით, მეტაფორის შექმნა ხდება პარადიგმატიკის ღერძზე არჩეულ სიტყვათა შორის გარკვეული მიმართების დამყარებით, ხოლო ეს უკანასკნელი ხორციელდება სინტაგმატიკის ღერძზე.

მართლაც, მეტაფორა დისკურსის ორ ღერძზე მოქმედებს: პარადიგმატიკულზე, რომელსაც სიტყვათა ერთობლიობა შეესაბამება, სადაც ადრესანტი-კომუნიკანტი არჩევანს აკეთებს და სინტაგმატიკურზე, რაც სიტყვათა შორის კომბინაციის წესების სწორი გამოყენებით სრულმნიშვნელოვან ფრაზას ქმნის.

რომან იაკობსონი მეტაფორას გვაწვდის, როგორც სუბსტიტუციის პროცესს, რითაც „ენის პოეტური ფუნქცია“ მოჰყავს მოქმედებაში, რაც პარადიგმატიკულ ღერძზე ხორციელდება და მიიღწევა სტილისტიკური ეფექტი, რომელიც გამოწვეულია შეუსაბამობის გამოყენებით, რითაც სემანტიკურად დაცილებული სიტყვები ერთიანდებიან. ამიტომ ბევრი მეტაფორა დამახვეველი მანიპულაციის შემცველად არის მიჩნეული, როცა საქმე ეხება პერსონიფიკაციას, მაგ. « Cet homme est un lion » (ეს კაცი ლომია) ან შოზიფიკაციას — « Cet homme a un cœur de pierre ». (ამ კაცს ქვის გული აქვს).

მეტაფორები მრავალი სინტაქსური კატეგორიიდან იქმნება: ზედსართავიდან – *des idées larges, une théorie solide, (farTe ideebi, soliduri Teoria) arsebiTi saxelidan – les fondations d’une théorie, (Teoriis saZirkveli) zmnidan – les prix grimpent, (fasebi micocavs) la société avance, (sazogadoeba win midis) windebulidan – dans l’informatique. (informatikaSi).*

ჩვენთვის საინტერესო იყო გამოგვეკვლია მეტაფორების ფუნქცია ინტერაქციისას, რაც ხორციელდება ინტერვიუს ადების მომენტში. ამისათვის გავაანალიზეთ ცნობილი ფრანგი მსახიობის ჟან როშფორის ინტერვიუ ცეზარით დაჯილდოების შესახებ, რომელიც მას ლეფიგაროს კორესპონდენტმა ჩამოართვა. ჩვენი მიზანი იყო გავვერკვია

რა მიზნით ხმარობდა კომუნიკანტი მეტაფორებს და, აქედან გამომდინარე, დავფიქრებელიყავით მის ეთოსზე, ლოგოსსა და პათოსზე. ანალიზმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ მეტაფორა იმისთვის არსებობს, რომ რეალობა გამოხატოს და არა იმისთვის, რომ დააფიქსიროს გადახრა ენასთან მიმართებით; მეტაფორის ბუნებისა და მასშტაბის დადგენაში გვეხმარება ლიტერატურული, ენონსიაციური და კულტურული კონტექსტი. პრაქტიკულად მეტაფორა საშუალებას იძლევა მოხდეს მნიშვნელობის კონცენტრაცია და არა მნიშვნელობის ნამდვილი ცვლილება. სრულიად ვიზიარებთ მარკ ბონომის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ფიგურები (ჩვენ შემთხვევაში მეტაფორა), ემსახურება გამონათქვამის დამახსოვრებას, ანუ აქვთ მნიშვნელოვანი მნიშვნელობა, ამას გარდა, აქვთ უნარი კომუნიკაციის მიმდინარეობაზე იქონიონ ზეგავლენა. (Marc Bonhomme... en ligne, 2009). მაგალითისთვის მოვიყვანთ ჟან როშფორის ინტერვიუს ცეზარებით დაჯილდოების შესახებ, რომელმაც ჟურნალისტისთვის მოულოდნელად მიმართულება შეიცვალა. ჟურნალისტი ეკითხება ჟან როშფორს მის აზრს ცეზარებით დაჯილდოების შესახებ და, რა თქმა უნდა, მოელის პოზიტიურ პასუხს, რადგან ჟან როშფორიც თავის დროზე დაჯილდოვეს ცეზარით. მაგრამ, ეს უკანასკნელი ამბობს, რომ არ სჯერა მსახიობების ცეზარით დაჯილდოებისა, რადგან მიაჩნია, რომ არ არის ტომბოლას მსახიობი. (ტომბოლა ფრანგულ კულტურაში არის საზეიმო ლატარია, როდესაც მოზეიმეები რაღაც პრიზებს იგებენ.) ტომბოლას მსახიობი არის მეტაფორა, ფრანგისთვის გასაგები, მაგრამ ქართველისთვის შეიძლება არ იყოს ცნობილი, ეს რა არის. რომ ფორმა იგულისხმავს, რომ ცეზარით მსახიობის დაჯილდოება არ ნიშნავს მისი ნამუშევრის ობიექტურ შეფასებას და რომ ეს ტომბოლაში მოგებულ პრიზს ჰგავს, რადგან მსახიობთა შორის არჩევანი კეთდება სუბიექტურად, ალალ ბედზე. მსახიობის დაჯილდოება ობიექტურად მოხდებოდა მაშინ, თუ ყველა მონაწილე მსახიობი ერთ სცენას შეასრულებდა და მათ შორის ამოირჩეოდა საუკეთესო შემსრულებელი. რომეფორის მიერ „ტომბოლას მსახიობი“ ცნების შემოტანამ სულ სხვა მიმართულება მისცა დისკურსს, ნაცვლად დითირამბული ლო-

გოსისა, ჩვენ თვალწინ კრიტიკული შეფერილობის კარტეზიანული ინტერვიუ შესდგა. მოცემული მაგალითიდან ჩანს, რომ „ტომბოლას მსახიობი“, რომელიც ზედტერმინებულ გამონათქვამად გვევლინება, ცვლის კონტექსტს, ზეგავლენას ახდენს მასზე, რის შედეგადაც ჟურნალისტი აღმოაჩენს, რომ რომეფორისათვის უფრო ღირებულია აგრარული შინაარსის ჯილდო, ვიდრე ცეზარი. მოცემული კონტექსტიდან იმპლიციტურად ჩანს ჟურნალისტის გაკვირვება, ხოლო რაც შეეხება ჟან რომეფორის ეთოსს, ჩვენ წინაშეა კრიტიკული აზროვნების ადამიანის ტიპი, რომლისთვისაც ობიექტურობაა მთავარი ღირებულება.

ჟან რომეფორის ინტერვიუ სრულად:

« **LE FIGARO** - Que pensez-vous des Césars?

JEAN ROCHEFORT - Je trouve que c'est très intéressant d'honorer les films, les metteurs en scène et les techniciens. **Mais les récompenses pour les acteurs, je n'y crois pas.** Je trouve que cela ne veut rien dire et que c'est un peu vain. Il y a une subjectivité énorme. Ce serait valable si on passait tous la même scène! Comme le disait mon ami [Jean-Pierre Marielle](#), je ne suis pas un acteur de tombola. Une expression très jolie, non?

Vous avez pourtant été couronné par deux césars en 1976 et en 1978 et avez reçu un César d'honneur en 1999 pour l'ensemble de votre carrière... Ah, vous savez, les pathologies quelles qu'elles soient sont très bénéfiques pour l'obtention d'un **César**! J'en ai reçu un, entre autres et surtout, parce que mon personnage... avait un cancer du poumon et le bras droit paralysé. Dans ce cas-là, si vous ratez le César, recyclez-vous! Ma médaille la plus sérieuse reste celle du **mérite agricole**...

Vraiment, est-ce plus important qu'un César? Évidemment! Ma plus grande fierté est d'avoir été le premier à faire naître un transfert d'embryon en Europe. Alors, ma chère, à côté de cela, un César! »

D'après Le dictionnaire Robert, la tombola est Loterie de société où chaque gagnant reçoit un lot en nature. C'est-à-dire, quand Rochefort parle de l'acteur de tombola il attribue un sens négatif à la récompense cinématographique française du meilleur acteur, parce que selon lui cela ressemble un peu au processus de tirer une tombola.

Ainsi, la métaphore **acteur de tombola** réunit en elle tout ce qui a été dit sur les Césars par Jean Rochefort ce qui a suscité une réaction correspondante de la part de la journaliste et à la place d'un discours élogieux au sujet des Césars nous sommes en présence d'un discours un tout petit peu critique.

Notre analyse nous a permis de dégager d'autres types de métaphores à partir de plusieurs interviews qui démontrent bien le changement du déroulement de l'interaction en entraînant celui de la triade discursive - éthos, pathos et logos sous l'effet des métaphores utilisées par le locuteur. Donc, l'effet de la métaphore sur le discours interactionnel est plus qu'évident.

ლიტერატურა

ადამი, ბონომი, 1997 — Adam, Jean-Michel & Marc Bonhomme. 1997. *L'argumentation publicitaire* (Paris : Nathan)

ბონომი, 2009 — Bonhomme, Marc « De l'argumentativité des figures de rhétorique », *Argumentation et Analyse du discours*, 2 en ligne, 2009

ბონომი, 1998 — Bonhomme, Marc. *Les figures clés du discours* (Paris : Le Seuil), 1998.

ფონტანიე, 1968 — Fontanier, Pierre. *Les figures du discours* (Paris : Flammarion), 1968 .

ფრომილაგი, 2010 — Fromilague, Catherine, *Les figures de style*, Paris, 2010.

იაკობსონი, 1963 — Jakobson, Roman. *Essais de linguistique générale* (Paris : Minuit), 1963.

ლაკოფი, 1986 — Lakoff, George. Jonson, Marc, *Les métaphores dans la vie quotidienne*, Paris, 1986.

პერენი, 1996 — Perrin, Lucien, *L'ironie mise en trope*, Paris, Éditions Kimé. 1996.

პრანდი, 1992 — Prandi, Michele. *Grammaire philosophique des tropes*, Paris, Les éditions de Minuit, 1992

რებული, 1991 — Reboul, Olivier. *Introduction à la rhétorique* (Paris : PUF). 1991.

Interaction of Metaphors with Context

Summary

The paper examines the phenomenon of metaphor diachronically from its very first mention in Aristotle's philosophy up to the present day. As is known, alongside metonymy, metaphor is one of the most essential cognitive figures. Besides, the metaphor is a rhetorical procedure since it has preserved some elements of argumentation, hence it implies cooperation as well as persuasion between the communicants. The metaphor plays an important role in the process of conceptualization, i.e. it is a linguistic product, the result of the synthesis of emotions and cognition. The paper discusses metaphors paradigmatically and syntagmatically. The paper shares the viewpoint that metaphors have a mnemonic load.

ნინო ღემბრაძე

ბ. შოუს „საქმენადის“ როგორც მხატვრული ნარატივის კამონალური ბაღი: მისი პარამეტრული და ველის პრინციპით ბანკირობებზე სტრუქტურა

წინამდებარე სტატიაში საინტერესოა განვსაზღვროთ გასაანალიზებელი ტექსტის სტრუქტურა ნარატოლოგიურ-პრაგმატიკულ პრინციპზე დაყრდნობით, ამისთვის აუცილებელია ვიკვლიოთ ტექსტთა პერსონალური სტრუქტურა იმ სახით, როგორც, ტექსტის ინტერპრეტაციის თანამედროვე თეორიის მიხედვით, იგი უნდა ვლინდებოდეს მხატვრულ ტექსტში — ანუ „ტექსტობრივი ბაღის“ სახით. თანამედროვე ლინგვისტიკისთვის ცნობილია, თუ როგორ გამოიყურება ამგვარი ბაღის პარამეტრთა სისტემა.

შესაბამისად, გასაანალიზებელი ტექსტის ბაღსაც დავადგენთ და გამოვყოფთ ეტაპობრივად:

1) **ბაღის შემადგენლობა** — ანუ ის ენობრივი ერთეულები, რომლებიც ქმნიან ამ ბაღს. რომელი ერთეული უნდა ვიგულისხმოთ ამ შემთხვევაში? და უფრო მნიშვნელოვანი კითხვაა: როგორ უნდა იქნან წარმოდგენილი ეს ერთეულები — მათი უბრალო დასახელება-ჩამოთვლის გზით თუ გარკვეული **სისტემის** სახით? ეს კითხვა, რა თქმა უნდა, ისმის სრულიად გარკვეულ ტექსტთან მიმართებით, მაგრამ ამავე დროს ატარებს თეორიულ-მეთოდოლოგიურ ხასიათს. თუ ყოველი ტექსტობრივი ბაღე წარმოადგენს შესაბამისი ველის აქტუალიზაციას, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ პარადიგმატიკიდან სინტაგმატიკაზე გადასვლისას ბაღეში არ უნდა იყოს შენარჩუნებული ველის სტრუქტურის ისეთი არსებითი ნიშანი, როგორცაა ცენტრისა და პერიფერიის არსებობა? ვფიქრობთ, რომ არა, რადგან ამ შემთხვევაში მთლიანად დაიკარგებოდა ის შინაარსობრივ-სტრუქტურული **მემკვიდრეობითობა**, რომელიც უნდა არსებობდეს ორ ხსენებულ ცნებას შორის. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტობრივი ბაღის ცნებაზე

მსჯელობისას ცნობილი ლიგვისტი ლ. ნოზდრინა გვერდს უვლის ამ კითხვას, წინამდებარე სტატიაში არა მხოლოდ დავსვით იგი, არამედ გავცემთ კიდევ მასზე პასუხს: ტექსტობრივ ბადეს ისევე უნდა ჰქონდეს სტრუქტურული ცენტრი და სტრუქტურული პერიფერია, როგორც მის შესაბამის ველს, მაგრამ ბადის შემთხვევაში ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთგანლაგებას უნდა ჰქონდეს არა სივრცითი, არამედ **ლინეარული** ხასიათი; თუმცა, ასევე მოსალოდნელია, რომ ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთმიმართებას ტექსტის ფარგლებში იქნება არა მხოლოდ ლინეარული, არამედ **დინამიური** ხასიათიც, ე.ი. ეს ურთიერთმიმართება არ იქნება და ვერ იქნება სტატიკური, ანუ ერთხელ და სამუდამოდ „დაფიქსირებული“.

თუმცა საინტერესოა და ვთვლით, რომ ტექსტობრივ ბადეს ფუნქციურ-სემანტიკურ ველთან შედარებით აქვს მეორე თავისებურებაც და იგი უკვე უკავშირდება არა ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთმიმართებას ერთი და იმავე ბადის ფარგლებში, არამედ ასახავს ურთიერთმიმართებას ტექსტის მთლიან სტრუქტურაში არსებულ სხვადასხვა ბადეს შორის. საქმე ისაა, რომ ტექსტის სტრუქტურაში არსებული ბადეები — პერსონალური, ტემპორალური, რეფერენტული, ლოკალური და ა.შ. — სწორედ **ტექსტის ლინეალური ხასიათის გამო**, ვერ იქნებიან ერთმანეთისგან ისე იზოლირებულნი, როგორც არიან იზოლირებულნი ენის სისტემაში მათი შესაბამისი ფუნქციურ-სემანტიკური ველები. ზოგადად შეიძლება ითქვას: ყოველი ბადე ახდენს ყველა სხვა ბადის ტრანსპოზიციას თავის სფეროში და, საბოლოო ანგარიშში, ყოველი მხატვრული ტექსტის სტრუქტურაში გვაქვს არა მარტო ბადეთა მრავალფეროვნება, არამედ მათი **„ურთიერთგაქოლვაც“**.

„ტექსტობრივი ბადის“ ზემოთ ჩვენ მიერ დასახლებული ორი თავისებურება უნდა იქნას გათვალისწინებული კონკრეტული ტექსტობრივი ბადის პარამეტრთა აღწერისას.

თუ გავითვალისწინებთ ზემოთნათქვამს, მაშინ პერსონალურობის ტექსტობრივი ბადის შემადგენლობა უნდა დაკონკრეტდეს შემდეგნაირად: როგორ განსაზღვრავს ამ შემადგენლობას ბადის ცენტრალურ

და პერიფერიულ სტრუქტურულ ელემენტთა ურთიერთმიმართება? მაგრამ რა უნდა ჩავთვალოთ ცენტრად და რა — პერიფერიად? რაკი პერსონალურობის ბადე წარმოადგენს პერსონალურობის ველის აქტუალიზაციას, ხსენებული ველის ცენტრად მოცემულ შემთხვევაში (ანუ იმ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს „პირველ პირში“ თხრობასთან), ბუნებრივია, უნდა მივიჩნიოთ ყველა ის ენობრივი სემენტი, რომლებშიც ადრესანტის ამსახველი „I“ არა მხოლოდ გამოდის სინტაქსური სუბიექტის როლში, არამედ გამოდის ამბის მომყოლის როლშიც ამ ტერმინის ზოგადი და ზუსტი მნიშვნელობით, ე.ი. როცა იგი უშუალოდ მიმართავს წარმოსახვით ადრესატს. მაგრამ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ბადის იმ ენობრივი სივრცის სტრუქტურირება, რომელსაც ზოგადად **„პერიფერიას“** ვუწოდებთ? ხომ ცხადია, რომ ამ ზოგადად „პერიფერიად“ წოდებული სივრცის სხვადასხვა სემენტი განსხვავებულად იქნებიან დისტანცირებულნი ცენტრისგან, ე.ი. „პერიფერიას“ ექნება თავისი, ტექსტის ლინეარულობით განპირობებული სტრუქტურა. ყოველივე ამის გათვალისწინებით ჯერ შევეცდებით წარმოვადგინოთ ბ. შოუს „სერენადის“ პერსონალური სტრუქტურა (პერსონალური ბადე), შემდეგ კი მოვახდენთ მის კომენტირებას.

I — ბ. შოუს სერენადის პერსონალური ბადის სტრუქტურული ცენტრი წარმოადგენილი ადრესანტის აღმნიშვნელი ენობრივი ელემენტით „I“.

როგორც უკვე ითქვა, ტექსტობრივი ბადე ატარებს არა მხოლოდ ლინეარულ, არამედ დინამიკურ ხასიათსაც. ამიტომ ხსენებულ ცენტრს არა აქვს ლინეარულად ფიქსირებული ადგილი ბადის სტრუქტურაში — იგი შეიძლება წარმოადგენილი იყოს მთელი ბადის ფარგლებში. წარმოვიდგინოთ ეს ცენტრი ნათქვამის გათვალისწინებით. (სადაც კი ეს შესაძლებელია, შევეცდებით ტექსტობრივ სემენტთა შემოკლებას).

- I celebrated my fortieth birthday by one of the amateur theatrical performances...
- I need only remind the reader that an important feature in the second act is the interruption of a festival by the sound of the horn...

- I had engaged a cornist from the band of my regiment to blow the horn...
- I was not to act...
- I pleaded my double duty as host and stage manager...
- I resolved to interrupt their conversation as soon as I was at leisure.
- I complied willingly

თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, გასაანალიზებელი ნარატივის სახეობას (თხრობა „პირველ პირში“), ხოლო, მეორე მხრივ, ყოველივე იმას, რაც ზემოთ ითქვა მოცემული ნარატივის პერსონაჟური ბადის ველისებრი სტრუქტურის შესახებ, მოგვიხდება პასუხის გაცემა შემდეგ კითხვაზე: როგორ უნდა იქნას გაგებული მიმართება, ერთი მხრივ, ტექსტობრივი ბადის პარამეტრულ სტრუქტურასა და იმავე ბადის ველისებრ სტრუქტურას შორის? ნებისმიერ შემთხვევაში, ე.ი. როგორც არ უნდა იყოს პასუხი დასმულ კითხვაზე, აუცილებელი იყო პირველ რიგში იმ ტექსტობრივ სეგმენტთა გამოყოფა, რომლებიც შეიცავენ „ამბის მომყოლის“ მიმნიშნებელ „I“, რადგან სწორედ მსგავსი სეგმენტები მიუთითებენ ნარატივის ჟანრობრივ ტიპზე (თხრობა „პირველ პირში“), ანუ მიუთითებენ ტექსტის იმ განზომილებაზე, რომელიც საბოლოო ანგარიშში განსაზღვრავს მის ყველა დანარჩენ სტრუქტურულ თავისებურებას. რაც შეეხება ზემოთ დასმულ კითხვას, შევეცდებით მასზე გავცეთ ისეთი პასუხი, რომელიც მოახდენს ტექსტის ინტერპრეტაციის თანამედროვე თეორიაში გამოყოფილი ტექსტობრივი ბადის პარამეტრული სტრუქტურისა და იმავე ბადის ჩვენ მიერ პოსტულირებული ველისებრი სტრუქტურის სინთეზს. ამგვარი პასუხიდან გამომდინარე, ტექსტის ბადის „შემადგენლობა“ და ბადის „მონახაზი“ უნდა წარმოადგენდნენ ერთობლივ სტრუქტურას და ეს სტრუქტურა განპირობებული უნდა იქნას შემდეგი მომენტი: „შემადგენლობამ“ უნდა მოიცვას ბადე მის ველისებრ მთლიანობაში — ცენტრიდან უკიდურეს პერიფერიამდე — ხოლო რაც შეეხება ბადის „მონახაზს“, იგი უნდა ნიშნავდეს შემდეგს: „შემადგენლობის“ ყოველი შემდგომი სეგმენტი უნდა იყოს ცენტრისგან უფრო დაშორებული, ვიდრე წინა სეგმენტი, ე.ი. ამ უკანასკნელთან შედარებით იგი უფრო ახლოს უნდა იყოს ბადის უკიდურეს პერიფერიასთან.

ნათქვამიდან გამომდინარე უკვე გამოვყავით გასაანალიზებელი ტექსტობრივი ბადის ლინეარულად წარმოდგენილი ველის ცენტრი, ანუ იმ ტექსტობრივ სეგმენტთა ერთობლიობა, რომლებიც ნათლად გამოხატავდნენ ჟანრის მაკონსტიტუირებელ ადრესაციას: ადრესანტი — ავტორი > ამბის მომყოლი > ადრესატი-მკითხველი (შემდეგში, როცა შევეცდებით ხსენებული ადრესაციის ლინგვოკულ-ტუროლოგიურ ინტერპრეტაციას, მოგვიხდება ორმხრივად მიმართული ისრების გამოყენება: ადრესანტი > ადრესატი, ადრესანტი < ადრესატი.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ტექსტობრივი ბადის ველისებრი სტრუქტურა ენობრივი ველის სტრუქტურისგან განსხვავდება არა მხოლოდ **ლინეარულობით**, არამედ აგრეთვე **დინამიურობითაც**, რაც ნიშნავს იმას, რომ როგორც ცენტრს, ისე პერიფერიას არა აქვთ მკაცრად დაფიქსირებული ადგილი: ერთიც და მეორეც ხასიათდება დინამიურობით, ანუ ადგილმონაცვლეობით. ამიტომაც საჭირო იყო ყველა იმ სეგმენტის გამოყოფა, რომელიც ნათლად გვიჩვენებდა ლინეარულ-სინტაგმატური ცენტრის ამგვარ „მრავალადგილიანობას“.

როგორც სეგმენტთა ერთობლიობით უნდა იყოს წარმოდგენილი ბადის ველისებრი სტრუქტურის შემდეგი ასპექტი? ვფიქრობთ, ისეთ სეგმენტთა ერთობლიობით, რომელთა ფარგლებში „ამბის მომყოლის“ მიმანიშნებელი „I“, ერთი მხრივ, ინარჩუნებს „ამბის მომყოლის“ ამ ფუნქციას, ე.ი. ჯერ კიდევ უშუალოდ მიმართავს ადრესატ-მკითხველს, მაგრამ იმავე დროს გამოდის უკვე ერთ-ერთი (თუმცა მთავარი) პერსონაჟის როლში.

- As I approached, Porcharlester rose, saying, "I am going to take a peep behind: that is, if non-performers may be admitted".
- "Oh, Certainly, I said, glad to be rid of him".
- "I must confess that it has always struck me as being a singularly beautiful piece of music. I hope to have the pleasure of hearing justice done to it by your voice when our little play is over"...
- ...As last I ventured to ask him whether he considered me sufficiently advanced to play a solo in private for a friend...
- ...What was you thinking of playing".
- "Something that you must teach me. Schubest's Serenade".

როგორც წინა სეგმენტთა ანალიზმა გვიჩვენა, მათ ფარგლებში ხდებოდა ცენტრისა და პერიფერიულობის გარკვეული ურთიერთშეთავსებულობა: „I“ ერთდროულად მიმართავდა ადრესატ-მკითხველს და ერთ-ერთ პერსონაჟს. როგორი სეგმენტებით უნდა იქნას წარმოდგენილი ბადის შემადგენლობის შემდეგი ასპექტი, თუ, ჩვენი ჩანაფიქრის მიხედვით იგი „უფრო“ პერიფერიული უნდა იყოს, ვიდრე წინა ასპექტი? ბუნებრივია, ეს ასპექტი წარმოდგენილ უნდა იქნას იმ სეგმენტებით, რომელთა ფარგლებში „I“ გამოდის არა დილოგის სუბიექტის, არამედ ობიექტის როლში. ე.ი. იგი არ მიმართავს ამა თუ იმ პერსონაჟს, არამედ პერსონაჟი მიმართავს მას, რითაც „ამბის მომყოლი“ თავისი „რანგით“ თითქოსდა უახლოვდება სხვა პერსონაჟებს:

- ... "You should not allow him to be disrespectful to you, Colonel Green", said Linda, when he was gone. "And I feel sure he will do no end of mischief behind the scenes".
- "I am full of Schubert just now. Oh, Colonel Green, do you know Schubert's Serenade?"
- "Ah! a charming thing"...
- "Do you like the Serenade?"
- "Hm, well, the fact is – Do you like it?"
- "I love it. I dream of it, I have lived on it for the last three days".

უკიდურეს „პერიფერიად“ წარმოგვიდგება ტექსტის ისეთ სეგმენტთა ერთობლიობა, რომელთა ფარგლებში სხვა პერსონაჟები (ამ შემთხვევაში „სხვა“ ნიშნავს: ნებისმიერი პერსონაჟი გარდა ამბის მომყოლისა) მიმართავენ ერთმანეთს. ამით იკვეთება ტექსტობრივი სტრუქტურა, რომელიც ნეიტრალურია ნარატიულობის ტიპოლოგიის მიმართ, რადგან იგი ერთნაირად შეიძლება წარმოდგენილ იქნას, როგორც „პირველ პირში“ თხრობის, ისე მესამე პირში თხრობის დროს.

- "Yes", "it is time for you to go"..." "But you might have sung the serenade for me. I have played three times for you".
- "I have a fightful cold", he said. "I really cannot. Good night".

ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, რომ ბადის ორი პარამეტრი — მისი შემადგენლობა და მისი მონახაზი — უნდა ყოფილიყო გამოყოფილი ერთდროულად, რადგან მონახაზს უშუალოდ განაპირობებს შემად-

გენლობა: როგორც ვნახეთ, ტექსტობრივ სეგმენტთა ნებისმიერი ის ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ლინეარული ბადის განსხვავებულ (წინა თუ შემდგომ) „უფრო ცენტრალურ“ თუ „უფრო პერიფერიულ“ ასპექტს, იწყება ან მთავრდება იმისდა მიხედვით, თუ რა განსაზღვრავს მის სტრუქტურას — წარმოგვიდგენს იგი ადრესანტ ავტორისა და ადრესატ მკითხველის ურთიერთადრესაციას თუ განსხვავებულ ნარატივისეულ სტრუქტურას. ძნელია ყველა ამ შემთხვევაში მიუთითო ერთი სტრუქტურრიდან მეორეზე გადასვლის მიმანიშნებელ რომელიმე სტრუქტურულ მომენტზე, რადგან, როგორც წესი, გამოყოფილი სეგმენტის მთელი სტრუქტურა მიუთითებს იმაზე, რომ მოხდა ერთი ნარატივისეული სტრუქტურის ჩანაცვლება მეორეთი. ასე, მაგალითად, იმისათვის, რომ დავინახოთ ცენტრალური სეგმენტიდან (ავტორი-ადრესანტი > მკითხველი — ადრესანტი) შემდეგ სეგმენტზე გადასვლა (ამბის მომყოლი — პერსონაჟი სხვა პერსონაჟი), საჭიროა მხედველობაში მივიღოთ სეგმენტის გამომხატველი წინადადება, ზოგჯერ კი წინადადებათა ერთობლიობაც კი:

„I must confess that it has always struck me as being a singularly beautiful piece of music. I hope to have the pleasure of hearing justice done it by your voice when our little play is over~...“

როგორც ვხედავთ, ამ გადასვლაზე მეტყველებს სეგმენტის მთელი შინაარსი, თუმცა იგი (ეს გადასვლა) ხაზგასმულია სინტაგმით **your voice**. ამგვარი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, თუმცა, ვფიქრობთ, არ არის აუცილებელი ამის გაკეთება. მთავარია იმის ხაზგასმა, რომ, როგორც ვთქვით, ძნელია (თითქმის შეუძლებელია) ბადის ისეთი ორი პარამეტრის ერთმანეთისაგან თუნდაც რამდენადმე იზოლირება, როგორცაა „შემადგენლობა“ და „მონახაზი“. ვფიქრობთ, ამ ორი პარამეტრის ორგანული ურთიერთკავშირი განსაკუთრებული რელიეფურობით გამოვლინდა იმის შედეგად, რომ ჩვენ მივანიჭეთ ველის სტატუსი ბადის სტრუქტურას და ხაზი გავუსვით ამ ველის ფარგლებში ცენტრსა და პერიფერიას შორის მიმართების დინამიურობას: ტექსტში განუწყვეტლივ გვხვდება ცენტრალურობისა და პერიფერიულობის ურთიერთჩანაცვლება, რაც "მონახაზსაც" ანიჭებს უკიდურესად დინამიურ ხასიათს.

ლიტერატურა:

ნოზდრინა, 2004 — Л. Ноздрина, "Поэтика грамматических категорий", Москва, 2004.

ლებანიძე, 2004 — გ. ლებანიძე, „კომუნიკაციური ლინგვისტიკა“, ენა და კულტურა, თბილისი, 2004.

არუთინოვი, 1999 — И. Арутюнова, Введение, in: "Логический анализ языка" (Образ человека в культуре и языке), Москва, 1999.

შტელინგი, 1996 — Д. А. Штелинг, "Грамматическая семантика Английского языка" (Фактор человек в языке), Москва, 1996.

დომაშნევი, 1989 — А. Домашнев, И. Шлитина, Е. Гончарова, "Интерпретация художественного текста", Москва, 1989.

NINO DEMETRADZE

The Personal Net in the Narrative of B. Shaw's 'Serenade': its Parameters and Structure Based on the Semantic Field Principle

Summary

The phenomenon of textual net has acquired particular relevance in the theory and practice of textual studies. As is known, the notion of textual net comprises different aspects of a text - temporal, local, modal etc. In this respect the notion of personal net is of particular interest. One of the questions posed is: how is the given notion revealed in such typological variants of text as the first and third person narrative? The paper argues that the textual net should be regarded as the conceptual link between the syntagmatics and paradigmatics of the text.

ნათია ვასაძე

პოლიტიკური კორექტულობა თავაზიანობისა და სახის თეორიების თვალსაზრისით

წინამდებარე ნაშრომის მიზანია შეისწავლოს პოლიტიკური კორექტულობის ცნება თავაზიანობისა და სახის თეორიების თვალსაზრისით.

საკვლევ მასალად გამოყენებულია, როგორც მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები, ასევე ინტერნეტწყაროები.

როგორც ცნობილია, ყოველდღიურ მეტყველებაში ვიყენებთ სხვადასხვა სახის დისკურსს. ეს კი დამოკიდებულია გარემოზე — ვიმყოფებით მეგობრების გარემოცვაში თუ ოფიციალურ ატმოსფეროში. აქედან გამომდინარე, მეტყველი სუბიექტი ირჩევს შესაბამის სამეტყველო რეგისტრს (რომელშიც დაცულია როგორც თავაზიანობა, ასევე „პოლიტიკური კორექტულობის“ ნორმები) და არგებს იმ სოციალურ გარემოს, რომელშიც ის იმყოფება.

ბრაუნისა და ლევისონის (ბრაუნი, ლევისონი, 1990) თანახმად, თავაზიანობის სტრატეგიები ემსახურება კომუნიკანტთა სახის შენარჩუნებას. ტერმინი „სახე (Face)“ სოციოლინგვისტ ირვინ გოფმანთან განმარტებულია შემდეგნაერად: “face is "the positive social value a person effectively claims for himself by the line others assume he has taken during a particular contact...an image of self delineated in terms of approved social attributes (დადებითი სოციალური ფასეულობა, რომელსაც პიროვნება ირგებს კომუნიკაციის პროცესში) (გოფმანი, 2006: 5).

ი. გოფმანის თეორია „სახის“ შესახებ მიზნად ისახავს, ადამიანმა წარმოაჩინოს „საკუთარი თავი“ (“the self”) და „სხვა“ (“the other”). აგრეთვე, თეორია შეისწავლის სოციალურ მიმართებებს ზემოხსენებულ ორ ცნებას შორის; გოფმანი განასხვავებს ორი ტიპის „სახეს“: დადებითსა და უარყოფითს.

დადებითი სახე — კომუნიკანტები არიან ერთი სოციალური ჯგუფის წევრები. მათ შორის დისტანცია დიდი არ არის და მათი კომუნიკაცია ხასიათდება ფამილიარობით, ინტიმურობით, რაც გამოიხატება არაოფიციალური რეგისტრის გამოყენებით.

უარყოფითი სახე — სიტყვა „უარყოფითი“ ამ შემთხვევაში სულაც არ ნიშნავს ნეგატიურს. უბრალოდ, კომუნიკანტებს შორის არსებობს სოციალური დისტანცია, ისინი ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას თავიანთ ქმედებასა თუ ქცევაში, რაც არ გულისხმობს იმას, რომ მათ შორის არ არის პატივისცემა (გოფმანი, 2006).

როგორც ცნობილია, ბრაუნისა და ლევინსონის „თავაზიანობის თეორია“ ეფუძნება სწორედ ირვინ გოფმანის „სახის თეორიას“. მათთან კი ტერმინი „სახე“ განმარტებულია შემდეგნაირად: **“the public selfimage that every member wants to claim for himself”** („სახე“ ეს არის ის საზოგადოებრივი ხატი, რომელიც საზოგადოების თითოეული წევრის თვით-იმიჯს წარმოადგენს (ბრაუნი, ლევინსონი, 1990: 61).

ბრაუნისა და ლევინსონის „თავაზიანობის თეორიის“ თანახმად, „სახე“ აბსტრაქტული ცნებაა; იგი შედგება ორი ძირითადი მოთხოვნისგან: 1. კომუნიკანტი მიისწრაფვის დამოუკიდებლობისაკენ და უარყოფილია სხვათა აზრის თავს მოხვევა; 2. კომუნიკანტის მიზანია მისი ქმედება მისაღები და მოსაწონი იყოს (ბრაუნი, ლევინსონი, 1990:13).

ბრაუნისა და ლევინსონის „თავაზიანობის თეორიაში“ გამოიყოფა ოთხი ტიპის სტრატეგია:

1. დადებითი თავაზიანობა (Positive Politeness) მიზნად ისახავს კომუნიკანტთა დადებითი სახის შექმნასა და შენარჩუნებას. ხაზგასმულია, რომ კომუნიკანტები ერთ სოციალურ ჯგუფს ეკუთვნიან. აღნიშნული მისწრაფებანი კი რეალიზდება ენაში, რაც ვლინდება არაოფიციალური რეგისტრის, ჟარგონის, სლენგისა და სხვა გამოყენებაში (ბრაუნი, ლევინსონი, 1990:101).

2. უარყოფითი თავაზიანობა (Negative Politeness) – კომუნიკანტთა მისწრაფებაა შეინარჩუნონ მათ შორის არსებული დისტანცია. ყოველივე ეს ვლინდება ოფიციალური ან ნეიტრალური რეგის-

ტრის გამოყენებაში. კომუნიკაციის პროცესში ვხვდებით, როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ სამეტყველო აქტებს (ბრაუნი, ლევინსონი, 1990:129).

3. თავაზიანობის პირდაპირობის სტრატეგია (Bald On Record) – არ ითვალისწინებს ადრესატის გრძნობებს და არ ფიქრობს იმაზე რომ მისმა ნათქვამმა შეიძლება გამოიწვიოს მსმენელის სახის რღვევა(ბრაუნი, ლევინსონი, 1990:72).

4. თავაზიანობის არაპირდაპირობის სტრატეგია (Off-Record-indirect strategy) - არაპირდაპირობის სტრატეგიის მიზანია არაპირდაპირი სამეტყველო აქტების გამოყენებით აიცილოს სახის რღვევის საშიშროება. ანუ, მოსაუბრე ცდილობს მოხნას დაცხულობა და აიცილოს ყოველგვარი პირდაპირი მუქარა (ბრაუნი, ლევინსონი, 1990: 211).

ზემოხსენებული სტრატეგიებიდან გამომდინარე, ადრესანტი ინფორმაციის მიწოდებისას ცდილობს ადრესატი არ ჩააგდოს უხერხულ ან დამაბნეველ ვითარებაში. იმ შემთხვევაში თუ ზემოხსენებული სტრატეგიების გათვალისწინება არ მოხდა და კომუნიკანტთა სახის ნორმების დაცვა არ განხორციელდა, ხდება „სახის რღვევა“ ან ჩნდება სახის რღვევის საშიშროების შემქმნელი აქტების (Face Threatening Acts (FTA's (ბრაუნი, ლევინსონი, 1990:68).

ინტერესს იწვევს, რა მიმართებაშია სახისა და თავაზიანობის სტრატეგიები პოლიტიკურად კორექტულ დისკურსთან.

1) 2011 წლის მიწურულს, ამერიკელმა რეპერებმა კენია ვესტმა და ჯეი ზიმ გამოსცეს სიმღერა სახელწოდებით **"Niggas in Paris"**. სიმღერის ტექსტსა და სათაურში შეიმჩნევა ტერმინი „Niggas“ გამოყენება შემდეგ ფრაზებში: "Niggas in Paris", "First niggas got to find me", "What's Gucci my nigga?", "Got my niggas in Paris and they going gorillas, huh!". ერთი შეხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხდება აფროამერიკელი მსმენლის სახის რღვევა, რადგან სიტყვა "nigga" წარმოადგენს დისკრიმინაციულ ფორმას, რომელშიც ხაზგასმულია კანის ფერი და შესაბამისად დამამცირებელია აფროამერიკელებისთვის; აგრეთვე მათთვის შეუტრაცხმყოფელია სიტვა "gorilla", რომელშიც ასევე ხაზგასმულია აფროამერიკელთა კანის ფერი და მონგოლოიდური სა-

ხის ფორმა, რაც გორილას სახის ფორმასთანაა გაიგივებული. მაგრამ რადგანაც, ორივე რეპერი განსაკუთრებით აფროამერიკელი და ერთი სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი, ისინი სიმღერის ტექსტში იყენებენ სწორედ იმ ტერმინებს, რომლებიც მიღებულია მათი წრისათვის, შიდა ჯგუფური კომუნიკაციის პროცესში, მაგრამ ყოველად მიუღებელი სხვა რასის წარმომადგენლისგან. აღნიშნულ ტექსტში გამოყენებულია დადებითი თავაზიანობის თითქმის ყოველი მარკერი, მაგ.: ჟარგონული სიტყვები "niggas", "gorrillas"; ვხვდებით შემოკლებებს მაგ.: "sayin"; "ain't"; "spillin"; "Ye". აღნიშნული მარკერები, ბრაუნისა და ლევისონის „თავაზიანობის თეორიის“ თანახმად დადებით თავაზიანობას ახასიათებს.

2) თავაზიანობის არაპირდაპირობის სტრატეგიის (off-record-indirect strategy) მაგალითის მაჩვენებელად შეიძლება მივიჩნიოთ ფიზიკური ნაკლის მქონე ინდივიდთა მიმართვისას პოლიტიკურად კორექტული სიტყვები, რომლებიც შეიცავენ ლექსიკურ ერთეულს "challenged" მაგ.: **Physically challenged, Visually challenged, Vertically challenged.** ადამიანის ნაკლის მქონე სახელდების რთულ სიტყვებში ლექსიკური ერთეული "challenged" (გამოწვევა) დადებითი სემანტიკის მატარებელია და ინდივიდის ნაკლი დადებითი მხარით არის წარმოდგენილი.

3) სექსუალურ უმცირესობათა სახელდება ქართულ საზოგადოებაში ხშირად არაპოლიტიკურად ტერმინებით გამოიხატება. მაგ.: გეებს ხშირად მოიხსენიებენ შემდეგი სიტყვებით: „პედერასტი“, „მამათმავალი“, „ცისფერი“, „ქალუსია“, „ქეთუსია“. ეს შეიძლება ადამიანმა ხშირად გაიგონოს როგორც ყოველდღიურ მეტყველებაში, ასევე წაიკითხოს ქართულ ონლაინ გაზეთებში, ფორუმებსა თუ ბლოგებზე. მაგ.: დიმიტრი ლორთქიფანიძემ 2009 წელს პარლამენტის ტრიბუნლიდან განაცხადა, რომ ჰომოსექსუალობა დასჯადი ქმედება უნდა იყოს: „მამათმავლობა უნდა იყოს დასჯადი ქმედება, თუკი იგი საზოგადოებრივ და საჯარო ინტერესს აშკარად ლახავს, თუკი იგი წარმოადგენს გაუკუღმართებელი და გაუზნეურებული ქვევის წესებს და ამით ცდილობენ საზოგადოებაში დანერგონ არაჯანსაღი ტენდენციები“.

ონლაინ გაზეთ news.ge-ზე, 2012 წლის 22 ოქტომბერს განთავსდა სტატია შემდეგი სახელწოდებით: „რკინიგზის თანამშრომელს

ეზუგბაია მამათმავალი ეგონა და მატარებლიდან აგდებდა“; „თბილისი ფორუმზე“ კი ვხვდებით სიტყვა „პედერასტი“: „გაიკვირვებთ თორემ ჩვენ არა გვყავს პარლამენტის თავმჯდომარე პიდარასტი“; „იქ გეები ჰქვიათ. პიდარასტები აქ არიან“.

ერთ-ერთი ბლოგერის მიერ კი წარმოდგენილია თემა ქართველი მამაკაცის წარბებთან დაკავშირებით და გაუღებელია შემდეგი ფრაზა: „მამაკაცები დასცინებენ, მამამისი პიდარასტს დაუძახებს, დედამისი კი შალს მოახვევს შუბლზე“.

აღნიშნული სიტყვების გამოყენებით მოსაუბრე მიმართავს სახის პირდაპირობის სტრატეგიას (**Bald On Record**) და ის გამიზნულად არღვევს კომუნიკანტთა სახეს.

ასევე სახის პირდაპირობის სტრატეგიას (**Bald On Record**) ვხვდებით ერნესტ ჰემინგუის მოთხრობაში „მკვლელები“. **"The Killers"** წარმოადგენს ჰემინგუის მოკლე, მაგრამ შთაბეჭდავ მოთხრობას, რომელშიც ვლინდება დაპირისპირება ორი სამყაროს: თეთრი რასისა და აფროამერიკელების წარმომადგენლებს შორის. ასახულია სიტუაცია ჯერ არ ჩადენილ მკვლელობაზე, რომელიც უნდა განახორციელოს ქალაქის ორმა განგსტერმა მაქსმა და ელმა.

აღნიშნულ მოკლე მოთხრობაში დიდი სიხშირით ვხვდებით ტერმინს „ნიგერ“. პერსონაჟი — სემი, გახლავთ აფროამერიკელი მზარეული, რომელსაც გამუდმებით და გამოკვეთილად მიმართვენ სიტყვა **"nigger"**. თავად ავტორი იყენებს იმ დროისათვის პოლიტიკურად კორექტულ მართებულ ტერმინს **"Black"**. ასე მაგალითად:

- "None of your damned business," Al said. "Who's out in the kitchen?"

- "The nigger".

- "What do you mean the nigger?"

- "The nigger that cooks"

- "You talk silly," Al said to him. "What the hell do you argue with this kid for? Listen," he said to George, "tell the nigger to come out here."

-The door to the kitchen opened and **the nigger** came in. "What was it?" he asked. The two men at the counter took a look at him.

- "All right, nigger. You stand right there," Al said.

- Sam, the **nigger**, standing in his apron, looked at the two men sitting at the counter. "Yes, sir," he said. Al got down from his stool.

- "I'm going back to the kitchen with the **nigger** and bright boy," he said. (Hemingway(The Killers):4)

- "Go on back to the kitchen, **nigger**. You go with him, bright boy." (Hemingway(The Killers):5)

- "You talk too damn much," Al said. "The **nigger** and my bright boy are amused by themselves..." (Hemingway(The Killers):6)

- "What about the two bright boys and the **nigger**?" (Hemingway(The Killers):7)

თავაზიანობის პირდაპირობის სტრატეგიის კიდევ ერთი ნიმუში გახლავთ შემდეგი: სოციალურ ქსელში „ფეისბუქი“ გამოქვეყნდა, აღნიშნული ფოტო, რომელიცარის დისკრიმინაციული სექსუალურ უმცირესობათა მიმართ. ჩამოთვლილი ტერმინები: გეი, ლესბოსელი,



ბისექსუალი, ტრანსგენდერი გულისხმობს ელჯიბითი წარმომადგენლების დისკრიმინაციას. თუ ფოტოზე გამოსახულ ელჯიბითი წარმომადგენელთა ტერმინების გარდა ყურადღებას გავამახვილებთ სიტყვაზე "HUMAN", იგი ფერადი და დიდი ასოებით არის წარმოდგენილი, მაშინ როდესაც სხვა დანარჩენი სიტყვები კი უფრო მცირე ზომის შრიფტით. ფოტოს მიხედვით ადამიანთა ჯგუფიდან გამორიცხულია სექსუალური უმცირესობები და იგი არ ითვალისწინებს ადრესატის გრძნობებს. ამ ფოტოს ავტორი არ ფიქრობს იმაზე, რომ გამოიწვევს „სახის რღვევას“. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ფოტო არაპოლიტიკორექტულია და ასევე არათავაზიანობის ნიმუშია.

რაც შეეხება ქართულ სინამდვილეს, 2012 წლის შემოდგომაზე,

ბ-ნი დავით დარახველიძე, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი, სრულიად ინტერნეტ სამყაროში შემდეგი განცხადების გამო რასისტად და ქსენოფობად შერაცხა: „თბილისში ნებისმიერი ზანგი მოქალაქეა, რომელიც შეგვხვდება. ინდოელი და ჩინელი სულ ყველა... ჩემს შვილს ქართველი ცოლი უნდა ჰყავდეს, თუ ეს რაჭველი იქნება მთლად უკეთესი ჩემთვის... ქართველებისთვის უნდა იყოს საქართველო“.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად სიტყვა „ზანგები“ განმარტებულია „ტროპიკული აფრიკის ძირითადი მოსახლეობა, მათთვის დამახასიათებელი შავი კანი“. განმარტების მიხედვით სიტყვას „ზანგი“ სულაც არ აქვს ნეგატიური დატვირთვა. მაგრამ, ბ-ნი დარახველიძის ეს განცხადება წარმოადგენს ვერბალურ აქტს, რომელიც არათავაზიანობის მაუწყებელია და კონტექსტუალურად იწვევს კომუნიკანტთა სახის რღვევას.

4) თავაზიანობის არაპირდაპირობის სტრატეგიის (Off-Record-indirect strategy) მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ქართულენოვანი სინამდვილის მაგალითები. მაგ.: 1. სექსუალურ უმცირესობათა წოდებისას ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარე ქ-ნი მანანა კობახიძე აბობს: რომ იმ შემთხვევაში თუ ელჯიბითი წარმომადგენლის უფლებები დაირღვევა, ყველა ასეთ კონკრეტულ შემთხვევაზე, მას, როგორც დეპუტატს, ექნება შესაბამისი რეაგირება და მიდგომა, თუმცა დასძინს: „მაგრამ მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს და მართლმადიდებელს, მაქვს უფლება მქონდეს შეხედულება ამ შეხედულების გამოხატვის უფლება. თუკი არა ვარ ლესბოსელი, რა, რა უნდა ვქნა“. 2. ასევე პოლიტიკური კორექტულობის ნორმები დაცულია ყოფილი სახალხო დამცველის გიორგი ტულუშის განაცხადში „ორი წელია, სახალხო დამცველი ვარ და ჩემს აპარატში ერთი განცხადებაც არაა შემოსული სექსუალური უმცირესობების უფლებების დარღვევის ფაქტზე“.

აღნიშნულ განცხადებებში გამოყენებული ტერმინები: „სექსუალური უმცირესობები“, „ელჯიბითი“, „ლესბოსელი“ დაცულია როგორც პოლიტიკორექტულობა, ასევე, ბრაუნისა და ლევენსონის თავა-

ზიანობის თეორიის არაპირდაპირობის სტრატეგია.

ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ პოლიტიკური კორექტულობა კავშირშია თავაზიანობასა და სახის თეორიებთან. პოლიტიკურად კორექტული/არაკორექტული ტერმინების გამოყენება შეიძლება დაგაკავშიროთ თავაზიანობის ოთხივე ტიპთან: დადებითი თავაზიანობა, უარყოფითი თავაზიანობა, თავაზიანობის პირდაპირი და არაპირდაპირი სტრატეგიები. საყურადღებოა, რომ კონტექსტიდან გამომდინარე, ერთი და იგივე ტერმინი შეიძლება წარმოადგენდეს დადებით თავაზიანობას შიდა ჯგუფური კომუნიკაციისას ან სახის რღვევის შემქმნელ აქტს გარე ჯგუფური ურთიერთობისას.

ბამოქმედი ლექსიკონები:

ოქსფორდის ლექსიკონი, Oxford Advanced Learners Dictionary of Current English, 7th edition, Oxford University Press, 2008;

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რედ.: არნ. ჩიქობავა (ერთტომეული)), თბილისი 1986.

ინტერნეტის ავტორიზებული რესურსები:

<http://inthegoldroom.com/wp-content/uploads/2011/03/The-Killers-by-Ernest-Hemingway-full-pdf-version.pdf>
<http://www.youtube.com/watch?v=G9rCPXF62mo>
http://www.ptpress.ge/index.php?option=com_content&view=article&id=5232:daraxvelidze&catid=1:0101politika&Itemid=2
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=2523>
<http://www.rsd.org/race/blacks>
<http://news.ge/ge/news/story/34831-gia-yruashvili-irakli-ezugbaias-millionamde-laris-gaflangvashi-adanashulebs>
<http://egoisti.ge/tag/%E1%83%9F%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98/>
<http://forum.ge/?f=29&showtopic=34225566&st=30>
<http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:VPT8IacoQsJ:www.netgazeti.ge/GE/105/News/14299/+&cd=2&hl=en&ct=clnk&gl=ge>

http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:BmxSFOA_2xsJ:www.gd.ge/major.php%3Fid%3D44%26m%3D2+&cd=9&hl=en&ct=clnk&gl=ge

<http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:m3syp8Hnh5QJ:lgbt.ge/%3Fp%3D3308+&cd=5&hl=en&ct=clnk&gl=ge>

NATIA VASADZE

Political Correctness from the Standpoints of Face and Politeness Theories

(on material from English and Georgian)

Summary

The paper examines samples of English and Georgian politically correct/incorrect discourse from the standpoints of face (Goffman 2006) and politeness (Brown & Levinson 1990) theories. The empirical data covers the following spheres of politically correct discourse: gender, racial minorities, sexual minorities, physical and mental disability. The data is versatile in character: it comprises samples of spoken as well as written discourse genres, viz. the following sources have been used – literary works, recordings of everyday conversations, internet forums and blogs, song lyrics.

The analysis has shown that in the discourse samples under discussion the communicants employ the following face/politeness types/strategies: positive politeness, negative politeness, bald-on-record strategy, bald-off-record strategy. It should be mentioned that depending on the context one and the same term of political correctness can be interpreted differently:

a) what is perceived as an instance of political incorrectness creating a Face-Threatening Act in out-group communication, may be regarded as a mark of solidarity in in-group interaction.

b) in certain contexts stylistically neutral terms may acquire negative connotations and lead to the communicants' face loss.

The paper focuses on and contrasts politeness strategies employed by English and Georgian speakers/writers in politically correct) incorrect discourse.

მარინე კუხალაშვილი

კითხვითი „ა“ ნაწილაკის ალბილისათვის ძარბულ
დიალექტთა შორის

ფუნქციის მიხედვით ნაწილაკი ქართულ ენაში მრავალფეროვან სურათს ქმნის. ზოგი ნაწილაკი კი მნიშვნელობით უახლოვდება ერთმანეთს და გარკვეულ შინაარსობრივ ჯგუფს ქმნის. თანამედროვე ქართულში ფუნქციის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ ნაწილაკთა შემდეგი ჯგუფები: კითხვითი, მიმართებითი, გაძლიერებითი, განუსაზღვრელობითი, გამორჩევითი, მიგებითი, უკუთქმითი, სიტყვა-სიტყვითი, განცვიფრებითი, შესაძლებლობა-ვარაუდის, მიახლოებითი, შედარება-მსგავსების, უნახაობის, მრავალგზისობის, ჩვენებითი და ნებასურვილის გამომხატველი ნაწილაკები. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ზოგიერთ ნაწილაკს ხშირად ორი ან მეტი ფუნქცია აქვს, რომელთაგან ერთ-ერთი ძირითადია, სხვები კი — შემდგომ შექმნილი.

მრავალგვარია ნაწილაკები აგებულების თვალსაზრისითაც. ზოგი მათგანი განუყოფელია, ზოგი კიდეც კომპოზიციის გზით მიღებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელია ზოგიერთი ნაწილაკის ეტიმოლოგიის დადგენა, მაგრამ ხშირად ეს არ ხერხდება. თანამედროვე ქართული ენის მონაცემები (ხშირად ძველი ქართულისაც) ამის საშუალებას არ იძლევა. ამიტომ აღვნიშნავთ იმ სახესხვაობებს, რომელსაც კითხვითი ნაწილაკი იძლევა დიალექტებში.

კითხვითი ნაწილაკებია: ა, მე, განა, ნუთუ, ხომ, თუ. კითხვითი ა ნაწილაკის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი „უნდა მოდიოდეს ჰა-დან, რომელსაც ჩვენ ახლაც წარმოვთქვამთ. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომ „წარმოშობის თვალსაზრისით ძველ ქართულს კითხვით ა ნაწილაკს ვერ დავეკავშირებთ ვერც უარყოფით

არას და ვერც ახალი ქართულის ჩაკითხვით ჰა ნაწილაკს (ე. ბაბუნაშვილი, 1953, გვ. 9-181).

ძველ ქართულის კითხვითი ნაწილაკი უდავოდ უკავშირდება სვანურ ა-ს, რომელსაც ხმოვანის მომდევნო პოზიციაში შეიძლება ა შეენაცვლოს (ა. ონიანი, 1998, გვ. 280). ასევე მეგრულ ა-ს. თითქოს შეუძლებელი არ იქნებოდა იგი უარყოფითი „არა“ ნაწილაკიდან მომდინარედ ჩაგვეთვალა. ასეთ შემთხვევაში კი მოსალოდნელი იყო მეგრულში გვექონოდა ქართული არ ნაწილაკის შესატყვისი ორ, რომლისგანაც მიღებულად თითქოს შეიძლებოდა ქართული ა ნაწილაკის ეკვივალენტის, მეგრული ა-ს მიჩნევა. მაგრამ ცნობილია, რომ მეგრულში არ არსებობს არავითარი ორ ნაწილაკი და ამდენად ქართულ ა და არა ნაწილაკების ერთმანეთთან დაკავშირება გაჭირდება (ე. ბაბუნაშვილი, 1953, გვ. 9-181).

მეგრულის ა ნაწილაკი (დოჭარუ-ა? დაწერა?) ა. ჩიქობავას აზრით, ქართული კითხვითი ა ნაწილაკის ზანური ეკვივალენტია (ა. ჩიქობავა, 1936, გვ. 187).

ხევსურები ჰა-სთან ერთად ჰე-საც ამბობენ. უფრო ხშირად დაძახების პასუხად ამბობენ ხოლმე: „ჰა ბეწუკანავ!“ „ჰე, ჰე?...“ (ა. ჭინჭარაული, 1960, გვ. 187).

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში აზრთა ერთიანობა ა-ს ფუნქციის შესახებ. პლ. იოსელიანს იგი კითხვით ნაწილაკად მიანიშნავს: „ზმანის ოდესმე შეიქმნებიან კითხვითად მიმატებითა დაბოლოებითა მარცხალისადმი ასო სა ა, მაგ., შენ ჩემდა მოხუალა?“ (ანტონ ს, 1885, გვ. 64); ასევე ა-ს კითხვით ნაწილაკად თვლიან დ. ჩუბინაშვილი (დ. ჩუბინაშვილი, 1887, გვ. 2); ნ. მარი და მ. ბრიერი (ნ. მარი, მ. ბრიერი, 1931, პ. 366); ა. შანიძე (ა. შანიძე, 1980, გვ. 608); ე. ბაბუნაშვილი (ე. ბაბუნაშვილი, 1953, გვ. 127-132) და სხვები.

როგორც ცნობილია, კითხვითი ა ნაწილაკი მიჩნეულია საერთო ქართველურ კუთვნილებად. მას ფუნქციური და ნაწილობრივ ფონეტიკური შესატყვისები მოეპოვება მეგრულ-ჭანურსა და სვანურში. ჭანურში კითხვითი ა ნაწილაკის ფუნქციური შესატყვისია ე, რომელიც უნდა იყოს იგივე ე, რასაც სვანური იყენებს კითხვით წინადადებაში

(ა. ჩიქობავა, 1936, გვ. 87).

ქართულის მგსავსად, სვანურშიც მოიპოვება კითხვითი და ნაწილაკი (მ. ქალდანი, 1964, გვ. 230; თ. უთურგაიძე, 1966, გვ. 14). „ამჟინ მად ლიჲ ა ასე არ არის?“ მ. ქალდანმა გამოარკვია, რომ „ქართულის ა ნაწილაკის სვანურში ხან იმავე დასახით გვხვდება, ხანაც დას, ჰა და აჟს სახით, ხოლო ლენტეხურ კილოში ძირითადად ამათ ნაკვლად უ (ლ) წარმოგვიდგება“ (მ. ქალდანი, 1964, გვ. 230).

გასარკვევია კიდევ ერთი საკითხი: იყო თუ არა უძველეს ქართულში კითხვითი და ნაწილაკი მახვილიანი?

სავარაუდებელია, რომ უძველეს ქართულში მახვილი კითხვითი და ნაწილაკს მოუდიოდა (უნდა გვქონოდა „უწყი და ხუცეს?“ და არა უწყი და ხუცეს? სავარაუდებელია, რომ კითხვითი და ნაწილაკიანი სიტყვებში ორი მახვილიც გვქონდა და ერთ-ერთი სწორედ ამ ნაწილაკს მოუდიოდა, როგორც ამას ნ. მარი და მ. ბრიერი ვარაუდობენ (ნ. მარტი, მ. ბრიერი, 1931, პ. 15); ასე უნდა ყოფილიყო იგი მთელი ძველი ქართულის მანძილზე. ხოლო მომდევნო პერიოდში, როდესაც მახვილი შესუსტდა ენაში, კითხვითი და უმახვილო დარჩა. სიტყვის ბოლოს უმახვილო, არაფუძისეული ხმოვანი კი თანდათან დასუსტდა და შემდეგ სულ გადავარდა. ვარაუდს, რომ და მახვილიანი იყო, მხარს უჭერს თუშური კილოს მონაცემებიც, სადაც „კითხვითი და ნაწილაკით ნაწარმოებ ფორმებში მახვილი უთუოდ დას ეცემა ხოლმე. მაგ., არსა? (არის?); მოვალსა? (მოდის?) და სხვა. თ. უთურგაიძეს ეს მოვლენა თუშურისათვის მეორეულად მიაჩნია (თ. უთურგაიძე, 1961, გვ. 25). მაგრამ საფიქრებელია ისიც, რომ თუშურში კითხვითი დას მახვილიანობა მეორეული მოვლენა არ უნდა იყოს, რადგანაც სწორედ მახვილმა შემოინახა დღევანდელამდე თუშურში ეს ნაწილაკი. ასევე მახვილიანია კითხვითი და სვანური ენის ლენტეხურ კილოშიც. ე. ი. თუშური კილოსა და სვანურის ლენტეხური კილოს მონაცემებით უძველესი ქართულის ვითარებას უნდა ასახავდეს. საშუალო ქართულში კითხვითი და უკვე იშვიათად გვხვდება.

მთის კილოებში (მოხეურს გარდა) კითხვის გამოსახატავად სი-

ტყვას ანი დაესმის: არ გესმის? (=არ გესმის?); (ა. შანიძე, 1981, გვ. 23). ხევესურულში ამ ნაწილაკის ხმარებას ახლავს ზოგიერთი თავისებურება: „როცა რა ნაცვალსახელს კითხვითი და უნდა დაერთოს. მას ჯერ სახელობითის და გაუჩნდება ხოლმე: ეგ ბრალ რაია ჩვენია?“

და კითხვითი ნაწილაკი დასტურდება აგრეთვე ფშაურში: „კი იცი და შალშავი? (ქ.დ., I, 127); გულამაყრელში: არას მასწავლია? (ქ.დ., 97) მთიულურში: არა დარდობსა დედაშენი? (ა. ჩიქობავა, 1937, გვ. 55). თიანურში: „გათხოვილი არა ხარ? (ქ.დ. 147). და ნაწილაკი იხმარება ინგალოებშიც: დედაც მოუკითხავ და რაბე ფუშმან ხარ? (გრ. იმნაიშვილი, 1966, გვ. 179).

კითხვითი ნაწილაკის გამოყენების თვალსაზრისით მხოლოდ კაკაური კილოკავი გვიჩვენებს თავისებურებას. აქ კითხვითი და ნაწილაკი გვაქვს კითხვითსიტყვიან წინადადებაშიც, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მისი ფუნქცია უკვე დავიწყებას მიეცა (გრ. იმნაიშვილი, 1966, გვ. 146).

ოკრიბულში დას სახით შემონახულია ძველი ქართული კითხვითი და (და ფონეტიკურ ნიადაგზე) მაგ.; შენ ხარ? (შდრ. ძვ. ქართული: „შენ ხარა მომავალი იგი, ანუ სხვას მოველოდეთ?) (ო. კახაძე, 1954, გვ. 176). ო. კახიძის აზრით, და უნდა ისმოდეს იმერულის კილოკავებშიც, კერძოდ, სოფელ მუხურაში (ო. კახაძე, 1954, გვ. 177).

კითხვითი და ნაწილაკი ზოგჯერ სალიტერატურო ენაშიც გვხვდება, რაც შესაბამისი დიალექტების გავლენით უნდა აიხსნას.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში კითხვითი და ნაწილაკი იხმარება მხოლოდ პერსონაჟის მეტყველებაში და მას სტილისტური ფუნქცია აკისრია.

ლიტერატურა

ანტონ I., 1885 — ანტონ I. ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, გამოცემული ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით, ტფილისი, 1885.

ონიანი, 1998 — ა. ონიანი, სვანური ენა, თბ., 1998.

შანიძე, 1980 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თხზ, თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1980.

შანიძე, 1981 — ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, თხზ., 12 ტომად, ტ. II. თბ., 1981

ჩიქობავა, 1936 — ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, ტფილისი, 1936

ჩიქობავა, 1937 — ა. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, ენიმკის მოამბე, II, ტბილისი, 1937.

ჭინჭარაული, 1960 — ა. ჭინჭარაული, ხევსურული თავისებურებანი, 1960.

იმნაიშვილი, 1966 — გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი. თბ., 1966.

ჩუბინაშვილი, 1887 — დ. ჩუბინაშვილი, საუნჯე ქართულისა ენისა, ქართულ-რუსული ლექსიკონი, СПб. 1887.

ბაბუნაშვილი, 1953 — ე. ბაბუნაშვილი, ნაწილაკები ძველ ქართულში, საკანდიდატო დისერტაცია (მანქანაზე ნაბეჭდი), თბ., 1953.

უთურგაიძე, 1961 — თ. უთურგაიძე, თუშური კილო. თბ., 1961

უთურგაიძე, 1966 — თ. უთურგაიძე. კითხვითი ა და მე ნაწილაკები ქართულში, იკე, XVI, 1966.

გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961 — ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, თ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.

ქალდანი, 1964 — მ. ქალდანი, კითხვითი, განსაზღვრებითი და გაძლიერებითი ნაწილაკები სვანურში, იკე, XIV, 1964.

Marr, Briere, 1931 — N. Marr, M. Briere, La Langue Georgienne, Paris, 1931.

კახაძე, 1954 — ო. კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი, იკე, VI, 1954.

Towards the Interrogative Particle a in the Dialects of Georgian

Summary

The interrogative particle a is a common Kartvelian feature. It is linked to the Svan a and g and the Megrelian o. In Old Georgian a might have been accented, however, later it became unaccented and this is one of the reasons for its disappearance in Standard Georgian. In Old Georgian the function of the particle a was already unstable, it is rarely evidenced in Middle Georgian records, and in New Standard Georgian it is not encountered at all. The particle a is evidenced in the following dialects of Modern Georgian: Khevsurian, Tush, Pshav, Ingiloan, Fereidanian, Rachan; it is partially preserved in Mtiulian and Imeretian. In some dialects (Upper Imeretian, Upper Rachan, Ingiloan) the particle in question is used in sentences with interrogative words, which proves that in these dialects the function of the particle is not clear. Questioning can also be conveyed by means of the particle a (which originates from ha). The latter being originally an interjection and hence it cannot be identified with the interrogative particle a..

ვანხანაზ მალაქაძე

ტავტოლოგიური დარღვევები. II.

ტავტოლოგია, ანუ გამეორება არის წინადადებაში ერთი და იმავე სახელის, განსაზღვრების ან თქმის რამდენიმეჯერ გამეორება სხვა, აზრობრივად ახლო მდგომი სიტყვით.

ტავტოლოგიური გამოთქმები შეიძლება გავიჯნოთ და რამდენიმე რიგად დავალაგოთ. რა თქმა უნდა, დიდი გალაკტიონის „ქარი ჰქრის...“ უმარტებულო ტავტოლოგიის ნიმუშად ვერ ჩაითვლება, პირიქით, ეს შედეგია:

„ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, (ფოთლები მიჰქრის ქარდაქარ... (ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის, (ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?... (როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს, (ვერ გპოვებ ვერასდროს... ვერასდროს! (

შენი მე სახება დამდევს თან (ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან... (შორი ცა ნისლიან ფიქრებს სცრის... (ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის...)

მაგრამ, ძირითადად, ქართული მედიის ფურცლებზე ვაწყდებით ყოველად გაუმართავ და გაუმართლებელ გამოთქმებსაც. ზოგი მათგანი სხვადასხვა ენობრივ შრეს წარმოადგენს, ზოგი კი, თავად ქართული წიაღიდანაა აღმოცენებული.

ჯერ ქართული და უცხოური სიტყვების უმარტებულო დაწყვილების ნიმუშები ვნახოთ:

ამ ქვეყანაში ყველა პოტენციური **შპიონი** და **ჯაშუშია** („სარკე“, 34.2011, 17.2).

ვნახოთ ფრანგულ-გერმანული წარმოშობის სიტყვა შპიონი. იგი მ.ჭაბავილის უცხო სიტყვათა ლექსიკონში ჯაშუშს ნიშნავს.

იმავე რიგის დარღვევა:

ყველა ქვეყანას თავისი **შარში** აქვს, თავისი ამოუცნობი **ხიბლი** და ისტორია აქვს („სარკე“, 38. 2012, 51.3). ქალურ ხიბლს დოგმა და ჩარჩო არ მოეძებნება. [ზოგი ქალი] არცთუ ისე ლამაზია, მაგრამ მას რაღაც **შარში**, **ხიბლი** აქვს... (იქვე, 39.2009, 49.1) ლამაზი, სექსუალური, გამომწვევი,

შარშიანი, ეშხიანი - აი, ასეთი ქალი იმსახურებს ჩემთვის ამ ტიტულს (იქვე, 31.2009, 42.1).

ფრანგული სიტყვა შარმი რუსული უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით ხიბლს შეესაბამება. ორივე შემთხვევაში ფაქტიურად ერთი და იგივე სიტყვაა უმარტებულოდ დაწყვილებული: **ჯაშუში = შპიონი, ხიბლი = შარმი**. ოღონდ ისინი სხვადასხვა ენობრივი წარმონაქმნია. შარშიანი — უკვე უცხოური სიტყვა გაფორმებულია -იან ყოლა-ქონის ზედსართავის მაწარმოებლით. ხიბლი ჯერ კიდევ სულხან-საბას ლექსიკონში გვხვდება. იგი საფუძვლიანადაა დამკვიდრებული ქართულ ლექსიკაში: ხიბლი — არსებითი სახელი, ხიბლიანი — ზედსართავი სახელი, მოხიბლა, ხიბლავს — ზმნა, მოხიბლავი, მოხიბლული — მიმღეობა....

დასახელებული მაგალითები ისეა გაგებული, თითქოს ისინი ტავტოლოგიური გამოთქმები კი არა, სინონიმებია და ერთმანეთის გასაძლიერებლად გამოყენებული. ჟურნალისტს რომ მხოლოდ უცხოური სიტყვა ეხმარა, შეიძლება რაღაც გასამართლებელი მიზეზის ძებნა დაგვეწყო, მაგრამ სრულიად გაუგებარია ქართულში დამკვიდრებულ სიტყვებთან აბსოლუტურად იმავე შინაარსის ბარბაროზების დაწყვილება.

შემდეგი მაგალითები ქართული ლექსიკის კუთვნილებაა. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში პირველი სიტყვა ფარავს და მეორეს ავტომატურად შეიცავს:

ლუარსაბ მეფეს დღეს უკვე ცნობილი **ექიმი** და **ქირურგი** ზაზა კახიანი თამაშობდა („სარკე“, 3.2002, 30). ...მამა... ერთ-ერთი ცნობილი **ექიმი-ექოსკოპისტი** გახლდათ (იქვე, 40, 2011, 14). დედაჩემი... **ექიმი-ალერგოლოგია** (იქვე, 44, 2011, 33). იგი საჭიროებს პროცედურამდე დიაგნოსტიკას და ტარდება **ექიმი-ანგიოლოგის** მიერ („თბ.-ები“, 42. 2011, 19.2). დაავადების შესახებ **ექიმი-დერმატოლოგი**... გვესაუბრება (იქვე, 24.2011, 21.1).

აქ სრულებით არაა საჭირო ლექსიკონის დამოწმება, ისედაც ნათელია, რომ ექიმი ფართო ცნებაა და სამედიცინო სფეროს მრავალ სპექტრს მოიცავს: ექიმი შეიძლება იყოს ქირურგი, თერაპევტი, პედიატრი, სტომატოლოგი, ოფთალმოლოგი, ანგიოლოგი, დერმატოლოგი, ექოსკოპისტი... და პირიქით — ანგიოლოგი, დერმატოლოგი, ალერგოლოგი, თერაპევტი თუ სხვა მხოლოდ ექიმის ვიწრო სპეცია-

ლობები. გამართლებული იქნებოდა ექიმი — პარალელურად თუ იქნებოდა მსახიობიც ან მომღერალიც, სპორტსმენიც... იმავდროულად ან ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში და არა თითქმის ტოლფასი, ერთმანეთის მომცველი — ქირურგისა და ექიმის დაწყვილება. მსგავსად:

...იღვის ავტორიც **ფსიქოლოგი** და **ტელეწამევანი** გიორგი ჯაჭანიძეა („თბ.-ები, 42. 2011, 87.10).

ამ მაგალითში სრულიად სხვადასხვა პროფესიისაა გვერდგვერდ დაყენებული და მათი შეწყვილება ბუნებრივია. რაც შეეხება ექიმ-ანგიოლოგს, ექიმ-დერმატოლოგს, ექიმ-ექოსკოპისტს და ექიმ-ალერგოლოგს, ისინი ტოლად შერწყმული კომპოზიციები, დეფისით უნდა დაიწეროს და პირველი ნაწილი ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი (თსენ, 158-160)..

იგივე სიტუაციაა **სამხედრო ჰოსპიტალსა** და **სამხედრო პარადთან** მიმართებით.

ტრადიციულად დამკვიდრებულია, რომ, **სამხედრო** ომთან, არმიასთან, ჯართან დაკავშირებული, მისთვის განკუთვნილი რამეა (უსლ). ამისდა მიუხედავად, მაინც ახერხებენ გამჭვირვალე სინტაგმაში მეორე სინონიმური სიტყვის შემოტანას:

კარლო გადარჩა... მაშინაც... როცა **სამხედრო ჰოსპიტალს** ბომბი დაეცა... (მ.ბურჭ., „დაუწ.“, 73). მან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მედიცინის ისტორიაში, როგორც **სამხედრო ჰოსპიტალების** რეფორმების ინიციატორმა... („რეიტ.“, 11.2008, 46.3) თავდაცვის სტრატეგიაში სამი წლის წინ მივიდა, **სამხედრო ჰოსპიტალში** დაიწყო მუშაობა... („სარკე“, 31. 2007, 32.2). ...გადაამყვანეს ვაშინგტონში, **სამხედრო ჰოსპიტალში**... (იქვე, 22, 2007, 20). ის სასწრაფოდ გადააგზავნეს **სამხედრო ჰოსპიტალში** („იდ. სამყ.“, 22.2007, 20.2). დაჭრილი **სამხედრო ჰოსპიტალში** მოათავსეს („იბერია“). ...აფეთქების შედეგად დაჭრილი რუსი ჯარისკაცები სოხუმის **სამხედრო ჰოსპიტალში** იმყოფებიან („დასტა“, 3.2007, 6.3). ...ცოლად მოიყვანა **სამხედრო ჰოსპიტლის** მეღდა... (იქვე, 19.2011, 6.3).

უპირანი იქნებოდა ეხმარათ ჰოსპიტალი დამოუკიდებლად, ან სამხედრო საავადმყოფო. მართებული ფორმებიც შეიძლება მოვიძიოთ:

...მასზე დაქვემდებარებული **ჰოსპიტალების** მუშაობას უფრო თანამედროვე მიღწევებით ცვლიდა“ (რეიტ.“, 11.2008, 46.3). გავითიშე. როგორ წამიყვანეს ერასის **ჰოსპიტალში**... არ მახსოვს („სარკე“, 22.2007, 20.2). ...მიმედ დაჭრილი ინსპექტორი კი სასწრაფოდ **ჰოსპიტალში** გადაიყვანეს (იქვე, 11.2008, 37.1) ...ამაჩემი სამხედრო კომისარი განლდათ და ჩემთვის **ჰოს-**

პიტლის კარი ყოველთვის ღია (იქვე, 7, 2010,36.1).

ლათინური წარმოშობის სიტყვა **ჰოსპიტალი** ინგლისურ ლექსიკონში ახსნილია, როგორც დაწესებულება, სადაც ავადმყოფები ან დაშავებულები იღებენ სამედიცინო ან ქირურგიულ დახმარებას (დ. გიურ.), ხოლო მ. ჰაბაშვილის მიერ შედგენილ და რუსულ უცხო სიტყვათა ლექსიკონებში განმარტებულია ერთმნიშვნელოვნად — ჰოსპიტალი [გერმან. ჰოსპიტალი < ლათ.] — საბჭოთა კავშირში: საავადმყოფო სამხედრო მოსამსახურეებისათვის. სხვა ქვეყნებში აგრეთვე სამოქალაქო სამკურნალო დაწესებულება (უსლ).

სწორედ რუსული ენის გავლენით გაიმიჯნა **სავადმყოფო** და **ჰოსპიტალი**: პირველი სამოქალაქო, მეორე კი — სამკურნალო დაწესებულებების სახელწოდებებად. თუმცა, **ჰოსპიტალი** შეიძლება იყოს საველეც. მაგალითად:

... ფრანგული სიტყვა **ლაზარეთი**... ლექსიკონში საველე **ჰოსპიტლად** არის განმარტებული („ფუმბ.“, 21.208, 19.1).

ვინაიდან, ქართულში ეს სიტყვები ორი სხვადასხვა მნიშვნელობითაა დამკვიდრებული, ნულარ „გავრევეთ ერთმანეთში“ და ვინმართ თავთავის ადგილზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ -ალ ფუძეზე დაბოლოებული საზოგადო სახელები იკუმშება. თავისთავად ჰოსპიტალიც კუმშვადია და არა უკუმშველი, როგორც ზოგიერთ მაგალითშია წარმოდგენილი.

სამხედრო ჰოსპიტლის მსგავსად ტავტოლოგიური შესიტყვებაა **სამხედრო პარადი/აღლუმი**.

მაისის **სამხედრო პარადის** გარდა... მიმდინარე წელს „ჩატარდა“ კიდევ ერთი... („თბ.-ები“, 33.2005, 74.2). დღევანდელი მთავარი ელემენტი მაინც **სამხედრო აღლუმი**... განლდათ... (იქვე, 23.2008, 6.1). ბილიაზე დაფიცება... **სამხედრო აღლუმი**... ასე ხდებოდა ყოველთვის... („რეიტ.“, 14.2008, 69.1). მთელი დღის განმავლობაში აქ **სამხედრო აღლუმი**, სხვადასხვა სანახაობა და სეირნობა გაიმართა („სარკე“, 22.2005, 46.1).

განმარტებით ლექსიკონში **აღლუმი** სინონიმადაა გაიგივებული პარადთან, ხოლო სიტყვა **პარადი** — ჯარების, სპორტსმენების საზეიმო დათვალიერებაა. ზედმეტია აღლუმთან ან პარადთან სამხედროს დაწყვილება. საესებით საკმარისია ამ სიტყვების დამოუკიდებლად ხმარება, ვინაიდან მის შესატყვისად ლათინური დემონსტრაცია გამოიყენება მასობრივი მსვლელობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გან-

წყობილების გამოსახატავად. აღლუმსა და პარადს შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ პარადი უცხოური სიტყვაა და, სასურველია, ქართულით დავკმაყოფილდეთ.

გვხვდება მართებული ფორმებიც:

სიტყვა „მასა“ ყურს ჭრიდა და საბჭოთა **აღლუმებს** ახსენებდა... („სარკე“, 33.2007, 76.1). პუტინმა... ჯოზეფ ბაიდენი წითელ მოედანზე **აღლუმზე** დასასწრებად არ მიიპატიჟა („გზა“). **აღლუმზე** სტალინმა პირდაპირ ფრონტის ხაზზე მიმავალ მებრძოლებს განუცხადა... („თბ-ები“, 23.2008, 58.3). სიღნეში საცურაო კოსტიუმების **აღლუმი** გაიმართა („სარკე“, 47.2009, 56.3). ლუი ხშირად დაყვებოდა ქალაქის სასულე ორკესტრს **აღლუმების** დროს და შანსს არ უშვებდა.. მოესმინა (იქვე, 19.2008, 62.2). არ გყოფილვარ ისეთ ადგილას, სადაც ეგენი აწყობდნენ **აღლუმს** („თბ-ები“, 25.2004, 23.3). აბა, ერთი **ჰიტაღლუმებს** შეხედე („რეიტ.“ 10.2010, 33.1). ...გაჭიმულები, თითქოს საზღვაო აღლუმს იღებდნენ ჩვენგან, ისე გვა-ცილებდნენ (ბ.სულაკ., 59).

აქვე შეიძლება პარადისა და აღლუმის უმართებულო, შეუსაბამო მაგალითების დასახელებაც:

ლონდონში გამართულ **გეი-აღლუმზე**... სარა სიტყვით გამოვიდა... („თბ-ები“, 10.2010). ...მარიელა კასტრო კუბაში... მოწყობილ ყოველდღიურ **გეი-აღლუმზე** ბოლო წლების მთავარ მედროშედაა ცნობილი (იქვე, 27.2010, 13.2). ...თბილისში **გეების აღლუმის** ჩატარებას აპირებდნენ („სარკე“, 31.2007, 8.1).

მეორე დარღვევაა პარადის გამოყენება, რომელიც ამავდროულად ბარბარისმსაც წარმოადგენს ენაში:

...ხოვან **გეების „პარადები“** იმართება („თბ-ები“, 25.2004, 23.3“). ნორვე-გიაში ჩატარდა მსოფლიო **გეი პარადი**... („სარკე“, 46.2009, 42,3). ...მოსახ-ლეობის 80 პროცენტი სილატაკეშია და რა დროს **გეების პარადია?!** (იქვე, 31.2007, 8.3). ახალ ორლენში... ვნახე **გეებისა** და **ღესბოსელების პა-რადი**“ (იქვე, 23.2007, 51.2).

უნდა დაეწერათ დემონსტრაცია, ანდა ფესტივალი. როგორც მართებულადაა ერთ შემთხვევაში გამოყენებული:

ახალ ორლენში იყო სამდღიანი **გეი ფესტივალი** („სარკე“, 23.2007, 51.2).

საინტერესოა, რომ ბოლო ორი ილუსტრაცია ერთსა და იმავე სტატიაშია წარმოდგენილი.

რაც შეეხება დაწერილობას, ქართულში იქნება **გეი-აღლუმი**, **გე-იპარადი** თუ **გეიფესტივალი**, ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს და არა დეფისით.

ბოლო ხანებში ენაში მრეწველები ძალიან აქტიურად იყენებენ შესიტყვებას — **„ღვინის მარანი“**, რასაც რეკლამებსა თუ აბრეზებზეც ათავსებენ. ჟურნალისტები კი, ავტომატურად იმეორებენ ყოველგვარი შეწინააღმდეგების გარეშე. აქაც თითქოს სადავო და გასარკვევი არა-ფერია — ნებისმიერი ქართველი ან ქართულის მცოდნე გეტყვით, რომ **მარანი** არა მინერალური ან ტკბილი წყლების დასამზადებელი თუ დასაწყობი სათავსია, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ღვინისათვისაა განკუთვნილი. სწორედ ასეა განმარტებული სულხან-საბასთან: **მარანი — საღვინე სახლი**; განმარტებით ლექსიკონში კი — **ღვინის დასაყენებელი და შესანახი ადგილი**. ამისდა მიუხედავად, ხშირად ვხვდებით უმართებულო სინტაგმებს:

ასევე აქვს საქართველოში ყველაზე დიდი **ღვინის მარანი** („სარკე“, 41,2011, 17,4). საკონდიტროს, **ღვინის მარინა** და საყასბოს განკარგულე-ბაში ცალკე საამქრო იყო („იდ. სამყ.“, 29, 2007, 1,4). **„თელავის ღვინის მარანი“ წარმოადგენს...** („თბ-ები“, 14.2005. 11.1). **„თელავის ღვინის მარინს“** ღვინოები ლონდონის პრესტიჟული გამოფენიდან 19 მედლით და-ბრუნდა (იქვე, 24.2008, 17.2). კონკურსის ბრინჯაოს მედალი ერგო **„თელა-ვის ღვინის მარინს“** „გვიანს“ და „მუკუზანს“ ((იქვე).

ქართველმა ხალხმა, როგორც ღვინის უძველესმა გამომგონებელ-მა და გამომყენებელმა, მისი კულტურის საფუძვლის დამდებმა და ჩამომყალიბებელმა ერთი სიტყვით ძალიან მარტივად და სხარტად გამოხატა დღევანდელი ახლად გამოგონილი სინტაგმა **ღვინის მარა-ნი**. ეს ხომ უკან გადადგმული ნაბიჯია, ენის დანაგვიანება და არა რაიმეს შემატება.

დავასახელებთ ფრიად საინტერესო და სამწუხარო არა მხო-ლოდ ტავტოლოგიური დარღვევის, არამედ პოლიტიკური სიბეცის მა-გალითებს:

საუკეთესო მზარეული **ქართულ** და **აჭარულ** ტრადიციულ აჭარულ კერ-ძებს წარმოგიდგენთ

ნუთუ ქართული და აჭარული ერთი დონეა ენობრივი თვალსაზ-რისით?! განა ქართულში ორგანულად არ მოიაზრება აჭარული და ცალკე გამოყოფა უნდა? როდის აქეთია აჭარული ისევე არ შეადგენს ქართული სპექტრის ერთ-ერთ ძლიერ და ძარღვიან კოლორიტულ სიმთავანს?! აღარ არის ისეთივე შემადგენელი ნაწილი საქართველო-

სი როგორც იმერეთი, გურია, თუშეთი, ხევსურეთი, კახეთი?.. მისაღები იქნებოდა დაეწერათ: მზარეული წარმოგიდგინებ აჭარულ და სვანურ, აჭარულ და მესხურ, აჭარულ და რაჭულ კერძებს... ან ქართლის გვერდით დაეწერათ რომელიმე უცხო, სხვა ქვეყანა და ერთ სიბრტყეზე არ მოეთავსებინათ არ შეეწყვილებინათ, საქართველოსათვის მისი ძირძველი კუთხე...

ეს შეიძლება შემთხვევითობად მოგვიჩვენებოდა, რომ არა შემდეგი მაგალითი:

...ჩემი საცოლე ფოთელია და არანაირი შეხება არ აქვს შოუბიზნესთან. ოქტომბერში ლამაზი, **ქართულ-მეგრული** ოჯახი შეიქმნება“.

არცერთგან შეგნებულად არც რესპოდენტის, არც ჟურნალისტისა და არც პრესის ორგანოს არ დავასახელებთ. მეფის რუსეთი აღწერის ჩატარებისას მეგრულს, იმერულს, სვანს, მთიულს, ხევსურს, კახელს და საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელს ცალკე ეროვნებებად წერდა და არა ქართველად (ეგ კი არა, საბჭოთა კავშირის დროს ცნობილი ქართველი პოეტის, ფრიდონ ხალვაშის ლექსების კრებულის რუსულ თარგმანს ეწერა: **перевод с аджарского?!. თარგმანი აჭარულიდან?!**). მათი იმპერიალისტური პოლიტიკა სავსებით გასაგები იყო: „გათიშე და იბატონე“.

დღეს რა გვემართება? ნუთუ ჟურნალის ვერც ერთმა თანამშრომელმა ვერ გაიაზრა, რომ მეგრელიც ისეთივე ქართველია, როგორც ქართლელი, მოხვე, თუში, რაჭველი, აჭარელი...? გასაგებია მეგრული-იმერული, ხევსურულ-თუშური, გურულ-კახური, სვანურ-ქიზიყური... თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მაცხოვრებელთა მიერ ქართული ოჯახების შექმნა, მაგრამ **ქართულ-მეგრული**? არ მინდა ზედმეტად მკაცრი ნათქვამი გამომივიდეს: ამის მთქმელი, დამწერი და გამშვები, დავესესხები მურმან ლებანიძის გულიდან ტკივილიან ამოძახილს:

„ვისაც ჩენი გაყოფა... და გათიშვა სწყურია, ან ჭკვიანი მტერი არის, ან უგნური მოყვარე...“

მაგრამ ორივე შემთხვევაში, დამეთანხმებით, გამიზნულად მტრის წისქვილზე წყლის დასხმაა!

შემდეგ მაგალითებზე კომენტარისაგან თავს შევიკავებდით:

ტექსტი მხოლოდ აღქმისთვისაა ცნობილი **შიფრითა დაშიფრული**

(„ილუმ. სამყ.“ 19.2007, 18.2). ...ქვეს ცხოველმოქმედების გარკვეული ნიმუშები შეენიშნებათ (იქვე, 22. 2007, 2.2). იგი მოუწოდებდა ყველას ყოველი **ღონე ელნათ** („რეიტ.“, 24. 20011, 74. 2). ...მაგრამ მერე ისეთი **ფასი დაგვიფასეს**, რომლის გადახდა შეუძლებელი იყო („სარკე“, 16. 2009, 16.4). აღიარეთ, რომ მიშა სააკაშვილის **თამაშით გაათამაშეთ** (იქვე, 23.2010, 16.2). თუ ბავშვს ძუძუს აწოვებთ, დამაწყნარებლის **მიღება** მხოლოდ ექიმთან შეთანხმებით უნდა **მიიღოთ** (იქვე, 49.2007, 78.1). **მდგომარეობის** გაუმჯობესების შემდეგ, ექიმები მისი ფსიქიკური **მდგომარეობის** შემოწმებას აპირებენ (იქვე, 47.2009, 56.2). **როდესაც** ლეტიციას ჰკითხეს, რატომ გადაწყვიტა თეატრში მოღვაწეობა, **როდესაც** ტელევიზიაში და დიდ ეკრანზე ნაყოფიერად მუშაობდა, მან უბასუხა... („ელიტ. ქრონ“, 9.2005, 55.1). მან განაცხადა, **რომ** დაკარგული ნივთები მისი საჩუქრები გახლდათ და ძალიან გული წყდება, **რომ** ყველაფერი დაკარგა (იქვე, 9, 2008, 52).

თუ ჩვენს ჟურნალისტებს მიაჩნიათ, რომ რაც დიდი პოეტისათვის დასაშვებია, მათაც ეპატიებათ... მაგალითად:

ზოგი ყურს უგდებს, / სხვა ჰხუჭავს თვალსა? / **ყურსაც იყრუებს**, / მას ასუსტებს“ ვაჟა.

„მიდიხარ... ისე მივაქვს წვალება, / თითქოს ზღვის კარად თივას თიბავდე“ გალაკტიონი.

ვინა თქვა შენი გარდაცვალება? არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე.

გალაკტიონი.

ის, რაც პოეტური ნაწარმოებისათვის გამართლებულია, პუბლიცისტიკისათვის შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს.

ბუნებრივია, ყველა აღნიშნული ტავტოლოგიური სინტაგმა ენისათვის მიუღებელია და დაუშვებელია მათი გამოყენება.

რედაქციები ხშირად აქვეყნებენ, რომ რესპოდენტის მოსაზრებებზე პასუხს არ აგებენ. შესაძლებელია, ჟურნალისტისა და რედაქციის აზრი არ ემთხვეოდეს ავტორის შეხედულებებს რელიგიური, პოლიტიკური, ეთიკური... ან სხვა სახის მოსაზრების შესახებ, მაგრამ ვალდებულნი არიან სალიტერატურო ენის ნორმების დასაცავად, სტილისტური ხარვეზების ასაცილებლად თავი არ შეიკავონ. და მით უმეტეს, ეროვნული თვითშეგნებიდან გამომდინარე, უზუსტობებში კორექტივები შეიტანონ.

Tautological Violations

Summary

The paper examines the phenomenon of tautology discussing its subtypes. The paper analyses different samples of tautological violation on the material from the present day Georgian media. In some instances tautological elements belong to different stylistic layers, whereas in other cases it is just the other way round. The paper argues that certain measures should be taken to avoid tautological violations.

ლიტერატურა

- გალაკტიონი, 1973** — რჩეული, „ქარი ჰქრის“, თბილისი, 1973.
- გალაკტიონი, 1992** — ლექსები, („მიდიხარ...“), თბილისი, 1992.
- „ელიტ. ქრონ.“** — ჟურნ. „ელიტარული ქრონიკა“, №9, 2005, №9, 2008.
- ვაჟა, 1993** — ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. 3, „სვინდისი“, თბილისი, 1993.
- „თბ-ები“** — ჟურნ. „თბილისელები“, №25, 2004; №33, 2005; №18, 2006; №23, 2008; №10, №27, 2010; №19, №24, №42, 2011.
- თქსენ, 1970** — თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ნაწ. I, თბილისი, 1970.
- „იბერია“** — ტელევიზია „იბერია“.
- „იდ. სამყ.“** — გაზ. „ილუმალეების სამყარო“, №3, 2004; №19, №22, 2007.
- „დასტა“** — გაზ. „დასტა“.
- მურმან ლებანიძე** — „ყველას“, თბილისი, 1971.
- „რეიტ.“** — ჟურნ. „რეიტინგი“ №19, №11, 2008; №10, 2010; №24, 2011.
- „სარკე“** — ჟურნ. „სარკე“, №22, 2005; №17, №22, №23, №31, №33, №47, №48, №49, 2007; №19, №22, 2008; №16, №6, №47, 2009; №7, №23, 2010; №40; №41, №44, 2011; №38, 2012.
- სიტყვის კონა, 1993** — სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1993.
- სულაკ. 2007** — ბ. სულაკაური, თ. ქიტოშვილი, ქართული, მე-8 კლასის სახელმძღვანელო, თბილისი, 2007.
- უსლ, 1986** — მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1986.
- უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1998** — словарь иностранных слов, москва, “русский язык“, 1988.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი**, ერეთომეული, თბილისი, 1986.

მარიამ ნაზიშვილი

**არხის გამხსნელი და დამასრულებელი სიგნალები
ინგლისურენოვან და ქართულ ტოქშოუებში**

ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს გოფმანის სისტემური შეზღუდვებიდან ერთ-ერთის, კერძოდ არხის გამხსნელი და დამასრულებელი სიგნალების ლინგვისტური რეალიზაციის თავისებურებები ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ ტოქშოუებში. ემპირიულ მასალად გამოყენებულია: Alan Titmarsh Show (ბრიტანული), Ellen DeGenerous Show (ამერიკული) და ნანუკას შოუ.

ცნობილია, რომ არხის გამხსნელი და დამასრულებელი სიგნალები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ნებისმიერი დისკურსის ჟანრში. ეს სიგნალები განსხვავდება ერთმანეთისაგან კონტექსტუალური შეზღუდვების (არხი, გარემო, კომუნიკანტები და სხვ.) სპეციფიკის მიხედვით.

ჩვენი მიზანია, ვნახოთ ა) ვერბალური და არავერბალური არხის გამხსნელი/დამასრულებელი სიგნალები, რომლებიც გამოიყენება ტოქშოუს ჟანრში; ბ) ვინ და როგორ ხსნის და ხურავს არხს ტოქშოუში; გ) არხის გახსნისას/დასრულებისას ვინ არის სამიზნე აუდიტორია (თანამოსაუბრე, სტუდიაში მყოფი აუდიტორია თუ სახლში მყოფი მაყურებელი).

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ტოქშოუ არ განეკუთვნება დისკურსის ერთ რომელიმე კონკრეტულ ჟანრს; მასში ხდება სხვადასხვა ტიპის დისკურსის მახასიათებლების შერწყმა. ინსტიტუციონალური ხასიათიდან გამომდინარე, ყოველდღიური საუბრისაგან განსხვავებით, აქ წინასწარაა განსაზღვრული, თუ ვინ გახსნის არხს და რამდენი ხანი ისაუბრებს იგი, ანუ როლები წინასწარ გადანაწილდება. ასევე, ჩვეულებრივი საუბრისაგან განსხვავებით, ტოქშოუში არხის გახსნამდე შეამზადებენ აუდიტორია არხის გახსნისთვის.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ არხის გამხსნელი სიგნალები განსხვავებულადაა წარმოდგენილი ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ ტოქშოუებში. ბრიტანულ (The Alan Titchmarsh Show) და ამერიკულ შოუებში (Ellen DeGenerous Show) არხის გამხსნელ სიგნალს ყველგან წინ უსწრებს არხის გახსნის წინმსწრები ვიზუალური და ვერბალური სიგნალები, რომელსაც ყოველთვის წარმოადგენს გამომცხადებელი. სამიზნე აუდიტორიაა, როგორც სახლში ეკრანებთან მსხდომი, ასევე სტუდიაში მყოფი ინდივიდები. თუმცა, ბრიტანული და ამერიკული არხის გახსნის წინმსწრებ სიგნალებშიც არის განსხვავება. დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ ბრიტანული არხის გახსნის წინმსწრები სიგნალი უფრო მოკლეა და ყველა გადაცემაში სტანდარტულად მეორდება. ტოქშოუ იხსნება გადაცემის ქუდით (გვაქვს არხის გახსნის წინმსწრები ვიზუალური სიგნალი), რის შემდეგაც ისმის გამომცხადებლის ხმა (ვერბალური სიგნალი), სადაც არხის გახსნის წინმსწრები სიგნალის შემდეგი თანმიმდევრობაა: ა) მიმართვა აუდიტორიისადმი; ბ) წამყვანის იდენტიფიკაცია.

Announcer: Ladies and Gentlemen (ა), Alan Titchmarsh (ბ). (<http://www.youtube.com/watch?v=IM7EHqoeoAU>)

ბრიტანულ არხის გახსნის წინმსწრებ სიგნალში აუდიტორიისადმი მიმართვა ხდება ოფიციალური რეგისტრის მქონე ლექსიკით. წამყვანი იდენტიფიცირებულია სრული სახელით, თუმცა არ გამოიყენება ოფიციალური მიმართვის ფორმა, გვაქვს ელიპსური წინადადება.

ამერიკული არხის გახსნის წინმსწრები სიგნალები უფრო მრავალფეროვანი და მეტი ინფორმაციის მომცველია. ისინი შეიძლება დაყვით რამდენიმე ჯგუფად:

1) ა) სპეციალური ფრაზა; ბ) სტუმრების იდენტიფიკაცია სახელებით და ვიდეომასალით; გ) გადაცემის გამოცხადება და ქუდი; დ) წამყვანის იდენტიფიკაცია.

Announcer: (ა) Today on Ellen – (ბ) Hugh Grant meets British princesses (ვიდეო კადრი გადაცემიდან). Plus, do parents get a healthy deed (ვიდეოკადრი გადაცემიდან) and a surprise photo (ვიდეოკადრი გადაცემიდან)

დან). (გ) **Ellen starts now.** (ამის შემდეგ ეკრანზეა გადაცემის ქუდი, რომლის დასრულების შემდეგაც კადრში ჩნდება წამყვანი და ისევ ისმის გამომცხადებლის ხმა). (დ) **Here she is now, Ellen DeGenerous.** (retrieved data from: <http://www.tudou.com/programs/view/9LNDNgP8dR8> Ellen Show, 27 April, 2012. 6. 05. 2012 12: 56)

არხის გახნის წინმსწრები სიგნალი ინფორმაციას აძლევს აუდიტორიას, ვისი და რისი ნახვა იქნება შესაძლებელი შოუში სტუმრების სახელების გამოცხადებით, რომელსაც თან ერთვის ვიდეომონტაჟი დასრულებულია და შემდეგ აცხადებენ შოუს დაწყებას შოუს სახელის გამოცხადებით. ბრიტანული არხის გახნის წინმსწრები სიგნალისაგან განსხვავებით, ამერიკულ ტოქშოუში არ გვხვდება ოფიციალური რეგისტრის მქონე ლექსიკა. გამოყენებულია მარტივი წინადადებები, მესამე პირის ნაცვალსახელები და სრული სახელები სტუმრისა და წამყვანის იდენტიფიკაციისათვის. გვხვდება ფრაზები, მაგ. როგორცაა **Today on Ellen; Ellen starts now,** რომელიც მიგვანიშნებს, რომ მოცემული ზეპირი დისკურსი განეკუთვნება ტოქშოუს ჟანრს.

შემომოყვანილი ტიპის არხის გახნის წინმსწრებ სიგნალში გამომცხადებელი მიმართავს სახლში ტელევიზორთან მსხდომ და სტუდიაში მყოფ აუდიტორიას და წარმოდგენას უქმნის მათ, თუ რისი ნახვის საშუალება ექნებათ მოცემულ გადაცემაში. არხის გახნის წინმსწრები სიგნალის დახურვა ხდება წამყვანის სახელის გამოცხადებით, რომელიც ასევე გადაცემის სახელის ნაწილიცაა.

2) ა) სპეციალური ფრაზა — **Today on Ellen;** ბ) სტუმრების იდენტიფიკაცია ვიდეომასალით და ნაცვალსახელებით; გ) გადაცემის გამოცხადება და ქუდი; დ) წამყვანის იდენტიფიკაცია.

Announcer: (ა) **Today on Ellen.** (კადრში ჩანს წამყვანი, რომელიც წარადგენს სტუმარს) (ბ) **She sounds good no matter what she does, even playing Ellen's animal game. Plus, Anna Kendrick on her new movie with Jennifer Lopez** (კადრი გადაცემიდან) **and bad bride photos** (კადრი გადაცემიდან). (გ) **Ellen starts now.** ამის შემდეგ ეკრანზეა გადაცემის ქუდი, რომლის დასრულების შემდეგაც ჩნდება კადრში წამყვანი და ისევ ისმის გამომცხადებლის ხმა. (დ) **Here she is now, Ellen DeGenerous.**

(retrieved data from: <http://www.tudou.com/programs/view/UkBJQYIsyY> Ellen Show, May 09, 2012)

გამომცხადებელი აუდიტორიას წარმოდგენას უქმნის ვისი და რისი ნახვა იქნება გადაცემაში შესაძლებელი. სტუმრების იდენტიფიკაციისათვის გამოყენებულია მესამე პირის ნაცვალსახელები და სრული სახელები. ეკრანზე ჩანს წამყვანი და სტუმრები, რომელთა საშუალებითაც ჩვენ ვიგებთ ვინ არიან სტუმრები. გამოყენებულია მარტივი, მოქმედებითი გვარის ფორმების შემცველი წინადადებები.

3) ა) სპეციალური ფრაზა; ბ) სტუმრების იდენტიფიკაცია სახელით და ვიდეოებით; გ) გადაცემის დაწყების გამოცხადება და ქუდი; დ) წამყვანისა და სტუდიის იდენტიფიკაცია.

გამომცხადებელი აცხადებს სტუმარს სახელით, რომელსაც თან ერთვის ამონარიდები გადაცემიდან. შემდეგ აცხადებენ გადაცემის სახელს. არხის გახნის წინმსწრები სიგნალი იხურება სტუდიისა და წამყვანის სახელის გამოცხადებით. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდიის სახელის იდენტიფიკაცია ფიქსირდება მხოლოდ 2010 წლის ვიდეომასალებში.

Announcer: Today on Ellen (ინტერვიუს ნაწილი გადაცემიდან) **The one interview with Portia De Rossi you won't see anywhere else.** (ვიდეო, ნაწილი ინტერვიუდან) **Secrets even Ellen didn't know. Portia De Rossi's most intimate interview** (ვიდეო) **and All New Ellen starts now.** (გადაცემის ქუდი) **From Warner Brother's Studio, here she is now Ellen DeGenerous.** (Retrieved data from: http://www.tudou.com/programs/view/Wa_FRX3M11.04.2010.)

არხის გახნის წინმსწრებ სიგნალში გვხვდება შეკვეცილი ფორმები, რაც სასაუბრო, არაოფიციალური რეგისტრისთვის არის დამახასიათებელი. წამყვანი მოხსენიებულია ზოგჯერ მხოლოდ სახელით. სტუმრების იდენტიფიკაცია ხდება სრული სახელით. გამოყენებულია მარტივი წინადადებები, მოქმედებითი გვარი. გვხვდება ფრაზები, მაგ: **Today on Ellen; From Warner Brother's Studio,** რომლებიც მიუთითებს რომ აღნიშნული დისკურსი განეკუთვნება ტოქშოუს ჟანრს.

4) ა) სპეციალური გადაცემის დაწყების გამოცხადება; ბ) სტუმრების იდენტიფიკაცია სახელით და ვიზუალურად; გ) წამყვანის

იდენტიფიკაცია და შეხვედრა.

აღნიშნულ თანმიმდევრობაში განსხვავება შეინიშნება ტოქშოუს სპეციალურ გადაცემებში, რომლებიც ეძღვნება სხვადასხვა მნიშვნელოვან მოვლენას. მაგ: ემის დაჯილდოებას, სეზონის პრემიერას და ა.შ. გამომცხადებელი აცხადებს სპეციალურ გადაცემას, შემდეგ მონაწილე სტუმრებს სახელებით (ჩანს ეკრანზე მათი სახელები, თუმცა ვიდეოკადრები არ არის)

Announcer: It's the season Premier of Ellen DeGenerous show and it starts right now from the video movie awards. This year's big names from music: Justin Bieber, Justin Timberlake, Katy Perry, Lady Gaga, Usher. Here she is now, Ellen DeGenerous. (retrieved data from: <http://www.tudou.com/programs/view/XUSPcvWvjWY>)

ყველა ჩემ მიერ განხილული არხის გახსნის წინმსწრები ვერბალური და ვიზუალური (ამონარიდები გადაცემიდან, თუ რას ნახავს აუდიტორია) სიგნალი ასრულებს ინსტიტუციონალურ ფუნქციას. იგი ორიენტირებულია არა თანამოსაუბრეზე, არამედ სტუდიასა და სახლში მყოფ აუდიტორიაზე. მისი მიზანია არხის გახსნას გაუკეთოს შესავალი, წარადგინოს გადაცემა და მიიპყროს მაყურებლის ყურადღება რათა ისინი დარჩნენ მათთან ერთად და უყურონ აღნიშნულ გადაცემას მომავალი ერთი საათის განმავლობაში.

ზემომოყვანილ არხის გახსნის წინმსწრებ სიგნალებში ერთიანდება ოფიციალური და არაოფიციალური რეგისტრი. ერთი მხრივ, გამოყენებულია სრული სახელები როგორც წამყვანის, ასევე სტუმრის იდენტიფიკაციისათვის, თუმცა, მეორე მხრივ, გვხვდება მხოლოდ სახელები და მესამე პირის ნაცვალსახელები. ასევე გამოიყენება მარტივი წინადადებები, მოქმედებითი გვარი, შეკვეცილი ფორმები, რაც სასაუბრო, არაოფიციალური რეგისტრისათვის არის დამახასიათებელი.

ქართულ ტოქშოუში არხის გახსნის წინმსწრები სიგნალი არის გადაცემის ქუდი, სპეციალურად გადაცემისათვის შერჩეული მუსიკა და ვიდეოკლიპი. განსხვავებით ამერიკული და ბრიტანული არხის გახსნის წინმსწრები სიგნალისა, ის ორიენტირებულია მხოლოდ სახლში მყოფ აუდიტორიაზე. ასევე ამ შემთხვევაში არ ხდება გადაცემის

სტუმრებისა და წამყვანის ვერბალურად იდენტიფიკაცია.

არხის გახსნის წინმსწრები სიგნალის დასრულების შემდეგ სტუდიაში შემოდის ან ეკრანზე ჩნდება წამყვანი ინსტიტუციონალურად მისთვის განკუთვნილ ადგილას, სცენის შუაში. სანამ მოხდება არხის ვერბალური გახსნა მას წინ უძღვის არხის გახსნის მოსამზადებელი არავერბალური სიგნალი: წამყვანი გამოდის სცენაზე და დგება ცენტრში, ცდილობს დაამყაროს თვალის კონტაქტი, მზერა გადააქვს აუდიტორიაზე, თავს უკრავს მათ, ხელს უქნევს მისალმების ნიშნად, რის შემდეგაც იგი იწყებს საუბარს, ანუ იყენებს არხის გახსნის ვერბალურ სიგნალებს.

ბრიტანულ Alan Titmarsh Show-ში არხის გახსნის წინმსწრები სიგნალის დასრულების შემდეგ სტუდიაში შემოდის წამყვანი, მიემართება სცენის შუაში და იკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს, რის შემდეგაც ხსნის არხს. დაკვირვებამ აჩვენა, რომ არხის გამხსნელი სიგნალების შემდეგი თანმიმდევრობები გამოიყენება ბრიტანულ ტოქშოუში:

1. ა) მისალმება და შოუზე მოპატიჟება; ბ) სტუმრების წარდგენა.

H: (ა) Hello and welcome to Friday eighty show. (ბ) Anything can happen next one hour because I am joined by these very friends. Also tonight we gonna bring artistic bands. (<http://www.youtube.com/watch?v=O6kNUW5iKIU>)

არხის გახსნისას წამყვანი ესალმება აუდიტორიას და ეპატიჟება მათ შოუზე. იყენებს არაოფიციალურ რეგისტრს, რაც გამოიხატება: მარტივი, მოქმედებითი გვარის წინადადებებისა და პირველი პირის მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელების გამოყენებით. ასევე გვხვდება არაოფიციალური, სასაუბრო ლექსიკური ერთეულები, როგორცაა: **gonna**.

2) ა) მადლობის გადახდა და აუდიტორიის დაწყნარება; ბ) შოუზე მოპატიჟება; გ) სტუმრების წარდგენა არაპირდაპირ; დ) სტუმრების წარდგენა პირდაპირ.

H: (ა) Thank you very much. Stop, stop it's too much. No it's not actually.

(ბ) Hello, Welcome to Tuesday's eighty show today (გ) with the most successful girl group of all time. Yeah, they had more hits than Spice Girls, more album sales than other girls and they are still going their 27 year after their

first hit single Bananarama, chatty performance exclusively for their brand new album. (დ) Bananarama. (<http://www.youtube.com/watch?v=IM7EHgoeoAU>)

მოცემულ მონაკვეთში უფრო არაოფიციალური, სასაუბრო რეგისტრი გამოიყენება, რაც გამოიხატება: შეკვეცილ ფორმებში, ლექსიკურ ერთეულებში (Yeah), მესამე პირის ნაცვალსახელის გამოყენებასა და მარტივ წინადადებებში.

შემდეგი ჯგუფის არხის გამხსნელი სიგნალები გვხვდება ამერიკულ შოუში: 1) ა) აუდიტორიის დაწყნარება და მათთვის მადლობის გადახდა; ბ) აუდიტორიის შექება; გ) აუდიტორიისთვის კითხვების დასმა; დ) აუდიტორიის იდენტიფიკაცია; ე) მისალმება და კითხვის დასმა

Ellen: (ა) Have a sit. Thank you. Have a sit, have a sit. Uuuu, Thank you very much. First of all let me say back at you, let me say that. (ბ) Second of all, all the commitment to dancing that goes on here. What Tony encourages you to do today, it was genuine, it really was. Congratulations to all of you. You have created new moves that have never been done before. (გ) All right, here is my question: How many of you are on facebook? A lot of you are on facebook?

I don't really know what's going on with this timeline thing, I don't like it as it makes it harder to go on through the pages and it's what I have been doing all day long before you got here. I needed to see who was coming to my show. I'd like to show what I found from some of you folk here. (დ) Where is Jerry Henson, where are you? Jerry? (ე) Hello. So do you have any promoting photos I might like to see?..... (<http://www.tudou.com/programs/view/9LNDNgP8dR8>)

მოცემულ მონაკვეთში გვხვდება ფრაზების გამეორება და მათი ხელახალი ფორმულირება. ხშირადაა გამოყენებული შეკვეცილი ფორმები, ემოციის გამომხატველი წამოძახილები (uuuh), პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები და მარტივი წინადადებები, რაც არაოფიციალური, სამეტყველო საუბრისათვის არის დამახასიათებელი.

2) ა) აუდიტორიის დაწყნარება და შექება; ბ) მადლობის გადახდა; გ) სტუმრის წარდგენა და მასზე მოკლე ისტორიის მოყოლა; დ) ცეკვა.

Ellen: (ა) Have a sit. Wonderful. Thank you very much. Have a sit. That's wonderful, I feel it too. I've send it back to you. (ბ) Thank you so much. Well, wow, I can tell you I can feel it. It's what you have been doing. (გ) It's an exciting, exciting day, my wife Portia De Rossi is on the show today. So let me explain how it happened. One day my wife Portia said: You know, it has been a while since I've stopped biographies and then I said: listen you are welcome to come any time you want as long as you have something to promote. And she wrote a book, she wrote an incredible book and now she is doing this publicity tour and of course the first stop- Opra. And finally my show today. (retrieved data from: http://www.tudou.com/programs/view/Wa_12mFRX3M)

გამოყენებულია შეკვეცილი ფორმები, ფრაზების გამეორება, წამოძახილები, პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები. აუდიტორიის წამყვანი მიმართავს მეორე პირის ნაცვალსახელით. სტუმარი მოხსენიებულია სრული სახელით და მესამე პირის ნაცვალსახელით.

3) ა) აუდიტორიის დაწყნარება და მისალმება; ბ) აუდიტორიის შექება; გ) პირადი ისტორიის მოყოლა; დ) თამაში აუდიტორისთან

Ellen: (ა) Hi, Hello, Thank you (ტაში) Have a sit, have a sit. (ტაში) Thank you. That's wonderful and for the first time this year back at you. Happy New Year. Did you all have a good New Year's Eve?

Aud: Yeah,

H: (ბ) Wow, you are really good ones. What a reaction that was, that was great. (გ) We had a wonderful New Year's Eve. Nitsa came over to us, she is only two years and a half and she made all the way to midnight and Portia and I went to bed at 8: 30 so that was good. Today our show is back after two weeks of our holidays and it takes me at least that long to get my hearing back after twelve days of give-aways as people are screaming so much and since it is a brand new year I thought we should play a brand new game. (დ) It's time to play Snow-body knows the bubbles I have seen. (video)

წამყვანი არხის განხილვისას ყოველთვის ცდილობს აუდიტორიის ოვაციებზე იქონიოს გავლენა და დამშვიდებისაკენ მოუწოდებს მათ. ამის შემდეგ ესალმება აუდიტორიას და მადლობას უხდის მას. მისალმებისას წამყვანი იყენებს არაოფიციალურ მისალმების ფორმას. ამ შემთხვევაშიც გამოყენებულია შეკვეცილი ფორმები, პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები, მეორდება ფრაზები და გამოიყენება

წამოძახილები.

იყო შემთხვევა, როდესაც წამყვანმა არხის გახსნისას, არ იცოდა ვინ იქნებოდნენ მისი სტუმრები და რა კითხვები უნდ დაესვა მათთვის და რა იქნებოდა სასაუბრო თემა.

Ellen: Hey everybody. Today is my birthday show and it is crazy for the first time in 10 years I have no idea what's gonna happen on the show. I am just gonna walk out and everything taht's gonna happen will be a surprise. I don't know who my guest gonna be, what they are going to talk about. I don't know what I'm gonna ask them as I don't know who they are. But there is one thing that I do know. I am excited and scared but excited about what's gonna happen. Let's get started.

Ellen: The whole show is a surprise to me, literally I have no diea what's gonna happen. None one told me which is frutrating because I am the boss.

რაც შეეხება ქართულ ნანუკა ჟორჟოლიანის ტოქშოუს გადაცემის ქუდის დასრულების შემდეგ ჩნდება გადაცემის წამყვანი, მისი ინსტიტუციონალური ფუნქციიდან გამომდინარე, ისიც დგას სცენის შუაში და ხსნის არხს. აქაც არხის გახსნის რამდენიმე ვერსია გვხვდება. 1) ა) მისალმება; ბ) მადლობის გადახდა აუდიტორიისათვის; გ) გადაცემის სტუმრის არაპირდაპირი წარდგენა; დ) სტუმრის პირდაპირი წარდგენა.

ნანუკა: (ა) სალამო მშვიდობისა. (ბ) დიდი მადლობა მობრძანებისთვის, უღრმესი მადლობა, რომ ხართ ჩემი სტუმრები. (ტაში) ძალიან დიდი მადლობა, რომ არ გავიწყდებათ, რომ სამშაბათს, ყოველ სამშაბათს, სალამოს 10 საათზე უნდა გადმორთოთ ტელეკომპანია იმედის ეთერზე. (გ) მოკლედ ხშირად ამბობენ, თუ ნიჭი გაქვს, შრომისმოყვარე და მიზანდასახული ხარ, ყველაფერი გამოგივაო. ნიჭი კოჭებში ეტყობა ადამიანს. ჩემ, სტუმარს კი ნიჭი მაშინ შეეტყობ, როცა კოჭები ჯერ მთლად გამოკვეთილად არ ეტყობოდა. თურმე 9 თვის იყო, არაფრით სხვის ტონალობაზე რომ არ გადადიოდა, 11 თვის უკვე გამართულად სიმღერას ახერხებდა, თან თავის ტექსტებიანად ... ნიჭიერია და მორჩა. რახან დათომ ანდო, მე ისლა დამრჩენია ჩემი გადაცემის პირველი ბლოკი მთლიანად მას ვანდო და დავუთმო. (დ) კომპოზიტორი რუსა მორჩილაძე სტუდიაში. (ტაში)

წამყვანი მადლობის გადახდისას იყენებს ოფიციალურ ლექსიკას,

თავაზიან ფორმებს. სტუმრის იდენტიფიკაცია ხდება სრული სახელით, რომელსაც წინ უძღვის მისი პროფესიის აღმნიშვნელი სახელი. თუმცა ამავე დროს გამოყენებულია არაოფიციალური რეგისტრისთვის დამახასიათებელი პირველი და მესამე პირის ნაცვალსახელები.

2) ა) მადლობის გადახდა; ბ) ახალი ამბის მოყოლა; გ) სტუმრების არაპირდაპირი წარდგენა; დ) სტუმრის პირდაპირი წარდგენა.

ნანუკა: (ა) დიდი მადლობა სტუდიაში მობრძანებისათვის. (ბ) მოკლედ, ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი რომ გაიხსნა, იცით, რომ გარემონტდა ისიც იცით. ყველაზე ახალი ამბავი ის არის, რომ პირველ სართულზე ელვის პრესლის კაფე გაუხსნათ. მე არ მინახავს მაგრამ ამბობენ, რომ იქ თუ მიხვალ, თურმე 50-იანი წლების ამერიკაში მოხვდებიო. ხომ, იმასაც ამბობენ ფილარმონიაზე მეტად ანათებსო. თავად ფილარმონია კი ხალხს ვეღარ იტევს. ყველაფერი ნანი ბრევგაძით დაიწყო, ბუბა კიკაბიძეს მოვუსმინეთ, ჯანო ბაგრატიონს 100 წლის იუბილე მივულოცეთ, აქ რა მოსატანია, მაგრამ იყო რივერდანიცი, რომლებსაც თურმე სუბივილების რეპეტიცია რომ უნახავთ, დაბნეულან რატომ ჩამოგვიყვანეთო მანამდე კი კიდევ ერთი სიახლე, ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზში ქართული სიმღერები აჟღერდება. (გ) იცით რომელ ხმებს მოუსმენს მსოფლიოში? მსოფლიომ რომ პირველად მოისმინა. მათ შექმნეს ტრიოს კულტურა, პირველად გაარღვიეს საბჭოთა კავშირის სივრცე და მსოფლიოს ანახეს, როგორ მღერიან საქართველოში, 15 წლის შემდეგ, (დ) გადაცემაში თქვენთან სტუმრად მოვიდნენ დათო აბესაძე, თამაზ სეფერთელაძე და მალხაზ თავართქილაძე.

ამერიკული ტოქშოუს მსგავსად აქაც არხის გახსნა ხდება მისალმებითა და მადლობის გადახდით. ის მიმართავს როგორც სტუდიაში, ასევე სახლში მყოფ აუდიტორიას. მიმართვისას გამოიყენება მეორე პირის თავაზიანი ფორმა. მისალმების შემდეგ ხდება სტუმრის წარდგენა არაპირდაპირ, რაღაცა მინიშნებებით და მესამე პირის ნაცვალსახელებით და შემდეგ უკვე პირდაპირ, მათი სრული სახელების გამოცხადებით. საუბრისას გამოიყენება პირველი პირის ნაცვალსახელი, რაც არაოფიციალურ სტილზე მიუთითებს.

3) ა) ამბის მოყოლა; ბ) სტუმრის არაპირდაპირი წარდგენა; გ) სტუმრის იდენტიფიკაცია.

ნანუკა: (ა) მაშინ, როდესაც ახლა ჩვენ აქ ნანუკას ჟორჟოლიანის შოუს, მოკლედ, როდესაც ჩემს ერთ გადაცემას ვწერთ, რეალურ ცხოვრებაში ბევრი ისტორია იქმნება, ვიღაცა ვიღაცას სიყვარულს უხსნის, ვიღაცა ვიღაცას პატიებას სთხოვს, ვიღაცა ვიღაცას ტოვებს, ვიღაცა ვიღაცას შორდება, ვიღაცა ვიღაცას დალატობს, მაგრამ ეს ყველაფერი რეალური ისტორიაა. რეალური ისტორიები, რომლებიც განაცემდნენ უკვე თითოეული ჩვენგანის ცხოვრება იქმნება. (ბ) არსებობს ამ ქვეყანაზე ერთი ადამიანი, რომელმაც ერთი ქალის ისტორია შექმნა, მაგრამ იცით ყველაზე მნიშვნელოვანი რა არის? (ამ ერთი ქალის ისტორიაში, ბევრმა ქალმა საკუთარი ისტორია წაიკითხა და ამიტომ გახდა ეს ადამიანი ყველასთვის ძალიან ახლო და მშობლიური. (.....თქვენ მას ასეთს ჯერ არ იცნობთ, ჩათვალეთ, რომ მას დღეს ნანუკას შოუში გაიცნობთ ისეთს, როგორც აქამდე არ გინახიათ. (გ) ნატო გელაშვილი. უღრმესი მადლობა მას მობრძანებისათვის. (ტაში)

არხის გახსნისას წამყვანი ორიენტირს აკეთებს ორივე აუდიტორიაზე მისი ინსტიტუციონალური ფუნქციიდან გამომდინარე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკულ ტოქშოუში უფრო მეტი ყურადღებაა სტუდიაში მყოფ აუდიტორიაზე არხის გახსნისას, ხოლო ქართულ შოუში სახლში მყოფ აუდიტორიაზე კეთდება აქცენტი. აუდიტორიის აღსანიშნად წამყვანი იყენებს ზოგჯერ პირველი პირის ნაცვალსახელ ჩვენს და ზოგჯერ მეორე პირის თავაზიან ფორმას. სტუმრის წარდგენა ხდება სრული სახელით და ასევე მისთვის მადლობის გადახდა ხდება თავაზიანი, თქვენობითი ფორმით, რაც უფრო ოფიციალური რეგისტრისათვის არის დამახასიათებელი.

3) ა) მადლობის გადახდა სტუდიის აუდიტორიისათვის; ბ) მადლობის გადახდა მაყურებელთათვის; გ) პირადი ამბის მოყოლა; დ) სტუმრის წარდგენა.

ნანუკა: (ა) ძალიან დიდი მადლობა. ძალიან დიდი მადლობა, რომ ამდენი ხართ. მე რაც მახარებს, ის არის, რომ დღეს სკამების

ჩამატება დაგვჭირდა იმისთვის, რომ დღეს თქვენ მოგვეთავსებინეთ სტუდიაში. თქვენ ხართ ქვეყნის მომავალი, ღმერთმა გამრავლოთ. ძალიან დიდი მადლობა, რომ ჩემი გადაცემის ჩაწერაზე დასწრების ამდენი მსურველი არის. (ბ) მე მინდა დიდი მადლობა ვუთხრა მაყურებელს იმისათვის, რომ უყურებს ნანუკას შოუს, იმიტომ რომ, თქვენ განსაზღვრავთ ამ გადაცემის არსებობას, ამ გადაცემის წარმატებას და ამ გადაცემის მთავარი წარმატების მიზეზი ხართ, თქვენ, ჩემი მაყურებლები და ამიტომ დიდი მადლობა, რომ ყოველ სამშაბათს საღამოს 10 საათზე ხართ ნანუკას შოუსთან ერთად. (გ) მოკლედ, ამბის მოყოლა მინდა დავიწყო საიდან. ბავშობაში, როცა ჩემმა ბიძაშვილმა გოგონამ ფიზიკაში დაბალი ნიშანი და დედისაგან საყვედური მიიღო, ბიცოლაჩემმა დედამვიღურად დაარჩია, კარგი, შვილო, რად უნდა, გოგოა, რატომ უნდა გამოიღამოს თვალები ფიზიკა-ქიმიის სწავლით, ბიჭო რომ იყოს ხმას არ ამოვიღედიო, იმან უნდა ისწავლოსო. (გ) ნინო კალანდაძე სტუდიაში. (http://www.youtube.com/watch?v=EGnkj49_Eqk&feature=g-vrec)

გამოიყენება პირველი პირის მხოლოდობითი და მრავლობითი ნიშნის ნაცვალსახელები. სტუმრის იდენტიფიკაცია ხდება სრული სახელით, მაგრამ არ გვხვდება ოფიციალური მიმართვის ფორმა. აუდიტორიის წამყვანი მიმართავს მეორე პირის ნაცვალსახელით.

ქართულ ტოქშოუშიც არხის გახსნისას უმეტეს შემთხვევაში ხდება პირველ რიგში აუდიტორიისთან მისალმება და მისთვის მადლობის გადახდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ შოუში ასევე აქცენტი კეთდება მაყურებელზე. მისალმებისას წამყვანი თითქმის ყოველთვის იყენებს თავაზიან ფორმებს.

ტოქშოუს ინსტიტუციონალური ხასიათი გარკვეულ შეზღუდვებს ქმნის და მათ შორის ერთ-ერთია დროითი შეზღუდვა, რომელიც აისახება ზუსტად გაწერილ დაწყებასა და დასრულებაში. მას შემდეგ, რაც მოხდება არხის დროული გახსნა, ასევე უნდა მოხდეს მისი დროული დახურვა.

არხის გახსნის შემდეგ ასევე არსებობს სპეციალური სიგნალი, რომელიც გვიჩვენებს, რომ გადაცემა დასრულების პირასაა და სრულდება (პეთჩი, 2001: 8).

ტოქმოუს ინსტიტუციონალური ხასიათიდან გამომდინარე და როლების ასიმეტრიულად გადანაწილების გამო, არხის დახურვაც ხდება წამყვანის მიერ.

თუმცა, სანამ მოხდება არხის საბოლოო დახურვა, აუდიტორიასთან და სტუმრებთან დამშვიდობება, ასევე არსებობს სპეციალური არხის დასრულების წინმსწრები სიგნალები, რომლებიც სიგნალს აძლევენ ხალხს, რომ არხი იხურება.

ბრიტანულ შოუში არხის დასრულების წინმსწრები შემდეგი სიგნალები გვხვდება:

1) სტუმრებისათვის მადლობის გადახდა.

H: Thanks to Carlos, Sebastian and David. Il Divo.

წამყვანი იყენებს არაოფიციალურ, სასაუბრო რეგისტრის მადლობის გადასახდელად და სტუმრებს მოიხსენიებს სახელებით.

2) ა) აუდიტორიისადმი მიმართვა; ბ) სტუმრებისათვის მადლობის გადახდა; გ) სტუმრების მობატიყება. დ) მომავალი შოუს სტუმრების დაანონსება.

H: (ა) Ladies and Gentlemen, One Direction. (ბ) Thank you guys. (გ) One day they'll come back. That's when you have your first single. Come and do it on air. That's it for today. (დ) Tomorrow Sarah Carkish will reveal all about her new musical "Betty Blue Eyes". There's music from performer Parisian Ben Montain. Singer and song writer Henzy Ariat is in the Eighty Kitchen. We've an exclusive Nolaw Sisters will be here to talk about the incredible life story. Tomorrow live at three, without one direction.

ამ შემთხვევაში აუდიტორიისადმი მიმართვა ხდება ოფიციალური რეგისტრის ლექსიკით, თუმცა სტუმრებთან მიმართებაში წამყვანი იყენებს არაოფიციალურ, სასაუბრო ლექსიკას (**guys**). გამოიყენება შეკვეცილი ფორმები, რომლებიც ასევე არაოფიციალურ სტილზე მიუთითებს.

არხის დასრულების წინმსწრები სიგნალის შემდეგ არხი იხურება წამყვანის მიერ. ის ემშვიდობება მაყურებელს. გვხვდება არაოფიციალური რეგისტრის დამშვიდობების ფორმა და მოკლე წინადადებები.

H: See then. Bye.

დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ელენიც არხის დასრულებამდე იყე-

ნებს არხის დასრულების წინმსწრებ სიგნალებს. ხშირად მადლობას უხდის მოსულ სტუმრებს და აუდიტორიას მიმართავს და ეუბნება, რომ კიდევ შეხვდება ხვალ.

Ellen: I would like to thank Sophia and Rosie Grace for being here, Adam Levin. I will see you tomorrow. Be kind to one another.

ამის შემდეგ არხი დასრულდება გამომშვიდობებით. **Bye.**

წამყვანი იყენებს პირველი პირის ნაცვალსახელს საუბრისას. უდიტორიას მიმართავს მეორე პირის ნაცვალსახელით.

ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც ელენი არხს ხურავს სტუდიაში მყოფი აუდიტორიისათვის საჩუქრების გადაცემით, რის შემდეგაც მადლობას უხდის სტუმრებს და ემშვიდობება აუდიტორიას.

არხის დახურვა ასევე ვიზუალურადაა გამოხატული. ახლო კადრი იცვლება შორი კადრით, ჩანს აუდიტორია და ტიტრები, რომლებშიც იმ ხალხის სახელებია, რომელმაც იმუშავა პროგრამაზე.

ქართულ ნანუკას შოუშიც არხის დასრულების წინმსწრები სიგნალია სტუმრებისა და აუდიტორიისათვის მადლობის გადახდა და სტუმრებისათვის ხშირად საჩუქრების გადაცემა, რის შემდეგაც ხდება არხის დასრულება დამშვიდობებით.

ნანუკა: ძალიან დიდი მადლობა, ძალიან დიდი მადლობა სტუდიაში მობრძანებისთვის. კარგად ბრძანდებოდეთ. მომავალ შეხვედრამდე.

ნანუკა: დიდი მადლობა. მომავალ სამშაბათამდე.

ამ შემთხვევაში გამოიყენება თავაზიანი დამშვიდობების ფორმა, რაც უფრო ოფიციალური რეგისტრისათვის არის დამახასიათებელი.

ვერბალურ არხის დახურვას თან ახლავს არავერბალური არხის დახურვაც. ახლო კადრი იცვლება შორი კადრით და შემდეგ ეკრანზე ჩნდება ტიტრები იმ ადამიანების სახელებით, რომლებიც მონაწილეობდნენ გადაცემის შექმნაში.

იყო შემთხვევა, როდესაც არხის დაიხურა სადღეგრძელოთი. სტუმრები წამყვანთან ერთად გადაცემის სადღეგრძელოს სვამენ: „ნანუკას შოუს გაუმარჯოს“, რის შემდეგაც წამყვანი ხურავს არხს, აუდიტორიას მიმართავს და ემშვიდობება.

ნანუკა: ჩვენ გავაგრძელებთ, თქვენ კი მომავალ სამშაბათს გე-

ლოდებით. მომავალ სამშაბათამდე. დიდი მადლობა, რომ ჩვენთან ერთად ხართ.

არხის ვერბალურ დახურვას თან ახლავს მისი არავერბალური დახურვაც, წამყვანი ხელს უქნევს აუდიტორიას.

ქართულ ტოქშოუშიც არხის დახურვაზე ასევე მიუთითებს სპეციალური მუსიკალური ქუდი, რომელიც ისმის გადაცემის ბოლოს და შემდეგ ჩნდება ტიტრები.

ამრიგად, ემპირიული მასალის შეპირისპირებითა ანალიზმა გვიჩვენა, რომ

- 1) სამივე ტოქშოუში არხის გახსნა/დასრულება ხდება წამყვანის მიერ;
- 2) სამიზნე აუდიტორიაა როგორც სტუდიაში, ასევე სახლებში მყოფი ინდივიდები;
- 3) არხის გამხსნელ/დამასრულებელ სიგნალებს წინ უძღვის არხის გახსნისა და დასრულების წინმსწრები სიგნალები, რომლებიც განსხვავებულად არის წარმოდგენილი ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ ტოქშოუში;
- 4) ბრიტანულ და ამერიკულ ტოქშოუებში არხის წინაგამხსნელი სიგნალი ვერბალური და ვიზუალურია, ხოლო ქართულ ტოქშოუში მხოლოდ ვიზუალური, კერძოდ, გადაცემის ქუდი;
- 5) არხის წინაგამხსნელ და გამხსნელ სიგნალებში გამოიყოფა სხვადასხვა ელემენტი მათი თანმიმდევრობის მიხედვით;
- 6) აღნიშნულ სიგნალებში გვხვდება როგორც ოფიციალური, ასევე არაოფიციალური საუბრისათვის დამახასიათებელი ლექსიკური, თუ სტრუქტურული მახასიათებლები;
- 7) ოფიციალური რეგისტრის ლექსიკის გამოყენება უფრო ბრიტანულ და ქართულ ტოქშოუებში გვხვდება, რომლებშიც წამყვანი არხის გახსნისას და დასრულებისას აუდიტორიას მიმართავს ოფიციალური ლექსიკური ერთეულით, როგორცაა მაგალითად *ladies and gentlemen*. ქართულ შოუ-

ში გამოიყენება თავაზიანი ფორმები: დიდი მადლობა მობრძანებისათვის.

ლიტერატურა:

ბაიბერი, 1995 — Biber, Douglas. "Dimensions of Register Variation. A Cross-Linguistic Comparison". Cambridge University Press, 1995.

გოფმანი, 1981 — Goffman, Erving. "Forms of Talk". University of Pennsylvania Press, Philadelphia. 1981

თიმბერგი, 2002 — Timberg, Bernard M. "Television Talk: A History of the TV Talk Show". University of Texas Press, 2002

ილი, 2001 — Ilie, Cornelia. "Semi-Institutional Discourse: The Case of Talk Shows". Journal of Pragmatics 33 (2001) 209-254

ჰეთჩი, 2001 — Hatch, Evelyn. "Discourse and Language Education". Cambridge University Press, 2001

ემპირიული მასალა:

- <http://www.youtube.com/watch?v=IM7EHqoeoAU>
- <http://www.tudou.com/programs/view/9LNDNgP8dR8>
- <http://www.tudou.com/programs/view/UkJjOYlSyY>
- http://www.tudou.com/programs/view/Wa_12mFRX3M
- <http://www.tudou.com/programs/view/XUSPcvWvjWY>
- <http://www.youtube.com/watch?v=O6kNUW5iKIU>
- <http://www.youtube.com/watch?v=IM7EHqoeoAU>
- <http://www.tudou.com/programs/view/9LNDNgP8dR8>
- http://www.tudou.com/programs/view/Wa_12mFRX3M
- http://www.youtube.com/watch?v=EGnkj49_Eqk&feature=g-vrec

Channel Open/Close Signals in British, American and Georgian Talk Shows

Summary

The paper explores the linguistic realization of one of Goffman's system constraints: channel open/close signals, in British, American and Georgian talk shows.

The analysis of empirical data has revealed that channel open/close signals differ across British, American and Georgian talk shows. In British and American talk shows channel open signals are preceded by channel pre-open verbal and visual signals, whereas in Georgian talk shows only the visual one is used. In British talk shows the channel pre-open signal is ritualized and is repeated in every programme. In addition, the study has shown that the following sequences of channel pre-open signals are encountered in American talk shows: 1) a) special phrase; b) identifying show guests with names and videos; c) announcing the show accompanied by the musical identification; d) identifying and meeting the host; 2) a) special phrase; b) identifying guests by a video and pronouns; c) announcing the show accompanied by musical identification; d) identifying and meeting the host; 3) a) special phrase; b) identifying show guests with names and with videos; c) announcing the show, musical identification; d) identifying the host and the studio; 4) a) announcing the start of a special programme; b) identifying guests verbally and visually; c) identifying and meeting the host.

As for the channel open signals the following sequential groups have been singled out: British Talk Shows: 1) a) greeting and invitation to the show; b) introducing the guests; 2) a) thanking and calming down the audience; b) inviting to the show; c) introducing the guests indirectly; d) introducing the guests directly.

American Talk Shows: 1) a) thanking and calming down the audience; b) praising the audience; c) questioning the audience; d) identifying the audience; 2) a) praising and calming down the audience; b) thanking; c) introducing the guest and telling a story; d) dancing; 3) greeting and calming down the audience; b) praising the audience; c) Telling a private story; d) playing with the audience.

Georgian Talk Shows: 1) a) greeting; b) thanking the audience; c) introducing the guest indirectly; d) introducing the guest directly; 2) a)

thanking; b) telling the news; c) introducing the guest; 3) a) telling a story; b) introducing the guest indirectly; c) identifying the guest; 4) a) thanking the audience; b) thanking the viewers; c) telling a private story; d) introducing a guest.

Due to its institutional nature, the roles of discourse participants are allocated. The channel is opened by the show host, whereas the announcer has the institutional power to pre-open the channel in British and American talk shows. While pre-opening the channel the target is the studio audience and TV viewers in British and American talk shows and only TV viewers in Georgian talk shows.

As for channel close signals, they are also preceded by pre-close signals.

By focusing on the excerpts taken from British, American and Georgian talk shows we can conclude that they exhibit a mixture of characteristics pertaining to both formal discourse and informal, casual conversation. On the one hand, we have full names, polite expressions which are typical of formal register and on the other hand, there is the use of contracted forms, simple sentences, ellipsis, first and second person pronouns and exclamations that are characteristic of informal register.

მარიამ ნაზიშვილი


ჯერის სიგნალების სემანტიკა და კარბმატიკა ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ ტოქსოლოგიაში

ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს გოფმანის სისტემური შეზღუდვებიდან ერთ-ერთის, კერძოდ, ჯერის სიგნალების გამოყენების თავისებურებანი ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ ტოქსოლოგიაში. ყურადღება გამახვილებულ იქნა ინგლისურენოვან და ქართულ ტოქსოლოგიაში მახასიათებელ ჯერის სიგნალებზე და მათ სემანტიკურ-პრაგმატიკულ და კულტუროლოგიურ თავისებურებებზე. ემპირიულ მასალად გამოყენებულია ტოქსოლოგის ჟანრის ერთ-ერთი ქვეჟანრი — დღის შოუ, კერძოდ, ბრიტანული — *The Alan Titchmarsh Show*, ამერიკული — *The Ellen DeGeneres Show* და ქართული — ნანუკას შოუ.

როგორც ცნობილია, პირისპირ წარმართულ საუბარში არსებობს კონკრეტული სიგნალები, რომლებიც არეგულირებენ ჯერის გაცვლა-გამოცვლას, მიუთითებენ თითოეული მოსაუბრის ჯერის დასრულებაზე და მეორე მოსაუბრეს აძლევენ ნიშანს, რომ მას შეუძლია ჯერი მიიღოს (ჰეთრი, 2001: 16). სპეციალური ლინგვისტური ლიტერატურის შესწავლისა და ემპირიულ მასალაზე დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ ჯერის სიგნალები ტოქსოლოგის ჟანრის განუყოფელი ნაწილია და სხვადასხვაგვარად არის გადანაწილებული ტოქსოლოგის ქვემოთ მოყვანილ ჩარჩო სქემაში.

არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, იმასთან დაკავშირებით თუ რა არის მიჩნეული ჯერად. გოფმანის აზრით, ჯერი არის გარკვეული ხანგრძლივობის საუბარი ერთი ადამიანის მიერ, რომელსაც წინ უძღვის და მოჰყვება პაუზა. ჯერი არის სიტყვის გადაცემა-მიღების პროცესი და არა თავად სიტყვა (გოფმანი, 1981: 23). ჯერი ერთმანეთისაგან განსხვავდება თავისი ფორმისა და ზომის მიხედვით. ის შეიძლება იყოს მტკიცებითი წინადადება, კითხვა, ბრძანება ან წამოძახილი.

რაც შეეხება ზომას, ის შეიძლება იყოს ერთი სიტყვა, ფრაზა, წინადადების ნაწილი, მთელი წინადადება ან რამდენიმე წინადადებაც კი.



კონკრეტული ჯერის დასრულების აღმნიშვნელი სიგნალები შეიძლება იყოს როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ შემდეგი ტიპის ჯერის სიგნალები გამოიყენება ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ თოქ შოუებში.

ვერბალური სიგნალები:

1) ცალკეული სიტყვები (აღნიშნული ჯგუფი მოიცავს სხვადასხვა ტიპის მიმართვის ფორმებს):

ა) სრული სახელები — წარმოთქმული ძირითადად წამყვანის მიერ, როდესაც წარადგენს სტუმარს და აძლევს სიგნალს, რომ მან აიღოს ჯერი. მაგ: ინგლისური — Bobby Farrel, Rupert Penny-Jones; ქართული — მალხაზ თავართქილაძე, კახი კავსაძე.

ბ) კინობითი სახელები — ინგლისური — Tony, Andy, Katie;

ქართული — ნანუკა, თეა, ნინი. გამოიყენება როგორც წამყვანების, ასევე სტუმრების მხრიდან ჯერის სიგნალებად.

გ) ოფიციალური მიმართვის ფორმები: ბატონო + სახელი ან ქალბატონო+სახელი მაგ: ბატონო ზურაბ, ბატონო კახი. უნდა აღინიშნოს, რომ განხილულ ინგლისურენოვან მასალებში, არც ნახევრად ოფიციალური და, არც ოფიციალური მიმართვის ფორმები არ დაფიქსირებულა.

2) მეტყველების სტრუქტურული ნაწილები:

ა) ნაწილაკი — ინგლისური — yeah, right; ქართული — ხომ;

ბ) კავშირები — ინგლისური — so. ქართული - დააა, რომ (წარმოთქმული ხმოვნის წაგრძელებით)

გ) შორისდებული — oops, wow. (უნდა აღინიშნოს, რომ oops და wow შეგვხვდა ქართულ მეტყველებაშიც).

3) ფრაზები: თავაზიანი ფორმულები: ინგლისური — thank you, thank you very much, ქართული — უკაცრავად, უღრმესი მადლობა; **სასაუბრო ფორმულები** — ინგლისური — you know, all right, you know kind of, ქართული — მართლა? კარგით რა. **ბოლო ფრაზის ან სიტყვის გამეორება** — ინგლისური — very nice, very nice; ქართული — კი, კი

წინადადების ფორმის მქონე ჯერის სიგნალები:

ა) კითხვები:

ზოგადი ტიპის კითხვები: ინგლისური: Did you watch Opra on Monday? Isn't that cool? Did you taste it? ქართული — არის რაიმე სიახლე? გახსოვს?

სპეციალური კითხვები — ინგლისური — What's your name? What did you do? ქართული — როგორ მოგაგნეს ქართველებმა? როგორ შემოგთავაზეს საქართველოში ჩამოსვლა?

კუდი კითხვები — ინგლისური — It's amazing, isn't it? ქართული — კოკაინი მომღერლის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, არა? რა ადვილია, არა?

ბ) მტკიცებითი წინადადებები — უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ენაში ჯერის დასრულების სიგნალად გამოყენებული მტკიცებითი

წინადადებები გამოითქმის დალმავალი ინოტნაციით და შენელებული ტემპით. მაგ: ინგლისური — I was not accused of doing something that does not exist. ქართული — ბევრი რამეა საქართველოშიო სანახავი და მე დარწმუნებული ვარ რომ მოგწონებათ.

პარალინგვისტური საშუალებები:

ა) ტემპის შენელება; ბ) ხმოვნების დაგრძელება გ) დალმავალი ინტონაცია დ) პაუზა. ყველა ეს პარალინგვისტური საშუალება გამოიყენება ვერბალურ სიგნალებთან ერთად.

რაც შეეხება **არავერბალურ სიგნალებს**, ესენია:

მზერის გადასვლა — გამოიყოფა სხვადასხვა ტიპის მზერის გადასვლა: ა) მზერის გადატანა იმ ადამიანზე, რომელსაც ვაძლევთ ჯერს ბ) ჯერის დასრულების მაჩვენებელი თვალების დახრა ან, პირიქით, თავის აწევა და სხვაგან გახედვა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამივე კულტურაში თვალის კონტაქტი მნიშვნელოვანია და, შესაბამისად, მზერა ხშირად აღნიშნავს ჯერის დასრულებას ან მისი სხვისთვის გადაცემას.

ჟესტიკულაცია — დაკვირვებამ აჩვენა, რომ ჟესტიკულაცია, როგორც ჯერის სიგნალი, უფრო ხშირად გამოიყენება ბრიტანულ და ამერიკულ ტოქშოუებში. თუმცა, შეიძლება აღნიშნული მახასიათებელი ცალკეული ინდივიდის მეტყველებისათვის იყოს დამახასიათებელი. მაგალითად, ნანუკას შოუში კახი კავსაძე ხშირად იყენებს ჟესტიკულაციებს, როგორც ჯერის მიღება-გადაცემის, ასევე მეტყველების პროცესში.

იმ შემთხვევაში, როდესაც ჟესტიკულაცია გამოხატავს ჯერის სიგნალს, გამოყვავი ორი ტიპი:

ჯერის გადაცემის სიგნალი — თითის გაშვება იმ ადამიანისაკენ, რომელსაც ვთავაზობთ ჯერს ან ხელით მინიშნება;

ჯერის დამასრულებელი სიგნალი — ხელების ჩამოწევა საუბრის დასრულებისას.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ჯერის სიგნალები რეალიზდებიან როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური საშუალებებით და მათ თან ახლავს კამერის ფოკუსის შეცვლა და მიკროფონის გადაცემა.

დაკვირვებამ ასევე აჩვენა, რომ ჯერის სიგნალები ძირითადად გამოიყენება ტოქსოუს სქემატური ჩარჩოს ინტერვიუს ნაწილში. თუმცა, ამერიკულ ტოქსოუსში წამყვანი ხშირად იყენებს ჯერის სიგნალებს შესავალ ნაწილშიც.

ამერიკული ტოქსოუს შესავალი ნაწილი შემდეგნაირია: გამოცხადებელის ხმა წინ უძღვის ტოქსოუს და აცხადებს სტუმრების და წამყვანის სახელებს. იგი თავის ჯერს ასრულებს ვერბალური ჯერის-მიერი სიგნალით და ამას თან სდევს კამერის გადასვლა სცენაზე, სადაც წამყვანი უნდა გამოვიდეს. გამომცხადებელი: **Here she is now, Alan DeGeneres.** წამყვანი აქცენტს აკეთებს იმ ადამიანის სახელზე, რომელმაც უნდა მიიღოს ჯერი და ამას მოჰყვება პაუზა. ფოკუსი გადადის სცენაზე, სადაც უნდა გამოვიდეს წამყვანი. ეს ჯერის სიგნალი რიტუალიზებულია და ამ შოუსათვის არის დამახასიათებელი.

გამომცხადებელს თან სდევს აპლოდისმენტები და აუდიტორიის შეძახილები. მათი ჩართულობა საკმაოდ მაღალია. ხშირია შემთხვევები, როდესაც ისინი იძლევიან უკუკავშირებით სიგნალს რაიმე სპეციალური მინიშნების გარეშე. სტუმრების სახელი გამოითქმის სპეციალური მანგილით და ამის შემდეგ არის მცირე პაუზა. ასე რომ, აუდიტორიას ეძლევა საშუალება უკუკავშირებითი სიგნალის მისაცემად. წამყვანი: **My wife Porsha De Rossi is at the show tonight, We have today Justin Timberlake, (.) Usher (.)**. ეს ნაწილიც რიტუალიზებულია და მეტ-ნაკლები სიზუსტით ყველა შოუსი მეორდება. წამყვანის მონოლოგი შეიცავს კითხვებს, როგორც აუდიტორიის, ასევე დისკ ჯოკის მიმართ. ეს კითხვები არაა რიტორიკული.

ერთმანეთისაგან განსხვავდება მონოლოგის ნაწილში წამყვანისა და აუდიტორიის მიერ გამოყენებული ჯერის სიგნალები სიხშირისა და ტიპის მიხედვით.

წამყვანის მიერ გამოყენებული ჯერისმიერი სიგნალებია:

ვერბალური სიგნალები + პარალინგვისტური სიგნალები (ხმოვნის დაგრძელება, აღმავალი ან დაღმავალი ინტონაცია)

კინობითი სახელები წარმოთქმული აღმავალი ინტონაციით და პაუზა, რომელსაც ასევე თან ერთვის არავერბალური მზერის გადა-

ტანა იმ ადამიანზე, რომელსაც ვისაც ჯერს ვთავაზობთ. მაგ: **Tony.** (7%)

მიმართვის ფორმას + კითხვა წარმოთქმული დაღმავალი ინტონაციით

Amy, are you there right now? Mandy, have you ever seen anything like that before? Kristie, where do you live? Tony, what do you think about the show that my Mum is in? (17%)

კითხვა + მიმართვის ფორმა: What is your question, Kristie? (3%)

წინადადების ფორმის მქონე ჯერის სიგნალები

კითხვები — იპის კითხვები — Did you watch Porsha on Monday?

Did you see the evidence that the fungus have been removed? – 38 %

სპეციალური კითხვები — What's your name? What did you do? – 7%

მტკიცებითი წინადადება წარმოთქმული დაღმავალი ინტონაციით: Yes, that's what I did too. In Florida it's snowing; I love Canada – 14 %

არა-ვერბალური სიგნალები:

- მზერის გადატანა: წამყვანის მზერა გადადის ჯერის მიმღებ პიროვნებაზე აუდიტორიაში.

- ჟესტები: ჟესტების ჭარბი გამოყენება. წამყვანი ქვევით წევს ხელებს ჯერის დასრულებისას ან თითოთ მისი მხარეს პიროვნებას, რომ ჯერი მიიღოს.

- პაუზა: მოკლე პაუზები გვხვდება ჯერის გადაცემისათვის ღირებულ მონაკვეთებში.

ტოქსოუს ჟანრში შეკითხვები ჭარბად გამოყენება პარალინგვისტურ სიგნალებთან, როგორც ჯერის სიგნალი და შეიძლება აიხსნას მისი ასიმეტრიული ხასიათით, ვინაიდან აუდიტორიას არ ეძლევა კითხვების დასმის საშუალება. ამას გარდა, ამ ნაწილში ზოგადი ტიპის კითხვები ჭარბობს და ალბათ ესეც გამომდინარეობს იქიდან, რომ აუდიტორიას არ ეძლევა გრძელი ჯერი.

რაც შეეხება აუდიტორიის მიერ გამოყენებულ ჯერის სიგნალებს, ისინი შემდეგნაირია: ძირითადად ვხვდებით მტკიცებით წინადადებებს სხვადასხვა პარალინგვისტურ სიგნალებთან ერთად. **It was really good.** (წაგრძელებული ხმოვანი და დაღმავალი ინტონაცია) **I am**

Kristie. მეტყველების სტრუქტურული ნაწილები დადმავალი ინტონაციით: **Yes; No; Really; Wow.**

იყო შემთხვევა როდესაც აუდიტორიაში მჯდომმა პირმა ხელის აწევით მოითხოვა ჯერი.

ბრიტანულ ტოქშოუშიც, წამყვანის ჯერის დაწყებამდე არის გამომცხადებლის მოკლე ჯერი, რომელიც ყველა გადაცემაში ერთნაირადაა წარმოდგენილი: **Please welcome, Alan Titchmarsh.** ჯერი სრულდება მიმართვის სრული ფორმით, რომელსაც გამომცხადებელი წარმოთქვამს ტემპის შენელებით და დადმავალი ინტონაციით.

რაც შეეხება ტოქშოუს სტრუქტურის შემდეგ ნაწილს, აქ ხშირად გამოიყენება ჯერის სიგნალები როგორც წამყვანის, ასევე სტუმრების მხრიდან ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ შოუებში, რადგან სწორად მათ შორის ჯერთა მონაცვლეობაზე იგი აგებული. თუმცა შეიმჩნევა განსხვავება სტუმრებისა და წამყვანის მიერ გამოყენებულ ჯერის სიგნალებს შორის. ამ ნაწილის ხასიათიდან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ წამყვანის ჯერის სიგნალების უმეტესობა იქნება კითხვითი წინადადებები. ეს მოლოდინი გამართლდა კიდევ. ემპირიულ მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ პირველ ადგილზეა კითხვითი წინადადებები, შემდეგ მტკიცებითი წინადადებები და სხვა ვერბალური სიგნალები. ამას გარდა, სამივე ტოქშოუში პარალინგვისტური ჯერის სიგნალები ასრულებდნ მნიშვნელოვან როლს სხვა სიგნალებთან ერთად. სრული სახელი ან მხოლოდ სახელი გამოიყენებოდა როგორც ჯერის სიგნალი, გამონაკლისი იყო ქართული ტოქშოუ, რომელშიც ოფიციალური მიმართვის ფორმა ბატონო+სახელი შეგვხვდა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქართული ტოქშოუ ახდენს იერარქიულ განსხვავებებს.

სტუმრები ძირითადად იყენებენ მტკიცებით წინადადებებს + პარალინგვისტური დადმავალი ინტონაცია.

განსხვავება სამი ქვეყნის ტოქშოუებს შორის ჯერის სიგნალების მხრივ შემდეგნაირია: ბრიტანულ ტოქშოუში წამყვანის მიერ ჯერის სიგნალად გამოყენებული მტკიცებითი წინადადებები შეადგენენ 28%-ს, კითხვით წინადადებებს უკავიათ 46%, ხოლო სხვა ვერბალურ

საშუალებებს 27%. ამერიკულ ტოქშოუში წამყვანის მიერ გამოყენებული ჯერის სიგნალები შემდეგნაირადაა გადანაწილებული: მტკიცებითი წინადადებები 35%, კითხვითი წინადადებები 36% და სხვა ვერბალური საშუალებები 29%. ხოლო რაც შეეხება ქართულ ტოქშოუს — მტკიცებითი წინადადებები — 36%, კითხვითი წინადადებები — 51% და სხვა ვერბალური საშუალებები 13%. სტუმრების მიერ გამოყენებული ჯერის სიგნალების სიხშირე შემდეგნაირადაა წარმოდგენილი ამ სამ ტოქშოუში: ბრიტანული — მტკიცებითი წინადადებები 68%, კითხვითი წინადადებები 5% და სხვა ვერბალური საშუალებები 27%. ამერიკული — მტკიცებითი წინადადებები 69%, კითხვითი წინადადებები 5% და სხვა ვერბალური საშუალებები 26%. ქართული — მტკიცებითი წინადადებები 70%, კითხვითი წინადადებები 3% და სხვა ვერბალური საშუალებები 27%.

როგორც ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, წამყვანის ჯერის სიგნალებში ჭარბობს კითხვითი წინადადებები. რაც შეეხება სტუმრების ჯერის სიგნალებს, აქ პირველ ადგილზეა მტკიცებითი წინადადებები.

ამას გარდა, ამერიკული და ბრიტანული ტოქშოუებისათვის დამახასიათებელია შესტების ჭარბი გამოყენება ჯერის სიგნალებად. ასევე გვაქვს პატარა პაუზები ამერიკულ და ქართულ შოუებში. ბრიტანულ და ქართულ ტოქშოუებში აუდიტორია არ აწყვეტინებს ხშირად არც წამყვანს და არც სტუმარს, რაც შეეხება ამერიკულ თოქშოუს, ამგვარი გაწყვეტინება საკმაოდ ხშირია. წამყვანს აქვს გაწყვეტინების უფლება. სტუმრები ხშირად აწყვეტინებენ ერთმანეთს საუბარს უფრო ქართულ ტოქშოუებში, როდესაც არის ერთზე მეტი სტუმარი., მაგრამ ეს უფრო ე.წ. კოოპერაციული შეწყვეტინების ნიმუშია.

დასკვნით ნაწილში ჯერისმიერი სიგნალები არ გვხვდება არც ბრიტანულ, არც ამერიკულ და არც ქართულ ტოქშოუებში, რადგან გვაქვს წამყვანის ერთი ჯერი.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ

ა) ჯერის სიგნალები ტოქშოუს ჟანრის განუყოფელი ნაწილია;

ბ) ჯერი ერთმანეთისაგან განსხვავდება თავისი ფორმისა და ზომის მიხედვით. ემპირიულ მასალაზე დაკვირვების საფუძველზე მოვასდინეთ ჯერის სიგნალების კლასიფიკაცია ვერბალურ, არავერბალურ და პარალინგვისტურ საშუალებებად და თითოეულ მათგანში გამოვყავით ცალკეული ჯგუფები;

გ) კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ჯერის სიგნალები ძირითადად გამოიყენება ტოქმოუს სქემატური ჩარჩოს ინტერვიუს ნაწილში, თუმცა ამერიკულ ტოქმოუსში წამყვანი ხშირად იყენებს ჯერის სიგნალებს შესავალ ნაწილშიც;

დ) წამყვანისა და სტუმრების მიერ გამოყენებული ჯერის სიგნალები განსხვავდება ერთმანეთისაგან სინშირისა და ფორმის მიხედვით.

ე) დასკვნით ნაწილში არცერთ ტოქმოუსში არ გვხვდება ჯერის სიგნალები.

ლიტერატურა

გოფმანი, 1981 — Goffman, Erving. "Forms of Talk". University of Pennsylvania Press, Philadelphia. 1981

თიმბერგი, 2002 — Timberg, Bernard M. "Television Talk: A History of the TV Talk Show". University of Texas Press, 2002

ილი, 2001 — Ilie, Cornelia. "Semi-Institutional Discourse: The case of Talk Shows". Journal of Pragmatics 33 (2001) 209-254

ლივინგსტონი და ლანტი, 1994 — Livingston, Sonia and Lunt Peter. "Talk on Television: Audience Participation and Public Debate", Routledge, 1994

პენზი, 1996 — Penz, Hermine. "Language and Control in American TV Talk Shows. An Analysis of Linguistic Strategies". Gunter Narr Verlag Tubingen, 1996

სიგნესი, 2000 — Signes Carmen Gregori. "A Genre Based Approach to Daytime Talk on Television". Monographs Volume 1. Studies in English Language and Linguistics. Universitat de Valencia. 2000.

ჰეთჩი, 2001 — Hatch, Evelyn. "Discourse and Language Education". Cambridge University Press, 2001

ემპირიული მასალა:

http://www.youtube.com/watch?v=2nbNHbAS_BY&feature=fvsr (მასალა ნანახია: 02. 10. 2012)

<http://www.youtube.com/watch?v=hh3gniqi8Q0&feature=fvsr> (მასალა ნანახია: 04. 09. 2012)

http://www.youtube.com/watch?v=haQih_jloWA (მასალა ნანახია: 13. 08. 2012)

<http://www.youtube.com/watch?v=IM7EHqoeoAU> (მასალა ნანახია: 13. 08. 2012)

<http://www.youtube.com/watch?v=O6kNUW5iKIU> (მასალა ნანახია: 02. 10. 2012)

<http://www.tudou.com/listplay/dWQfy2VqlhM/DXubs1H5f6Q.html> (მასალა ნანახია: 03. 11. 2012)

<http://www.tudou.com/programs/view/9S8avhBXP9U/> (მასალა ნანახია: 03. 11. 2012)

MARIAM NEBIERIDZE

Semantics and Pragmatics of Turnover Signals in British, American and Georgian Talk Shows

Summary

The paper discusses semantics and pragmatics of one of E. Goffman's system constraints, turnover signals, cross-culturally on the material of English, American and Georgian talk shows.

As is known, in face-to-face communication there is a set of signals that allow for a smooth exchange of turns; they cue the next speaker to begin a turn at a transition-relevant place. The study of scholarly literature and linguistic data has proved that turnover signals are mostly ritualized and highly culture-specific.

Smooth alignment between the communication partners is of particular importance in talk shows. Due to the institutional talk of the shows the roles

of a host and a guest are pre-allocated. In the given genre the turn-taking ritual is regulated and controlled by the host (hosts); it is expected that the host will ask questions and the guest will give answers to them.

The analysis of the empirical data has revealed that in the discussed communicative systems verbal, non-verbal and paralinguistic turnover signals are employed. The verbal signals showing the end of a turn are as follows: 1) different forms of address; 2) structure words; 3) specific phrases; 4) different types of sentences (mostly interrogatives and declaratives). Paralinguistic means: slowing of tempo, vowel elongation, falling intonation and a pause; Non-verbal signals pointing to the transition-relevant place embrace: a gaze shift, a variety of gestures. In the analysed talk shows the given signals are accompanied by camera work and passing the microphone to the next speaker. The statistical analysis has proved that the frequency of usage of the above enumerated turnover signals differ in the British, American and Georgian talk shows, e.g. ample use of gestures is typical of American communicants, turnover pauses are longer in British talk shows etc.

Due to the asymmetrical nature of talk show discourse there is less interruption from guests, it is the host who does so. However, the observation has shown that in some American and Georgian shows the participants violate the turn-taking ritual, being unwilling to end their turn they are stopped by their partners by means of gestures. The observations have also proved that both collaborative and non-collaborative overlaps are encountered in British, American as well as Georgian talk shows.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

იორამ ლუღუშაურის მოხეურ სიტყვათა ლექსიკონის ბამოცემისათვის

ამ სათაურით ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ გამოსცა ცნობილი, კოლორიტული მოხევის იორამ ლუღუშაურის ლექსიკოგრაფიული კრებული, რომელმაც უკვე დაიმკვიდრა თავისი ადგილი ამ ტიპის ნაშრომებს შორის. ლექსიკონის რედაქტორია მწერალი და მეცნიერი როსტომ ჩხეიძე, რომელმაც დროის სიმწირის მიუხედავად დიდი ამაგი დასდო კრებულის გამოცემას, რისთვისაც ის საზოგადოებისაგან დიდ მადლობას იმსახურებს.

დიალექტოლოგია შეისწავლის ამა თუ იმ ენის დიალექტებს, როგორც მოცემული ენის კერძო გამოხატულებას. რეგიონალური მეტყველების ანალიზი არკვევს არა მხოლოდ დიალექტურ სხვაობებს, არამედ ავლენს შინაგან საერთო პროცესებს, რომლებიც ქართული ენის დიალექტებში ჩნდება.

მოხეური დიალექტი მსგავსად თუშურის, ხევსურულის, მთიულურის, გუდამაყრულისა მიეკუთვნება ქართული ენის აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებს (ჩრდილოეთის არეალი). აღნიშნულ დიალექტებში უპირატესად დაცულია ჳ(ხარი) და ჴ(უბრჯგუ) ბგერები, ამასთან თავს იჩენს იდენტური ფონეტიკური პროცესები, ზოგიერთ ფორმათა გართულება და სხვა მოვლენები.

მოხეური დიალექტის ბუნება და მისი ადგილი ქართული ენის კილო-თქმათა სისტემაში საკმაოდ გარკვეულია. ცნობილია ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურა. ცალკეა გამოყენებული ტოპონიმია, სანდოდ ჩაწერილი ტექსტებით (ვ. ითონიშვილი, 1971). ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, რომელმაც მთის დიალექტებზე და მათ შორის მოხეურზე მნიშვნელოვანი მასალები ჩაიწერა

იყო აკაკი შანიძე. 1911 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ა. შანიძე ფაკულტეტმა მოავლინა ფსიქო-ხუმესურეთში დიალექტოლოგიური მასალების შესაგროვებლად, რაც მან წარმატებით განახორციელა. დღეს ხელთა გვაქვს მთის დიალექტების ბრწყინვალე გამოკვლევა, ჩაწერილი ენობრივი, ფოლკლორული, პოეზიისა და სხვათა ნიმუშებით, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ვერცერთი სპეციალისტი (ა. შანიძე, 1981).

გიგინეიშვილის, ვ. თოფურიასა და ი. ქავთარაძის კოლექტიურ ნაშრომში კატეგორიულადაა ნათქვამი, რომ მოხეური კილო ქართული ენის დამოუკიდებელი დიალექტური ერთეულია, თავისი მკაფიოდ გამოკვეთილი ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებებით (ი. გიგინეიშვილი... 1961).

ავტორი ი. ლუღუშაური მიზნად ისახავს განსაზღვროს მოხეური დიალექტის ბუნება, გამოყოს მისი სპეციალური ნიშნები და მიუჩინოს ადგილი ენის დიალექტებს შორის. ამით ავტორი ცდილობს დამტკიცოს, რომ მოხეური დამოუკიდებელი დიალექტური ერთეულია, რომელსაც შეხვედრის წერტილები აქვს მთის დიალექტებთან და სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს, იგი ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკურ პროცესებში ავლენს. ეს კი აუცილებელ ინტერესს იწვევს მკვლევრებში და მკითხველში.

ეს მონაცემები საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ საშუალება გვეძლევა შედარების გზით თვალი მივადევნოთ იმ მოვლენებს, რომლებიც მომხდარია ხსენებულ დიალექტში, თუნდაც ალ. ყაზბეგისა და აკ. შანიძის დროიდან ჩვენამდე.

მეტყველებაზე უშუალო დაკვირვება ავტორს საშუალებას აძლევს გამოყოს ზოგიერთი ნიშან-თვისება, რომლებიც მოხეურს სხვა კილოებიდან განასხვავებს.

მაგალითად სხვათაგან გამოვარჩევთ ვ (ხარი) ბგერას, რომლის შესახებაც არსებობს რამდენიმე გამოკვლევა.

აღნიშნულ ლექსიკონში ვ ძირითადად ხმოვნების წინა და მომდევნო პოზიციაში გვხვდება: ბეკება (უზო-უკვლოდ სიარული), ბარბუჯი (დაკუთხებული), დაჯახული (დახრამული), დაჯერება (დაშტერე-

ბა), ლოჯი (ჭუჭყი), ალაჯი (ქალამანის შესაკრავი)...

სასიხარულოა, რომ ლექსიკონში ვ (ხარი) ბგერით დაწყებული სიტყვები ცალკეა გამოყოფილი და ანბანურ სისტემაში შედის, ისინი სულ თითქმის. ეს კი მიუთითებს, რომ ურბანისაზრის მიუხედავად მოხეურმა დიალექტმა ძველი ქართულის ეს მნიშვნელოვანი ფონემა დღემდე შეინარჩუნა.

აკაკი შანიძის დაკვირვებით ვ (ხარი) არის შემოკლებული აი (აჰა), რომელიც ამჟამად დამოუკიდებლად აღარც იხმარება, არამედ ყოველთვის რომელიმე სიტყვასთან ერთად. მაგალითები: „აბეჩავ აი ბეჩო, აი ეგ აეგრ აი ეგრე, აეგრევე, აი ამნაირადვე, აემ აი ამ, ეს, აესრა ესრე დასვა“... (ა. შანიძე, 1984).

რაც შეეხება ლექსიკურ ერთეულებს, მოცემულ ლექსიკონში ზოგიერთი მათგანი დასტურდება სხვა დიალექტებში და სალიტერატურო ენაშიც. მაგალითად ლექსიკონის მე-12 გვერდზე სიტყვა ბერა-ი განმარტებულია ასე: ბერწ ცხვარში მყოფი მეცხვარეები მოღობვენ ხოლმე პატარა თხების საწველელას, რომელსაც ბერა ეწოდება (გვ. 12).

სულხან-საბა ასე განმარტავს აღნიშნულ სიტყვას: „ბერა შუა გასასვლელი. ბერა ეწოდება ორთა მხარესა შეპკრვენ და საშუალ კართა გასასვლელთა უზმენ მეწველთა ცხოვართათვის, გინა მსგავსად მისსა რასმესთვის გასატარებლად (ს.საბა, 1991).

მეორე შემთხვევაში სიტყვა ბერა ი. ლუღუშაურს განმარტებული აქვს, როგორც „ცერა თითი“, ხოლო ჯიბო ლომაშვილს, როგორც „შუა, საშუალო“ (ჯ. ლომაშვილი, 1984).

მოხეურ ლექსიკონში გამოიყოფა ერთი და მეტფუძიანი საწარმოქმნო აფიქსებით ნაწარმოები ლექსიკურ ერთეულთა რკალები, ყველა ერთეულს ახლავს განმარტება.

სუფიქსური წარმოება: -ა ანაბარბ (ნიშნის მოგებით ითქმის), აონცებან (ქოთქოთი), ატოხებან (საშაროდ პირში შებმა), აფახვა (სასწრაფოდ გაცლა), ა-ნკანკაპებ-ა (რაიმესადმი მეტისმეტი ნდობის გამჟღავნება), ბარწელვა-ა (მაღალბარძაყიანი ადამიანის აქეთ-იქით ხტომა), ქალო, დაირცხვინე რაიმე, ნუ იბარწკლები, ბეხებ-ა (წყვილი-

ადში უგზო-უკვლოდ სიარული). გატორიკებ-ა (თავაშვებულობა), გადაფერვნი-ა (ზომიერების დაკარგვა)...

-ა სუფიქსი საკუთრივ საალერსო ფორმებს აწარმოებს და ამასთან ერთად შეუძლია კნინობითობითაც გამოიხატოს, გვიჩვენოს იერსახეც.

პრეფიქსული წარმოება: ნა-გერალის (ხორბლის ნარჩენები, რაიც ნაგვრალი დარჩებაკე, იმა ღორებს ვაჭმევთკე); ნა-კენჭალა (ქსოვილის ან ტყავის პატარა ნარჩენი); ნა-ლიმისარი (ნაბიჭვარი), ნა-წვერალა (ნა-კაფი), ნა-წკლეთი (სითხის ნარჩენი, ხერცხი, ნარეცხი)...

პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების ნიმუშებად წარმოდგენილია: სნობოროლ-ო (სატრილო), სა-ბეწვ-ე (ჩლიქებს შუა ჩახვრეტილი ადგილი), სა-კაშკარი-ო (ცუდი ქცევის პიროვნება), სა-მახუს-ე (მასობის ჩასადები თიხის ქოთან), სა-სრეგ-ო (ნაცრისფერი ქვის სალესი), სა-ტორულ-ო (სათარეში ადგილი), სა-მბ-ო (ძირმაგარა) და სხვები.

-ულ, -ილ სუფიქსებით ნაწარმოები: გაკეწრებ-ულ-ი (გამხმარი, რძეგამშრალი ცხვარი), გამაკანკლ-ულ-ი (შილიფად ჩაცმული), გამადვიძლ-ულ-ი (ნათესაობისაგან განზე გამდგარი), გაჭიკებ-ულ-ი (შემოჭერილი), გაწერ-ილ-ი (გაბზარული კოკა), დაგრეხ-ილ-ი (ელამი) და სხვა.

დიალექტები ერთიანი სალიტერატურო ენის ლექსიკის გამდიდრების უშრეტი წყაროა. დიალექტების შესწავლა ინტენსიურად მიმდინარეობს, ჩაწერილი და გამოქვეყნებულია ათეულობით გამოკვლევა, გამოცემულია დიალექტური ლექსიკონები, მაგრამ საკვლევი და გამოსაქვეყნებელი კვლავ ბევრია.

მოხეური ლექსიკონის ნიმუშები ალ. ყაზბეგის, ილია ჭავჭავაძის, თხზულებებში რელიეფურადაა წარმოდგენილი და მათ სპეციალური ნაშრომები მიუძღვნეს ჩვენმა სასიქადულო მეცნიერებმა, მაგრამ გასაკეთებელი კვლავაც არის.

ამ მიმართებით ძალზე სასარგებლო საქმე გააკეთა იორამ ღუდუშაურმა, რომელმაც დიდი რაოდენობით მასალა ჩაიწერა და მზის სინათლე იხილა მისმა „მოხეურ სიტყვათა ლექსიკონმა“, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიჭერს ამ ტიპის ლექსიკონებს შორის.

ვულოცავთ ავტორს ამ წარმატებას და კვლავაც ველით მისგან ასეთ სასიხარულო გამოცემებს.

ლიტერატურა

გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961 — ი. გიგინეიშვილი, გ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, გვ. 24, თბ., 1961.

იოთნიშვილი, 1971 — ვ. იოთნიშვილი, ხევის ტოპონიმია, მეცნიერება, თბ., 1971.

ლომაშვილი, 1984 — ჯ. ლომაშვილი, ეტიუდები, მერანი, თბ., 1984.

ორბელიანი, 1991 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 101, თბ., 1991.

შანიძე, 1984 — ა. შანიძე, თხზულებანი, I, თბ., 1984.

NIKOLOZ OTINASHVILI

Towards the Edition of Ioram Ghudushauri's Dictionary of Mokhebian Lexis

Summary

The paper discusses Ioram Ghudushauri's lexicographic work devoted to one of the dialects of East Georgian highlands. By stating linguistic peculiarities of Mokhebian, I. Ghudushauri attempts to reveal the essence of the dialect in question and show its distribution among the other dialects of Georgia. The author of the dictionary comes to the conclusion that Mokhebian is a separate dialect closely linked to the other dialects of Highland Georgia.

ნიკოლოზ ოთანაშვილი

ქსნის ხეობის ტოპონიმები ერთი საუბროსაგლო სარბოს მიხედვით

სამთავისის მონასტრის საშემოსავლო ნუსხა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის საბუთების კოლექციაში აღმოაჩინა ცნობილმა მეცნიერმა სარგის კაკაბაძემ. მან ეს დოკუმენტი 1929 წელს გამოაქვეყნა „საისტორიო კრებულში, წიგნი IV“. როგორც შესავალ წერილში ავტორი აღნიშნავს აღნიშნული გამოსაღები ნუსხა წარმოადგენს ძველის პირს, რომელიც მეთათე საუკუნეში არის შედგენილი.

ძველ ნუსხას აქვს მინაწერი, რომელიც შესრულებულია ქართლის მეფის ვახტანგ მეხუთის მიერ. მას ეს ნუსხა, როგორც თვითონ აღნიშნავს განუახლებია 1673 წელს.

ნუსხაში ჩამოთვლილია 44 სოფელი ქსნის, ლუხურის, მეჯუდის ხეობებიდან და ჩანს, რომ ყველა ესენი შედიოდნენ სამთავისის ეპარქიაში და მართებდათ გამოსაღები სამთავნელისათვის.

ნუსხაში ჩამოთვლილია დასახლებული პუნქტები, რომელთა გარკვეული რაოდენობა ხეობებში აღარა გვხვდება, ნაწილის სახელები შეცვლილია, ხოლო ნაწილისა დღესაც უცვლელად არის დატოვებული.

ყოველივე ამის მიუხედავად ამ ნუსხაში ჩამოთვლილი ტოპონიმური მასალის მნიშვნელობა ძალზე დიდია. ის დახმარებას გვიწევს ისტორიული ზემო ქართლის ხეობების ძველი გეოგრაფიული ნომენკლატურის სრული სახით გამოსავლინებლად და შესასწავლად. ასევე გადამენებულ დასახლებულ პუნქტთა კოორდინანტების სწორად დასადგენად. აღნიშნული ნუსხა ძვირფას ცნობებს გვაწვდის წარსული სურათის აღსადგენად და განვითარების ტენდენციების გასათვალისწინებლად.

აღნიშნული დოკუმენტის (ნუსხის) მიხედვით გეოგრაფიული სა-

ხელები სხვადასხვა წარმომობისანი არიან და ჯერჯერობით მათი ეტიმოლოგია ამჯერად ძნელია. საერთოდ სიტყვაწარმოება ძველი დროიდან ავლუტინაციურია, რასაც აღნიშნული დოკუმენტის სიტყვაწარმოებებიც ადასტურებს.

ტოპონიმურ სახელთა საწარმოებლად გვხვდება როგორც სუფიქსები, ისე პრეფიქსები და პრეფიქს-სუფიქსები.

პროდუქტიულია -ეთ სუფიქსი: დადანეთი, მდებარეობს ქსნის მარცხენა შენაკად ცხრაძმელის ხეობაში და დღეს ს დადანეთია. ფუძისეული ა შეცვლილია ი ხმოვნით. სოფელში ჩამომავალ მდინარეს ეწოდება დადი-ან-ურა.

ცხრაძმის || ცხრაზმის ხეობაზე დასახლებულია სოფელი მახიარეთი, დღეს ეს სოფელი მახიარეთია და ასეა შემდგომი დროის დოკუმენტებში. ამავე ხეობაში დასახლებულია სოფელი დაბ კნეთი, რომელიც შემდგომ გადაიქცა დაბაკნეთად. დაიკარგა (იოტა) და სიტყვაში ჩაერთო ა ხმოვანი. სოფელს დღეს აქვს მეორე სახელი ბაშართი, ბაშარულების გვარის მიხედვით.

ქარჩოხის ხეობაში (ეწოდება ეს სახელი სოფელ ხარბალის ჩრდილოეთით), დოკუმენტში დასახლებულია გოგოეთი, რომელიც დღეს ნასოფლარი გოდიგოლეთია. 1781 წლის ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერით სოფელში ცხოვრობდნენ: ნადირისშვილი, ოთარასშვილი, ბეჟუასშვილი.

კლდეთი, ეს სოფელი მდებარეობდა ქარჩოხის ხეობის ზემო წელზე, დღეს ეწოდება კლდე+ჩიტანი, სადაც ჩიტისშვილები ცხოვრობენ.

მიუხედავად იმისა, რომ ძველი ტოპონიმების ფუძეში ცვლილება არის მომხდარი მაწარმოებელი -ეთ სუფიქსი ყველგან შენარჩუნებულია. მაგალითად: ხოზოთი დღეს — ხოზოეთია, შთონეთი — შთონეთი, წითროლიეთი — წითროლეთი, სოსმალე — სოსმალეთი, ჩრდილათი — ჩრდილეთი, კვერიათი — კვერეთი, დვალეთი — დვალეთი, ჩრდილათი — ჩრდილეთი, შველეთი — შველიეთი — შველიეთები, საქორელი — საქორეთი.

საშემოსავლო ნუსხის მიხედვით გვხვდება ტოპონიმები: ჭათერთა,

**The Toponyms of the Ksani Valley in One
of the Monastery Income Lists**

Summary

The tenth century income list of Samtavisi Monastery renewed in 1673 by Vakhtang V contains the names of the Ksani, Mejuda, and Lekhura Valley villages that were to pay taxes to the monastery. The data is of particular interest for studies in historical linguistics.

მთხოთა, ჯავახთა, ორი ლსელთა... როგორც პროფესორი ალ. ღლონტი წერს: „-თა მრავლობითობის სუფიქსი ფუნქციით ეთ-ის ფარდია“. ამ შემთხვევაში აუცილებელია ბატონ ვარლამ თოფურის ვარაუდის მოყვანა, რომლის მიხედვით -თა სუფიქსს ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელ-საზღვრულიანი ტიპის სახელებში რაიმეს სიმრავლის აღნიშვნა ეკისრებოდა.

ნუსხაში კვლავ დასახელებულია სოფლები, რომელთაც სარგო უნდა გადაეხდათ სამთავნელისათვის ასეთი ფორმით: ქუთიკირთა პური, დრამა, ქალამანი, საბედო = ჩრდილათთა პური, დრამა, ქალამანი.

აქ ენობრივად ჩანს, რომ ეს გადასახადი უნდა გადაეხადათ ქუთიკირელებსა და ჩრდილათელებს, ასევე ბოსლეთელებს, ფითესელებს, წოდდელებს, ქოლოთთა — ქოლოთელებს. აღნიშნული სიტყვის ფორმებში ნათლად ჩანს შემოხსენებული მრავლობითობა.

ფუძენაერთ ტოპონიმებად მიგვაჩნია ნუსხაში მოყვანილი ძველი დასახელებული პუნქტები: დასწყარო, წინუბანი, ყველდაბა, ახლდაბა, ჭურთისხევი, საბარკლეთი, ისრულისხევი, ზელოვანი, წინზახორი, უკანწირი, ზემოწირი, ქვემოწირი, მთაწმინდა და სხვები, რომელთა შესახებ აუცილებელია ენათმეცნიერული კვლევა და პუბლიკაცია, რაც აუცილებელ საქმედ უნდა მივიჩნიოთ.

ლიტერატურა

კაკაბაძე, 1929 — ს. კაკაბაძე, სასიტორიო კრებული, წ. IV, 1929.

ჯავახიშვილი, 1967 — ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, დემოგრაფიული ძეგლები, XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები, თბ., 1967.

ღლონტი, 1964 — ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964.

ივოლუცია რუსაჲმ

ილია ჭყონიას „სიტყვის კონა“

ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ცნობილი მკვლევარი, გაზეთ „სიმართლის გზისა“ და ჟურნალ „მეტრის“ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭყონია მრავალმხრივი შემოქმედი იყო. მის ნაწერებში მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი პრობლემა აისახა. ი. ჭყონია აგროვებდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, წერდა საინტერესო რეცენზიებს თეატრალურ წარმოდგენებზე, თარგმნიდა ევროპული ლიტერატურიდან, ნაყოფიერად იღვწოდა მწერლობაში, ქვეყნის ცხოვრების მტკიცეულ საკითხებზე აქვეყნებდა საინტერესო პუბლიცისტურ წერილებს, ჰქონდა საკუთარი სტამბა და ყველაფერ ამასთან ერთად ქართული ლექსიკონისათვის აგროვებდა მასალებს, რომლის საფუძველზედაც 1910 წელს პეტერბურგში ნიკო მარის სულისჩადგმით გამოსცა ლექსიკონი „სიტყვის კონა“.

ნიკო მარმა თავისი იაფეტური მეცნიერების 12 ტომის 1 ნომრად გამოაქვეყნა ეს ლექსიკონი და თანაც დაურთო წინასიტყვაობა, რომელშიც უთითებდა, რომ აქ ახსნილია 1500-ზე მეტი სიტყვა. უმთავრესად ესაა სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც გამოყენებულია ცოცხალ მეტყველებაში და ჯერ კიდევ არ შესულა ლიტერატურაში ანდა გვხვდება მხოლოდ ზოგიერთ ახალ მწერალთან. არის, აგრეთვე, შემთხვევები, როცა ზოგიერთი სიტყვა ლექსიკოგრაფ ს.ს. ორბელიანთან მოხმობილია განმარტების გარეშე და ი. ჭყონიამ მოახერხა მათი შესატყვისი განმარტების მოძებნა ხალხურ მეტყველებაში. ი. ჭყონიას „სიტყვის კონას“ თავის დროზე გამოეხმაურა „სახალხო გაზეთი“ (1912წ., 631), რომელშიც დაიბეჭდა მოსე ჯანაშვილის წერილი „ქართული ლექსიკონი“ — ილია ჭყონიას „სიტყვის კონა“. ავტორი მიმოიხილავს წიგნს, გამოთქვამს ზოგიერთ შენიშვნას და ბოლოს დასძენს:

„დიდ მადლობას ვწირავთ ილია ჭყონიას მოძღვრისათვის ამისთანა მასალისა“.

ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში ილია ჭყონიას ადგილის გარკვევისათვის, საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ, ზოგადად მიმოვიხილოთ „სიტყვის კონა“. ჩვენთვის საინტერესოა, აგრეთვე, როგორ აისახა „სიტყვის კონის“ მასალა მომდევნო პერიოდში გამოცემულ ქველ-ში.

ი. ჭყონიას „სიტყვის კონა“ შეიცავს 1910 წლამდე ქართულ პერიოდულ პრესასა და ჟურნალებში („ივერია“, ცნობის ფურცელი“, „ჯვარი ვაზისა“, „მოგზაური“, „სავაჭრო გზა“) და ასევე სხვადასხვა მწერლის თხზულებებიდან ამოკრებილ სიტყვებს. პერიოდულ პრესაში კი იმ პერიოდში სალექსიკონო ერთეულებს ბეჭდავდნენ პეტრე მირიანაშვილი, ნიკო აბდუშელიშვილი, ვლადიმერ ბზვანელი, რაზიკაშვილი, ბაჩანა, ა. იაშვილი და სხვები.

ი. ჭყონიას მიერ შედგენილი ლექსიკონის მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ გამოცემისთანავე წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ის გაიყიდა პეტერბურგის, მოსკოვის, ვარშავის, ვილნიუსის, კიევის, რიგის, ლაიპციგისა და ლონდონის წიგნის მაღაზიებში. „ქართული წიგნის“ მიხედვით (ტ. 1), საქართველოში დაცულია „სიტყვის კონის“ მხოლოდ შვიდი ეგზემპლარი. მათ შორის ორი-ქუთაისში (ილ. ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ბიბლიოთეკებში).

წიგნის აღნაგობა ასეთია: ნ. მარის შესავლის შემდეგ ავტორს ჩამოთვლილი აქვს ყველა ის ავტორი, რომელთა თხზულებებიდან თუ პუბლიცისტური მასალებიდან მან სალექსიკონო ერთეულები ამოკრიბა. წიგნის 74 გვერდზე 1857 ერთეულია წარმოდგენილი. ზუსტ განმარტებას ახლავს მითითება, თუ რომელი დიალექტიდანაა აღებული ლექსიკური ერთეული და ვისი შეკრებილია. ზოგ ლექსიკურ ერთეულთან წარმოდგენილია საილუსტრაციო მასალა: ანდაზა, ფრთიანი გამოთქმა, სიტყვათა შეხამებანი. აქ გვხვდება გურული, ფშაური, ხევსურული, იმერული, იმერხეული, ლეჩხუმური, ინგილოური, ფშაური, ქართლური დიალექტიური ერთეულები. ასევე რამდენიმე სიტყვა

ძველი ქართული ენიდან: სულმნათი-პოეტი, წინამო-თმა, ყურთსაფა-რი, მჭვრინავი- ბულბულის ძველი სახელი ნ. მარის მიხედვით, საყენი — უცხოთა შესაწყნარებელი, თავშესაფარი სახლი, განარკვი — გაკვე-თილი, საოლველი — სამოსელთა არშია, კრუყეგო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის მასალა, რომელიც ი. ჭყონიას მოუპოვებია საბა-სულხან ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამო-ტოვებული სიტყვების სახით. იმერული დიალექტური ერთეულები ავტორს პეტრე მირიანაშვილის, ვლადიმერ ბზგანელის, იმერლის, და-ვით კლდიაშვილის, ნიკო აბდუშელიშვილის, ს. დათეშიძის, კონსტან-ტინე ერისთავის, კონსტანტინე ყიფიანის ნაწერებიდან და სალექსი-კონო მასალებიდან ამოუკრებია. გურული სიტყვები წარმოდგენილია ა. გოგუაძის, მამია გურიელის, თავად მიხაილ ნაკაშიძის, ნინო ნაკა-შიძის, სიმონ გუგუზავას, ტელემაქ გურიელის მასალებიდან. ინგილო-ური მასალა ამოწერილია მოსე ჯანაშვილის ჩანაწერებიდან. ფშაურ სიტყვებზე ვაჟა-ფშაველა და ბაჩანა არიან მითითებულნი. თუშური დ. ხიზანეიშვილის ნაწერებიდან არის ამოღებული, ლეჩხუმური — დუტუ მეგრელის, ქართლური — ეკატერინე გაბაშვილის თხზულებე-ბიდან, ქართლ-კახური კი ზაქარია გულისაშვილის ნაწერებიდანაა ამოკრებილი. „სიტყვის კონაში“ გათვალისწინებულია ლექსიკური ერ-თეულები ე. თაყაიშვილის რედაქციით გამოცემული თიმსარიანიდან, ია ეკალაძის ნაწერებიდან, ივანე ჯავახიშვილის, ალექსიევი-მესხიევის, პეტრე უმიკაშვილის, ფილიმონ ქორიძის, დავით მესხის, ვასილ წე-რეთლის, ნიკოლოზ ურბნელის ნაწერებიდან. როგორც ჩანს, ილია ჭყონიას ჭყონია ასეთი განზრახვა: იმ სიტყვებისათვის მოეყარა თავი, რომლებიც საბას ლექსიკონსა და დ. ჩუბინაშვილის „საუნჯეში“ არ გვხვდება (საგულისხმოა, რომ ამ მასალას სრულიად ახალს უწოდებ-და ნ. მარი) და ეს შეუსრულებია კიდევ, მაგრამ ილია ჭყონიას ყვე-ლა სალექსიკონო მასალიდან ან ყველა თხზულებიდან არ ამოუწერია სიტყვები განურჩევლად, მას მხოლოდ შეურჩევია და ზოგი მათგანი შეუტანია „სიტყვის კონაში“. მივმართოთ მაგალითებს: „ივერიის“ ოთხ ნომერში (194 და ა.შ.) ქართული ენის მოჭირნახულე ნიკო აბ-დუშელიშვილს დაბეჭდილი აქვს 246 სიტყვა. ზოგ ლექსიკურ ერთე-

ულს მიწერილი აქვს, რომელ კუთხეშია მოპოვებული. გაკეთებულია განმარტებები. ავტორი დასაწყისში წერს: „ეს სიტყვები გაგონილი მაქვს რაჭასა, ზემო იმერეთსა და ზემო ქართლში და ისეა ახსნილი, როგორც ხალხში გამიგონია. რათა ხელმეორედ არ გამემეორებინა უკვე ცნობილი სიტყვები, გადავათვალეერე ს.ს. ორბელიანის, დ. ჩუ-ბინაშვილის, რ. ერისთავის, კ. ყიფიანის, თ. სახოკიასი და კ. ბაღაშ-ვილის ლექსიკონები და დავტოვე მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც იქ არ აღმოჩნდა. მაქვს ორიოდ სიტყვა, ლექსიკონებში უკვე შეტანი-ლი, მხოლოდ სულ სხვა მნიშვნელობით არის ნახმარი“. ამას მოჰყვე-ბა 246 სიტყვა. ნ. აბდუშელიშვილის მოპოვებული და „ივერიაში“ გამოქვეყნებული სიტყვათა ნაწილი აქვს დაბეჭდილი ილია ჭყონიას „სიტყვის კონაში“. ე.ი., ი. ჭყონიას მასალა შეუმცირებია, მაგრამ ეს შემცირებული რაოდენობა ლექსიკური ერთეულებისა კიდევ მეტად შემცირებულად არის წარმოდგენილი ქველ-ში და აქ ნიკო აბდუშე-ლიშვილი კი არ არის მითითებული, არამედ— ი. ჭყონია.

საინტერესოა, ი. ჭყონიას „სიტყვის კონიდან“ როგორ არის ლექსიკური ერთეულები შეტანილი ქველ-ში. წარმოვადგენთ საილუს-ტრაციო მასალას ასო-ბგერა ა-ზე. ქველ-ში რვა სიტყვაა შეტანილი და მხოლოდ ერთზე- ანჩახი- უნაგირი(ჩერქეზული)-მითითებული არის ი.ჭყონია. არ ჩანს ნ. აბდუშელიშვილი, განმარტება კი ამ უკა-ნასკნელს ეკუთვნის. ხუთი ლექსიკური ერთეული საერთოდ არ დას-ტურდება ქველ-ში, ორი კი (ატრუგება და აქნა) ქველ-ში დადას-ტურდა, განმარტებაც ისეთივეა, როგორც ი. ჭყონიასთან, მაგრამ, სა-მწუხაროდ, აქ არც „სიტყვის კონის“ ავტორი, არც ნ. აბდუშელიშ-ვილი, რომელიც ამ ლექსიკური ერთეულების პირველწყაროს წარმო-ადგენს, ნახსენები არ არის.

რა ხდება ასო-ბგერა ბ-ზე? ასო-ბგერა ბ-ზე ნ. აბდუშელიშვილის 24ლექსიკურიერთეულიდან ი.ჭყონიასთან დასტურდება ყველა, ისევე, როგორც ყველაა შეტანილი ქველ-ში, მაგრამ ამ უკანასკნელში მხო-ლოდ ცხრა ლექსიკურ ერთეულს აქვს მითითებულიილია ჭყონია, როცა აქ უნდა ეწეროს ნიკო აბდუშელიშვილი. განმარტებები იგივეა. რვა ლექსიკური ერთეული „სიტყვის კონიდან“ ისეა შეტანილი, სა-

ერთოდ, ი. ჭყონია და არც მისი ნამდვილი ავტორი — ნ. აბდუშე-ლიშვილი არ ჩანან. ერთ ლექსიკურ ერთეულს — ბოთე — სხვა გან-მარტება აქვს. ქეგლ-ის მიხედვით ბოთე ნიშნავს უჭკუო და არას მაქნის, დოყლაპია, ბნდუს. ნიკო აბდუშელიშვილთან კი ეს სიტყვა განმარტებულია ასე: უგუნური და ზანტი კაცი. აქ მითითებული არ არის ავტორი. ი. ჭყონიაც და ნ. აბდუშელიშვილიც უგულვებლყო-ფილნი არიან. სამწუხაროდ, ასევეა ქეგლ-ის ახალ რედაქციაშიც.

რა ხდება ასო-ბგერა გ-ზე? ნიკო აბდუშელიშვილის მიერ გამო-ქვეყნებული 12 ლექსიკური ერთეულიდან (დაბეჭდილია „ივერიის 1900 წლის 194-ე ნომერში“) ცხრა სალექსიკონო ერთეული შეტანი-ლია ილია ჭყონიასთან. განმარტებებიც გადმოღებულია ნიკო აბდუ-შელიშვილის სალექსიკონო ერთეულებიდან. ქეგლ-ში ილია ჭყონიას ლექსიკონიდან შეტანილია მხოლოდ ექვსი ლექსიკური ერთეული (გა-ლოჯვა, გახიდურება, გეზი, გეჯეჯი, გვერგვი, გონჯა). ექვსივეზე მითი-თებულია ი. ჭყონია. ამ ექვსი სიტყვიდანაც ორს (გეზი და გონჯვა) განმარტებები განსხვავებული აქვთ: 1. გეზი ი. ჭყონიასთან ნიშნავს მოხერხებულ, მარჯვე ადგილს სათვალყუროდ, ქეგლ-ის მიხედვით კი არის მიმართულება, გზა, კურსი (გარკვეული პუნქტისაკენ). 2. ღგონ-ჯა — ი. ჭყონიასთან ნ. აბდუშელიშვილის განმარტებით: გვალვის დროს რომ ნათესები დაზარალდება, ბავშვები და ქალები ფეხშიშვე-ლები დადიან სოფელში სიმღერით და ღმერთს ევედრებიან წვიმის მოყვანას. ყოველი მოსახლე მათ ასაჩუქრებს და თანაც ფეხზე წყალს მიასხამს, ე.ი., გონჯაობას აწყობენ. ქეგლ ასე განმარტავს: ჯვარედინ-ნად დამაგრებული ორი ჯოხი ადამიანის ფორმისა ძონძებში გახვეუ-ლი დააქვთ კარდაკარ გონჯაობის დროს.

რა ხდება სხვა ავტორებთან? გაზეთ „ივერიის“ 1900 წლის 4 ნომერში ცნობილი ჟურნალისტისა და მკვლევრის, ქართული ენის მოამაგე პეტრე მირიანაშვილის მიერ 195 ლექსიკური ერთეული გამოქვეყნდა. აქედან ილია ჭყონიას „სიტყვის კონას“ შეუტანია 38. ქეგლ-ში შეტანილია უფრო მცირე, კერძოდ, ექვსი ლექსიკური ერთე-ული, საიდანაც ორი-აბრა და ანგალი- სხვაგვარადაა ახსნილი და არ ჩანს მირიანაშვილისეული განმარტება. ორი ლექსიკური ერთეული კი

(ასანიგი და ასაკი) საერთოდ არ ჩანს ქეგლ-ში.

საბედნიეროდ, ქეგლ-ის ახალ გამოცემაში ასაკი დადასტურდა.

ჟურნალისტი ვლადიმერ ბზვანელი, იგივე ვლადიმერ ნაცვლიშვი-ლი ერთ-ერთი პირველი გამოცხმაურა ქართული ენის მდიდარი ლექ-სიკური მარაგის გამოსავლინებლად იმ პერიოდის პრესაში გამოქვეყ-ნებულ მიმართვებს და 1900 წელს „ივერიის“ 172-ე ნომერში და-ბეჭდა იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა სათაურით „ქარ-თული ენის საუნჯის მასალად,“ სადაც წარმოდგენილია 27 იმერული დიალექტური სიტყვა. ეს სიტყვები ვლადო ბზვანელის ლექსიკოგრა-ფიული მემკვიდრეობაა. ამ მემკვიდრეობიდან ილია ჭყონიამ “სიტყვის კონაში“ შეიტანა მხოლოდ 14 (აკვარჩხალება, გალაქლაქებული, გამოსკვინილი, გამოკვანწული, გამოწყვეტილი, დაბარძღული, გასან-სალებული, გატლიკინებული, დახემსება, ლაყუნი, მესოფლია, სურსუ-ტი, ძომანი, ჯანჯალი). ქეგლ-ში ლ. ბზვანელისეულ ზოგ სიტყვას სხვაგვარი ახსნა აქვს: ჯანჯალი- ლ. ბზვანელი- მაგარი ვაჭრობაში. ქეგლ-1. ყველაფერზე რომ ფეხს ითრევს, გადაუწყვეტელი, ჭინჭყლი, ჭირვეული. 2. ნელი სირბილი.

გამოწყვეტილი — ვლ. ბზვანელი — შერცხვენილი. ქეგლ — ვინც ან რაც გამოწყვიტეს სადმე, გაწყვეტილი, ამოწყვეტილი, მოკლული.

ფრახი — ვლ. ბზვანელი- ნამუსახდილი დედაკაცი. ქეგლ- უსირ-ცხვილო, უნამუსო, ქართლში ნიშნავს ხარბს, გაუმადლარს. აქვს სხვა განმარტებაც: ზორბა, ზონზროხი, დონდლო და ფუყი.

ვლ. ბზვანელის განმარტებები ქეგლ-ში არ ჩანს. რამდენიმე ლექ-სიკური ერთეული ისეთიგაა, ერთნაირად რომ არის განმარტებული. ჭყონიასთანაც და ქეგლ-შიაც, მაგრამ აქ მითითებული ი. ჭყონიაა. ე. ი., ქეგლ იმომებს „სიტყვის კონას“ და მის ავტორს და ვლ. ბზვანე-ლი მიჩქმალულია, არ ჩანს მისი სახელი.

როგორც ვხედავთ, ილია ჭყონიას შეუსრულებია თავისი დასახუ-ლი მიზანი და იმ დროს, როცა დღის წესრიგში ჯერ კიდევ ქართული ლექსიკური ერთეულების შეგროვების საკითხი იდგა, მას გამოუცია „სიტყვის კონა“, რომელშიც ლექსიკურ ერთეულებზე მეცნიერული კე-თილსინდისიერებით მიუთითებია შემგროვებლების გვარები, შეგრო-

ვებული მასალების დიდი ნაწილი კი ამ წიგნში შეუტანია. ამით ილია ჭყონიამ დიდი სამსახური გაუწია ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარების საქმეს. რაც შეეხება „სიტყვის კონას“, აქედან ქველ-ში შეტანილი სიტყვები კი პირველი ავტორების გარეშე არიან დარჩენილნი, პირველი ავტორების გვარები ქველ-ში მიჩქმალულია, სიტყვათა ნაწილი კი შეტანილი არ არის. ამ საკითხს ქველ-ის ახალი რედაქცია ასე ხსნის: „სათანადოდ ვერ იქნა გათვალისწინებული მე-19-მე-20 საუკუნეების ქართული პრესა. ჯერ კიდევ არ არსებობდა არაერთი დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონი. ასევე ბევრი დიალექტი ლექსიკურად შესწავლილი არ იყო. ამიტომ ქველ-ის შესაბამისი მითითებები სიტყვის დიალექტური წარმომავლობის შესახებ შემდგომ დაზუსტებას მოითხოვდა“.

სასურველი და მიზანშეწონილი იქნება, თუ დოკუმენტური პირველწყაროს მასალა ავტორთან ერთად შესწორებული სახით შევაქველ-ის ახალ გამოცემაში.

ლიტერატურა

დვალიშვილი, 2005 — ლუკა დვალიშვილი, ილია ჭყონიას ცხოვრება და შემოქმედება, ქუთ., 2005.

ქველ, 1950 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ.1, თბ., 1950.

ქველ, 1951 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ.2, თბ., 1951.

ჭყონია, 1910 — ილია ჭყონია, „სიტყვის კონა“, პეტერბ., 1910.

‘Sitkvis Kona’ (A Bunch of Words) by Ilya Tchkonია

Summary

The paper discusses Ilya Tchkonია’s dictionary called A Bunch of Words. The dictionary includes lexical units from the Georgian media up to 1910.. Besides the dictionary contains Georgian dialectal lexis as well as archaisms. The paper argues that the lexicographic information provided by the dictionary might be relevant for historical studies. It is desirable to include the given information in the Georgian Monolingual Dictionary.

მამა სალმანი

მასალები სვანური ტოპონიმიკური ლექსიკონისათვის.

I. სოფელ ცხუმარის ტოპონიმიკა

ტოპონიმიკა, როგორც ცნობილია, ონომასტიკის ერთ-ერთი დარგია, რომელიც შეისწავლის გეოგრაფიულ სახელწოდებათა სტრუქტურას, განსაზღვრავს მათ წარმომავლობასა და ენობრივ კუთვნილებას, აგრეთვე, მათ სემანტიკასა და ეტიმოლოგიას. ტოპონიმებში, როგორც ენის განვითარების ამსახველ ერთეულებში, შენახულია არა მხოლოდ არქაული, არამედ დიალექტური ლექსიკა და კილოთა სუბსტრატის კვალი. ტოპონიმიკური ძიება კი ფასდაუდებელ სამსახურს უწევს მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებს: ისტორიულ გეოგრაფიას, ეთნოგრაფიას, მხარეთმცოდნეობას, არქეოლოგიას და ა. შ.

განსაკუთრებით საინტერესოა უმწერლობო ქართველურ ენათა მრავალფეროვანი ტოპონიმიკური მასალის როგორც აღწერა, ასევე ამ მასალის სტრუქტურულ-სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზი. სვანური ენა კი ამ მხრივ ფასდაუდებელია.

ამჯერად აღწერის სახით წარმოვადგენთ ჩვენ მიერ წლების განმავლობაში მოპოვებულ ბალსქვემოურ, კერძოდ, სოფელ ცხუმარის შვიდივე უბნის (სვიფი, ღვებალდი, ტვიბერი, ლეზგარა, მაგარდელი, ლაფსყალდი, ჭალაში) ტოპონიმიკურ მასალას. აღნიშნული სოფლების ტერიტორიაზე სულ აღირიცხება 350 ტოპონიმი.

ცხუმარის ტოპონიმიკურ მასალაში ტოპონიმთა შემდეგი ტიპები გამოიყოფა: 1. უაფიქსო, მარტივი სახელები; 2. აფიქსებით ნაწარმოები: ა) პრეფიქსით ნაწარმოები სახელები, ბ) სუფიქსით ნაწარმოები სახელები, გ) პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები სახელები; სიტყვათშეერთებით ნაწარმოები სახელები (კომპოზიტები); ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს აღმნიშვნელი ტოპონიმები; გარდა ამისა, გამოიყოფა: მცენარეთა კრებულის სახელები; წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები; უცნობი

სტრუქტურისა და სემანტიკის მქონე ტოპონიმები; 3. ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს აღმნიშვნელი ტოპონიმები.

1. უაფიქსო, მარტივი სახელები:

მარტივი სახელები, რომელთაც მაწარმოებელი არ გააჩნიათ, ძირითადად, სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ იმის მიხედვით, ტოპონიმის ფუძედ აღებულია არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი თუ მიმღეობა.

არსებითი სახელი: **ტობ** „ტბა“, **ბარჯ** „მხარი, ბეჭი“, **ფოშდელ** „წივანა“, **ჭყერუ** „კვარცი“, **ლაცხნირ** „სავარცხელი“, **სუიფ** „მოედანი, საკრებულო“.

ზედსართავი სახელი: **კუდ** „მოკლე“, **ჯოდელ** „მოგრძო“, **წგრან** „წითელი“, **ვალ** „მხარი (ვალ საზომი ერთეულია სვანურში = ორივე გამლილ ხელს)“, **მანჭარა** „ჩამწკრივებული“, **თეთელ** „თეთრი კლდე“, **მოდ** „გაკაფული“. ტოპონიმთა ამ ტიპში, როგორც ჩანს, მსაზღვრელი სახელი ქვეულია დამოუკიდებელ გეოგრაფიულ სახელად. მაგ.: **თოგორ** < **თოგორ** **კოჯ** „წვეტიანი კლდე“, **წგრან** < **წგრანი** **ჟერ** „წითელი მიწა“. რამდენადაც ზედსართავი სახელები ამ შემთხვევაში ტოპონიმიური სახელების დანიშნულებას ასრულებენ, ამდენად, ისინი გაარსებითებულ სახელებად გვევლინებიან. ასეთი სახელები მრავლად მოიპოვება ცხუმარის ტოპონიმიაში (შდრ. საზოგადო სახელი **თოგორ** „წვეტიანი“, რომელიც ზედსართავია, და საკუთარი სახელი, ტოპონიმი **თოგორ**, რომელიც უკვე გაარსებითებულია).

2. აფიქსებით ნაწარმოები სახელები:

ა) **პრეფიქსით ნაწარმოები სახელები**. ცხუმარის ტოპონიმიაში გვხვდება სხვადასხვა პრეფიქსით ნაწარმოები სახელები. მაგ., ცხუმარის ტოპონიმიაში გვხვდება **ას**- პრეფიქსით ნაწარმოები ერთადერთი სახელი — **ასქართ** „სათალგამო“, რომელიც ცხუმარის ტოპონიმიაში სხვაგან არ დადასტურებულა. **ლა**:- **ლადარ** „სალარე“, **ლაკუნ** „საკვერნე“, **ლაბულ** „სამტვერე“, **ლანხილ** „სახილე“, **ლატანფ** „საფერდე“ (შდრ., ასევე, **ტელეფი** „მთის ლოლო“, **ტელანფ** „დერედანი“);

ბ) **სუფიქსით ნაწარმოები სახელები**: **-ელ**: **შდუგრელ** „სათავვე“, **სარკელ** „სარკიანი, სარკესავით სუფთა, პრილა მიწა“. გვხვდება ნათ. ბრუნვის ნიშნით ნაწარმოები სახელები, სადაც ბრუნვის ნიშნად წარმოგვიდგება: **-შ**, **-აშ**, **-იშ**, **-ეშ**, **-ემ**. მაგ.: **პაპაშ** „მღვდლისა“, **ატოშ** „ატო-

სი“, **ქუინილდჷშ** „სულისა“, **სარგაშ** „წყაროსა“, **მეხერაშ** „მხარობ-
ლისა“, **ლაფსყალდჷშ** „ლაფსყალდისა“, **მეჰაშ** „გუბისა“, **ცხუმილჷშ**
ცხუმლჷშ „რცხილნარისა“, **ბეჩაშ** „ქვისა“; **ვადჷშ** „მუცლისა“, **ტუირ-**
ბიშ „სამტვერისა“, **თარგლეშ** „მთავარანგელოზისა“, **მეგნაშ** **შიშ** **დაბ**
„ღამის მთეველთა ყანა“; **ბაჩემ** „ქვისა“; **გოტრემ** „გოტრისა (ისტ.
ადგ.)“. როგორც ვხედავთ, აღნიშნული სუფიქსები მატაპონიმებელ სუ-
ფიქსებად არის ქცეული.

-ერ, -არ: **-ერ, -არ** სუფიქსი იგივეა წარმოშობით, რაც ქართულში
კარგად ცნობილი ქონების სუფიქსი **-იერ**. სვანურში ორი ხმოვნის შე-
ხვედრისას ერთის დაკარგვა და მეორის დაგრძელება ჩვეულებრივი მო-
ვლენაა. ამ გზით **-იერ** იქცევა **-ერ**-ად (**-იერ > -აერ > -ერ**), იშვიათად
კი მიიღება **-არ** (**-იერ > -არ**). შესაძლოა საზოგადო სახელებში **-იერ**-ს
სვანურში ერთვოდა კიდევ მეორე სუფიქსი **ა**, რომლის მოკვეცისას წარ-
მოიშობოდა უკანა მიმართულების უმლაუტი (**იერ — ა > ერ — ა >**
არ). მაგრამ ასეთი დაშვება სავალდებულო არ არის, **ე** და **ა** ხმოვანთა
მონაცვლეობა სვანურში უამისოდაც შესაძლებელია (მ. ქალღანი).

როგორც აღვნიშნეთ, **ერ** სვანურში მატაპონიმებელი სუფიქსია,
რომელიც არაერთი გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდებაში გამოიყო-
ფა. მაგ.: **ლაცერ** „სარწყავიანი“, **ტუიბერ** „ღელიანი, ღელეთი“,
ფეტურარ „ფეტვიანი“, **ჩიჰარ** „მუხიანი“ და სხვ.

მრავლობითი რიცხვის სუფიქსებით ნაწარმოები სახელები. არა
ერთი და ორი გეოგრაფიული სახელია წარმოების მიხედვით მრავლო-
ბითის ფორმა. ცხუმარის ტოპონიმიაში გვხვდება ძირითადად **-არ||არ**
სუფიქსით ნაწარმოები სახელები: **ჭიბარ** „ჭაობები“, **კაჩარ** „აღმართე-
ბი“, **თხუმარ** „თავები“, **კალარ** „კალოები“.

გ) **თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოები სახელები:** **ლა-** — **-ა:**
ლამეშკა „საჭიანჭველო“, **ლატობა** „დასატბორი“, **ლაჩუმა** „სასაქმო“,
ლაყარა „საყავრია“, **ლშერა** „სალესი“, **ლამდაულა** „სამერცხლე“,
ლალქანა „საკანაფე“, **ლახუბაშრა** „სამძო“ და სხვ.; **ლა-** — **-არ** (ი):
ლალუნარი „სახბორე“; **ლა-** — **-ერ** (ი): **ლაგუჩერი** „საწაბლე“; **ლა-** — **-**
არ: **ლაგუნარ** „სატირალი“, **ლამგალარ** „ჩამოსაწველი“, **ლშუბიდალარ**
„დასამწყვედვი“, **ლშუბინარ** „დასასვენებელი“; **ლშ-** — **-ილ:** **ლშთკე-**
რილ „სანაკერჩხლე“; **ლე-** — **-ინ** (ი): **ლემგვდინი** „საჩრდილობელი“; **სა**

— **ანი:** **საქრანი** „სასრილო“; **მა** — **ელ:** **მა-გარდ-ელ** „მრგვალნარი“.

სიტყვათშეერთებით ნაწარმოები სახელები (კომპოზიტები):
მაგ.: **პაპარობ** „მღუდლის სათიბი“; **კირისოტარ** „კირის სვეტები“. წარმოების მხრივ კი რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა, ესენია: ა) ატრიბუ-
ტულმსაზღვრელიანი სახელები: **ჯუელი ლარა** „გრძელი სათიბი“, **ჭუიწ**
ზაგარ „საყელო გორა“, **ლგან ზაგარ** „მოხნული გორა“, **წგრნი ქურა**
„წითელი ყამირი“; ბ) მართულმსაზღვრელიანი სახელები: **ატომ კალ**
„ატოს ეზო“, **ბათგრიშ ლშუმოლ** „ბათურის სათიბები“, **პაპაშ ლარა**
„მღვდლის სათიბი“, **მეგნაშ** **შიშ** **დაბ** „ღამისმთეველთა ყანა“.

მცენარეთა კრებულის სახელები. სვანურში მოიპოვება სუფიქსი
ერ, არ, რომელიც მნიშვნელობით უდრის ქართულ **ნარ||ნალ** სუფიქსს,
ის დაერთვის მცენარის სახელის ფუძეს და აღნიშნავს ადგილს, სადაც
ბლომად მოიპოვება ესა თუ ის მცენარე: **თეკერ** „ბოკვნარი“, **კაკარ**
„ნიგვზნარი“, **ჩირთარ** „ბუჩქნარი“ და მისთ.

წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები

ცხუმარის ტოპონიმიაში დასტურდება შემდეგი სემანტიკური ჯგუ-
ფები: **დანიშნულების სახელები, წინა ვითარებისა, ქონებისა და კნი-**
ნობით-ალერსობითი.

ა) დანიშნულების სახელებს აწარმოებს პრეფიქს-სუფიქსი **ლა-/ლშ-**
— **-ა:** **ლშ-შდალშა** „სამერცხლე“, **ლა-ლ-ქან-ა** „საბოსტნე, საკანაფე“,
ლშ-ყუდურ-ა „საჩიხე“ და სხვ.; **ლა-** — **-არ:** **ლა-შგალ-არ** „ჩამოსაწვე-
ლი“, **ლშ-შუბინ-არ** „დასასვენებელი“, **ლშ-ჭბიდალ-არ** „დასამწყვედვი“
და ა. შ.; **ლა-(ლშ-):** **ლა-ბულ** „სამტვერე“, **ლა-ლშაშ** „საჩიხე“ და სხვ.;
ლე- — **-აშ:** **ლე-ბურდუ-აშ** „საბურე“, **ლე-ნჯბერ** „სამხრე“ (?); **ლე-** —
-ალდ: **ლე-ცხუ-ალდ** „საისრე“; **ლე-:** **ლე-ფურ** „საძროხე“...; ბ) წინა ვი-
თარების სახელებს აწარმოებს პრეფიქს-სუფიქსი **ნა-** (**ნშ-**) — **-არ:**
ნანგმარ „ნამოსახლარი“, **ნაშკორუარ** „ნაწისქვილარი“; გ) ქონების სუ-
ფიქსებით ნაწარმოები სახელები: **-არ:** **ცხემარ** „რცხილიანი“ (მდრ.
ცხუმი||ცხუიმრა, ლშხ. **ცხუმი||ცხუმრა** „რცხილა“), **წილმარ** „მხაპრია-
ნი“, **ქართარ** „თალგამიანი“; **-ლი:** **ბეჩლი** „ქვიანი“. **წარ||-არ** ქონების სუ-
ფიქსია, რომელიც უდრის ქართულ „იან“-ს; დ) კნინობითის სუფიქსით
ნაწარმოები სახელები: **-ილ:** **წიფრილ** „წიფელუკა“, **უწწურილ** „არყ-
უკა“, **კუწწილ** „კვერუკა“; **-ილდ:** **ქუიშილდ** „ქვიშუკა“, **წუემრილდ**

„ბუჩქუა“, **ლაცცილ** „საკენკემო“; -**ულდ**: **ქურულდ** „ყამირუკა, ნასვენი მიწა“, **ყორულდ** „კარუკა“; -**ალდ**: **ერხალდ** „ვერხვუკა“, **მეშხალდ** „შეფუკა“, **ლეცხალდ** „საისრე“, **ლაფსყალდ** „სამარწყვე“. სოფლის სახელწოდება **ლაფსყალდ** იწარმოება **ლა-** თავსართის საშუალებით, -**ა** ბოლოსართი, რომელიც ჩვეულებრივ **ლა-** თავსართთან წარმოებას ახასიათებს, აქ უკვე მოკვეცილია. ფუძედ გვრჩება **ფსყალდ**, რომლისგანაც გამოიყოფა **ფსყ < ბსყ < ბწყ** „მარწყვი“ ძირი. **ლა-ფსყ-ალდ** ტოპონიმის წარმომავლობა ასეთი უნდა იყოს: **ლა-ბსყ-ელდ-ა < *ლა-ბსყ-ილდ-ა < *ლა-ბწყ-ილდ-ა** (ზ. ჭუმბურიძე); -**გლდ**: **ქართლდ** „თალგამუკა“, **ქორბლდ** „სახლუკა“, **ცხინკლდ** „პატარა კალათა“, **ტყაბლდ** „სოკუკა“ (მდრ. სვან. **ტყუბულ||ბუტყულ** „სოკო“); -**ილდ**: **მადბუნალიდ** „მოჩუხჩუხე“, **ლალწად** „სალილაო“.

ცხუმარის ტოპონიმიში გამოიყოფა ასევე სიტყვათა ერთი საინტერესო სემანტიკური წრე, რომელიც ემთხვევა ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილთა სახელებს, ესენია: **ბარჯ** „მხარი“, **თხუმარ** „თავები“, **ვადუმი** „მუცლისა“...

ცხუმარის ტოპონიმიში გამოიყოფა, აგრეთვე, შემდეგი **სემანტიკური ჯგუფები**:

ა) საცხოვრებელ ადგილთა ამსახველი ტოპონიმი: **ატომ კალ** „ატოს კალო, ეზო“, **გუამ ბაჟ** „გუას ნაკარვალი“, **წანგმარ** „ნამოსახლარი“, **ჩაგამ მურყუამ** „ჩაგას კოშკი“ და სხვ.; ბ) ნაგებობათა ამსახველი ტოპონიმი: **ბეგში ნამხუირ** „ბეგისაანთ ნანგრევი“, **წაკრილ** „ნაკარვალი“, **ნაქორარ** „ნამოსახლარი“; გ) ხელოსნობის ამსახველი ტოპონიმი: **ლწმერა** „საღესი“, **ლენკერა** „საფიქალე“ (ადგილი, სადაც ჭრიდნენ ფიქალს კერიისთვის პურის გამოსაცხობად); დ) რელიგიის ამსახველი ტოპონიმი: **კაჩრიშ** „აღმართისა (ჯგერაჯ კაჩრიშ „კაჩრისის წმ. გიორგი“); **ლცხტწმ** „სალოცავი, შესაწირი ადგილი“, **მურფიწმ** „ნაეკლესიარი“, **მეხერიშ** „მხარობლისა“, **ტეხიშ** „ტეხისა (ჯგერაჯ ტეხიშ „ტეხიშის წმ. გიორგი“); **ფხაკუწმ** „აღმართისა (ჯგერაჯ ფხაკუწმ „ფხაკვის წმ. გიორგი“); ე) სამეურნეო ტოპონიმი: **კალწარ** „კალოები“, **ლალქანა** „საბოსტნე, საკანაფე“, **ლწცერ** „სარწყავი“, **ნაკლაწმარ** „ნაკალოები“, **ნალდბწარ** „ნაყანარი“, **წამექუწმარ** „ნაზინარი“.

3. ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს აღმნიშვნელი ტოპონიმები

ა) **კაწცხ** „წვერი“, **გორაწ** „გორა“, **კუდწ** „მოკლე“, **ლწცა** „ბილიკი“, **ნაკ** „ვაკე“, **ლატწფ** „ფერდობი“ და სხვ.; ბ) წყლის აღმნიშვნელი გეოგრაფიული სახელები: **გოტრეშ** „გოტრესისა (ადგილი, სადაც წყარო მოედინება, **ლწიშ** „დასალევი“, **ლატობა** „დასატბორი“, **ლანწბაშრა** „ღელე, მდინარე“, **მგწლწმ** „გუბურა“, **წწიდილდ** „წყარო, მანწხაფ „ჩანწქერი“; გ) ზოგი ტოპონიმი აღნიშნავს ადგილს, სადაც გარკვეული მცენარეული საფარია ან სადაც ესა თუ ის ცხოველი ბინადრობს. რიგი ტოპონიმი პირდაპირ მცენარის სახელს აღნიშნავს. ზოგ ტოპონიმში კი აღნიშნულია ადგილი, რომელიც ამა თუ იმ ჯიშის მცენარეული საფართთა დაფარული: **ასქართ** „სათალგამო“, **ერხალდ** „ვერხვნარი“, **კაკწარ** „ნიგვზნარი“, **ლაგუწგერი** „წაბლნარი“, **ლწთკერილ** „ბოკვნარი“, **ლწკცილდ** „საკენკემო“, **ლენბურდწმ** „საბუერე“, **მესგლდწმ** „მერიისა“, **ფეტწმარწარ** „ფეტვნარი“; დ) ტოპონიმები, რომლებიც სხვადასხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა არსებობა-გამოყენებაზე მიუთითებენ: **თეთელ** „თეთრი კლდე (სადაც კირს ამუშავებდნენ)“, **ორწარ** „წითელი მიწა (რომელსაც იყენებდნენ სვანური „მაჩუბების“ მოსაწყობად)“, **ჭყერუ** „კვარცი“, **კა** „ფიქალი ქვა, კლდე“.

ამა თუ იმ ადგილზე ცხოველთა და ფრინველთა არსებობის აღმნიშვნაა მოცემული ტოპონიმებში: **ლაკუნ** „საკვერნე“, **ლაუღულდ** „სახბორე“, **ლამეშკა** „საჭიანჭველო“, **ლალწნარი** „სახბორე“, **ლალწამ** „საჯიხვე“, **ლამდალწა** „სამერცხლე“, **ლეფურ** „საძროხე“, **შდუგწრელ** „სათაგვე“, **შყწყოლწარ** „სამეწყრე“, **ჭწწარილდ** „საყვავო“.

საანალიზო მასალაში გამოიყოფა ტოპონიმების ერთი ნაწილი, რომლებიც უკავშირდება ადამიანთა სახელს ან გვარს, ე. ი. გვარი ან სახელია გამოყენებული მატოპონიმებლად. ასეთი ტოპონიმები მრავლად მოგვეპოვება, ესენია: **ესპლწნი** „ესპლანისანი“, **თამარწწნი** „თამარისანი“, **ჯაჭუწლწნი** „ჯაჭულანისანი“, **მილდწნი** „მილდანისა“, **საღლწნი** „საღლანისა“, **გენგეწწნი** „გენგესანისა“, **რატწნი** „რატანისანი“, **ოღლწნი** „ოღლანისანი“, **ყუბუწწნი** „ყუბუსანისა“, **ფირცხლწნი** „ფირცხელისანი“ და ა. შ.

უცნობი სტრუქტურისა და სემანტიკის მქონე ტოპონიმები

გვგვდება ისეთი ტოპონიმებიც, რომელთა სტრუქტურა დღეისათვის ვერ იხსნება და არც მათი სემანტიკაა ნათელი. ესენია: **ყუწწნი**,

ჭომანდი, ილი, გუზნგუ, ლენჭუ, უიტხირი და ა. შ.

ვეფიქრობთ, აღნიშნული მასალის როგორც აღწერა, ასევე სტრუქტურულ-სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზი ფასდაუდებელ მასალას გაუწევს მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებს: ისტორიულ გეოგრაფიას, ეთნოგრაფიას, მხარეთმცოდნეობას, არქეოლოგიას და ა. შ.

MEDEA SAGHLIANI

Data for the Svan Toponymic Dictionary I. The Toponymy of the Village of Tskhumari

Summary

The paper presents 350 toponyms of Lower Bals, viz. the material collected in the Village of Tskhumari, In the given data the following types of toponyms are encountered:

1. simple names with no derivational affixes;
2. names formed by affixation: a. names formed by prefixation; b. names formed by suffixation;
- 3, descriptive names denoting natural geographic environment;

The paper argues that structural, semantic and etymological analysis of the data will be of particular relevance for such disciplines as historical geography, ethnography, regional studies, archeology etc.

რამაზ სვანიძე

ტოქშოუს ჰანრი, როგორც ლინგვოკულტურული ფენომენი, ბარბანულ და ქართულ ენებში

ტოქშოუს დისკურსი წარმოადგენს ტელეკომუნიკატორისა და ტელეაუდიტორიის რთულ ინტერაქციულ პროცესს, რომელსაც განსაზღვრული კულტურული თავისებურებები ახასიათებს. ისინი მასობრივი ინსტიტუციონალური კომუნიკაციის პირობებში ინტერსუბექტურ ურთიერთობებში ვლინდება. ტოქშოუ, როგორც რთული დისკურსიული წარმონაქმნი, შეიძლება განხილულ იქნეს პრაგმა-, ფსიქო-, სოციოლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, ლინგვისტიკის, სტრუქტურული ლინგვისტიკის და ა. შ. კუთხით (პანკრატოვა, 2001, 17-20). თუმცა აქ შევეხები ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტს, რადგანაც ორ ქვეყანას შორის კომუნიკაციის სისტემის ეფექტურობა დამოკიდებულია ერთმანეთის ენის, ლიტერატურის, ყოფისა და კულტურის ცოდნაზე, რომელიც მთლიანობაში ლინგვოკულტურულ კოდს წარმოადგენს. ის მთავარ როლს თამაშობს ხატის, მენტალიტეტისა და ღირებულებითი ორიენტაციის ფორმირებაში (ლენტოვიჩი, 2002, 114). ამ მხრივ, ტოქშოუში გამოყენებული ენა აღიქმება როგორც კულტურის ფენომენი, რადგანაც ის წარმოადგენს როგორც კულტურის წინაპირობას, ისე მის პროდუქტს.

აქვე გასათვალისწინებელია ვენედიქტოვას შეხედულება, რომ უცხო ქვეყნის ცხოვრებისეულ სამყაროში ჩართულობა გარკვეული ტიპის ცოდნის საფუძველზეა შესაძლებელი, რომელსაც თანამონაწილე-კომუნიკაციურს უწოდებენ, რამდენადაც ის აუცილებლად მოიცავს რეფლექსიას საკუთარ საფუძველებზე, კულტურულ წინაპირობებზე (ვენედიქტოვა, 1997, 203). ასეთი ტიპის აქტუალური ცოდნის დაგროვებისა და გერმანულ და ქართულ დისკურსში ჩართულობის ერთ-ერთი საშუალებაა ტოქშოუ. ინტერაქტანტების ურთიერთობა

მაქსიმალურად მიახლოებულია რეალურ საუბართან სოციუმის ცხოვრების დეტალების გამოვლენით. სატელევიზიო დისკურსში შეიძლება მოიპოვებოდეს შესაბამისი კულტურის ყველა შესაძლებელი ღირებულებითი დომინანტი, რაც ეხმარება რეციპიენტს მოახდინოს საკუთარი ცოდნის აქტუალიზაცია, შესწორება ან განვრცობა. მნიშვნელოვანია ასევე გრანესის მოსაზრება, რომ კულტურა დინამიურ, ღია და ცვალებად ფენომენად უნდა იქნას აღქმული. მკვლევარი მის პროცესუალურ ხასიათსა და მრავალფეროვნებაზე მიუთითებს. ასეთი მიდგომისას ის ეყრდნობა გირცის შეხედულებას, რომ კულტურა შესაძლოა კონკრეტულ მომენტში სტატიკურ მთლიანობად იქნას აღქმული, მაგრამ ფაქტობრივად მუდმივ ცვალებადობას განიცდის იმყოფება (გრანესი, 2011, 24; გირცი, 1997). ჩემი აზრით, ეს პეტეროგენტულობა და დინამიკა სარკისებურად აირეკლება ტოქმოუს დისკურსში, რაც საშუალებას იძლევა უცხო კულტურისადმი სენსიბილიზაცია მოხდეს. განვიხილოთ ამ კუთხით გაისენის გადაცემა თემაზე „Familie XXL-warum habt ihr so viele Kinder?“ გერმანული ოჯახის კონცეპტის მახასიათებელია მცირერიცხოვანი ოჯახი, მაქსიმუმ ორი შვილით. ექსპერტები საუბრობენ შობადობის დეფიციტზე და ერთგვარი შიშიც კი აქვთ იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანელებმა, როგორც ერმა, შეიძლება აღარც კი იარსებონ. ამ ფონზე ნამდვილად გასაოცარია, რომ არსებობს ასეთი მრავალშვილიანი ოჯახები. გადაცემის ავტორების დამოკიდებულებაც იწვევს გაკვირვებას, რადგან კითხვაში „რატომ გყავთ ამდენი შვილი?“ იმალება საყვედური მამინ, როცა ასეთი ოჯახების არსებობა სასიხარულო და მისასალმებელი უნდა იყოს. ტოქმოუს დისკურსში ჩართულობა ადვილად ხსნის ამ დილემას. მოყვანილია მრავალშვილიანი ოჯახების როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მაგალითები. სწორედ მეორე ტიპის ოჯახებისადმი აქვს სტუდიის პუბლიკასა და მონაწილეებს ანთიპატიური დამოკიდებულება, რადგან მათ შვილები ფინანსური კეთილდღეობისთვის სჭირდებათ. მშობლები ყოველთვის ბავშვის ფულს იღებენ, სანამ ის სრულწლოვანი არ გახდება, გარკვეულ შემთხვევებში 27 წლამდეც კი. აქედან გამომდინარე, ადვილი გასაგებია მრავალშვილიანობის მი-

ზეზი. გადაცემის ავტორების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ტოქმოუსში წარმოდგენილია პოზიტიური მაგალითებიც, როგორც წარმატებული შესაძლოა იყოს მრავალშვილიანი ოჯახი. აქვე მინდა მოკლედ შევეხო ასათიანის გადაცემას „პროფილს“ თემაზე „პროფესია — ცოლი“, სადაც სტუმრად არიან წარმატებული მამაკაცების მეორე ნახევრები. გადაცემის მიზანია გააცნოს მსმენელებს „ყველაზე რთული პროფესიის — ცოლობის საიდუმლო“. საკითხის ასე განხილვა სრულიად უცხოა გერმანულ ლინგვოკულტურაში, რადგან იქ ცოლობა პროფესიასთან არ ასოცირდება.

აქვე უნდა აღინიშნოს სტუდიის პუბლიკის როგორც კულტურის ინდიკატორისა და განწყობის ბარომეტრის როლი, რომელიც როგორც ვერბალურად, ისე არავერბალურად (აპლოდისმენტები, შეძახილები, სიცილი, სტვენა) გამოხატავს თავის დამოკიდებულებას (სიმპათიას-ანთიპატიას) მისაღები ან მიუღებელი აზრისა და შეხედულებების მიმართ. მაგალითად, „ოლივერ გაისენის შოუში“ სტუდიის მსმენელებლათვის გაუგებარია, რომ ექვსი შვილის დედა, რომელიც უმუშევართა შემწეობას იღებს, უფრო მეტი შვილის ყოლაზე ფიქრობს. მისასალმებელია, რომ 15 შვილის მამა მუშაობს და სახელმწიფოზე არაა დამოკიდებული¹:

მა 3: Also, die ersten beiden würde ich fragen, geht ihr eigentlich arbeiten oder finanziert ihr das vom Staat?

გე: Nee, wir kriegen kein Hartz IV. Mein Mann geht dafür arbeiten.

მა 3: Das ist ja super, aber zu ((აპლოდისმენტები ihr möcht ich sagen,)) zu ihr möcht ich sagen, wenn du deine Situation kennst mit Hartz IV, es gibt Menschen, die haben ein Kind und schämen sich dafür, dass sie abhängig sind vom Staat. Aber warum kriegt ihr dann noch mehr Kinder, warum hört ihr nicht auf. Denn ihr seid den Kindern kein Vorbild. Die Kinder lernen, wie ma vom Staat lebt, wie ma anderen Leuten (...) das Leben nachmacht und dann die zweite Ausbildung kostet doch auch Geld. Wenn du den ersten Kurs bekommen hast)

¹ აქ წარმოდგენილი ემპირიული მასალის ტრანსკრიფციისას გამოყენებულია შემდეგი ნიშნები: გაწყვეტინება (გაწყვეტინების ცდა) (, შენიშვნები ((აპლოდისმენტები)), პარალელური საუბარი ხაზგასმულია.

სა: Da krieg ich Gehalt für die Ausbildung, das ist staatlich, da krieg ´n Hauslosgehalt. Ja, das stimmt, schäm ich dafür auch, geb ich ganz ehrlich zu, weil ich mir auch für meine Kinder was Besseres gewünscht habe, aber ähm Deutschland ist mal so ein Land, wo nur, wo es nur Arbeitslose gibt und gut, ich sag auch ganz ehrlich/

მა 3: Ja, gut, aber wenn das die Antwort ist.

სა: bis zu dem vierten Kind hat mein Mann fest gearbeitet, also wir hatten, er hatte auch ´n gutes Einkommen, dass wir den Kindern auch in finanzieller Hinsicht gerecht werden könnten. Das mit dem Zwilling war halt, äh geb ich auch ehrlich zu, in unserer Situation nicht wirklich das Wahre, ne? Also sag ich ganz ehrlich.

მა 3: Also, wenn du das durchziehst, so wie du das sagst, dann wünsch ich dir alles Gute und drück dir die Daumen. Es gibt leider viele, wenn viele so denken würden oder die meisten, die Kinder machen würden, vom Staat großziehen würden, es sind nicht viele da, die so denken, die sagen, ich geh erst arbeiten und dann finanziere ich meine Kinder.

სა: Das ist schon peinlich, wenn man dann

მა 3: Das ist eigentlich traurig.

სა: zum Amt geht und dann immer seine Anträge abgibt.

ალექსანდრე ვერტრუდსა და ვერნერს საყვედურობს, რადგან განსაკუთრებული საჭიროების შვილს თავად არ უვლიან. მას რომ ჰყავდეს პარაპლეგიით დაავადებული მეუღლე, არ მიატოვებდა. სტუმრის ამ პოციზიას მყურებლები აპლოდისმენტებითა და ყვირილით ეთანხმებიან:

„**Die Frage** ist aber ganz einfach zu beantworten. Wenn du sagst, dass du dem, die, das Kind, was behindert ist, dass nicht mehr drum kü, also, dass du dich nicht mehr drum kümmerst, weil der Aufwand einfach viel zu groß ist, dann nehme ich mir auch das Recht, dass ich sage, dann liebst du auch dein Kind nicht, weil dann es ist nicht damit getan, dass das Kind nur behindert ist. Wenn ich mit einer Frau verheiratet bin und die hat ´ne Behinderung, dann verlasse ich auch nicht die Frau. Wenn ich sie liebe, bleibe ich auch mit der, bleibe ich mit ihr zusammen, auch wenn sie querschnittgelähmt ist. Ist es nicht so?“

ალექსანდრეს ამ არგუმენტსაც პუბლიკა მოწონებით ხვდება: „Bei euch hab ich das Gefühl, ihr freut euch nicht auf die Kinder, ihr freut euch auf den Kontostand, der dann mittlerweile gefüllt wird und um danach

euch ´nen Kasten Bier zu besorgen oder was weiß ich, weswegen ihr das tat, ne? ((აპლოდისმენტები, სტვენა **Das ist es. Darum geht´s richtig**)).“

ტოქშოუს ჟანრის ლინგვოსოციოკულტუროლოგიური ასპექტის კვლევისათვის ჩავატარე სათაურების თემატური ანალიზი, რათა გამომეველინა გერმანული და ქართული ლინგვოკულტურის სპეციფიკა. ყველაზე საინტერესო ხუთ თემას გერმანულ მედიადისკურსში წარმოადგენს: პოლიტიკა, სიყვარული და ურთიერთობები, ეკონომიკა, ოჯახური პრობლემები და სამუშაო. ქართულ მედიადისკურსში კი წინა პლანზე შემდეგი თემებია წამოწეული: პოლიტიკა, ცნობილი ადამიანები, მოდა/მოუბიზნესი, ზემი/დღესასწაული/მუსიკა და ოჯახი. როგორც ვხედავთ, პოლიტიკისადმი ინტერესი ორივე ქვეყნის დისკურსში ძალზე დიდია და ის მუდმივი დისკუსიის საგანია, თუმცა სხვა თემებისადმი დაინტერესება განსხვავებულია.

კულტურული განსხვავებულობა ტელერეციპიენტს აძლევს საშუალებას, საკუთარი სქემები და კოგნიტიური მოდელები შეცვალოს და განავითაროს. ის ენობრივი კომპეტენციის საფუძველზე აქტიურადაა ჩართული ტელედისკურსში და იძენს ცოდნას, თუკი პიაჟეს დავესესხებით, ასიმილაციისა და აკომოდაციის საშუალებით. მაყურებელი ახდენს ახალი ინფორმაციის გაგება-ინტეგრირებას საკუთარ კონცეპტუალურ სტრუქტურაში ან პირიქით, ამ უკანასკნელს გადააწყობს მიღებული ინფორმაციის შესაბამისად.

ლიტერატურა

გრანესი, 2011 – Graneß A.: Das menschliche Minimum. Frankfurt am Main: Campus, 2011.

გირცი, 1997 – Geertz C.: Spurenlesen. Der Ethnologe und das Entgleiten der Fakten. München: Beck, 1997.

ვენედიქტოვა 1997 – Венедиктова Т. Д. Американистика как коммуникативное знание. Профессионалы за сотрудничество: Вып. 1. Москва: «Янус-К», 1997.

პანკრატოვა 2001 – Панкратова О. А. (2001). Типы дискурса. Проблемы лингвокультурологии и семантики через призму междисциплинарной парадигмы: Сб. ст. Волгоград.

ლეონტოვიჩი 2002 – Леонтович О. Л. Русские и американцы: парадоксы межкультурного общения: Монография. Волгоград: Перемена, 2002.

RAMAZ SVANIDZE

The Genre of Talk Show as a Linguocultural Phenomenon in German and Georgian Languages

Summary

The study of the linguocultural aspect of talk show is of great significance. The relation between the interlocutors is maximally close to real-life conversation, revealing the details of the life of the society. It may contain all the possible dominants of values in a corresponding culture. This helps the recipient in the actualization, correction or extension of his/her knowledge. This, in its turn, conditions the involvement in the discourse of the corresponding country.

ზარინე სიორიძე

ფაგილარული სტილი და „რეპი“ ფრანკოფონულ ლიტერატურაში

სტილის საკითხი დაკავშირებულია სალიტერატურო ენასთან, რომელიც ვითარდება საზოგადოების განვითარებასთან ერთად, იხვეწება და მდიდრდება ახალი სამეტყველო ელემენტებით. სალიტერატურო ენა უნდა იყოს ზუსტი, დახვეწილი, წმინდა, ემოციური, ექსპრესიული და კეთილზმომადონი. მეტყველების დროს ერთი და იგივე ცნება ან აზრი შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვა ელფერით მხოლოდ სათანადო ენობრივი საშუალებებით, რომელნიც ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებასთან დაკავშირებით ხმარებისას მეტყველებაში ქმნიან განსხვავებულ თავისებურებათა ერთობლიობას, როგორც თავისებურ ენობრივ საშუალებათა ერთიანობა, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს ადამიანთა მეტყველებას სხვადასხვა სიტუაციაში თუ საგნებსა და მოვლენებთან მიმართებით.

გარდა ფრანგული სახელმწიფო ენისა “Langue d'état“, ფრანგები ყოველდღიურად, ცხოვრებისეულ სიტუაციებში, ოჯახსა თუ მეგობრებში საუბრობენ ფაგილარული ფრანგულით. ასეთი ფრანგული ენა შეიძლება მოისმინოთ რადიოში, მულტიპლიკაციურ ფილმებსა თუ მუსიკალურ დისკებზე. „ამრიგად, ერთი რიგის საგნების ან მოვლენების დაპირისპირებისას თუ გამოვლინდა რაიმე განსაკუთრებული ნიშანი, შეგვიძლია ვილაპარაკოთ სტილურ ნიშნებზე და დავადასტუროთ სტილის არსებობა“ (გვენცაძე — სტილისტიკის საკითხები, თბ., 1971, გვ. 6.)

როგორც ზეპირი, ისე წერიტი მეტყველების სტილურ თავისებურებებს განაპირობებს მრავალი ფაქტორი: საუბრის თემა, საგანი, მოვლენა, სოციალური მდგომარეობა, ნაწარმოების ჟანრი, ლიტერატურული მიმართულება და ა.შ. ამ საფუძველზე იჩენს თავს მეტყველე-

ბის სტილური სხვაობა, სათანადო ენობრივი საშუალებების შერჩევითი გამოყენება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვადასხვა ადამიანის მეტყველებას ან ნაწარმოების ენას არაფერი ჰქონდეს საერთო და ყოველი მათგანის სტილი სავსებით განსხვავებული იყოს ერთმანეთისაგან, ამიტომ მათში ყოველთვის შეინიშნება როგორც საერთო, ისე სპეციფიკური ნიშნები. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მხატვრულ ლიტერატურაში ასეთი დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოცემულ პრობლემას.

თანამედროვე ფრანგულ ენაში გამოყოფენ სამ სტილს: 1. *Le style soutenu* – დახვეწილი სტილი; 2. *Le style familier* – ფამილარული სტილი; 3. *Le style naturel* – გარდამავალი სტილი. „დახვეწილ სტილში წარმოთქმა სიტყვებისა არის უფრო ზუსტი, ორთოგრაფიაც დაცულია, რასაც ვერ ვიტყვით ფამილარულ სტილზე. რაც შეეხება „გარდამავალ“ სტილს, ის იცვლება ასაკის, სოციალურ-კულტურული დონის, რეგიონების მიხედვით. დამატებით გამოიყოფა ე.წ. ნეიტრალური სტილი, რომლის ენობრივი საშუალებანი არ არის სტილური ხასიათისა და საერთოა ყველა სახის სტილისთვის“ (ნ. ბასილაია, გვ. 40).

რა თქმა უნდა სტილის სახეები ენობრივად განსხვავდებიან, მაგრამ მათ შორის არის საერთოც. ყველა სტილისთვის საერთოა ის ენობრივი შესაძლებლობანი, რომელნიც უზრუნველყოფენ აზრის სიზუსტეს, რის გარეშეც არც ერთი სტილი არ შეიძლება არსებობდეს. ასეთი ენობრივი საშუალებანია ე.წ. ნეიტრალური სტილის სიტყვები, თქმები და გრამატიკული ფორმები.

„ყოველდღიურ მეტყველებაშიც ცალკე პირთა სტილი ისევე განიხილება ერთმანეთისაგან, როგორც სიარული, ხმის ტემბრი და ხელნაწერი“ (არნ. ჩიქონავა, 1952, 317).

რას ნიშნავს სიტყვა ფამილარული და რატომ განსხვავდება ის სალიტერატურო ფრანგულისაგან? სიტყვა ფამილარულის – **Familier** – ფუძე მომდინარეობს არსებითი სახელი **Famille**-დან. აქედან გამომდინარე „le français familier“ - ნიშნავს ჩვეულებრივ, სალაპარაკო, ყოველდღიურ, საშინაო ფრანგულს. თუ რატომ იწვევს ფამილარული

ფრანგული ამხელა ინტერესსა და რატომ არიან ფრანკოფონები და ინტერესებულები მისი შესწავლით, ამაზე კლოდ ლუნეტონი ასეთ გვასუბობს: *Parce que ce n'est pas "correct"; Parce que c'est "vulgaire"; Parce que c'est "choquant"; Parce que ce n'est pas "beau"*.

მიუხედავად ამ შეფასებისა, ფამილარული ფრანგული არის ფრანგი ხალხის სულიდან ამოსული ენა, რომელიც შეიცავს რაღაც იდეალსა და მისტიკურს, ნაცნობსა და ამავედროულად უცნობ ფენომენს. მე-19 საუკუნეში ფრანგულ ენაში დამკვიდრდა ასობით ზმნა, რომელთა გამოყენებაც იმდენად ხშირი იყო, რომ დღეს ბევრმა არც კი იცის, რომ მათ ფამილარული წარმომავლობა აქვთ. მაგალითად:

Filer – გამგზავრება, თავის დაღწევა, თავის დაძვრენა. ხშირია მისი გამოყენება მსგავს კონსტრუქციებში: „*Bon, Salut, je file! Si je peux filer avant jeudi: je me trotte à bicyclette dans la direction marseille, n'est important que train chemises.*“ (*Yehan Ricturs, Lettres à Annie, 1911*).

Se tirer – წასვლა. ხშირად გამოყენებადი, ბანალური ზმნაა. „*Tu te tires déjà? – Oui c'est l'heure. Où est yosiane? – Elle vient de se tirer.*“ გამოიყენება 1908 წლიდან.

Se barrer – ნიშნავს წასვლას, წათრევას, აქვს აგრესიული დატვირთვა. *Quand est-ce qu'ils vont se barrer, ceux-là? Allez, barrez-vous les mees! vous m'emmerdez.* გამოიყენება თითქმის ყოველთვის, როცა საუბარია გარკვეულ ძალდატანებაზე. „*J'ai jeté un coup d'ail dehors, ils se sont barrés~, assure l'homme en se frottant les mains.*“ (*R. Merle, Le Déchiros, 1991*). წარმოიშვა 1836 წ. პირველად გამოიყენა გ. ესნომ 1866 წ. (G. Esnault) „*Je me barre guincher*“.

Se tailler – აღნიშნავს სასწრაფოდ, აუცილებლად, საიდუმლოდ გამგზავრებას: „*Le salaud, il s'est taillé!*“ მოიცავს ცბიერებას, ანგარების ნიუანსს, მოიცავს წუხილსა და გამგზავრებასთან დაკავშირებულ გარკვეულ შიშს. მაგალითად: *Écoutez, les gars, vaut mieux se tailler, ça devient malsouin icé!* წარმოიშვა 1920 წელს ნაცვალსახელოვანი ფორმით, 1898-1910 წლებში ვხვდებით სამხიარულო დატვირთვით: „*Tailler le collé! atelier, s'absenter du collège ou de l'atelier faire l'ébuissonnière*“ (*H. France*). სავარაუდოა, რომ აქ საქმე ეხება სიტყვათა ვარიაციას კოლე-

ჯელბის და დასაშვებია მუშების საუბარშიც – შეწყვეტის, “მოსაწყენი“ რაიმეს თავიდან აცილების“ მნიშვნელობით. ამ სიტყვამ ევოლუცია განიცადა, ისევე როგორც *"se casser"* და *"se barrer"*. დღევანდელი მნიშვნელობით მხოლოდ 1914-1918 წლების შემდეგ გამოიყენება.

Foutre le camp – გაქცევა, თავის დაღწევა, აქვს სიმკაცრის გამო-მხატველი ემოციური დატვირთვა. მაგალითად, ხშირად მიმართავენ ჭირვეულ ბავშვებს: *"Maintenant j'en ai assez, foutez le camp."* ან კიდევ, როცა სურთ თავი დააღწიონ უსიამოვნებას: *"Je m'ennuie, j'ai envie du foutre le camp."* წარმოიშვა მე-18 საუკუნის ბოლოს, 1787 წელს, ფიქსირდება *Restif de la Bretonne*: *"Fousmoy le camp"*.

Se casser – ნიშნავს სასწრაფოდ წასვლას. მაგალითად: *Bon, salut, j'me casse! (au revoir, je m'en vais). Cassez – vous, les mecs, voilà les poulets! (allez-vous-en, messieurs, voici la police).* წარმოიშვა როგორც არგოტიზმი 1910 წელს. ფამილიარულ ენაში გადავიდა პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წ.წ.) შემდეგ.

Dégager – აბარება, გამგზავრება. მაგალითად: *"Quand ils ont vu arriver les CRS, ils ont dégagé vite fait"*. გამოიყენება განსაკუთრებით ბრძანებით კილოში: *"Alléz, je t'ai assez ou, dégage!"* წარმოიშვა 1930 წ. წარმოადგენს პოლიციელთა ტრადიციული გამოთქმის „*dégagez*“-ს იმიტაციას.

Décaniller – რაიმე ადგილის მიტოვება. მაგალითად: *Quand les soirées chez les amis se prolongent on n'arrive plus à décaniller. (on a du mal à s'en aller)* ზოგჯერ იძენს ჩუმი წასვლის, გაპარვის მნიშვნელობას. მაგ: *"Oh, là là! Déjà 5 heures? Il est temps de dâcaniller"*. წარმოიშვა მე-18 საუკუნეში და ნიშნავდა პატარა, უსუფთაო ბინის მიტოვებას.

Calter – გაძურწვა, გაქცევა. *"Maintenant, caltez! Ye vais ai assez vus!~"* წარმოიშვა მე-19 საუკუნეში, მე-20 საუკუნის შუა რიცხვებში კი გადავიდა არგოტულ ლექსიკაში.

Se débîner – ჩუმი გაპარვა. წარმოიშვა მე-19 საუკუნეში. *"Chaque fois que je peux, je me débîne avant l'heure de la sortie."* მეტაფორულად ნიშნავს სიტყვის გატეხვას: *"François avait promis de nous aider à déménager, et voilà qu'il se débîne!"*.

Se faire la malle – ადგილის გაუფრთხილებლად მიტოვება, საბოლოოდ გამგზავრება. მაგ.: *On téléphone chez lui, ça zépond jamais. He crois qu'il a fait la malle.* გამოიყენება აგრეთვე ცოლ-ქმრის გაყრისას: *Jean-Louis s'est fait la malle, sa femme passe son temps au téléphone.*

Jouer la fille de l'air – შეუმჩნეველად წასვლა, თავის დაძვრენა ისე, რომ სხვამ არ იცოდეს, არ შენიშნოს. მაგ: *„Où est ta copine? – Elle a joué la fille de l'air“*. წარმოიშვა მე-19 საუკუნეში. მხატვრულ ლიტერატურაში გვხვდება 1836 წ. *"Les Filles de l'air"*. მსგავსი სათაური ჰქვია ფრანსმა გამოიყენა 1907 წელს.

Se trorrer – საჩქაროდ წასვლა. წარმოიშვა მე-19 საუკუნის ბოლოს. ეს სიტყვა ძალზე ხშირად გამოიყენებოდა 1920-იან წლებში. დღესდღეობით მიიჩნევენ მოძველებულ ფორმად. მაგ: *"Si je peux filer avant jeudi: je me trotte à bicuclette dans la direction marseille, n'emportant que trois chemises"*. (*Yehan Rictus, Lettres à Annie, 1911*).

ყოველივე ზემოთქმულიდან, ნათლად ჩანს თუ რაოდენ მდიდარი და მრავალფეროვანია ფრანგული სტილი, აქედან გამომდინარე, ახალგაზრდა სოციალური ჯგუფის მეტყველებაც თავისებური და საინტერესოა. მეტყველების ეს მრავალფეროვნება კი ასახულია მხატვრულ ლიტერატურაშიც. ფრანკოფონი მწერლის რაშიდ ჯაიდანის რომანი “ბუმკეი“ (*"Boumkoeur"*) წარმოადგენს ფრანგული სტილების შერწყმის საინტერესო ნიმუშს. ყოველივე ეს კი მწერლის ენას ხდის მიმზიდველსა და მრავალფეროვანს. მასთან შეიძლება შევხვდეთ სტანდარტული ფრანგული ლექსიკის გვერდით მაღალი ტექნოლოგიების აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებს. მაგალითად:

"Il a un son d' agonie, c'est l'extra-plat sony, fracturé au plus profond de ses options technologiques". („მას აქვს აგონიის მომაგონებელი ხმა, ეს არის სონის ექსტრასიდიოიერისა და ტექნოლოგიური ოპციების მსხვრევა“) (გვ. 69).

ავტორი იყენებს აგრეთვე სამედიცინო ტერმინოლოგიის აღმნიშვნელ ლექსიკას:

„Le mal de crâne se dissipe, à dire vrai je ne ressens plus d'électrochoc, je prélière réviser qui je suis avant de crier victoire“ („თავის ქალის ტკივილი იფანტება, მართალი ვითხრათ მე უკვე ველარ ვგრძნობ

ელექტრომოკს, მე მირჩევნია გავიხსენო ვინ ვარ, სანამ ვიზიმივ გა-
მარჯვებას“) (გვ. 78).

„Si jamais ça devait être le cas, cela voudrait dire le virus commence à
me gangrener la cervelle“. („თუ ეს იყო ზუსტად ის შემთხვევა, მაშინ
უნდა ითქვას, რომ ვირუსი იწყება ჩემი ტვინის ლაბობით“) (გვ. 79).

მსგავსი ფრაზები ერთვის სალაპარაკო სტილის მკვეთრად გამო-
ხატულ მაგალითებს:

„J'aime bien les gens sincères qui défendent les causes sociales, j'aime
pas SOS Racisme“. („მე ძალიან მიყვარს გულწრფელი ადამიანები, რომ-
ლებიც იცავენ სოციალურ უფლებებს, მე არ მიყვარს SOS რასიზმის ორ-
განიზაცია“) (გვ. 99).

რაშიდ ჯაიდანის სამწერლობო ენისთვის დამახასიათებელია აგ-
რეთვე ფამილიარული სტილისა და პოეტური გამოთქმების შერწყმა,
რაც მეცნიერებში ცოტა არ იყოს გაკვირვებას იწვევს:

„Mon âge est de vingt et un hivers, je porte un pull bleu, sur mon poig-
net droit une gourmette en argent avec le prénom d'Hamel, mon défunt petit
frangin, j'habite au 12^e étage d'une des tours de la cité; je suis au chômage“.

„მე ოცდაერთი წლისა ვარ, (მე გადავიტანე ოცდაერთი ზამთარი)
მე ვატარებ ცისფერ პულოვერს, მარჯვენა მაჯაზე მიკეთია ჩემი
გარდაცვლილი ძმის, ჰამელის სახელის ვერცხლის სამაჯური. მე
ვცხოვრობ ქალაქის ერთ-ერთ კოშკში მეთორმეტე სართულზე, ვარ
უმუშევარი“ (გვ. 56).

ამრიგად, როგორც უკვე ვნახეთ, სტილი თანამედროვე ლიტერა-
ტურაში გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და ეკლექტიზმით. აქ
გვხვდება ფაქტიურად ყველა სტილის სახე: ფამილიარული იქნება ეს,
დახვეწილი თუ გარდამავალი. სტილის სიმდიდრე და მრავალფეროვნე-
ბა უფლებას გვაძლევს გავაშუქოთ სოციალური და ფსიქოლოგიური
პრობლემები, რომლებიც აღწერილია ავტორის მიერ თანამედროვე
რომანში.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდული მეტყველების სტილი ძალზე
თავისუფალი და სპეციფიკურია. იგი უნივერსალურია ისე, რომ
იდენტური არაა საზოგადოების სხვადასხვა წრისათვის. ენა იცვლება

უფრო მეტად სოციალური ზეწოლით, ვიდრე შიდა ლინგვისტურ-
ტრანსფორმაციული ხერხებით. სწორედ სოციალური ზეწოლით სა-
ხეცვლილ ენას წარმოადგენს ახალგაზრდული სამეტყველო სტილი.
მისი სტილური თავისებურებაა აზრებისა და გრძობების გამოხატვა
უბრალოდ, მარტივად, კონკრეტულად. აღნიშნულ სტილს ახასიათებს
სუბიექტურობის ნიშნები, განისაზღვრება მოსაუბრისა და თანამოსა-
უბრის ცოდნით, ინტერესით, მიზნით.

კლოდ აჟეჟი ასეთ დეფინიციას აძლევს გარეუბნის ენას: „ესაა
ამბოხის, ხშირად ღრმა სოციალური განხეთქილების ლინგვისტური
გამოვლინება. ეს ფრანგული საკმაოდ შესამჩნევია დღეს, მდარე არქი-
ტექტურით დასახლებულ უბნებში, იქ, სადაც ახალგაზრდები ერთად
ცხოვრობენ და თავიანთ უმუშევრობასა თუ გასაჭირზე თავიანთ ენა-
ზე მეტყველებენ. ეს ის მეტყველებაა, რომელსაც ორი ათწლეულის
განმავლობაში იყენებენ განსხვავებული ეთნიკური ჯგუფები, ამ მე-
ტყველების ფუნქცია, პირველ რიგში, თვითმყოფადობის დადასტურე-
ბაა“. ამ ფუნქციის მნიშვნელობა აძლიერებს მის საბოლოო დანიშნუ-
ლებას, რაც მის გასართობ და საიდუმლო ხასიათში ვლინდება. იგი
ძალზე პოპულარულია ლიცეუმის მოსწავლეებსა და სტუდენტებს
შორიც, რომლებიც ამ გარეუბნებში არ ცხოვრობენ, მაგრამ უყვართ
ამ ენის გამოყენება. რობერ მერლი თავის რომანში «მინის უკან»
ასახავს მათი ცხოვრების წესს და ხაზს უსმევს მათ მეტყველებაში ძა-
ლადობის გამომხატველი სიტყვების გამოყენება. რა თქმა უნდა, ეს
ძალადობა შემთხვევითი არ არის და აქვს ამისი მიზეზიც. იმ ახალ-
გაზრდებს, რომლებიც ცხოვრობენ ამ გარეუბნებში, არ შეუძლიათ
თავი არ იგრძნონ გარიყულად საერთო ენის მიმართ. ეს ენა, ფრან-
გული. მათ ახსენებს აკადემიურ ენას, ანუ ხელისუფლების ენას, იმ
ხელისუფლებისა, რომელმაც ისინი გარიყა, არ ცნო.

გარიყულობის გრძობა ლინგვისტური განხეთქილების საფუძვე-
ლია. ახალგაზრდებს ისღა დარჩენიათ, რომ გამოიყენონ ფრანგული
ენა და დაამახინჯონ მისი სიტყვები. აქ კი ენის დაშლა ხდება გამო-
თქმებში პარაზიტული ფორმების სესხებით სხვადასხვა დიალექტიდან
თუ უცხო ენიდან. ყველაფერი ეს მათ ეხმარება, რომ შეეგუონ საერ-

თო ფრანგულ ენას. ენას, რომელიც მათ გარდაქმნეს, დაამუშავეს თავისებურად იმისათვის, რომ უკეთ შესძლონ მისი ფლობა.

გარეუბნის ახალგაზრდათა ენას, საიდუმლოების ფუნქციის გარდა, ახასიათებს გასართობი ფუნქციაც, რადგან საქმე ეხება ახალგაზრდებს. ეს ენა თვითონ ხდება თამაშის ობიექტი მათთვის, ვინც ამ ენას იყენებს, მასზე ლაპარაკობს. გარეუბნის ენა ეს თავისებური ენაა, თავისებური სიმღერაა, თავისებური კულტურაა, თავისებური რიტმია, რომელიც აისახება არა მარტო სიმღერასა და პოეზიაში, არამედ პროზაშიც. პროზაში ეს რიტმი შედარებულია რეპული გართმვის სახით, რაც დამახასიათებელია თანამედროვე ახალგაზრდათა სოციალური ჯგუფის მეტყველებისათვის. მან დასაბამი აიღო ქუჩის სიმღერებიდან, რეპი გახლავთ სიმღერის სკანდირების უხეში ფორმა, რომელშიც თავი იჩინა დიდი რაოდენობით ამერიკანიზმების მოზღვავებამ, რომელიც შერეული იყო ეთნიკური უმრავლესობის ლექსიკასთან, ვერლანთან, სპონტანურ წარმონაქმნებთან.

რეპული სტილი აისახა თანამედროვე ფრანკოფონ მწერალთა ნაწარმოებებში, კერძოდ კი, რაშიდ ჯაიდანის რომანი „ბუმკერი“ მთლიანად ამ სტილით არის დაწერილი. რომანი იწყება საფრანგეთში სუპერპოპულარული რეპული დაჯგუფების „Supreme HTM“-ის ერთ-ერთი წევრის ინტერვიუთი, რომელიც უკმაყოფილებას გამოხატავს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე:

„სად არიან ჩვენი ორიენტირები, ჩვენი იდეალები, მთელ ახალგაზრდობას თქვენ დაჭერით ფრთები, დაუმსხვრიეთ ოცნებები, წაართვით იმედები... მაგრამ დღეს, ეს ახალგაზრდობა ქმნის საკუთარ ორიენტირებს, საკუთარ კულტურას, თავდაპირველი დანაკარგის ამოვსება კი შეუძლებელი იქნება“ (გვ. 3).

როგორც ცნობილია, პროზა წარმოიქმნა პოეზიისაგან, პირველი რომანები, როგორც ვიცით, იწერებოდა ლექსად. თუ გავავლებთ პარალელს თანამედროვე პოეზიასა და პროზას შორის, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ჯაიდანის პროზა არის ერთგვარი გაგრძელება – რეპის სახით.

რეპი გამოვიდა თავისი ჩარჩოებიდან, გადააბიჯა პოეტური ტექ-

სტის საზღვრებს და მკვიდრდება ლიტერატურულ გარემოში — პროზაში. საინტერესოა ამ სიტყვის ეტიმოლოგიის გაგება მისი უკეთ შეცნობისათვის. 2001 წლის „ლარუსის“ ენციკლოპედიურ გამოცემაში რეპი ახსნილია, როგორც:

rap [rap] n.m. (mot angl. «tape») Style de musique soutenant un chant aux paroles, improvisées ou non, scandées sur un rythme très martelé.

2002 წლის „პატარა ლარუსში“ კი შემდეგნაირ განმარტებას ვნახულობთ:

rap – (mot anglo - américain, bavarder), style de musique, apparu dans les ghettos noirs américains dans les années 1970, fondé sur la recitation chantée de texts souvenir révoltés et radicaux, scandés sur un rythme répétitive et sur une trame musicale composite.

რეპული გართმვა გამოიყენება როგორც პოეზიაში, ასევე პროზაშიც. ის ყველგან იყენებს ჟარგონულ სიტყვებსა და მდაბიურ გამოთქმებს, ვერლანსა და ფრანგულს. ეს გასაგებიცაა, რადგან რეპი ახალგაზრდობის სოციალური ჯგუფის ენაა და მათი აზრების ლაკონიურად გამოხატვის საშუალება.

ასეთი სახის გართმვაში მაქსიმალურად გამოყენებულია არგოტული სიტყვები მისთვის დამახასიათებელი სუფიქსების დართვით: – asse, oche, os, ard. – მაგალითად:

„Sit u m’dis qu’elle est moche,

tu lui manques de respect,

Je t’allonge une avoine

ça s’ra du cinoche“: (გვ. 33)

ზემოთ მოყვანილი მაგალითი იმას მოწმობს, რომ ეს ხერხი განსაკუთრებით სიცოცხლისუნარია რეპული გართმვის დროს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რეპულ პროზაში მწერლები გამოხსნულად ირჩევენ ხმოვნებსა და თანხმოვნებს, რათა უფრო კეთილხმოვნად და სასიამოვნოდ გადმოსცენ ამბავი. „ამ დროს ხმოვანთა არჩევანი შეესაბამება გამომხატულ აზრს, რაც მკითხველზე ახდენს გარკვეულ ეფექტს, რომელსაც სუგესტიური (სუგესტიფ) ჰარმონია ჰქვია“ (Ch Chanice. p.73). ამის დასტურია შემდეგი მაგალითი, რომელშიც ხმოვანი [i] შეესაბამება პერსონაჟის მელანქოლიასა და

იმედგაცრუებას:

„*Grézi qui a commis bêtise à la sortie d'une école*“: (გვ. 79).

ფონეტიკის მორის გრამონს ეკუთვნის ასო-ბგერათა მნიშვნელობების კლასიფიკაცია, რომელშიც ის განმარტავს თითოეული ხმოვნისა თუ თანხმოვნის მნიშვნელობას. ასონანსი, რომელიც ნიშნავს იმავე ხმოვნის განმეორებას, ხშირია თანამედროვე პროზაში. მაგალითად [a] ხმოვნის განმეორება ტოვებს შთაბეჭდილებას **de bruit éclatan**: მაგალითად:

„*J'aime pas le rap de variétés ; oui je parle de bouger de là*“ (გვ. 68).

ხშირია ასევე ალიტერაციის მაგალითებიც, რომელსაც ერთი და იმავე თანხმოვნის განმეორება იწვევს. მაგალითად:

„*D'après Gréze, aux infos, c'est notre aventure qui fait l'ouverture*“ (გვ. 69).

ზემოთ დასახელებულ მაგალითებში, ალიტერაცია და ასონანსი ქმნის განმეორებად რიტმს, რომლითაც ავტორი ხაზს უსვამს მთავარი გმირის აუტანელ ყოფას. განმეორება ქმნის გმირის შებოჭილობის ეფექტს:

„*Ma garde immunitaire ne laissera pas ce passion m'imposer le mutisme*“ (გვ. 78).

დღეს ითვლება, რომ ხმოვანთა და თანხმოვანთა ეს დახასიათებები კონტექსტის მიღმა თავისუფალი და შემოქმედებითია. ხმოვანთა გარითმულობა სასიამოვნო გავლენას ახდენს მსმენელზე, რადგან ქმნის გარკვეულ რითმსა და მელოდიურობას.

რაც შეეხება კაკოფონიას, ის ქმნის არასასიამოვნო ეფექტს მსმენელზე და მთქმელზეც, რადგან აპირისპირებს ხმოვნებსა და თანხმოვნებს. ეს მოვლენა ძალზე გავრცელებულია ყოველდღიურ მეტყველებაში. მაგალითად:

„*J'étais très étonnée en entendant parler~... ან კიდევ „Si c'était cet été...“*“

სასურველი იქნებოდა კაკოფონიისაგან მაქსიმალურად თავის არიდება სალიტერატურო ენაში, რადგან მისი გამიზნულად გამოყენება იწვევს არასასურველ და ირონიულ გამოხატულებას. მაგალითად, ერთ-ერთი ცნობილი ლინგვისტი სტაპერი (Stapper) ირონიუ-

ლად უსვამს ხაზს (*participe présent*)-ის გამოყენების შედეგად მიღებულ კაკოფონიას, მაგალითად:

„*Le souffle d'un brim de bruit vient bourdonner à mes oreilles*“:

კაკოფონიის ეფექტი შეიძლება შექმნას ონომატოპემაც. მაგალითად:

„*Ron-piche ron-piche ron-piche c'est le refrain du dodo*“ (გვ. 68).

ამრიგად, ჩვენ მოწმენი გავხდით, თუ როგორ აისახა სიმღერის სკანდირების უხეში ფორმა ლიტერატურაში. რაშიდ ჯაიდანის შემოქმედება მდიდარი და მრავალფეროვანია ფონეტიკური თავისებურებებით. ეს არის პარიზის გარეუბნის ახალგაზრდების მეტყველების ახალი სტილი, რომლის მეშვეობით ისინი უფრო მეტი სიძლიერით გამოხატავენ საკუთარ შეხედულებებსა და იმედებს, ხაზს უსვამენ თავიანთ გარიყულობასა და გაუცხოებას გარე სამყაროს მიმართ. რაც შეეხება რეპისთვის დამახასიათებელ ლექსიკას, ის იგივეა, რაც ახალგაზრდული მეტყველებისთვის დამახასიათებელი, რადგან სწორედ ის არის ახალგაზრდების სოციალური ჯგუფის ენა.

ლიტერატურა

დიუპრიე, 1984 — Dupriez B. *les procédés littéraires*. U.G.E., 1984.

კრესო, ჯეიმსი 2001 — Cressot M., James L. *Le style et ses techniques*, 2001.

მარუზო, 1997 — Marouzeau J. *Introduction au Traité de stylistique latine*, 1997.

მუნენი, 1971 — Mounin G. *Clefs pour la Linguistique*, Seghers, 1971.

პრიენი, 2006 — Prigent M. *Histoire de la France littéraire*, [Presses Universitaires, Paris](#), 2006.

ტრიბოდე, 1981 — Thibaudet A. *Histoire de la littérature française*: 1981.

ჩიქობავა, 1052 — არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952.

ჯაიდანი, 1999 — Djaïdani R. *Boumkoeur*, Ed. Seuil, Paris, 1999.

Informal Style and Rap in Francophonic Literature

Summary

მარინე სიორიძე

The paper argues that rap rhythms are encountered in modern French fiction and poetry. The rap style which is characterized by the use of vulgarisms, *franglais* and *verlan* is evidenced in Francophonic literature. The paper discusses Rachid Djaidani's novel *Boumkoeur* which depicts the life of young people in a suburb of Paris and is written in a rap style. The rap serves as a symbol of alienation as well as the sign of identity of the main characters. The rap presented in R.Djaidani's novel is lexically and phonetically versatile.

დრო, სივრცე და სიუჟეტური ძარბა ალენ რობ-ბრიეს რომანში „საზღვრები“

ფრანგული „ახალი რომანის“ წარმომადგენელთა შორის ალენ რობ-ბრიეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი თეორიული კრედი და წერის მანერა იმდენად განსხვავდება ამ მიმართულების სხვა მწერალთა თეორიებისა და რომანებისაგან, რომ ცალკე მსჯელობის საგანს წარმოადგენს. „რომანი არასოდეს ყოფილა თავის თავის ასე რადიკალურად წინააღმდეგი, როგორც რობ-ბრიეს რომანია, იგი ახალ რომანისტებს შორის ერთადერთია, რომელმაც სრულიად ახალი რამ შემოიტანა ლიტერატურაში. ბიუტორისა და სიმონის რომანები მთლიანად არ სცილდებიან წარსულის ლიტერატურას. მათ რომანებში დროის მსვლელობა, ხანგრძლივობაა მოცემული და ისინი მითებსა და ღირებულებებს შეიცავენ. საროტი ასე თუ ისე უახლოვდება რობ-ბრიეს იმით, რომ ადამიანსა და საგნებს ერთ სიბრტყეზე ათავსებს, მაგრამ მაინც წარსულს უკავშირდება, რადგან საგანს ადამიანის ფსიქოლოგიის გამოსავლინებლად იყენებს (O. Bernal – Alain Robbe-Grillet: le roman de l'absence).

რობ-ბრიეს ნაწარმოებების პირველად წაკითხვამ მკითხველი შეიძლება დააბნოს, რადგან იგი ვერ ნახავს მათში ტრადიციული რომანისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. დაინტერესებული მკითხველი ავტორის თეორიულ ნაწერებს მიმართავს, მაგრამ არც ისინი ჰფენენ ნათელს ბოლომდე მის რომანებს. რობ-ბრიეს რომანების გარჩევისას აზრთა უკიდურეს სხვადასხვაობაა მოცემული. საქმე ისაა, რომ კრიტიკოსების ერთი ნაწილი მის რომანებს ისე არჩევს, რომ მწერლის თეორიულ გამონათქვამებს არ აქცევს ყურადღებას, მეორენი კი მხოლოდ მის თეორიებს ეყრდნობიან. მწერალმა თეორიული სტატიების

წერა იმ მიზნით დაიწყო, რომ თავი დაეცვა მოზღვავებული კრიტიკისა და გაუთავებელი თავდასხმებისაგან, აგრეთვე დახმარებოდა დაბნეულ მკითხველებსა და კრიტიკოსებს თავისი ნაწერების გაგებაში. ეს აუცილებელი იყო, რადგან ის მცირეოდენი ქებაც, რომელიც აქაიქ გამოიჩნდა, სწორ საფუძველს არ ეყრდნობოდა: მის რომანებში აქებდნენ არა იმას, რაც ახალი იყო, არამედ ძველი, კლასიკური რომანისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, იმას, რაც თვით ავტორს საკუთარი შემოქმედების ნაკლად მიაჩნდა.

მწერლის პირველი რომანი „საშუალებები“ კრიტიკოსებმა სხვადასხვანაირად ახსნეს. ზოგმა ის კლასიკურ ტრადიციად მიიჩნია, ზოგმა კი დეტექტიური ტიპის რომანად, ზოგმა იგი „მოზისმის“ მანიფესტად გამოაცხადა, ზოგმა კი კინემატოგრაფიულ ანტირომანად, ზოგი თვლის, რომ მასში აღდგენილია ძველი მითი, ზოგი კი პირიქით, ფიქრობს, რომ ეს რომანი არის ცდა ლიტერატურაში მითის მოსპობისა.

რომანი ეხება კონკრეტულ, ზუსტ მოვლენას: მკვლელობას და მკვლელის ძიებას. რომანში არის მსხვერპლი, მკვლელი და დეტექტივი. თითოეულს თავისი როლი აქვს განკუთვნილი. მკვლელი ესვრის მსხვერპლს, მსხვერპლი კვდება (?) დეტექტივი ეძებს მკვლელს. ქარგის მხრივ თითქოს უბრალო პოლიციურ რომანთან უნდა გვქონდეს საქმე. მაგრამ როცა უკანასკნელ თავს ჩავიკითხავთ, აშკარა ხდება, რომ საქმე არც ისე მარტივადაა: ურთიერთობა, რომელიც აკავშირებს მკვლელობას, მის ძიებას, მკვლელს, მოკლულს და სხვა ადამიანებს, საკმაოდ რთული და დახლართულია. „რომანში აღწერილია ზუსტად 24 საათი, რომელიც გავიდა ტყვიის გასროლიდან მსხვერპლის სიკვდილამდე. 24 საათი — დრო, რომელიც დასჭირდა ტყვიას, რათა სამი-ოთხი მეტრი გაეგლო — 24 საათით მეტი (ენ ტროპ)“. ასე მიგვანიშნებს თვით ავტორი — საქმე ეხება რაღაც ზედმეტ დროს. ამ ზედმეტ დროში, ამ დროულ ჰიპერტროფიაში ხდება სწორედ დრამა.

პროლოგი იწყება დილის 6 საათზე, ეპილოგი მთავრდება 6 საათზე. მეორე დილას თითქმის იდენტური სცენით. მაგრამ თვით

„კვანძი“ იწყება რვის ნახევარზე წინა საღამოს, როცა მოხდა გასროლა და მთავრდება იმ მომენტში, როცა ხდება მეორე გასროლა მეორე დღეს აგრეთვე რვის ნახევარზე იმავე პირობებში. ღამით ქალაქში ჩამოდის სპეციალური აგენტი, დეტექტივი ვალასი, რათა გაარკვიოს იმ საღამოს მომხდარი მკვლელობის ამბავი. იმავე დღეს, საღამოს რვის ნახევარზე, პროფესორ დიუბონს ესროლეს და მოკლეს (?). მთელი დღის განმავლობაში ვალასი მკვლელობის საქმეს იძიებს. ვალასის გარდა ძიებას აწარმოებს კომისარი ლორანი, მკვლელობაზე ფიქრობს აგრეთვე დაქირავებული, მკვლელის უფროსი გარინატი. ნელ-ნელა ირკვევა, რომ დიუბონი კი არ მოუკლავთ, არამედ მსუბუქად დაჭრეს, მაგრამ დიუბონს ეშინია, რაკი ერთხელ ააცდინეს, გაურკვეველი ტერორისტული ორგანიზაცია მეორეჯერ ხელიდან არ გაუშვებს და კლინიკაში იმალება. გაზეთები კი ყალბ ცნობას იძლევიან მისი სიკვდილის შესახებ. პროფესორს გადაწყვეტილი აქვს გაიქცეს ქალაქიდან, მაგრამ მას საჭირო ქალღმერთები აქვს თავის კაბინეტში. 24 საათის შემდეგ ჩუმად ბრუნდება თავის ვილაში ქალღმერთების წასადებად. ვალასი კი ვილაშია ჩასაფრებული, მას გაგებული აქვს, რომ მკვლელი დანაშაულის ადგილას ბრუნდება ხოლმე... ვალასი კლავს პროფესორ დიუბონს, ზუსტად რვის ნახევარზე, მაგრამ მეორე დღეს.

ამ ქარგას უამრავი პატარ-პატარა ეპიზოდი ახლავს, ყველა მათგანის აქ მოტანა შეუძლებელია, მაგრამ ზოგი რამ მაინც უნდა აღინიშნოს, რადგან ინტერპრეტაციის დროს ყველაფერს თავისი მნიშვნელობა აღმოაჩნდება.

ნაწარმოებში ხშირად ჩნდება ლოთი, რომელიც სულ ვალასს დასდევს და მოსვენებას არ აძლევს. ქალაქში უსასრულო ხეტილისას ვალასი დაუღალავად და დაჟინებით ეძებს განსაკუთრებული ფირმის საშლელს, ფირმის სახელის ორი შუა ასო ახსოვს, ხოლო წინა და უკანა ორი დავიწყებული აქვს. საშლელის ძებნაში იგი რამდენჯერმე ხვდება ერთი და იმავე გამყიდველ ქალს. მკვლელობის ამბის გარკვევის მიზნით ვალასი ბევრს დადის უკაცურ და საეჭვო გარემოში, ქუჩებსა და მოედნებზე, რომლებიც ერთმანეთს ჰკვანან. ბევრი უმნიშვნელო, მაგრამ უცნაური რამ გადახდება თავს. მაგალითად, როცა ვა-

ლასი ესაუბრება კომისარს მკვლელობაზე და ლაპარაკია, რა რევოლუციით მოკლეს დიუბონი, აღმოჩნდება, რომ ვალასაც იმავე მარკის რევოლუციური აქტს ჯიბეში და რატომღაც ერთი ტყვია აკლია (?).

რას ნიშნავს ყოველივე ეს? ცნობილი ფრანგი კრიტიკოსი პენგო თვლის, რომ ამ რომანის ანალიზი ადვილი არ არის და არც იძლევა კონკრეტულ ახსნას. როლან ბარტი უკუაგდება ყოველგვარ „არგუმენტირებულ ანალიზს“ და ყოფს რომანს ორ ნაწილად: ერთი არის კვანძი (რომელიც მას სრულებით არ აინტერესებს), მეორე კი — საგნები (ბარტის აზრით რომანის მთავარი მამოძრავებელი ძალა). ეს საგნები „ანტიკლასიკურია“, რადგანაც მათ მნიშვნელობა მოცილებული აქვთ, მათ მხოლოდ თვალი ხედავს. საგნებს არც ფუნქცია აქვთ და არც სუბსტანცია, ბარტსაც სწორედ ეს მოსწონს: „რობ-გრიემ სამყაროს მხოლოდ თვალების ძალით შეხედაო“. ამ რომანმა ნათლად გვიჩვენა, რომ „არაფერი იმაზე ძნელი — არ არის, რომ ზუსტად ვიცოდეთ, რას ვხედავთ“ (Merleau-Ponty — „Phenomenologie de la perception“).

ზოგი კრიტიკოსის აზრით, რომანში იგრძნობა ბერძნული ტრაგედიის გავლენა. საინტერესო ფაქტია, რომ უცხოელ კრიტიკოსთა უმრავლესობა ბერძნული ვერსიისაკენ იხრება, ფრანგები კი ძირითადად ანტიბერძნულ ახსნებს იძლევიან (როგორც ჩანს, მწერლის თეორიებს უწევენ ანგარიშს).

რომანში დიდი ადგილი უჭირავს დროს. ავტორი უარყოფს ჩვეულებრივი, სწორხაზობრივი დროის ჩვენებას — დროის თანმიმდებარულ დინებას და ცვლის მას ე.წ. ადამიანური დროით, რომელსაც ადამიანი თვითონ ქმნის აწმყოსა და წარსულის ერთმანეთში შერევით. ერთი და იმავე მოვლენას სხვადასხვა ასპექტი აქვს, რადგან იგი სხვადასხვა ადამიანის მიერ არის დანახული, ე.ი. დრო და სივრცე პირობითია და იცვლებიან დამკვირვებლისა და ადგილის მიხედვით. ამას რომანი თავიდანვე გვაუწყებს: „ჩქარა, საუბედუროდ, დრო აღარ იქნება ბატონი. ეჭვებითა და შეცდომებით შემოსაზღვრული მოვლენები ამ დღისა, რაგინდ მინიმალურნიც არ უნდა იყვნენ ისინი, რამდენიმე წამში თავიანთ საქმეს შეუდგებიან, იდეალური განრიგის შექ-

მნას დაიწყებენ, შეუმჩნევლად შემოიტანენ აქა-იქ ინვერსიას, გადაადგილებას, არეგ-დარეგას, გამრუდებას, რათა ნელ-ნელა დაამთავრონ თავნთ ქმნილება — ერთი დღე, ზამთრის დამდევს, უგეგმო, უმიზნო, მიმართულების გარეშე, გაუგებარი და შესაზარი“.

მკვლელობის გარშემო რამდენიმე ადამიანი ფიქრობს: ვალასი, კომისარი და გარინატი. მათი ფიქრები, ცნობიერების ნაკადი, შინაგანი მონოლოგები შერეულია რეალობის ზუსტ აღწერებში. წარმოდგენითი სურათები გადახლართულია რეალობასთან. მაგრამ არაფერი მიგვითითებს, სად თავდება რეალობა და სად იწყება წარმოდგენითი ამბები (ისევე, როგორც ფილმში „შარშან მარინდბადში“).

რომანში არის ორი ციკლი 24 საათისა, რომელთაგანაც, როგორც ავტორი გვაფრთხილებს, ერთ-ერთი ზედმეტია. ამ ორნაირ დროში ერთი აუცილებელია, ხოლო მეორე — ზედმეტი. აუცილებელი, ანუ ნეიტრალური არის ის დრო, რომელიც დასჭირდა ტყვიას, რომ სამი-ოთხი მეტრი გაველო, მაგრამ ტყვიას, რომელმაც მოკლა დიუბონი, 24 საათი დასჭირდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ გასროლის „უესტის წმინდა ფაქტობრიობას დაემატა ადამიანური გამონაგონი, ფსიქოლოგიური ელემენტები“ და სხვა. ამ ზედმეტ დროში მომხდარმა მოქმედებამ ჩაითრია ნეიტრალური დრო. ორი ციკლი, ორი წრე 24 საათისა ერთმანეთს თანხვედება ნაწილობრივ დროში, კლასიკური დროის ერთიანობა ირღვევა და ინდივიდუალური დრო იკავებს ძირითად ადგილს. ამიტომ 24 საათი ძირითადი მოქმედებისა რჩება „გარეთ“, „ზედმეტი“. ამას ამტკიცებს ვალასის საათი, რომელიც თურმე გაჩერებულია. ქალაქში ჩასვლისთანავე მან შეამჩნია, რომ მისი საათი გაჩერებული იყო რვის ნახევარზე და ამუშავდა მეორე დღეს რვის ნახევარზე, როცა ვალასმა დიუბონი მოკლა.

შესაძლებელია მკითხველმა ვერაფერი გაიგო, მაგრამ რომანშიც კონკრეტულად არაფერი ირკვევა, გარდა იმისა, რომ დეტექტივმა, რომელიც წინა დღეს ჩამოვიდა მკვლელობის ამბის გასარკვევად, მეორე დღეს თვითონ მოკლა იგივე მსხვერპლი.

მართალია, რობ-გრიემ უარყოფს სიმბოლიზაციას, მინიშნებას, მაგრამ ამასთან მკითხველს მისი რომანების ინტერპრეტაციის სრულ

თავისუფლებას აძლევს. ამით ვსარგებლობთ ჩვენც. „საშუალებები“ იწვევს მთელ რიგ ასოციაციებს, მისი კომპოზიცია, მიმდინარეობა, ადგილები, ეპიზოდები, გვაფიქრებინებენ, რომ რომანი შესაძლებელია ოიდიპოსის ტრაგედიის თანამედროვე ვერსია იყოს (ამერიკელი ფილოლოგი ბ. მორისეტი თვლის, რომ „საშუალებები“ არის „კლასიკური ლეგენდა მითითური და არქეტუპური მოტივებით“).

რომანის დასაწყისშივე ავტორი გვაფრთხილებს, ძირითადი არ გამოგრჩეთო: „სამი ყვითელი აფიშა უშველებელი წარწერით: ყურადღება, მოქალაქენო, ყურადღება, მოქალაქენო, ყურადღება, მოქალაქენო! ამგვარ რაიმეს ხომ არავინ კითხულობს ხოლმე, გარდა მოხუცი მამაკაცისა, რომელიც სათვალეს გაისწორებს და გულმოდგინედ იწყებს მთელი ტექსტის შესწავლას. შემდეგ გზას აგრძელებს, მაგრამ დარწმუნებული არ არის, იქნებ გამორჩა რაიმე, ძირითადი აზრი... ჩვეულებრივ სიტყვებს შორის... ხანდახან ერთი ფრაზა ისე განათდება თითქოს რაღაც დამალულს შეიცავს, შეიძლება კი არც არაფერი იყოს დამალული“.

ქალაქში სიარულისას ვალასს რატომღაც დამნაშავეს იერი აქვს, ეშინია, ვინმემ საეჭვოდ არ მიიჩინოს, შემდეგ ის ნელ-ნელა ცნობს ქალაქს. აგონდება ბუნდოვნად, რომ რვა წლისა დედამ ჩამოიყვანა ამ ქალაქში, მამა რომ ეპოვათ. ვალასი იხსენებს ბავშვობის სევდიან ეპიზოდებს. თითქოს უმნიშვნელო ნიუანსების წყალობით მკითხველს ეჭვი ებადება: დიუპონი ვალასის მამა ხომ არ უნდა იყოს? იქნებ ვალასი ოიდიპოსავით კლავს საკუთარ მამას ისე, რომ ვერ ხვდება რა ჩაიდინა. ამას მხოლოდ მკითხველი ხვდება და ისიც დარწმუნებული არ არის: „ბერძნულ ტრაგედიაში მაყურებელი იგებს სიმართლეს, მაგრამ არა პერსონაჟები. ისინი მხოლოდ გარდაუვალს სჩადიან“.

მოგვაქვს ყველაზე მნიშვნელოვანი მსგავსებები ძველ მითთან: ეპიგრაფად გამოყენებულია სოფოკლეს გადაკეთებული გამონათქვამი: „დრომ, რომელიც ყველაფერს უთვალთვალეს, უშენოდაც იბოვა გამოსავალი“. ბერძნული ტრაგედიისა და კლასიკური ფრანგული ტრაგედიების მსგავსად, რომანს აქვს პროლოგი, ეპილოგი, ხუთი ნაწილი (მოქმედება). ადამიანი ავადმყოფური დაჟინებით ცდილობს,

რადაც არ უნდა დაუჯდეს, აღმოაჩინოს მკვლელი, ასე იქცევა ოიდიპოსი, ასევე იქცევა ვალასი.

ძველ ტრაგედიაში პირველად სწორედ ლოთი უღვიძებს ოიდიპოსს ეჭვებს. ვალასსაც გამუდმებით დასდევს ლოთი, ელაზღანდარება და გამოცანებით ელაპარაკება: „რა ცხოველია, რომელიც დილით ბრმაა, შუადღეზე სისხლის აღმრევი, საღამოთი კი მამის მკვლელი?“ ვალასი დილით ბრმაა, რადგან არ იცის რას უქადის მომავალი, შუადღეზე სისხლის აღმრევი, რადგან გამყიდველ ქალს ვნებიანი მზერით აცქერდება; ის ხომ დიუპონის მეუღლეა, ე.ი. ვალასის დედა (?) საღამოთი კი დიუპონს კლავს, ე.ი. მამის მკვლელია! ვალასი მიტოვებული იყო ბავშვობისას, ისევე როგორც ოიდიპოსი. რომანში ხშირად იხმარება სიტყვები, რომლებიც ჟღერადობით ლაიუსს მოგვაგონებენ. ვალასი სულ საშუალების ძიებაშია, მაგრამ ფირმის სახელი დავიწყებული აქვს, ახსოვს ორი შუა ასო **di** (ფრანგულად ოიდიპოსი ასე იწერება (**Edipe**) — ბევრი სიარულის გამო ვალასს ფეხები უსიგდება (ოიდიპოსის ერთ-ერთი ეტიმოლოგიური ახსნა არის ფეხდასიებული).

ასე რომ მიყვებით, კიდევ ბევრ სხვადასხვა მინიშნებას ვიპოვებ. მწერლის თეორიულ კრედიტს ანგარიშს თუ არ გავუწევთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენი ანალიზი სწორია. წერილში „გზა მომავალი რომანისათვის“ რობ-გრიე აღნიშნავს, რომ კრიტიკოსების დიდმა ნაწილმა „საშუალებები“ სიტყვასიტყვით გაიგო. „მასში თითქოს ძველი მითი ერწყმოდეს დეტექტივს... იმ დროს, როდესაც — გულისტკივილით განაგრძობს ავტორი — მგონია, რომ რომანის ზოგიერთ ძველ თვისებას ბოლო მოვუღე და მოვსპე, აღმოჩნდა, რომ სწორედ ეს ნიშნები გაიფურჩქნენ“.

რობ-გრიე ძალიან მკაცრად ებრძვის ძველ მითებს, აშკარად — თეორიულ ნაწერებში, ხოლო ფარულად — რომანებში. ამისათვის ის მიმართავს პაროდებსა და ირონიას, ჩვენი აზრით, ამგვარი ახსნა იქნება „საშუალებების“ ძირითადი გასაღები.

რომანის დასაწყისშივე ბევრი მინიშნებაა, რომლებიც განგებ არის ხაზგასმული: „არ გამოგრჩეთ“, „ეტყობა სიმბოლურია“, „ყურადღება“ და სხვა. პროლოგისა და ეპილოგის გამოყენება თანამედროვე

ნაწარმოებში ავტორის ირონიულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს. ბერძნულ ტრაგედიაში არის დასაწყისი, ამბავი, ბოლო და ერთი მთლიანობა. რობ-გრის რომანებში დრამატიულობის გაზრდის ნაცვლად დრო არ იძვრის, არაფრისათვის არ არის, ის თითქოს გაჩერებულია ანდა წრიულად მოძრაობს. ქუჩის სახელი „წრიული ბუღვარი“ არაერთხელ მიგვანიშნებს ამაზე. სოფოკლეს გამონათქვამი, რომელიც ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული რომანს, სინამდვილეში ასე უღერს: „დრომ, რომელიც ყველაფერს ხედავს, უშენოდაც აღმოაჩინა ეს საიდუმლოება“. ბერძნულ ტრაგედიაში დრო ყველაფერს ხედავს და ყველაფრის ბატონ-პატრონია. აქ კი დრო აღარ ბატონობს. მისი არსებობა მუქარის ქვეშ არის დაყენებული (გაიხსენეთ რობ-გრის სიტყვები: „ჩქარა, საუბედუროდ, დრო აღარ იქნება ბატონი...“).

რობ-გრემ რომანის ცენტრალურ თემად ოდიპოსის მითი აქცია, ფეხდაფეხ მიჰყვა და თითქოს აღადგინა იგი. მაგრამ საბოლოოდ მითი კი არ აღუდგენია, არამედ პაროდირების საშუალებით გააუფასურა. ამისათვის მან ორიგინალურ მეთოდს მიმართა: აღადგინა ძველი მითის ყველა მნიშვნელოვანი, საკვანძო წერტილი და მათი სრული უსარგებლობა აჩვენა; ძიება მიმდინარეობს დანაშაულის გარშემო, რომელიც არ მომხდარა. მთავარი პერსონაჟის ყოველი საქციელი მოტივირებულია მკვლევლობით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია. დაბოლოს, ვალასი საკუთარ მამას კლავს! მაგრამ განა ამაში დარწმუნებულები ვართ? რომანის კითხვისას დაბნეული მკითხველი სულ იმის ცდაშია, რომ გაერკვეს რა ხდება, როგორც კი მინიშნებას წააწყდება, შვებით ამოისუნთქავს, მიხვდა, როგორც იქნა, რომ ოდიპოსის მითის აღდგენაა, მაგრამ შემდგომი ტექსტი ისევ ეჭვს ბადებს, მერე ისევ მინიშნება, ისევ გაბათილება და ა.შ. ასევეა საგნების მიმართაც. უამრავ საგანს შორის მკითხველი იმ საგნებს არჩევს, რომელთაც შეიძლება მნიშვნელობა მიაწიჭოს, ხოლო იმათ, რომლებიც ასოციაციებს არ იწვევს, ყურადღებას არ აქცევს. საკმარისია მკითხველმა ხელი ჩაავლოს საგნის მინიშნებას, რომ იგი უფასურდება. ასე, სულ მუდამ ტრიალებს ეჭვი. მთელი რომანიც რაიმეს მტკიცება კი არ არის, არა-

მედ ნგრევაა, თავის თავის ნეგაცია. „მე მინდოდა მომეთხრო ამბავი, რომელიც თავის თავს ანგრევს“, — განაცხადა კიდეც მწერალმა.

ბერძნულ ტრაგედიაში სიკვდილს ყოველთვის საფუძველი და მიზეზები აქვს, ღმერთების მიერ დასჯილი ოდიპოსი კვდება სამართლიანობის აღსადგენად. კვანძის გახსნა რაციონალურია. ვალასი კი კაცს შემთხვევით კლავს, როგორც ეს ხდება ხოლმე, დაცვის მიზნით, შეიძლება ვივით. ამ მკვლელობას უნდა მოვაცილოთ კლასიკური ტრაგედიის მნიშვნელობა და ისიც, რომ ის აბსურდულია ან უმოტივო მოქმედება. ეს აქტი რამდენიმე წამის ამბავი იყო „ადამიანური, ფსიქოლოგიური და მეტაფიზიკური ამბების ერთიანობას რომ არ შეენელებინა მისი ტრაექტორია“ (ბერნალი).

თვით სათაურის „საშლელების“ მნიშვნელობა ასე შეიძლება გავიგოთ: საჭიროა წაშლა იმ მემკვიდრეობის, კანონების, ფორმების, ფსიქოლოგიის, მეტაფიზიკისა და სხვა ფაქტორებისა, რომლებიც არ ეშვებიან ადამიანსა და რომანს, გამუდმებით სდევნენ თან და საკუთარ თავისთავადობას აკარგვინებენ.

ლიტერატურა

ალმანი, 1996 — Allemand, R-M. *Le Nouveau Roman*, éd. Ellipses, 1996.

ორიოლ-ბუაიე, 1990 — Oriol-Boyer, Cl. *Nouveau Roman et discours critique*, Grenoble, 1990.

მორო, 1992 — Moreau, J-L. *La nouvelle fiction*, Paris, Criterion, 1992.

მურსია, 1998 — Murcia, Cl. *Nouveau roman, nouveau cinéma*, Paris, Nathan, 1998.

რიკარდუ, 1990 — Ricardou, J.. *Problèmes du Nouveau Roman*, Paris, Seuil, 1990.

რობ გრეი, 1985 — Robbe-Grillet, A. *Les Gommès*, Paris, Seuil, 1985.

სიმონენი, 1996 — Simonin, A. *La littérature saisie par l'histoire. Nouveau Roman. Actes de la Recherche en Sciences sociales*, n° 111-112, mars 1996.

ტონდერი, 1999 — Toonder, Jeanette. *Qui est-je?: l'écriture autobiographique des nouveaux romanciers*, Bern, P. Lang, 1999.

MARINE SIORIDZE

**Time, Space and Plot Structure in Alain Rob-Grillet's
Novel *The Rubbers***

Summary

A. Rob-Grillet denies the use of any type of symbolization in his novels, claiming he gives his readers complete freedom in the process of interpretation. However, *The Rubbers* evoke strong associations with Oedipus's tragedy. Some scholars consider the novel a classical legend with mythical and archetypal motifs. The representation of time is of particular relevance, the writer replaces the linear, chronological flow of time by the time built by the characters themselves; one and the same event is presented from the perspective of different individuals, and is viewed from different angles.

ენო ფხაკაძე

ენის ლინგვოკულტურული ფენომენი და დიალექტი

ენა სამყაროს ლინგვისტური ხატია. სამყაროს ლინგვისტური ტრანსფორმაცია ენობრივი კოლექტივის ერთგვარი ხედვის შედეგია. ენაში ასახული სამყაროს სურათი წარმოდგენებისა და ცოდნის ერთობლიობა სინამდვილის შესახებ, რაც ქმნის ამა თუ იმ ენობრივი საზოგადოების კულტუროლოგიურ კონცეპტოსფეროს. ეს უკანასკნელი იერარქიულია და, როგორც მოწესრიგებული სისტემა, ემორჩილება კომპონენტთა ურთიერთგანპირობებულობის კანონს. ი. სტეპანოვის მიხედვით, კონცეპტი არის კულტურის რეპრეზენტანტი ადამიანის ცნობიერებაში, ის, რისი საშუალებითაც კულტურა იქცევა ადამიანის მენტალური სამყაროს კომპონენტად. ასევე კონცეპტი არის ის, რისი მეშვეობითაც ადამიანი თვითონ შედის კულტურაში, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში გავლენასაც ახდენს მასზე (სტეპანოვი, 2001).

ენის შესწავლა მის გარემომცველ კულტურასთან მიმართებით წარმოაჩენს ენის კუმულატორული ფუნქციის ღირებულებას. ამ გაგებით, ენა ქრონოლოგიური და სივრცული განზომილებების გამართიანებელი საშუალებაა, რომელიც ექსტრალინგვისტურ საზოგადოებრივ გამოცდილებას გამოხატავს. ენის კუმულატორული ფუნქცია ენობრივ ერთეულთაგან ყველაზე თვალსაჩინოდ ლექსიკის სფეროში ვლინდება. ნომინაციურ ერთეულთა სემანტიკურ სტრუქტურაში ასახული ექსტრალინგვისტური შინაარსი ნაციონალური კულტურის სპეციფიკით არის საფუძველდებული, რაც ქმნის მნიშვნელობის ნაციონალურ-კულტურულ კომპონენტს და სემანტიკის ეგზოთერულ (გარეგან) ასპექტს შეესაბამება.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ურთიერთსაპირისპი-

რო შეხედულებები ენისა და ეროვნული იდენტობის მიმართების შესახებ. ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც ქართველთა ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა დასაბამიდანვე ავლენს უმნიშვნელოვანეს კავშირს ეთნიკურობასთან და ენობრივ იდეოლოგიას მთელი ერის საკუთრებად წარმოაჩენს (ს. ომი-აძე, 2009).

თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ორიენტირებამ ანთროპოლოგიურ თვალსაზრისზე ცხადი გახდა თანამედროვე ენის შესწავლის საჭიროება სოციალური სტატუსის მქონე პიროვნებაზე ორიენტირებით, რომელიც კულტურული გარემოს წარმომადგენელია.

ყოველი ენა და მისი გამომხატველი დისკურსი კულტურულ კონსტრუქციას წარმოადგენს. ენობრივი კოლექტივი ატარებს ეროვნული ერთობის ნიშანს. ეს ერთობა გლობალურ, დროსა და სივრცეში განფენილ ინფორმაციულ-ემოციურ ველს გულისხმობს, რომელიც ვირტუალური და ამავე დროს რეალურია. მეტყველი სუბიექტი ეროვნულ-ლინგვისტური ერთობის წარმომადგენელია. მის კულტურულ ფენომენოლოგიაში არსებობს საერთო, ზოგადი ცოდნა, როგორც ეთნოკულტურული ღირებულებების კოდური სისტემა. ეროვნული კულტურა მენტალური სქემებით, სიმბოლოებითა და იარღილებით არის გაჯერებული. ინდივიდის ცნობიერებაში ასახული ბაზისური მენტალურ-კულტურული სტერეოტიპი ცოცხლდება მისი სოციალიზაციის პროცესში ლინგვისტურად მარკირებული სქემით.

ის ფაქტი, რომ კულტურათაშორისი ურთიერთობისათვის მხოლოდ ენობრივი კომპეტენცია არ არის საკმარისი, ადასტურებს კულტურულ მახასიათებელთა როლის მნიშვნელობას კომუნიკაციაში. კომუნიკაციური კომპეტენციის სრულყოფილი ფლობა მოიცავს ენობრივ, მეტყველებით და კულტურულ კომპეტენციებს. ფრაზა: „ითარგმნება კულტურა და არა ენა“ (ი.ნაიდა, ჯ. ბიკმანი, მ. ლარსონი) მიანიშნებს არა მხოლოდ შინაარსობრივი, არამედ აღქმის ადეკვატურობის საჭიროებაზეც.

კულტურული კომპეტენციის ერთგვარობა აუცილებელია ერთი და იმავე ენის მფლობელთა კომუნიკაციის დროსაც. როგორც ი.

ლოტმანი აღნიშნავს, წარმატებული კომუნიკაციისათვის აუცილებელია ადრესანტი და ადრესატი სარგებლობდნენ სრულიად იდენტური კოდებით, ანუ, ფაქტობრივად, სემიოტიკური თვალსაზრისით ისინი უნდა წარმოადგენდნენ თითქოსდა გაორმაგებულ ერთსა და იმავე პიროვნებას, რადგან კოდი მოიცავს შეტყობინების არა მარტო კოდირება-დეკოდირების გარკვეულ ბინალური ნაკრებს, არამედ მას აქვს მრავალგანზომილებიანი იერარქია. ისიც კი, რომ კომუნიკაციის ორივე მონაწილე ერთი და იმავე ენით სარგებლობს, არ უზრუნველყოფს კოდის იგივეობას, რადგან ენობრივი გამოცდილების, მეხსიერების მოცულობის იგივეობაც არის საჭირო. ეს იგივეობა შეიძლება მეტ-ნაკლებად მიღწეულ იქნეს საერთო კონცეპტოსფეროს სრულყოფილი ფლობითა და ადეკვატური აღქმით.

საერთო კონცეპტოსფეროს ლინგვისტური რეალიზების გასათვალსაზრისებლად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დიალექტთა მონაცემების გათვალისწინება. ენა სოციალური პროცესია (ლაბოვი). ენობრივი კოლექტივის სოციალური არაერთგვაროვნება განაპირობებს ენობრივი ვარიანტის — დიალექტის — კვლევის აუცილებლობას სოციალურ-კულტურული განსხვავებულობის გათვალისწინებით.

ვარიანტულობა უნდა განვიხილოთ როგორც მთლიანი პოტენციის ნაირგვარი რეალიზების შესაძლებლობა. მთლიანობა განსაკუთრებით კარგად მჟღავნდება ეთნოკულტურული ღირებულებების ლინგვისტური მანიფესტაციით. ეთნოკულტურა ქრონოლოგიური და სივრცული განზომილებების მრავალფეროვანი შენაკადების გამაერთიანებელია. განსხვავებულობა ეთნოკულტურის კომპონენტთა ერთობლიობად წარმოიდგინება. ეს არის მთლიანობა, რომლის ერთგვარობასაც კოლექტივის ერთგვარი აღქმა ადასტურებს. კომუნიკაციის ეფექტურობა ენის ტევადობითა და მასში აკუმულირებული კულტურული ცოდნით არის საფუძვლედებული. კონცეპტთა ფორმირება, მათი გამოხატვა და აღქმა მთლიანი პროცესის განუყოფელი ნაწილებია.

დიალექტი, როგორც ენის შინაარსობრივი სიღრმის წარმომჩენი სტრუქტურა, ქართული აზროვნების, გონის, ინტელექტის, ზნეობრი-

ვი ორიენტირების, სულიერი სწრაფვის მანიფესტაციაა. მასში სამყაროს სურათი ქართული ენობრივი საზოგადოების ლინგვოკულტურული კონცეპტოსფეროს ადეკვატურია. საყოველთაოდ ცნობილია ქართული კულტურის ქრონოლოგიური სიძველე და შინაარსობრივი სიღრმე.

ქართული ეთნოკულტურული ცნობიერებისათვის უმნიშვნელოვანესია სამყაროსთან დამოკიდებულების, ადამიანის დანიშნულების გარკვევის, ზნეობრივი ორიენტირის განსაზღვრის რთული კონცეპტური სისტემა, რომელშიც, ჩვენი აზრით, გადამწყვეტი როლი ეკისრება „ჩვენ“-ის ქვეშ მოაზრებული „საკუთარის“, „დამახასიათებლის“, მე-მკვიდრეობითის, „წესისა და რიგის“ შესატყვისის გაცნად. ამგვარი შინაარსის ცნებითი სივრცე ნაციონალური სპეციფიკით არის ნასაზრდოები და ყოფითი და რელიგიური ცნობიერების კონცეპტოსფეროსში ყალიბდება. ქართული ლექსიკური ერთეულების გარკვეული ნაწილი მათი კონოტაციური მიმართებებით და ხატოვანი სახეობრივი სტრუქტურისთვის ქმნის ქართული ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტოსფეროს ეროვნულ-კულტურულად დეტერმინირებულ კომპონენტებს.

ამ წრეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ამქვეყნიური ცხოვრების გამომხატველი დროისა და სივრცის გამაერთიანებელი ლექსიკური ერთეული „წუთისოფელი“. როგორც ს. ოშიაძე აღნიშნავს, „ქართულ ცნობიერებაში ამქვეყნიური, მიწიერი ცხოვრება დროისა და სივრცის კოორდინატთა გადაკვეთაა — დროის გზა სივრცეზე გადის. ამიტომ დრო სივრცეს ზომავეს და თვითონ სივრცითვე იზომება (შდრ. „სივრცე ჟამთა და წელიწადნი ცხოვრებისანი... შეგეძინოს შენ“-სოლ.2,3). ქართული სიტყვა წუთისოფელი ამ წარმოდგენათა და ცოდნათა შემკრებია, ამასთანავე, შემფასებლური მიმართების (წუთი ნიშნავდა წუთიერს, დროებითს — საწუთრო — წარმავალს) გამომხატველიც. თუ „საწუთრო“ ცხოვრებას დროის ასპექტით სდებდა სახელს, ხოლო „სოფელი“ — სივრცის, „წუთისოფელმა“ ორივე ეს ასპექტი გააერთიანა ერთ სიტყვაში, რომელიც სრულიად გენიალურად ასახავს იმ იდეას, რომ ადამიანის ცხოვრება („დღე“ და

„სოფელი“, „წუთისოფელი“) დაკავშირებულია თვით ამ ცხოვრების „დროით თანამიმდევრობასთან. ეს კი წინ უსწრებს მე-20 საუკუნის მეცნიერებისათვის დამახასიათებელ იდეებს დროისა და სივრცის, როგორც შემეცნების ფორმების, განუყოფლობის შესახებ ბუნებასა და თვით ენაში. „წუთისოფლის“, როგორც ცხოვრების ცნების აღმნიშვნელი სიტყვის, დამახასიათებელი თავისებურება (ეროვნულ-ენობრივი სპეციფიკა) ის არის, რომ დრო მასში შემჭიდროებული (წუთი — „ცოტაა“), ხოლო — სივრცე (სოფელი — „ქვეყანა“) — ინტენსიფიცირებული, ჩათრეული დროის მოძრაობაში. დროისა და სივრცის ერთიანობის ამგვარმა გაგებამ გამოიწვია ცვლილებები არათუ სამყაროს მეცნიერულ სურათში, არამედ ჩვენი ეპოქის რელიგიური-ფილოსოფიურ აზროვნებაშიც (ს. ოშიაძე, 2009).

ქართული ცნობიერებისთვის წუთისოფელში ადამიანის ცხოვრების საზრისის, წესის განსაზღვრა დაკავშირებულია ისეთ უმნიშვნელოვანეს ცნებებთან, როგორებიცაა: რჯული, გვარი. ამ ლექსიკურ ერთეულთა კონცეპტური მნიშვნელობების რეალიზება გვინდა წარმოვაჩინოთ მხატვრულ დისკურსში. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია დიალექტის ლიტერატურული ფუნქციის შესახებ. აღნიშნულია, რომ დიალექტური ლექსიკური ერთეულები პერსონაჟის დასახასიათებლად ან მწერლის ენობრივი ქსოვილის გასამრავალფეროვნებლად გამოიყენება. ქართულ მწერლობაში გამოკვეთილია მწერალთა განსაკუთრებული დამოკიდებულება იმ კუთხეთა დიალექტებისადმი, რომელთაც ისინი უკავშირდებიან წარმოშობით. შესაბამისი დიალექტური ერთეულების გამოყენება მათი ენის სტილურ თავისებურებასაც განსაზღვრავს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მწერალი, როგორც ენის შინაგანი სიღრმის ყველაზე უკეთ გამცნობიერებელი, კარგად გრძნობს დიალექტის, როგორც ლინგვოკულტურული ერთობის მთლიანი პოტენციის ვარიანტული გამოვლინების ეთნოკულტურულ ღირებულებას და მხატვრულ დისკურსში აცოცხლებს ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტოსფეროს უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს. სამაგალითოდ გვინდა დავასახელოთ მთის მწერალთა ვაჟა-ფშაველასა და ალ. ყაზბეგის დამოკიდებულება ადამიანის არსის განსაზღვრისა-

დმი, რაც ვლინდება ლექსიკური ერთეულების „რჯულისა“ და „გვარის“ კონცეპტურ მახასიათებლებში. ორივე შემთხვევაში დასტურდება ცნებითი მოცულობის გაზრდა ეთნოლირებულებების კონცეპტური სისტემის სემანტიკური ნიუანსებით, რაც შემკრებლობით ხასიათს ატარებს: „რჯული“, „გვარი“ — წესი, რიგი, ჩვეულება, ტრადიცია, თვისება, მორალი, სარწმუნოება, ჯიში, მოდგმა...

საინტერესოა, რომ ორივე ავტორთან იქმნება ლექსიკურ ერთეულთა, ფრაზათა ტექსტობრივ მონაკვეთთა წრე, რომლებიც მთლიანობაში კონცეპტური ლირებულების მატარებელია. მაგალითად, დიდი დრამატურგის ალ. ყაზბეგის მზერა ადამიანის რთული წინააღმდეგობრივი შინაგანი სამყაროსკენ არის მიმართული, ონისეს ტრაგიკული ამბივალენტური განცდები აქ განზოგადებულია და ადამიანის დამნიშნულების ფილოსოფიურ ჭრილში არის ვერბალიზებული. აქ აშკარად იკვეთება ნაციონალური მენტალობით ნასაზრდოები იდეები: „კაცი ტანჯვისთვის არის გაჩენილი“, „ისე მოკვდი, რომ ხევს შენი დამარხვა არ ესირცხვილებოდეს“. წუთისოფელში ცხოვრების ორიენტირი კი შემკრებლობითი ხასიათის სიტყვით — „გვარი“ არის გაცხადებული: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ“. ამ შემთხვევაში სიტყვის კონცეპტური მოცულობა ჯიშისა და მოდგმის ფიზიოლოგიურ ნიშანთან ერთად მორალურ-ზნეობრივ მახასიათებლებსაც გულისხმობს.

ასეთივე ზოგადი კონცეპტური მნიშვნელობისაა ვაჟა-ფშაველასთან ლექსიკური ერთეული „რჯული“. სახეობრივი სურათი აქ საოცრად საინტერესოდ იკვრება. სანიმუშოდ დავასახელებთ ლექსს „პაპიჩემის ანდერძი“. ლექსის ფორმა პოეტის მიზანდასახულობის ადეკვატურია. სათაური იდეური კონცეპტის გასაღები, ლექსიკური ერთეულების სისტემა სემანტიკურ დიაპაზონს კრავს და ავტორის ეთნოკულტურულ კუთვნილებას წარმოაჩენს. სათაურით მინიშნებული მემკვიდრეობითობის განცდა ლექსს ბოლომდე გასდევს. პაპის მოწოდების შინაარსი შვილიშვილისადმი ადამიანის დანიშნულების საკითხს ეროვნული ცნობიერების ჭრილში წარმოაჩენს. ლექსის მთავარი იდეა სამ ლექსიკურ ერთეულში იკვეთება: „ჩვენ“, „რჯული“, „ანდერძი“. ადამიანური არსის გარკვევა არ არის ინდივიდუალური პასუხისმგებ-

ლობის საკითხი. ვინ ვარ და როგორ უნდა ვიცხოვრო? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ადამიანს, როგორც გარკვეული საზოგადოების წევრს მართებს, ერთი კოლექტივისადმი კუთვნილება საერთო ცნობიერებით გამოვლინდება, ლინგვისტურად ეს საერთოობა ნაცვალსახელით: „ჩვენ“ არის გამოხატული. ამ შემთხვევაში მორფოლოგიური რესურსი სწორი იმპულსის შემცველია და შემკრებლობითი შინაარსი სიმრავლეს კი არ აღნიშნავს, არამედ სწორედ საერთოობას. ცნობილია, რომ ეროვნული ცნობიერების ზღვარი სწორედ ამგვარ ბინარულ ოპოზიციას გულისხმობს: ჩვენ და სხვა. ჩვენ-ის ქვეშ მოაზრება გარკვეული პატივია და დიდი პასუხისმგებლობა. „ჩვენ“ უწყვეტობაა, წარსულისა და მომავლის მთლიანობად მოაზრება. ამ უწყვეტობის ლინგვისტური გამოხატულებაა ლექსიკური ერთეული „ანდერძი“, ადეკვატურია ლექსისთვის შერჩეული ფორმაც — მიმართვა, რაც უშუალობისა და ერთიანობის აღქმას აძლიერებს. აქვე იკვეთება ეროვნული ცნობიერებისათვის ნიშანდობლივი ჩვენთვის საინტერესო ტერმინი „რჯული“. მას შემდეგ, რაც შემოიფარგლა ადამიანური არსის გარკვევის ეროვნული წრე — ჩვენ და განისაზღვრა მარადიულობის, უწყვეტობის აუცილებლობა, დაკონკრეტდა დანიშნულებაც ადამიანისა — ისე ცხოვრება, როგორც ჩვენი „რჯულია“.

შვილო, რად სტირი ნეტარა,
რა უბედობა გეწვია?
ჭირში ყოფნის დროს გაძლება
მუდამ ვაჟკაცის წესია!
ვაჟკაცს არ ჰშვენის ცრემლის ღვრა,
ქვითინი დიაცურადა.
მტერს ხმალი უნდა საფთხულად,
კვალზედ მიყოლა მგლურადა.
აგრემც ექმნები პაპაშენს
დღეგრძელიო და სრულიო,
ნუ დაისვენებ, ებრძოლე
მტერს, მინამ გიდგა სულიო.
შვილო, მეც ეგრე ვიყავი,

ეგ არის ჩვენი რჯულიო.

რჯულის ამგვარი გაგება რომ არ არის უცხო ქართული ლინგო-კულტურული ცნობიერებისათვის გვინდა დავამოწმოთ ამონარიდით ფრიდონ ხალვაშის ამავე სახელწოდების ლექსიდან „რჯული“:

რა არის რჯული თუ არა
ენა, ზნე, სისხლი, ერობა,
წარღვნამ თუ გადაუარა,
რად შვენის ის, რაც შვენოდა?!

გადათელილი ათასგზის
წამებით წარსულს ვუვლიდი,
ენა ნენესი, ბაბასი,
შემინახია რჯულივით.

დაქცეულ-დახარჯული ვარ
სიტყვით, სიმღერით, ტაძრითა,
მიტომ აქ მტვერიც რჯულია
ნახვეტი ჩვენი ნაცრიდან.

ამგვარად, ზემოთქმულის საფუძველზე, კიდევ ერთხელ გვინდა გავუსვათ ხაზი, რომ დიალექტი, როგორც ენის შინაარსობრივი სიღრმის წარმომჩენი სტრუქტურა, ქართული აზროვნების, გონის, ინტელექტის, ზნეობრივი ორიენტირების, სულიერი სწრაფვის მანიფესტაციაა. მასში სამყაროს სურათი ქართული ენობრივი საზოგადოების ლინგოკულტურული კონცეპტოსფეროს ადეკვატურია.

ლიტერატურა

არუთინოვა, 2005 — Н. Д. Арутинова, Предложение и его смысл. Логико-семантические провлемы. М. 2005.

აუსტინი, 1962 — J. Austin, How to do things with words, Oxford, 1962.

ვერეჩაგინი, 1980 — Е.М. Верещагин, В. Г. Костомаров, Лингво-страноведческая теория слова, М. 1980.

ომიაძე, 2009 — ს. ომიძე, ქართული დისკურსის ლინგოკულტუროლოგიური პარადიგმა, თბ., 2009.

საყვარელიძე, 2001 — ნ. საყვარელიძე, თარგმანის თეორიის საკითხები, თბ., 2001.

Ю. Степанов. Константы (Словар русской культуры). Академический проект. 2001.

NINO PKHAKADZE

The Dialect and the Linguo-cultural Phenomenon of a Language

Summary

As is known, the linguistic transformation of the outer world is culture and language specific. The mental map represented in a particular language reflects historical, cultural and ethnopsychological information about the language community. A language variant is a specific realization of different potentials of a particular language. The invariant-variant entirety is best revealed in the linguistic manifestation of ethnocultural values. The ethnoculture serves as a means for uniting temporal and special dimensions. The dialect as a structure representing the depth of language content is the manifestation of a nation's intellectual and ethic values. The paper examines the ways some language-specific concepts typical of Standard Georgian are realized in its dialects.

სოფიო ყიფიანი

მოდალობის უპირისპირებითი ანალიზი

ენაში მოდალური მნიშვნელობების ხასიათისა და რაოდენობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ლინგვისტების უმრავლესობა აღიარებს მოდალობის ცალკეული ტიპის არსებობას, რომელიც გამოიხატება მოსაუბრის მიერ გამოთქმული შინაარსის დამოკიდებულებით რეალობასთან, მის ჭეშმარიტებასთან (პანფილოვი 1977: 39).

ეპისტემური მოდალობა გამოხატავს მოსაუბრის რეალობასთან დამოკიდებულებას. ის ყოველთვის სუბიექტურია იმ გაგებით, რომ იგი დამოკიდებულია მოსაუბრის დასკვნაზე. ეპისტემური მოდალობა — გარესინტაქსური კატეგორიაა, რადგან, როგორც წესი, გამოიხატება ელემენტებით, რომლებიც არიან სინტაქსურ იზოლაციაში (მოდალური სიტყვები, ნაწილაკები, მოდალური ფრაზები) — ეს გამონათქვამთა მოდალობაა და არა მოქმედების გამომხატველი მოდალობა. ის ახასიათებს ყველა მსჯელობას ზოგადად და არ ახასიათებს რეალობის ობიექტსა და განსაზღვრულ ნიშან-თვისებას შორის არსებულ კავშირს.

ეპისტემურ მოდალობას ენაში სხვადასხვა რეფლექსი აქვს და მისი სრული აღწერა შეიძლება ფუნქციურ-სემანტიკური საშუალებით.

ეპისტემური მოდალობის გამოხატვის საშუალებები (ეპისტემური მოდალური მოდიფიკატორები) შეიძლება დაიყოს ხუთ ქვეჯგუფად: ა) მოდალური სიტყვები, ბ) მოდალური ნაწილაკები, გ). მოდალური ფრაზები „I suppose“ („მე ვვარაუდობ“ ტიპისა), დ) მოდალური ზმნები და პრედიკატები და ე) სინტაქსური კონსტრუქციები მოდალური მნიშვნელობებით.

ქართულ ენაში მოდალურ ზმნათა ერთ-ერთი ნიშანდობლივი თა-

ვისებურება ისაა, რომ ისინი სემანტიკურად დაკავშირებულნი არიან სხვა ზმნურ ფორმასთან, ანუ წინადადებაში მოდალური ზმნით გამოიხატება მთქმელის დამოკიდებულება იმ მოქმედებისადმი, რომელსაც წინადადების კონსტრუქციაში მონაწილე მეორე ზმნა გადმოსცემს. ისინი წინადადებაში სრულ ინფორმაციას მხოლოდ სხვა ზმნურ ფორმასთან ერთად იძლევიან. სწორედ ამან განაპირობა ამ ზმნათათვის ზმნური ნიშნების თანდათანობითი დაკარგვა და სახეცვლილ მოდალურ ნაწილაკად ქცევა (შარაშენიძე, 1999: 87).

ეპისტემური მოდალობა შინაარსის მიხედვით შეიძლება გავყოთ ორ სემანტიკურ ოპოზიციად: ა) დარწმუნებულობა/დაურწმუნებულობა (ეჭვი), ბ) ალბათობა(ვარაუდი)/ლოგიკური აუცილებლობა. პირველი ოპოზიცია გამოხატავს მოსაუბრის ცოდნის ხარისხს და ობიექტსა და პრედიკატს შორის სავარაუდო კავშირის ხასიათს. მოდალური მნიშვნელობის ლოგიკური შესაძლებლობა გამოხატავს ვარაუდს რეალობის არასრულ, სუბიექტურ ცოდნაზე დაყრდნობით (ლიჩი, 1974: 74-75).

ამჯერად ჩვენ განვიხილავთ ერთ-ერთ სემანტიკურ ოპოზიციას: ვარაუდისა და ლოგიკური აუცილებლობის გამომხატველ მოდალურ ზმნებს. ალბათობის გამომხატველი მოდალური მნიშვნელობა გამოხატავს რეალობის ობიექტსა და განსაზღვრულ ნიშანს შორის კავშირის ეპისტემურ შეფასებას, დაფუძნებულს მოსაუბრის ვარაუდზე, რომ არსებობს ასეთი კავშირის შესაძლებლობა. ლოგიკური აუცილებლობის მნიშვნელობისაგან განსხვავებით ალბათობის შეფასება არაა დაფუძნებული აშკარა ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, ის ეყრდნობა რეალობის არასრულ ცოდნას. გამოთქმის სემანტიკური ინვარიანტი ვარაუდის მოდალური მნიშვნელობებით შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: „იქედან გამომდინარე, რაც ვიცით, შეიძლება წარმოვიდგინოთ რომ...“.

Can-ით გამოხატული ფრაზა გამოხატავს ალბათობას კავშირის განხორციელების საერთო ობიექტსა და ნიშანს შორის. May-თი გამოხატული ფრაზები უფრო კონკრეტულად ჟღერს და ეხება ზოგიერთ კონკრეტულ სიტუაციას (პალმერი, 1979: 43).

ეპისტემური **can** და **may** შეიძლება დაუკავშირდეს სხვადასხვა სახის ინფინიტივს, მაგალითად: **Continuous, Perfect, Passive**, რაც არ არის დამახასიათებელი მოდალურ ზმნათა სხვა მნიშვნელობებისათვის, მაგალითად, ნებართვისა და ობიექტური შესაძლებლობის მნიშვნელობები. ასეთი სახის ინფინიტივის შეთანხმება ინფინიტივის სრულ დროსთან შეიძლება გამოიყენებოდეს მოდალური ზმნის ეპისტემური მნიშვნელობის გამოსახატავად.

I have some washing here - not very much - but you are welcome to it. Next week there may be more. (Th. Dreiser)

აქ ცოტაოდენი თეთრეული დაგროვილა და წაიღეთ, იქითა კვირას, **ალბათ**, უფრო მეტი იქნება.

could და **might** გამოიყენება ჰიპოთეტურ გამოთქმათა გამოსახატავად, როგორც კავშირებითი კილოს ფორმა არარეალურ პირობებში:

If I could have offered marriage and a settlement everything would have been easy. (G. Green)

რომ შემძლებოდა მისი ხელის თხოვნა, მაშინ ყველაფერი იოლად ჩაივლიდა.

მოდალური ზმნის **can** და **may**-ს შეთანხმება პერფექტულ ინფინიტივთან გამოხატავს ობიექტსა და ნიშანს შორის კავშირის ალბათობას წარსულში, ე.ი. აფასებს მოვლენათა ალბათობას და არა ალბათობის ხარისხს, რომელიც უსწრებს გამოთქმის მომენტს. აქ უფრო ხშირად გვხვდება მოდალური ზმნა **may**.

I think he was a postmaster, but he may have been the Mayer. (G. Green)

ვფიქრობ, ფოსტმასტერი იყო, მაგრამ **შეეძლო** მერიც ყოფილიყო.

It couldn't have been the case of poisoning for instance? (A. Christie)

ეს მოწამვლის შემთხვევა **ვერ იქნებოდა**.

მოდალური სიტყვები სასაუბრო მეტყველებაში ეპისტემური მოდალობის ვარაუდის (ალბათობის) გამოხატვის გავრცელებული საშუალებაა. ხშირია ინგლისური მოდალური სიტყვების **probably, perhaps** გამოყენება, რომელიც მეტყველებაში 5-6-ჯერ აღემატება ერთად აღებულ **maybe, possibly, persumably** ინგლისურ მოდალურ სიტყვებს.

Probably. უფრო ხშირად გვხვდება მედიალურ პოზიციაში: აზ-

რობრივ ზმნათა წინ, დამხმარე ან მოდალურ ზმნათა შორის, დამაკავშირებელი ზმნის შემდეგ სახელობითი ნაწილის წინ. შეიძლება ასევე მისი აბსოლუტური გამოყენება:

You figured most of them would probably marry dopey guys. (J. Salinger)

მეტი წილი **ალბათ** ვილაც შტერებს მისთხოვდება.

Perhaps. ძირითადად გვხვდება საწყის პოზიციაზე და მთელ პროპოზიციას ანიჭებს სავარაუდო და არარეალურ კვალიფიკაციას. ხშირად კონტექსტში გვხვდება სხვა ეპისტემური მოდალური მოდიფიკატორები. მოდალური სიტყვა **perhaps** იშვიათად გვხვდება ბოლო ან მედიალურ პოზიციაზე:

From some far source, perhaps some old German ancestors, she has inherited an understanding and appreciation of all this. (Th. Dreiser)

არავინ უწყის, საიდან, **იქნებ**, თავისი გერმანელი წინაპრებიდან დაჰყვა ჯენის ყოველივე ამის გაგებისა და შეფასების უნარი.

ვარაუდის გამომხატველია მოდალური ფრაზები, რომელიც ეპისტემური მოდალური მოდიფიკატორების მრავალრიცხოვან ჯგუფს წარმოადგენს, რომელშიც შედის ორწევრიანი კონსტრუქციები „**I suppose**“ — ტიპისა, ზმნა — სახელობითი სიტყვათშეთანხმებები როგორცაა **to be possible**, შეთანხმება **in my opinion** ტიპისა, და ასევე მთელი რიგი არსებითი სახელისა და გერუნდის შეთანხმებები: **it looks like+Gerund, there is a possibility; supposing that...** მოდალური ფრაზები **I assume, I presume, I gather** და სხვანი დამახასიათებელია თანამედრობრივად და ასაკობრივად უფროს პირთა მეტყველებაში.

განხილული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია დავადგინოთ, თუ რომელი ქართული მოდალური ელემენტი რა დოზით შეესაბამება თითოეულ ინგლისურ მოდალობის გამომხატველ საშუალებას.

მაგალითად: განხილული ასი მაგალითიდან **may**-ს ქართულ თარგმანებში მთარგმნელთა 40% იყენებს „შეიძლება“-ს, 40% — მოდალურ ელემენტს „იქნებ“ და 20% მოდალურ ნაწილაკს „ალბათ“. **Might** (მოძიებული 60 მაგალითის საფუძველზე) ქართულ თარგმანებში 50% გვხვდება „იქნებ“, 30% — „შეიძლება“ და 20% — „ვფიქრობ“. **Can (could)** (მოძიებული 94 მაგალითის საფუძველზე) თარგმანის 80%

გამოყენებულია ზმნა „შეძლება“, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში კავშირებითი კილოს ფორმები გამოიყენება. **Probably** (35 მაგალითის საფუძველზე) გამოიყენება როგორც „ალბათ“, **perhaps** (38 მაგალითის საფუძველზე) — თანაბრად გვხვდება „იქნებ“ და „ალბათ“ ნაწილაკები, **maybe** — „იქნებ“ (25 მაგალითის საფუძველზე) და **possibly** (18 მაგალითის საფუძველზე) -ის ნაცვლად „შესაძლოა“.

კვლევის საფუძველზე ვასკვნი, რომ ინგლისურ ენაში, გარდა კილოს კატეგორიისა, შესწავლილ ენობრივ ფენომენს გამოხატავს მოდალური მოდიფიკატორები: მოდალური სიტყვები, მოდალური ნაწილაკები, მოდალური ფრაზები, მოდალური ზმნები და სინტაქსური კონსტრუქციები მოდალური მნიშვნელობებით. ხოლო ქართულ ენაში გარდა კილოს მორფოლოგიური კატეგორიისა, მოდალობის გამოხატვას ემსახურება ბივერბალური სინტაქსური კონსტრუქციები, მოდალური ზმნები, მოდალური ნაწილაკები: *უნდა, ლამის, თითქოს, ვაითუ, ეგებ, იქნებ, ვინძლო* და ა. შ.

ლოგიკური აუცილებლობის მოდალობა დაფუძნებულია ლოგიკურ დასკვნაზე, უტყუარ ფაქტებზე, წინასწარ ცოდნაზე, თვითმხილველის მტკიცებულებებზე. ლოგიკური აუცილებლობის გამოხატველი მოდალური გამოთქმები შეიძლება შევავსოთ ლოგიკური მსჯელობის ჯაჭვით.

Must გადმოცემს დასკვნას, რომელსაც აკეთებს მოსაუბრე რეალური ფაქტების საფუძველზე, თუმცა არაა საკმარისი ობექტსა და ნიშანს შორის კავშირის არსებობის მტკიცებისათვის. ამ თვალსაზრისით აქ გაკეთებული ყველაზე „ძლიერი“ დასკვნაც კი „სუსტია“ რეალობის მოდალობასთან შედარებით, რომელიც გამოიხატება თხრობითი კილოთი. არ შეიძლება დავეთანხმოთ აზრს, რომ **must** გამოხატავს დარმუნებულობას. ძირითადი დასკვნა ჩვეულებრივ არის გამოტანილი ან ადვილად ჩანს კონტექსტიდან: (ჰელიდეი, 1970: 329)

I felt instinctively that the hour must be chosen with delicacy (S. Maugham)

გვრძნობდი, რომ ნახვის დრო გულდასმით **უნდა შემერჩია.**

must-ით გამოხატული დასკვნა შეიძლება ეკუთვნოდეს აწმყოსა

და ნამყოსაც, თუმცა თვითონ მოდალური ზმნა არ იცვლის ფორმას.

მოდალურ ზმნა **must**-ის ძირითადი მნიშვნელობაა აუცილებლობის გამოხატვა. მის ეკვივალენტად შეიძლება ჩაითვალოს **have to**. ჩვენი მიზანია გამოვკვეთოთ მათი ქართული ეკვივალენტები:

I must give him something more than the belly meat then. (E. Hemingway)
მეტი **უნდა** მივცე, ერთი რბილი ნაჭერი არ იქნება საკმაო.

So when I told old Spencer I had to go the gym to get my equipment and stuff, that was a sheer lie. (J. Salinger)

მოხუც სპენსერს რომ ვუთხარი, ფიზკულტურის დარბაზში **უნდა** შევიარო-მეთქი, ესეც მტკნარი სიცრუე იყო.

Will შეიძლება იყოს კონკრეტული სიტუაციის ძიების ანალიზის ხშირად ატარებს „წინასწარმეტყველურ“ ხასიათს:

She'll be with father in their room. (J. Galsworthy)

მამასთან ერთად იქნება თავიანთ ოთახში.

ხშირად **will** გამოხატავს დასკვნას, რომელსაც საფუძველად უდევს ობიექტის ხასიათი. გამოიყენება ჩვეულებრივი მოვლენების აღსანიშნავად.

Ought to, should ორივე ეს მოდალური ზმნა გამოხატავს ლოგიკური აუცილებლობის მნიშვნელობის შესუსტებულ ფორმას, ე.ი. მოსაუბრის მიერ გამოთქმულ დასკვნას. აქვს დარწმუნებულობის ელფერი. ერთი მხრივ, ეპისტემური **must, should** და **ought** გამოხატავს ლოგიკურ დასკვნას მოსაუბრისათვის არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით:

მოდალური კონსტრუქცია **be bound** ინფინიტივთან შეთანხმებით გამოხატავს ლოგიკურ დასკვნას, რომელიც გამომდინარეობს მდგომარეობიდან ან მოვლენათა მდგომარეობის საერთო ცოდნიდან **must**-ისაგან განსხვავებით, რომელიც არის მოვლენათა შესახებ რაიმე დასკვნის გამოხატველი ახლანდელში ან წარსულში, **bound to** აღნიშნავს მოვლენათა ლოგიკურ ვარაუდს მომავალში.

If he travelled even approximately west, he was bound to hit somewhere on the coastline sooner or later. (A. Clark)

დაახლოებით დასავლეთით რომ წასულიყო, ადრე თუ გვიან ნაპირს შეეჯახებოდა.

Naturally გამოხატავს ლოგიკურ მოვლენათა აუცილებლობას, დაფუძნებულს საერთო ნაცნობ მდგომარეობაზე, საზოგადოების სოციალურ ნორმებზე. მოვლენები, რომელიც ფასდება წინადადებაში, არ არის მოულოდნელი მოსაუბრისათვის, თუ რას გულისხმობს მოსაუბრე, და ასევე მსმენელისათვის. **Naturally** - შეიძლება დაიკავოს წინადადებაში ნებისმიერი პოზიცია. მას ქართულად შეესატყვისება — ნამდვილად, ჩვეულებრივ, რა თქმა უნდა.

They naturally expect the worst of me because of my situation (L. Banks)

ჩემი მდგომარეობის გამო, **რა თქმა უნდა**, უარესს მოელოდნენ.

მოდალური ზმნას **need**-ს აქვს მხოლოდ ერთი ფორმა. ინფინიტივი დაერთვის **to** ნაწილაკის გარეშე. ის გამოხატავს აუცილებლობასა და ვალდებულებას. მისი უარყოფითი ფორმა **need not** გამოხატავს მოსაუბრის უფლებასა და რჩევას:

Need we write this text by tomorrow?

ჩვენ უნდა დავწეროთ ეს ტექსტი ხვალისათვის?

ქართულ ენაში აუცილებლობის გამოხატვისას ძირითადად გვხვდება „უნდა“ მოდალური ნაწილაკი. ქართულ ენაში აუცილებლობას ასევე გამოხატავს ბრძანებითი კილო და ისეთი სიტყვები, ფრაზები, და კონსტრუქციები, როგორცაა: *ნამდვილად, აუცილებლად, ბუნებრივია, რაღა თქმა უნდა* და სხვა.

Must მოდალური ზმნა ქართულ ენაში, მაგალითების (მოძიებული 120 მაგალითის საფუძველზე) 90% გადმოიცემა „უნდა“-ს საშუალებით, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში კილოს საშუალებითაა გადმოცემული. **Will** (45 მაგალითი) 90% გვხვდება როგორც „იქნება“ და 10% „უნდა იყოს“, **ought to** (26 მაგალითი) და **should** (35 მაგალითი) ქართულ ენაში ჩვენ მიერ განხილულ მაგალითებში ყოველთვის გადმოიცემა ან მოდალური ზმნით „უნდა“, ან კილოს საშუალებით. **Be bound to** (30 მაგალითი) — 60% „იძულებულია“, 20% „აუცილებლად“ და 20% „უნდა“. **Naturally** (18 მაგალითი) — 60% „რასაკვირველია“, 25% „რა თქმა უნდა“, 15% „ბუნებრივია“. **Evidently** (12 მაგალითი) ყოველთვის გვხვდება, როგორც „აშკარად“. **Obviously** (15 მაგალითი)

თანაბრად გამოიყენება „რა თქმა უნდა“ და „ცხადია“. ფრაზა **It is evident** (9 მაგალითი) — „ცხადია“.

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს ინგლისურ ენაში ლოგიკური აუცილებლობის ველის ბირთვის ქმნის მოდალური ზმნა **must**, ხოლო პერიფერიას ქმნის მოდალური კონსტრუქცია **be bound** და მოდალობის გამომხატველი სიტყვები: **naturally, evidently, obviously**. ქართულ ენაში კი აუცილებლობის გამომხატველი მოდალობის ველის ბირთვია მოდალური ნაწილაკი *უნდა*, ხოლო პერიფერიას ქმნის ისეთი სიტყვები და გამოთქმები როგორცაა: *ნამდვილად, აუცილებლად, ბუნებრივია, რაღა თქმა უნდა* და სხვა.

ლიტერატურა:

შარაშენიძე, 1999 — ნ. შარაშენიძე, „უნდა“ მოდალური ფორმის ისტორიისა და მორფოსინტაქსური ანალიზისათვის, ენათმეცნიერების საკითხები, №4, 1999

ჰოლიდეი, 1980 — Halliday M. A. K. *Functional diversity in language as seen from a consideration of modality and mood in English*, Foundations of Language, N 6, 1970.

ლიჩი, 1974 — Leech G. N. *Meaning and the English verb*, London: Longman, 1974.

პალმერი, 1979 — Palmer F. R. *Semantic*, Cambridge: Cambridge University Press, 1979.

ბანფილოვი, 1977 — Панфилов В. З. *Категория модальности и ее роль в конструировании структуры предложения и суждения*, Вопросы Языкознания, № 4, 1977.

A Contrastive Analysis of Modality in English and Georgian

Summary

Though quite well-studied, the issue of modality and the diversity of perspectives it can be analysed from remain to be inexhaustive. The paper discusses different definitions of modality, each of them accentuating the speaker/writer's attitude towards speech acts, subjectivity, non-factuality, plausibility, necessity etc. The paper presents a contrastive analysis of two types of epistemic modality: obligation and likelihood on material from English and Georgian languages. Certain correspondences between English and Georgian modal linguistic units have been stated.

ნატო შავრშიანი, ზორენა შავრშიანი

პირიპირებათა და დამატებისათვის სვანურში

როგორც ცნობილია, უბრალო დამატება გადმოიცემა მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვაში დასმული თანდებულის ან უთანდებულო სახელით. სწორედ ვითარებითი ბრუნვით გადმოიცემა თანაობის გამომხატველი დამატება.

აღნიშნული ბრუნვის სინტაქსური ფუნქციები სვანურში ძირითადად ქართულის მსგავსია, ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში მკვლევართა მიერ (ნ. აბესაძე, ვ. თოფურია, ა. კიზირია...) არაერთგზის განხილულა.

ვითარებითი ბრუნვის დახასიათებას დიდი ადგილი უჭირავს ნ. აბესაძის ნაშრომში „ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში ქართულთან მიმართებით“, სადაც ვკითხულობთ: „ქართულის მსგავსად, სვანურშიც ვითარებითი ბრუნვით გადმოიცემა უბრალო დამატება გარდაქცევითი და დანიშნულებითი მნიშვნელობით: **წელდ** ესსიპე— „ვირად გადააქცია“ (70,28); მწდ ესერ ხეკუეს **საჩქუარდ?**— „რა გინდაო საჩუქვად“ (274,32);... ვითარებითი ბრუნვით გადმოცემულ უბრალო დამატებას ზოგჯერ შეიძლება განკუთვნილი მნიშვნელობა ჰქონდეს (კითხვაზე: იშაშდ? — ვისთვის?), რაც ქართულში —თვის თანდებულის ნათესაობით ან ნანათესაობითარი ვითარებით გადმოიცემა; ციცუ ი ფჰკუნა ქა ლოხრდახ ამი მგქაფ მინე ხოხურა **უდილდ**— „კატა და ლეკვი მიუციათ ამის მაგივრად მათი უმცროსი დისთვის“ („დად“) (76,23)... ვითარებით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება ხშირად გამოიყენება სირცხვილის, შიშისა და სხვა მსგავსი გრძობების აღმნიშვნელ ზმნებთან. ქართულ თარგმანში აქ ნათესაობითი ბრუნვის ფორმები გვაქვს; მიჩა **წეშარ-მეძბარდ** ესერ ხაყლუნი— „შენი წევარ-მეძებრების მეშინაო“ (268,25)... შედარებითი ხარისხის ფორმებთან სვანურში ვითარებითი ბრუნვით გამოხატული უბრალო დამატება ქართული —ზე თანდებულის ფორმების შესატყვისად იხმარება; ქუეყანაჟი **ეჯმარდ** ხოჩა დჟსა ლგმარდ— „ქვეყანაზე მათზე („მათად“) უკეთესი არავინ ყო-

ფილა“ (124,16)...“ (აბესაძე, 8-9, 1975).

ამკერად ყურადღებას გავამახვილებთ ვითარებითში დასმულ თანაობის გამომხატველ პირმიუმართავ დამატებაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სვანურში ვითარებითი ბრუნვით გადმოცემული უბრალო დამატება, ქართულისაგან განსხვავებით, თანაობას ვერ გამოხატავს: „ვითარებით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება ქართულში ზოგჯერ თანაობასაც გადმოსცემს, განსაკუთრებით -იან სუფიქსიან სახელებთან. სვანურში კი ვითარებითი ბრუნვით თანაობის გადმოცემა არ ხდება, საამისოდ არსებობს საგანგებო თანდებული -ცახან || -ცახან || -ცხან“ (აბესაძე, 8, 1975).

უნდა აღინიშნოს, რომ სვანურის ყველა დიალექტში და მათ შორის, ჩოლურულში, აღნიშნულ შემთხვევაში ვითარებითში დასმულმა უბრალო დამატებამ -ცახან თანდებულის დაურთველადაც შეიძლება გამოხატოს თანაობა ლგ- პრეფიქსის მეშვეობით. ქართულში, როგორც ცნობილია, -იან სუფიქსიანი წარმოება გვაქვს, სვანურში კი ლგ- პრეფიქსიანი; მაგ.:

ლგრეჭედ ადყუინე ბეფშუ (ბზ.) — ტანსაცმლიანად დააწვინა ბავში.

ლგჩვლდ ნომ ანვე ქორთე (ბზ.) — ფეხსაცმლიანად არ შემოხვიდე სახლში.

ლგბარდ აჩადხ ამხენქა (ბქ.) — ბარგიანად წავიდნენ აქედან.

ლგჩინჩილდ ლენმუშგურანხ (ბქ.) — ბავშვებიანად გვესტუმრნენ.

ლგბეშედ მნდშ მნმედა ლიზი (ლნტ.) — ბავშვებიანად არ შემოიძლია წასვლა

ლგშგრუალდ მნდ ენმითრულანნ ქა?! (ლშხ.) — შარვლიანად არ გაგიყდა?!

ლგტეჭედ მეშგო ხამს (ლშხ) — გოჭიანად მთხოვს ღორს.

ლგისუ-ლგჯიჭედ ათუიფხ ლაშინლისა (ლშხ.) — უკვალოდ დაკარგეს ომში.

ლტეჭუ თელდ ლიხ მინ მინე **ლგდნედ!** (ლშხ.) — სასაცილო („დასაციანი“) სულ არიან თვითონ თავიანთ დევიანად...

ლგ-ეხტუ-ლგ-გზელ-დ ოთოგანხ შუკუს (ჩოლ.) — ცოლ-შვილიანად გაუდგნენ შარას (შუკას).

ლგციცუ-ლგკიტედ შგდნის ქამთე მაგ (ჩოლ.) — კატებიან-კნუტებიანად გამოიყრება ხოლმე გარეთ ყველა.

ეჭვი ხაიდნა, ერე **ლგფათედ** ლგმშიდინ ლელუი ნაგმეჯარს (ჩოლ.) — ისე შიოდა, რომ თმებიანად იყრიდა ხორცის ნაჭრებს.

აღნიშნული **ლგ-** პრეფიქსს ვ. თოფურია მიმღეობათა მაწარმოებელ **ლგ-** პრეფიქსთან აიგივებს „ქონების გამომხატველად ხშირადაა გამოყენებული **ლ-გ-** თავსართი და უდრის ქართულ -იან, -ოვან, -ოსან სუფიქსებს. ...ეს **ლგ-** იგივე უნდა იყოს, რაც მიმღეობის საწარმოებელი **ლ-გ-** არის“ (თოფურია, 248, 2002).

ხოლო რაც შეეხება თანაობის გამომხატველ -ცახან („თან“) თანდებულს, სვანურის ყველა დიალექტში საკმაოდ პროდუქტიულია, მაგ.:

ზურალა **ლტაქარცახან** ლიპინჭყე შგურ ლას (ჩოლ.) — ქალის კაცებთან დაჯდომა („დასკუბება“) სირცხვილი იყო;

ბლაქარცახან გარგლას ლითში ხაკუ (ჩოლ.) — ბავშვებთან საუბარს („სალაპარაკოს“) გარჩევა უნდა ...

„ცახან „თან“, ვარაუდობენ, რომ შეიცავს ცა „ცალი“, „ერთი“ და ხან „გან“ თანდებულს. ... აქ ც-ს წინ ნათესაობითის -შ ელემენტი დაკარგულია“ (თოფურია, 204, 2002).

ქართულისაგან განსხვავებით, ვითარებითში დასმულ თანაობის უბრალო დამატებას სვანურში მრავლობითის ფორმა არ გააჩნია. იგი არ დაირთავს მრავლობითის მაწარმოებლებს, თუმცა მრავლობითის სემანტიკა და გაგება ყოველთვის შეიძლება ჰქონდეს, მაგ.: „**ლგბოფედ** აჩად“ შეიძლება გამოხატავდეს როგორც მხოლობითს — „**ბავშვიანად** წავიდა“, ისე მრავლობითს — „**ბავშვებიანად** წავიდა“ ...

აღსანიშნავია, რომ ასეთი დამატების რიცხვი (მხოლობითია, თუ მრავლობითი) წინადადების კონტექსტის მიხედვითაც ვერ დგინდება, თუ მთქმელმა თავად არ ნახა და არ განმარტა **ბავშვიანად** წავიდა, თუ **ბავშვებიანად**.

წინადადებაში ყოველთვის წარმოდგენილია ან ნავარუდევია ის წევრი, რომელთანაც უბრალო დამატება თანაობას გამოხატავს. ქართულის მსგავსად, სვანურშიც ასეთი დამატება თანაობას ქმნის წინადადების მთავარ წევრებთან ქვემდებარესთან (თუ ზმნა გარდაუვალია) და პირდაპირ დამატებასთან (თუ ზმნა გარდაუვალია):

თანაობა ქვემდებარესთან:

ლგჩაქედ ანთენან სერგო (ბზ.) (სერგო **ლგჩაქედ**) — ცხენიანად გამოჩნდა სერგო.

ლგშგრუალდ მნდ ენმითრულანნ ქა?! (ლშხ.) (ეჭვი **ლგშგრუალდ**) — შარვლიანად არ გაგიყდა?!

Towards the Simple Object in Svan

Summary

In all the dialects of Svan including Cholurian the simple object in the Adverbial case can convey the meaning identical to that conveyed with the postposition *casan* by means of the prefix *l*. As is known, the Georgian formation with the suffix *-ian* corresponds to the Svan formation with the prefix *l*. Unlike Georgian, in Svan the above mentioned use of the simple object in the Adverbial case has no plural form, though plurality can be semantically expressed.

ლგ-აეხტ-ლგ-გზელ-დ ოთრგანხ შუკუს (ჩოლ.) (ეჯარ ლგ-აეხტ-ლგ-გზელ-დ) — ცოლ-შვილიანად გაუდგენ შარას (შუკას).

თანაობა პირდაპირ დამატებასთან:

ლგძგუდ ანტყაბე გუეჭ (ბზ.) (გუეჭ ლგძგუდ) — თმებიანად (ჯაგრიანად) შეწვა გოჭი.

ლგდიმთილდ იშგმინა აეხტ?! (ლშხ.) (აეხტ ლგდიმთილდ) — სიდედრიანად ითხოვა ცოლი?!...

ლგ-ბოფშ-დ ხამურჯდა ქა ლიტტს (ჩოლ.) — ბავშვებიანად აპირებდა გაქცევას.

სინტაგმაში თანაობის გამომხატველი უბრალო დამატება ზმნა-შემსმენელთან ერთად ქმნის სინტაქსურ წყვილს და მისგანვე იმართვის ვითარებითი ბრუნვის ფორმით.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ზედსართავთა ვითარებითი ბრუნვის ლგ-პრეფიქსიანი წარმოებით გადმოიცემა ვითარების გარემოება. ასეთ შემთხვევაში გვაქვს ფორმობრივი დამთხვევა უბრალო დამატებასთან, თუმცა ფუნქციისა და სემანტიკის სხვაობა კონტექსტის საშუალებით ადვილად დგინდება, მაგ.:

ლგლღუდ ხებლჯინი — დებილურად („დევეურად“) გადააჯინდები.

ლგმწრად ხატულდა — გამწარებულად („სწრაფად და ხმამალა“) ეძახდა.

ლგსრყად ხეპსუნდა — გაბრაზებულად („გაავებულად“) ეპასუხებოდა...

მასალაზე დაკვირვების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სვანურში ვითარებითი ბრუნვით გადმოცემული თანაობის გამომხატველი უბრალო დამატება ინტენსიურად დასტურდება, მისი სინტაქსური ფუნქცია ემთხვევა ქართულისას, თუმცა ქართულისგან განსხვავებით მრავლობითი არ ეწარმოება.

ლიტერატურა

აბესაძე, 1975 — ნ. აბესაძე, ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში ქართულთან მიმართებით, თსუ შრომები 164, ენათმეცნიერება, თბ, 1975.

თოფურია, 2002 — ვ. თოფურია, შრომები II, 2002.

ენიანი ზონიანი

როჭიკისა და როჭის ომონიური ცალკის ისტორიისათვის

როჭიკი: 1. 1. ძვ. ულუფა, საზრდო, ქირა; ჯამაგირი, როჭი.

ძველ ქართულში **როჭიკი** <საზრდელი, ულუფა>, იშვიათად „გასამრჯელო“. მიცემად როჭიკისა მათა ჟამსა“ **C**, — „მიცემად საზრდელი მათი ჟამსა თუსსა“ (**DE**, მთ. 24, 45). ლევიტელთა მათ დაუწერა როჭიკი ვიდრე მი-მუნ-დღედმდე, ვიდრემდის ადასრულონ ტაძარი იგი“ (**O, I**, ეზრა, 4, 55). „განუწესა მათ მეფემან როჭიკი დღისა დღითი-დღედ ტაბლისაგან თუსისა“ (**O**, დან. 1, 5). მისცეს სასყიდელი გალატოზთა და ხუროთა და როჭიკი მათი (**O, I**, ეზრა, 5, 54). „კმა გეყავნ როჭიკი თქუენი“ (ლ. 3, 14). „რომელნი მირეწვიდეს მე დღისა როჭიკისა“ (ფლკტ. 147, 13). „მიბრძანა მე განსყიდა კარაულისა ამის საჯმარად როჭიკისა“ (საკ. წიგ. II, 93, 19). „წამოიღებნ იგი (ე. ი. მკედარი, რომელმან დაიწერის თავი თუსი დივანსა შინა მეფისასა) განწესებულსა როჭიკისა ერისკაცთასა“ (მ. სწ. 120, 9). „ლეონტი... როჭიკისა განმყოფელი, წარიყვანეს“ (**Sin.** – 11, 214r). – ი. აბულ.

ძველსავე ქართულში გვხვდება ნაწარმოები ფორმებიც: **ურო-ჭიკო** „უულუფო“ შეაყენეს ლომი ერთი ოც დღე ოდენ ურო-ჭიკოდ (**H** — 341, 402). **როჭიკიანი**: „ოქრო სა და საქონლისაგან როჭიკიანი“ (ეტლ. 33, 25).

შუა საუკუნეების ლიტერატურულ და სამართლის ძეგლებში **როჭიკი** ფართო გამოყენების სიტყვაა მნიშვნელობით 1. ულუფა, საზრდელი; 2. ჯამაგირი.

1. მე ესე მიხარინ, როჭიკისა ეგზომ დიდსა ველარა სჭამენო (ამირანდ. 242, 1). ერთ დღეს არ თხოვეს როჭიკი, არც სხვა რამ სათხოვარია (ვახტ. VI, 148, 717, 1). ჰე, ტურფაო, სანაჯაო და როჭიკიანო მამაცო (შპნ. III, 547, 21). ერთსა კაცსაჲ დღიურ

ეგოდენი ვორცი ჰქონდა როჭიკად, შიმშილისა ცეცხლსა დაუვსებდის (ქილ. 547, 25).

2. და მოჯამაგირისას ვაწესებთ ესრეთ, რათა მიეცემოდის მას აღთქმული როჭიკი თვისი, უკეთუ იქცეოდეს კეთილსულობით და სიმართლით (სამ. ბატ. დავ., 55, 7). და უკეთუ აქუს პენციათ, ესე იგი როჭიკად, მაშინ შემდგომად სიკუდილისა დედაკაცისა მის დარჩეს ქმარსა (სამ.სამ. ბატ. დავ., 60, 12). გამოერიცხოსთ ორისა თვისა როჭიკი და მიეცეს სალდათთა სასნეულოსა (სამ. ბატ. დავ., 67, 8). დიდებულნი... ვითარ ჯამდა, ეგრე შემოუძღვნენ, და მისსა საკადრისსა სრათა გარდაცდინეს და როჭიკითა და როჭითა უაღრეს უმასპინძლეს (ქილ. 799, 31). ღმერთმან მოცეს როჭიკითა საჭურჭლე და საქონელი (შპნ. II, 4309, 2). და უკეთუ აქუს პენციათ, ესე იგი როჭიკად, მაშინ შემდგომად სიკუდილისა დედაკაცისა მის დარჩეს ქმარსა (სამ. დავ. ბატ. 60, 12). და რაოდენსა ჟამსა ემსახურა, ეგეოდენი მიეცის როჭ(ი)კი; და ოდეს როჭ(ი)კი წინათვე აელო, მაშინ, ვინამ არ გამოისამსახურის, არა გაუშვან სამსახურიდამ (სამ. ბატ. დავით. 223, 10).

ახალ ქართულში **როჭიკი** იშვიათად, მაგრამ მაინც იჩენს თავს.

დღეს ვაჭრობ, ხვალ ჩარჩობ, ზეგ ბერად როჭიკობ (მ. ლე-ბან). მთარგმნელმან საჭიროდ არ ჩათვალა ეხსენებინა როჭიკობანი („ლიტ. საქ.“).

როჭიკი გამოიყოფა ასევე მოხეურში ხმარებულ ფრაზეოლოგიზმში „როჭიკად ვერ წაუვიდა საქმე“ საქმე. კარგად, წაღმართიანად ვერ მოეწყო (მოხ. ქავთ.). ფრაზეოლოგიზმში გამოყენებული **როჭიკი** გადატანით უნდა გამომდინარეობდეს ძველ ქართულის სიტყვიდან **როჭიკი**, საზრდელი, ულუფა, იშვიათად „გასამრჯელო“.

საბა განმარტავს **როჭი**, **როჭიკი**, „ულუფა სამეუფოთა გამოსაზრდელი, მჯუღიერი მთავრობის(ა) ნიჭი“. დ. ჩუბინაშვილი კი — **როჭი**, **როჭიკი** ულუფა, ჯამაგირი. ქველში დასახელებული სიტყვა მიჩნეულია უკვე ძველი ქართულის ფორმად და როგორც დ. ჩუბინაშვილთან აქაც ორ ფონეტიკურ ვარიანტზეა მითითებული **როჭი**, **როჭიკი** „ულუფა, საზრდო; ქირა, ჯამაგირი“.

მზ. ანდრონიკაშვილის მიხედვით **როჭიკი** პართ. **ῥοჭικ**, საშ. სპ.

rōzīk, ახ. სპ. **rōzī** <<დღიური>> საზრდო, საარსებო საშუალება, საზრდელი, წილი, „ხვედრი, პროვიზია, ქონება“. აღნიშნული სიტყვა დასტურდება სომხურსა და სხვა აღმოსავლურ ენებშიც (ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 267).

როჭიკი დასტურდება სვანურსა და მეგრულშიც. **როჭიკი** (-იშ, -ლ ბზ., -ალ ლშხ.). „როჭიკი, სარჩო, გასამრჯელო“. ალ ზადა როჭიკს ლაქარ ითხენლენხ (ლშხ.) — ამ წლის სარჩოს მამაკაცები იშოვიან (მოიძებნიან) (სვან. თოფ., ქალდ.). **როჭიკ** როჭიკი ულუფა (სვან. ლიპარტ.).

მეგრულში კი შემდეგი მნიშვნელობებით გვხვდება: **როჭიკი** „უმნიშვნელო ნარჩენი“. თავი როჭიკი ძუ — აქ როჭიკი (უმნიშვნელო ნარჩენი) ძეგს (მეგრ. ელ.).

როჭიკი როჭიკი; წვრილმანი. როჭიკობა — კარდაკარ ჩამოთხოვა მცირე შესაწირისა. როჭიკ-როჭიკი — წვრილმანი; წვრილ-წვრილი რამ; ერთგვარი წვრილ-წვრილი გადასახადი; როჭო — საროჭიკო; საწვრილმანო ტომარა (მეგრ. ქობ.).

როჭიკი წარმომავლობით ქართველური სიტყვა უნდა იყოს. ვფიქრობთ, ჩვენს ვარაუდს მხარს დაუჭერს მეგრულსა და სვანურში ზემოთ მოხმობილი **როჭიკ-ფუძიანი** სიტყვებიც.

როჭიკი: 2. მთ. ჭიკჭიკი.

როჭიკი მთ., ჭიკჭიკი. **როჭიკობს** ჭიკჭიკებს (შან.). **როჭიკობს** — 1. ჭიკჭიკებს. 2. სასიამოვნოდ ლაპარაკობს (მთ. კაიშ.).

რიჭ მითქმა-მოთქმა რაიმე საქმის გარშემო (სვან. ლიპარტ.).

რიჭ (-იშ, —) ზს. გაუთავებელი ლაპარაკი. იშმა რიჭ ჯარხ? (ბზ.) — რა (რისი) გა-უთავებელი ლაპარაკი გაქვთ? 2. აყალმაყალი. რიჭიშ ლიგენ (ბქ.) — აყალმაყალის ატეხა (დაყენება) (სვან. თოფურია, ქალდანი). **რიჭი-რაჭა** (-ჭიშ-რაჭა) — მითქმა-მოთქმა; ჭორიკ-ნობა. ჩუ ხნდახ ზურალენლს რიჭი-რაჭა (ლშხ.) — ქალებს მითქმა-მოთქმა ჰქონდათ. რიჭი-რაჭა ნესგ უბნ რ (პოფ. 222) — ჭორიკანა („მითქმა-მოთქმა“) შუა უბნები (სვან. თოფ., ქალდ.).

როქი: 1. საბოძვარი; ქირა, ჯამაგირი.

როქი გასაცემელი ZABCD. მისაცემელი: „მონაზონი გამროქველი, გამცემელი“ E. მროქავი, როლაი. როლაი იგივე საბოძვარი. ესეც საბოძვარი(ა) C. **როლა და როქი** ერთი მგონია: აიასოფიას გებაში: „ყოელთა დღეთა იყო კლიტორი და მიეცემოდა მთავართა როლაი და მადლობდეს ღმერთსა“ E საბა. **როქა** დარეჯან: „როქასა დიდსა ვერა სჭამენ!“ D (საბა).

როქი, როლაი (ბერძ.) როჭიკი, საბოძვარი ან გარდაკვეთილი ჯამაგირი (დ. ჩუბინ.).

როქი ძველქართულშივე გვხვდება. განსაკუთრებით ხშირ შემთხვევაში დასტურდება XI საუკუნის წესდების ქართულ ხელნაწერში „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი“. როგორც ამ ხელნაწერის გამომცემელი ა. შანიძე აღნიშნავს: ქართული ტექსტი ემყარება უძველეს XIII საუკ. ნუსხას (პეტ. ტიპ.).

როქი (ῥόγα, руга) სარგო, ჯამაგირი (ფულად); „რა თა იყვნენ ძმანი სამ დასად განყოფილი და როქსა აიღებდენ“ (9, 2). „ვინაფთვან როქითა იქმნა დაწესება შესამოსლისა მათისა, ამისათვის ჯერ-არს მიშუებისა მიცემად, რა თა ჯელ-ეწიფებოდის როქსა მათსა და ნაძულავსა ზედა ყოფად, ვითარცა ენებოს“ (9, 4). „და აღიღებდეს ძმათა თანა მონასტრისათა წესთასა თსსა და როქსა, ვითარცა ერთი მესამისა დასისაგანი“ (29, 1). „და აღიღებდენ იგინიცა როქსა, ვითარ-იგი აღიღებს სტენიმახელი“ (29, 5). „დაიკარგოს მას შინა მდღელი ერთი და აღიღებდეს როქსა და საზრდელსა“ (31, 1). აქედან: **გაროქვა**, ჯამაგირის დანიშვნა, ჯამაგირის მიცემა. „და გუენება, რაითამცა არა იქმნებოდა ესე გაროქვითა“ (9, 1). შდრ: „და გაიროქნეს მუშანი მონასტრისანი სამსა ჯერს, რომელთა დავასხმევინეთ ვენაჟი კე-სა მოდისა“ (ალაპები, № 145) (პეტ. ტიპ.).

როქი მომდევნო საუკუნეებშიც დასტურდება.

— მე ეგოდენი ქონება არა მაქუს, რასცა თქვენ ჰგონებთო: არცალა თუიერუსალიმისა გზისა როქია (ქილ. 750, 28). ძუნწობა სჯობს გაროქვასა (ქილ. 289, 3). მერაბი ერთადერთ ხსნას როქის გაკეთებაში ხედავდა (რ. ჯაფ).

ეგვევ სიტყვა გამოიყოფა დაქირავებული ჯარის აღმნიშვნელ ტერმინში **როქის სპა**. როქის სპაი ვით არწივი დავაცხრა თავზე

(გ. კანდ.). **როქის სპა** ძვ. დაქირავებული ჯარი. როქის სპას-კი იმათ ეძახიან. ვისაც მეომრებისათვის განსაზღვრული ჯილდო ეძლევა, დაქირავებულია (შ. დად.). „...ხალხო, ლამაზი დედოფალი მოგიყვანეთ და სანაქებო როქის სპაი (კ. გამს.).“

ა. შანიძის საფუძვლიანი გამორკვევით, **როქი** ἰόρυα მიღებულია ლათინ. **erogatio**-საგან (სოფოკლე); **erogo** „გავსცემ“, „ვხარჯავ“. აქედანვეა ძვ. რუს. **пуга**. ამასთან ჰ. აჭარიანის შრომაზე დაყრდნობით შენიშნავს, რომ ქართ. „**როქი**“ ფორმით უფრო ახლოს დგას სომხურში ხმარებულ ფორმებთან **հող** და **հողք** ფორმებთან (ჰ. აჭარიანის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, IV, 414 – 416) (პეტ. ტიპ.).

როქი \ \ **როქვი**: 2. ლექი, ნალექი.

როქი — ლექი, ნალექი. „ღვინის მალე გადაღება პატრონზე ჰკილია. თვეზე გადაიღებს. სანამ როქს ანუ ლექს გამოიღვეს, არ მოსჭარბდება გადაღება“ (კახ., <<შინამრეწვე.>>) — ქველ. ლექი, **როქი** ღვინის ნაძირი, ღვინის დანალექი ქვევრში (ქიზ. მენტ.). ერთი თვის შემდეგ ქვეშ როქს, ან ლექს, დურდოს ჩაინაძირებს (ქიზ., შინამრეწვე. IV, III, 78).

როქვი — დანალექი (თუშ. უთურგ.). **როქვი** — ერბოსი, ღვინისა და სხვ. ნაძირალა, დანალექი“ (ფშ. შან., ხორნ.). კარაქის გადნობის შემდეგ ქვების ძირში რჩება ნაძირალა ერბოსი, ბეწვისა და სხვა, რომელსაც „როქვი“ ჰქვია (თუშ. ბოჭ. 211).

ვფიქრობთ, რომ **როქი** წარმომავლობით იგივე უნდა იყოს, რაც მეგრულში დადასტურებული სიტყვა **რაქი** — „ნარჩენი, ნაშთი, ლექი, გამაგრებული ნაწილი რისიმე“ (მეგრ. ქობ.).

როქი: 3. ჭადრ.

როქი ჭადრაკის თამაშის დროს გამოყენებული ტერმინია. მეფისა და ეტლის ერთდროული სვლა, როცა ეტლი დაისმის მეფის გვერდით, ხოლო მეფე გადადის ეტლის მეორე მხარეს — ქველ. სიტყვა აღმოსავლური ენებიდან უნდა მომდინარეობდეს. შდრ. ამავე მნიშვნელობის თურქული **rok**.

ლიტერატურა:

ი. აბულ. — ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

ანდრონიკაშვილი, 1966 — მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართულ ენობრივი ურთიერთობიდან, I.

ამირანდ. — მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსცა ლ. ათანელიშვილმა, თბ., 1967.

ვახტანგ. VI — ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1975.

თურქ. — Турецко-русский словарь. Авторы: А. Н. Баскаков, Н. П. Голубева и др., М., 1977.

თუშ. უთურგ. — თ. უთურგაძე, თუშური კილო, თბ., 1960.

თუშ. ბოჭორ. — გ. ბოჭორიძე, თუშეთი, ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. აზიკურმა თბ. 1993.

მეგრ. ელ. — გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალები), მარტვილი — თბილისი, 1997.

მეგრ. ქობ. — ალიო ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010.

მთ. კაიშ. — ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბ., 1967.

მოხ. ქავთ. — ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.

ბეტ. ტიპ. — ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია, ტ. IX, თბ., 1986.

საბა — ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული ორ წიგნად, წიგნი I, თბ., 1966; თხზულებანი, ტ. IV² გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1966.

სამ. დავ. ბატ. — სამართალი ბატონისშვილი დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, თბ., 1964.

სვან. ლიბ. — ასლან ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო) თბ., 1994.

სვან თოფ., ქალდ. – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, 1955; ტ. VI, 1960 არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ.,

ქილ. – ქილილა და დამანა, სპარსულიდან თარგმნილი ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ, გამოსცა მ. თოდუამ, თბ., 1975.

შინამრეწვ. IV, III – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, თბ. 1989.

შპნ. III – აბულ ყასიმ ფირდოუსი, ქართული ვერსიები, ტ. III, გამოსცა დ. კობიძემ. თბ., 1974.

შპნ. II – აბულ ყასიმ ფირდოუსი, შაჰნამე, იუსტ. აბულაძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის და აკ. შანიძის რედაქციითა კომენტარებითა და ლექსიკონით ტფ. 1934.

დ. ჩუბ. – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1984.

NINELI CHOKHONELIDZE

Towards the Homonymy in the Semantics of the Lexical Units roçiki and roki

Summary

The paper investigates the etymology, semantics and sphere of usage of two lexical units rowiki and roqi and discusses the interrelation between the phenomena of polysemy and homonymy.

მანანა ხოჭოროია

მსაგანური ენის სტილისტიკა ბრამატიკის რაკურსში

ამჟამად უცხო ენების შესწავლისას სკოლაში და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ძირითად მიზნად მეტყველების აქტიური პრაქტიკული დაუფლება მოიაზრება. ამ მოთხოვნის განხორციელება კი მხოლოდ სწავლების ვიწრო ენათმეცნიერული მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით, რომლებიც მხოლოდ ნორმატიული გრამატიკისა და ენობრივი ფაქტების დაუფლებას გულისხმობენ, შეუძლებელია. უცხო ენის პრაქტიკულად დაუფლებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ასევე ენობრივი ერთეულების ფუნქციონირების ცოდნა სამეტყველო ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში, ანუ აუცილებელია **ფუნქციური მიდგომა** უცხო ენის შესწავლისა და ასევე მისი სწავლების მეთოდიკისადმი. ფუნქციური მიდგომა საშუალებას იძლევა, ახალი მხრიდან იქნეს გაშუქებული როგორც ენისა და საზოგადოების უშუალო კავშირები, ისე ენისა და მეტყველების სტრუქტურა, გამოვლინდეს ენობრივი საშუალებების შიდასისტემური დისტრიბუცია, გამოჩვენდეს მათი სტილური რეალიზაციის სპეციფიკა.

ენის შესწავლის იდეა მისი რეალური, ფაქტიური ფუნქციონირების პოზიციიდან ჯერ კიდევ ი.ა. ბოდუენ დე კურტენეს ეკუთვნის, რომელიც დაბეჯითებით უსვამდა ხაზს სასწავლო ლიტერატურაში „ცოცხალი“ გრამატიკული მასალის, „გრამატიკული დეტალების“ ასახვის აუცილებლობას (ბოდუენ დე კურტენე, 1963). უნდა აღინიშნოს, რომ ენის ფუნქციითა რაოდენობის შესახებ განსხვავებული შეხედულებები არსებობს. ლინგვისტთა აბსოლუტური უმრავლესობა ენის **პოლიფუნქციურობის** თვალსაზრისს იზიარებს. ასე, მაგალითად, რ. იაკობსონი გამოყოფს ექვს ფუნქციას: რეფერენტულს — ორიენტაციით კონტექსტზე; ექსპრესიულს — მოსაუბრის გრძნობებისა და ნების გამოხატვის ფუნქციას; პოეტურს; კონატიურს — ორი-

ენტაციით აღრესატზე; მეტაენობრივს — ფუნქციას, რომელიც განაპირობებს ენის შესახებ ენის დახმარებით ლაპარაკის შესაძლებლობას; ფატიკურს — კონტაქტის დამყარების ფუნქციას. არიან ასევე ენის მონოფუნქციურობის მომხრენიც. ფაქტიურად თითოეულ ფუნქციას შეუძლია თავისი სტილისტური „ზედნაშენის“ მიღება, რის გამოც სტილისტური საშუალებები შეიძლება განვიხილოთ ენობრივ ფუნქციებთან მიმართებით. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ სტილისტური კონოტაციები არსებობს ნებისმიერ ნორმალურად ფუნქციონირებად ენაში; კონოტაციური მნიშვნელობის ფუნქცია უფრო რთული ჩანს, ვიდრე ეს ივარაუდება ვიწროფუნქციურ ჩარჩოებში.

ყურადღებას იქცევს ლინგვოსტილისტიკის, კერძოდ კი, ლექსიკური, გრამატიკული, ფონეტიკური ან ფუნქციური სტილისტიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი თეორიული ნაშრომების არარსებობა. საზღვარგარეთული გამოცემებიდან ჩვენთვის ცნობილია ლ. პერეს-რიოხას ერთადერთი ნაშრომი „ტექსტების სტილისტიკა, კომენტარები და რედაქტირება“ (პერეს-რიოხა, 1965), დაწერილი სახელმძღვანელოს სახით, რომელიც ეძღვნება მეტყველების ნაწილთა სტილისტიკური ხმარების მიმოხილვას. ესპანელი ლინგვისტის ეს წიგნი საყურადღებო ნაშრომს წარმოადგენს, ვინაიდან მასში თვალსაჩინოდ არის ნაჩვენები, რომ საკითხი მეტყველების ნაწილთა სტილისტიკური თვისებების შესახებ ლინგვო-სტილისტიკის ერთ-ერთ აუცილებელ მხარეს წარმოადგენს. ამას გარდა, ეს საზღვარგარეთის ესპანისტიკაში არის პირველი ცდა ესპანური გრამატიკული ერთეულების სტილისტური თვისებების განხილვისა.

არცთუ დიდი ხანია, რაც გამოიკვეთა ლინგვოსტილისტიკის ახალი განშტოება — **გრამატიკული სტილისტიკა** ან **სტილისტური გრამატიკა** (სპეციალურ ლიტერატურაში ორივე ტერმინი იხმარება).

გრამატიკული სტილისტიკა, რომელიც გრამატიკასა და სტილისტიკას შორის მერყეობს, უშუალოდ უკავშირდება შედარებით ახალ ლინგვისტურ მიმართულებებს: ფუნქციურ სტილისტიკას, მეტყველების კულტურას, ტექსტის ლინგვისტიკას, სემანტიკურ გრამატიკას, სოციოლინგვისტიკას, ლინგვოკულტურ-როლოგიასა და კულტურ-

რათშორის კომუნიკაციას. სპეციალურად უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ გრამატიკული სტილისტიკის არსებობა ნებისმიერ განვითარებულ ენაში — ესაა თვით ენის ბუნების შედეგი, რომლის გრამატიკისთვისაც ღრმად და მახასიათებელი ყველა კატეგორიის პოლიფუნქციურობა. გრამატიკული სტილისტიკა იყოფა მორფოლოგიურ და სინტაქსურ სტილისტიკად. თუმცა კი სინტაქსის სტილისტური შესაძლებლობები ეჭვქვეშ არ დგება, მაგრამ მორფოლოგიის სტილისტური ნიშნადობის მიმართ სკეპტიკური მოსაზრებები გამოითქმება: საერთოდ უარყოფს მორფოლოგიური ერთეულების სტილისტურ როლს ესპანელი ენათმეცნიერი მარტინ ალონსო, რომელიც სინტაქსური სტილისტიკის შესახებ მსჯელობისას ამტკიცებს, რომ სტილი არ არის მორფოლოგია, იგი დაკავშირებულია არა სიტყვასთან, არამედ წინადადებასთან (ალონსო, 1955).

სტილისტური გრამატიკა (გრამატიკული სტილისტიკა) ჯერ კიდევ ნაკლებად დამუშავებული სფეროა, განსაკუთრებით მორფოლოგიის თვალსაზრისით. მორფოლოგიის სტილისტური შესაძლებლობების თანმიმდევრული შესწავლა და აღწერა ჯერ არ განხორციელებულა. საზღვარგარეთის ესპანისტიკაში მორფოლოგიური სტილისტიკის პრობლემა თეორიულ პლანში ჯერ არ წამოუყენებიათ, დაკვირვებები ისეთ მორფოლოგიურ საშუალებებზე, რომლებსაც უნარი შესწევთ სტილისტური ეფექტის შექმნისა, მეტისმეტად მწირია, არ ხდება მათი განზოგადება და სისტემატიზაცია.

მორფოლოგიური სტილისტიკა (მორფოსტილისტიკა) მოწოდებულია, პირველ რიგში, შეისწავლოს: 1) სხვადასხვა გრამატიკული (გარიანტული) ფორმის, კერძოდ, სინონიმური, აგრეთვე სიტყვაწარმოებითი საშუალებების დიფერენციულ-აზრობრივი და სტილისტური ნიუანსები (შეფერილობები);

2) მეტყველების სხვადასხვა ნაწილის (ზმნის დროის ფორმების, არსებითი სახელის სქესისა და რიცხვის ფორმების) და სხვადასხვა სიტყვაწარმოებითი საშუალების სტილისტური თავისებურებები;

3) მეტყველების ნაწილთა სტილისტური მახასიათებლები მათი გამომსახველობითი ნიშან-თვისებებითა და სხვადასხვა სამეტყველო

სტილებში ფუნქციური განაწილების პლანში;

4) მორფოლოგიური საშუალებების პოტენცია მეტყველებაში გამოყენებული სტილისტური ხერხების შექმნისას (კერძოდ, ტექსტის კომპოზიციური და ესთეტიკური ორგანიზაციის მიზნით). ლინგვისტისტიკის ამ ახალი განშტოების მეთოდოლოგიური და მეთოდოლოგიური საფუძვლების სრულყოფისა და განვითარებისათვის აუცილებელია კონკრეტული ენობრივი მასალის კვლევის სფეროს გაფართოება და გაღრმავება, ლინგვისტური ფაქტების დაგროვება ანალიზისათვის.

ლიტერატურა

ვასილიევა-შვედე ო.კ., სტეპანოვი გ.ვ., 1998 — Васильева-Шведе О.К., Степанов Г.В. Теоретическая грамматика испанского языка. Санкт-Петербург, 1998;

ბოდუნ დე კურტენე ი.ა., 1962 — Бодуэн де Куртенэ И.А., Введение в языкознание. М., 1962;

პერეს-რიოხა, 1967 — Pérez-Rioja, Estilística, comentarios de textos y redacciones. Zarauz, 1967.

MANANA KHOPERIA

Stylistics of the Spanish Language from the Standpoint of Grammar

Summary

The paper is an attempt to deal with the stylistics of the Spanish language from the perspective of grammar. The choice of the issue was caused by the fact that, in general the study of grammatical units stylistically always results in stating their stylistic rather than grammatical peculiarities. The aim of the paper is to reverse the given process.

მანანა ხოპერია

არქაიზმები მსპანურ ენაში

ენა, ისევე როგორც საზოგადოება, დროში არსებობს. ბუნების შეცნობის ეტაპები, ცვალებადობა საზოგადოებისა და თვით ადამიანის განვითარება არ შეიძლება ადამიანის ცნობიერებისა და მისი საზოგადოებრივი საქმიანობის საშუალებით არ აისახოს მასში. ენაში ყოველთვის არის რაღაც ნაწილი სიტყვებისა, სიტყვათშეთანხმებებისა და გრამატიკული ფორმებისა, რომლებიც სიახლით ან სიძველით ხასიათდებიან.

სიტყვასა და მის მიერ დასახელებულ საგანს შორის არსებული მიმართებიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ მოძველებული სიტყვების ორი სახეობა:

1. იზოლირებული არქაიზმები. მათ ჩვეულებრივ უწოდებენ **ისტორიზმებს (historismos)**. ისინი აღნიშნავენ ისტორიული განვითარების პროცესში საზოგადოების ცხოვრებიდან გამქრალ საგნებსა და მოვლენებს. შეინარჩუნეს რა თავიანთი ნომინაციური ფუნქცია, თანამედროვე სინამდვილეში მათ დაკარგეს თვით ნომინაციის ობიექტები, მათზე წარმოდგენა კი ენის მატარებელთა უმრავლესობას დავიწყებული აქვს. მათი ხმარების სფერო მწიგნობრული მეტყველებით შემოიფარგლება. საკმარისია თანამედროვე მკითხველმა გადაშალოს „დონ კიხოტის“ პირველი თავი და მაშინვე შეხვდება ისეთ ისტორიზმებს, როგორებიცაა: **adarga** (ოვალური ან გულის ფორმის ტყავის ფარი), **astillero** (პირამიდა შუბისა და აბჯრისათვის) და სხვ. ისტორიზმებად იქცა **retaco** (შტუცერი), **alabarda** (ალეზარდა), **maravedí** (ძველებური მონეტა), **zepelin** (ცეპელინი), **trabuco** (მუშკეტი), **bergantin** (ბრიგი — ორანდიანი იალქნიანი გემი), **gramófono** (გრამოფონი), **farolero** (მეფარნე), **charlestón** (ჩარლსტონი) და ა.შ.

2. სტილისტური არქაიზმები. ეს არქაიზმები თითქოსდა ამთავრებენ შესაბამის სინონიმურ რიგებს განსაკუთრებული ლექსიკური ერთეულების უფლებით, რომლებიც ენის მატარებლების მიერ აღიქმება, როგორც არათანამედროვე, მოძველებული ან ხმარებიდან გასული. ესაა სწორედ მათი **სტილისტური შეფერილობა** და მათთვის ძირითადი ხდება სტილისტური და არა ნომინაციური ფუნქცია. ასეთებია მაგალითად, სიტყვები: **aeroplano** (აერობლანი), **aceto** (ძმარი), **cabeza** (წიგნის თავი), **agorería** (მომასწავებელი ნიშანი), **bastimento** (შენობა), **hotel** (ცალკე მდგომი სახლი), **desamigo** (მტერი), **almozala** (საბანი, გადასაფარებელი), **frisar** (მოკლება, დაპატარავება, მოსწორება), **acotado** (მდიდარი) და ა.შ. (ვინოგრადოვი, 2003).

სტილისტური არქაიზმების თანრიგს უნდა მივაკუთვნოთ, როგორც ჩანს, სიძველის მტვრით დაფარული ზოგიერთი მწიგნობრული სიტყვა. **Prez** (მამაცობა, სიქველე), **lid** (შერკინება, შებრძოლება), **Raz** (სახება), **corcel** (საომარი ცხენი) და სხვა მსგავსი სიტყვები აღიქმება, როგორც XIX საუკუნის ლიტერატურისათვის დამახასიათებელი და სტილური აღმატებულობით გამორჩეული. ფუნქციურად ისინი ემსგავსება **ქართულ სტილისტურ არქაიზმებს**, როგორებიცაა, მაგალითად, **ღაწვი, დაღალი, სრბოლა**.

არქაიზმების ფორმისა და სემანტიკის შედარების შედეგად გამოიყოფა, სულ ცოტა, სამი სახეობა არქაიზმული სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებებისა:

სიტყვა-არქაიზმები (ჩვეულებრივ მათ **ლექსიკურ არქაიზმებს** უწოდებენ), რომლებსაც მოძველებული აქვთ როგორც ფორმა, ისე მნიშვნელობა, ანუ მთელი სიტყვა აღიქმება, როგორც მოძველებული, ანდა დავიწყებული ენის მატარებელთა მიერ. მაგალითად, **adarga, aljaba, rabel, facton, birlocho** და ა.შ.

ყველა **სიტყვა-არქაიზმი ისტორიზმებს** განეკუთვნება, თუმცა ყველა **ისტორიზმი** როდია **ლექსიკური არქაიზმი**;

3. ლექსიკურ-სემანტიკური არქაიზმები, რომლებსაც სავსებით თანამედროვე ფორმა აქვთ, ამ ფორმის ერთ-ერთი მნიშვნელობა კი — მოძველებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ესაა არქაიზმული მნიშ-

ვნელობები საერთო მოხმარების პოლისემანტიკური სიტყვებისა. ლექსიკურ-სემანტიკურ არქაიზმებს შორის შეიძლება შეგვხვდეს როგორც **ისტორიზმები** (**tranvía** — კონკის მნიშვნელობით, **diligencia** — **dili-Jansis** მნიშვნელობით, **disciplinas** — როზგები, **plomada** — კისტანი, ძველებური საცემი იარაღი, **bala** — ბირთვი), ისე **სტილისტური არქაიზმები** (**hotel** — ცალკე მდგომი სახლის მნიშვნელობით, **caber** — გაგება, ცოდნა, **cálido** — ეშმაკი, ცბიერი, **frisar** — დაპატარავება, მოკლება, **pijar** — ზეასვლა, ვიდაცაზე აღმატება, **corrimiento** — თავდასხმა, თარეში) და ა.შ.

4. ლექსიკურ-ფონეტიკური არქაიზმები, რომლებიც ხასიათდებიან არქაული ფორმით და სავსებით ინარჩუნებენ თანამედროვე მნიშვნელობას. მაგალითად, **fermoso-hermoso, fecho-hecho, agora-ahora.** ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვა წარმოადგენს ლექსიკური ერთეულის თავისებურ ვარიანტს. არქაიზმი და თანამედროვე სიტყვა მატერიალურად თითქმის სრულად თანხვდებიან. ამავე ჯგუფში შედის განსხვავებულძირიანი სიტყვები, როგორებიცაა, მაგალითად, **fenestra (ventana), guisa (voluntad, antojo), guisamento (aderezo, disposición de una cosa), luene (lejos)** და სხვ.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, არქაიზმები სხვადასხვა მიზეზით ჩნდება. პირველ ყოვლისა, ისინი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც სახელდებული საგნები, ნივთები, მოვლენები და ა.შ. ქრება, გადის ხმარებიდან. ამგვარად, ექსტრალინგვისტური ფაქტორები, ცვლილებები, ხალხის ყოფაში განაპირობებენ ენობრივ ცვლილებებსა და გადაადგილებებს. ასე ჩნდება ისტორიზმები. თუმცა სიტყვათა და მნიშვნელობათა არქაიზაციის მიზეზად შეიძლება იქცეს წმინდა ენობრივი ფაქტორებიც, მაგალითად, მეტოქეობა მნიშვნელობით ახლომდგომი სინონიმებისა. სიტყვა **acuesto (ფერდობი)** დროთა განმავლობაში არქაიზმად იქცა, მაშინ, როდესაც **cuesta** აქტიურია თანამედროვე ენაშიც. მეტოქეობა **acordanza**-ს (შეთანხმება), **insula**-ს (კუნძული), **yantar**-ს (ჭამა) და **acaptar**-ს (მათხოვრობა) შორის შესაბამისად, **acuerdo**-ს, **isla**-ს, **comer**-ის, **mendigar**-ის სასარგებლოდ დასრულდა.

არქაიზმების აღსაქმელად პრაქტიკულად საჭიროა ათვლის სამი წერტილი: **დროითი, სივრცითი და სოციალური**. ამასთან, დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში სხვადასხვა ტერიტორიულ ვარიანტებში ერთი და იგივე სიტყვა ერთ-ერთ მათგანში განისაზღვრება, როგორც არქაიზმი, მეორეში ან სხვებში კი — როგორც ჩვეულებრივი სიტყვა. დაბოლოს, ლექსიკური ერთეული გარკვეულ სფეროში შეიძლება ფართოდ გამოიყენებოდეს, სხვა გარემოში კი მოძველებულად და არასალიტერატურო ფორმად მიიჩნეოდეს.

არქაიზმები ასეთებად აღიქმება საერთოესპანური ან ეროვნული ვარიანტის სალიტერატურო ნორმის ფონზე. ყველა ესპანურენოვანი ქვეყნისათვის ერთიანი საერთოესპანური სალიტერატურო ნორმის ფონზე ლექსიკური ერთეულის არქაული შეფერილობა ყველგან შენარჩუნებულია. „ასე რომ, ეჭვგარეშეა, რაინდი დონ კიხოტის მეტყველებისთვის სერვანტესის მიერ ოსტატურად შერჩეულ არქაიზმებს (როგორებიცაა: **ca, guisa, gazer** და სხვ.) ნებისმიერი ლათინოამერიკელი, ვინც უნდა იყოს იგი — კუბელი, მექსიკელი, ჩილელი თუ დომინიკანელი, აღიქვამს, როგორც მოძველებულ ფორმას. სიტყვები **lanza** (მახვილი, შუბი) ან **escudo** (ფარი), **escudero** (საჭურველმტვირთველი) ერთნაირად იქნება აღქმული, როგორც ისტორიზმები ესპანეთშიც და ამერიკაშიც“ (ვინოგრადოვი, 2003).

სხვა ლექსიკური ერთეულები არქაული აღმოჩნდება ესპანური მეტყველების გარკვეულ არეალებში მხოლოდ ესპანური ენის ეროვნული ვარიანტების სალიტერატურო ნორმების ფონზე.

სავსებით ცხადია, რომ არქაიზმები შეადგენს ენის ლექსიკური სიმდიდრის ნაწილს. მათი სტილისტური ფუნქციები მეტად ფართოა. მათი დახმარებით მწერლები აღადგენენ წარსული ეპოქების კოლორიტს, ზუსტად აღწერენ გარდასულ ყოფას, ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებსა და წესებს, იძლევიან პერსონაჟთა მეტყველებით დახასიათებას. მხატვრულ ენობრივ ქსოვილში არქაიზმების ოსტატურად ჩართვით ლიტერატორები აღწევენ საჭირო ირონიულ, კომიკურ ან სატირულ ეფექტს. დაბოლოს, სადღესასწაულო მეტყველება, მაღალი სტილი ზოგჯერ ასევე ითხოვს არქაიზმების გამოყენებას.

ლიტერატურა

ვინოგრადოვი, 2003 — Виноградов В.С. Лексикология испанского языка. М., 2003.

კასარესი, 1950 — Casares J. Introducción a la lexicografía moderna. Madrid, 1950.

MANANA KHOPERIA

Archaisms in the Spanish Language

Summary

The paper considers the archaism as a type of trope whose main functions in discourse are stated as follows:

1. Achievement of historical stylization.
2. Creation of an elevated style.
3. Achievement of a comical effect.

სარჩევი

- ბესარიონ ჯორბენაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები
- გ. გოგოლაშვილი — ბესარიონ ჯორბენაძე და ქართული დიალექტოლოგიის საკითხები
- ბ. ჯორბენაძე — მრავლობითი რიცხვის ზმნაში გამოხატვის ტენდენციები და საშუალებანი ქართული ენის დიალექტებში
- მ. ადვაძე — უარყოფის სისტემა ინგლისურ ენაში
- ც. ახვლედიანი, გ. ყუფარაძე — ევფემიზმები სოციალურ სფეროში (ფრანგული და ინგლისური ენების მასალაზე)
- ნ. ბაღდავაძე — ურბანისტული პეიზაჟის სტილისტური ღირებულება ჯეიმს ჯოისის მოთხრობათა ციკლში — „დუბლინელები“
- ს. გელაძე — პოლიტიკური დისკურსის სტრატეგიები და ლინგვისტური მარკერები
- ს. გელაძე — მეტაფორის ინტერაქცია კონტექსტთან
- ნ. დემეტრაძე — ბ. შოუს „სერენადის“ როგორც მხატვრული ნარატივის პერსონალური ბაღე: მისი პარამეტრული და ველის პრინციპით განპირობებული სტრუქტურა
- ნ. ვასაძე — პოლიტიკური კორექტულობა თავაზიანობისა და სახის თეორიების თვალსაზრისით
- მ. კუხალაშვილი — კითხვითი „ა“ ნაწილაკის ადგილისათვის ქართულ დიალექტთა შორის
- ვ. მალრაძე — ტავტოლოგიური დარღვევები. II.
- მ. ნებერიძე — არხის გამხსნელი და დამასრულებელი სიგნალები ინგლისურენოვან და ქართულ ტოქსოუმებში
- მ. ნებერიძე — ჯერის სიგნალების სემანტიკა და პრაგმატიკა ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ ტოქსოუმებში

- ნ. ოთინაშვილი — იორამ ლუღუშაურის მოხეურ სიტყვათა ლექსიკონის გამოცემისათვის
- ნ. ოთინაშვილი — ქსნის ხეობის ტოპონიმები ერთი საშემოსავლო სარგოს მიხედვით
- ი. რუსაძე — ილია ჭყონიას „სიტყვის კონა“
- მ. საღლიანი — მასალები სვანური ტოპონიმური ლექსიკონისათვის. I. სოფელ ცხუმარის ტოპონიმია
- რ. სვანიძე — ტოქსოუს ჟანრი, როგორც ლინგვოკულტურული ფენომენი, გერმანულ და ქართულ ენებში
- მ. სიორიძე — ფამილარული სტილი და „რები“ ფრანკოფონულ ლიტერატურაში
- მ. სიორიძე — დრო, სივრცე და სიუჟეტური ქარგა ალენ რობ-გრიეს რომანში „საშლელები“
- ნ. ფხაკაძე — ენის ლინგვოკულტურული ფენომენი და დიალექტი
- ს. ყიფიანი — მოდალობის შეპირისპირებითი ანალიზი
- ნ. შავრეშიანი, შ. შავრეშიანი — პირმიუმართავი და დამატებისათვის სვანურში
- ნ. ჭოხონელიძე — როჭიკისა და როჭის ომონიმური ცალკების ისტორიისათვის
- მ. ხოფერია — ესპანური ენის სტილისტიკა გრამატიკის რაკურსში
- მ. ხოფერია — არქაიზმები ესპანურ ენაში

CONTENT

- G. G o g o l a s h v i l i – Besarion Jorbenadze and the Issues of Georgian Dialectology
- B. J o r b e n a d z e – The Tendencies and Means of Expression of Plural Number in Verbs in the Dialects of the Georgian Language
- M. A d v a d z e – The System of Negation in English
- T. A k h v l e d i a n i , G. K u p a r a d z e – Euphemisms in a Social Field (on material from French and English)
- N. B a g d a v a d z e – Stylistic Value of Landscape in James Joyce’s *Dubliners*
- S. G e l a d z e – Strategies and Linguistic Markers of Political Discourse
- S. G e l a d z e – Interaction of Metaphors with Context
- N. D e m e t r a d z e – The Personal Net in the Narrative of B. Shaw’s ‘Serenade’: its Parameters and Structure Based on the Semantic Field Principle
- N. V a s a d z e – Political Correctness from the Standpoints of Face and Politeness Theories (on material from English and Georgian)
- M. K u k h a l a s h v i l i – Towards the Interrogative Particle *a* in the Dialects of Georgian
- V. M a g h r a d z e – Tautological Violations
- M. N e b i e r i d z e – Channel Open/Close Signals in British, American and Georgian Talk Shows
- M. N e b i e r i d z e – Semantics and Pragmatics of Turnover Signals in British, American and Georgian Talk Shows
- N. O t i n a s h v i l i – Towards the Edition of Ioram Ghudushauri’s Dictionary of Mokhevian Lexis
- N. O t i n a s h v i l i – The Toponyms of the Ksani Valley in One of the Monastery Income Lists
- I. R u s a d z e – ‘Sitkvis Kona’ (A Bunch of Words) by Ilya Tchkonია
- M. S a g h l i a n i – Data for the Svan Toponymic Dictionary. I. The Toponymy of the Village of Tskhumari
- R. S v a n i d z e – The Genre of Talk Show as a Linguocultural Phenomenon

- in German and Georgian Languages
- M. S i o r i d z e – Informal Style and Rap in Francophonic Literature
- M. S i o r i d z e – Time, Space and Plot Structure in Alain Rob-Grillet’s Novel *The Rubbers*
- N. P k h a k a d z e – The Dialect and the Linguo-cultural Phenomenon of a Language
- S. K i p i a n i – A Contrastive Analysis of Modality in English and Georgian
- N. S h a v r e s h i a n i , S. S h a v r e s h i a n i – Towards the Simple Object in Svan
- N. C h o k h o n e l i d z e – Towards the Homonymy in the Semantics of the Lexical Units *roçiki* and *roki*
- M. K h o p e r i a – Stylistics of the Spanish Language from the Standpoint of Grammar
- M. K h o p e r i a – Archaisms in the Spanish Language